

K 125 962
3

କବିତାର୍ଥୀ



କବିତାର୍ଥୀ ଅବୀ
ଶାହୀ ସାହିତ୍ୟ ଅକାଡେମୀ
ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
ବିଜ୍ଞାନଶାଖାକୁଳିମ୍ବୁଦ୍ଧି

Q 077
3968

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
Академия Наук Грузинской ССР 1966 год
ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ



1966



Г. М. ИМНАЙШВИЛИ

Особенности ингилойского наречия грузинского языка

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ
1966



გრ. 0060038030

ქართული ენის ინგილოფური
დიალექტის თავისებურებანი

K 1255.962
3

გამოცემობა „მეცნიერება“
თავისი
1966



4 Г.
 499. 962. 1. 01
 ი 507

მონოგრაფიაში განხილულია ინგილოურის მდი-
 დარი ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური
 მოვლენები ქართული ენის სხვა დიალექტებთან შე-
 პირისპირებით. გამოვლენილია ბევრი თავისებურება
 და ახსნილია მათი გაჩენის მიზეზები ისტორიულ ას-
 პექტრში. თითოეული სოფლის მეტყველების შესწავლის
 შედეგად დადგენილია კილოკავები და თქმები. გარ-
 კვეულია ინგილოურის ადგილი სხვა დიალექტთა
 შორის.

ამა თუ იმ მოვლენის დადგენის დროს ავტორი
 ემყარება ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვე-
 ბასა და იმ დიდალ მასალას, რომელიც მან თვითონ
 ჩაიწერა ადგილზე.

საინგილოს განსაკუთრებული ისტორიული ვი-
 თარების გამო ინგილოური მეტად თავისებური გზით
 განვითარებულა. ამ დალექტის საუფავლიან შესწავ-
 ლას მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა
 და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.
 ნაშრომს ერთვის ტექსტები.

მ ე ს ა გ ა ლ ი

საინგილოსა და ინგილოური დიალექტის ისტორიული
გთარება

I. მრავალმხრივ საინტერესოა ის მხარე, სადაც ინგილოური დიალექტი არსებობს და რომელსაც ამჟამად საინგილოს ეძახიან.

საინგილოს გეოგრაფიისა და ეთნოგრაფია-ისტორიის შესახებ მდიდარი ლიტერატურა მოიპოვება¹. ჩვენ მხოლოდ საინგილოს გეოგრაფია-ისტორიის საკითხების ზოგიერთ მხარეს შევეხებით და ისიც გაქვრით.

საინგილო მდებარეობს კახეთის აღმოსავლეთით, მდინარე ალაზნის მარცხნია მხარეს. იგი ამჟამად აზერბაიჯანის საბჭოთა

¹ მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: მ. ჯანაშვილი ის „საინგილო“ (შეელი საქართველო, II, გამ्प. IV, ტფილისი, 1911—1913) და წერილები „ივერიაში“, „დროებაში“ და სხვ.; დიმ. ჯანაშვილის „შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში და საინგილო“ (ტფილისი, 1907) და წერილები იმდროინდელ უზრუნველ-გაზეთებში („მნათობი“, „მწყემსი“, „მოგზაური“, „ცისკარი“, „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.); ზ. ედილის „საინგილო“ (თბილისი, 1947); ბ. ბერძენიშვილის „აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან“ (მიმომხმარელი, III, თბილისი, 1953) და „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეება მიჯნაზე“ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბილისი, 1944); მ. დუმბაძის „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან“ (თბილისი, 1953); დ. ბაქრაძის „Заметки о Закатальском округе“ (1890); ზისელმანის „Двадцать пять лет на Кавказе“ (1842—1867); ი. ვერუზევსკის „Джаро-белаканские вольные общества в первой половине XIX столетия“ (1934) და „Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—нач. XIX в.“ (1949); ზ. ედილაშვილის (იგივე ზ. ედილი), გულისაშვილის, ელიაშვილის, გ. ფარადაშვილისა და სხვათა წერილები ქართულ პერიოდულ პრესაში; საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ (მ. დუმბაძის რედაქციით, საისტორიო მოამბე, 4, თბილისი, 1950); ქართლის ცხოვრება; ვაზუშ ტის აღწერა სამეფოსა საქართველოსა; აქты собр. Кавк. Археограф. Комиссии და სხვ.

სოციალისტურ რესპუბლიკაში შედის და შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებისაგან. ტერიტორიულად მოიცავს 3.497,5 კვ. კილომეტრს¹. მისი ახლანდელი საზღვრებია: დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით დღევანდველი კახეთი (მდ. ბაზიმ-ჩაი და მდ. ალაზანი), სამხრეთით მდ. აგრი-ჩაი, აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნუხის რაიონი, ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთაგრეხილი.

ისტორიულად საინგილო წარმოადგენდა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს. აღმოსავლეთიდან მოსული მტერი პირველად ამ მშვენიერ კუთხეს აოხრებდა. საინგილოც ისევე, როგორც სამცხე-საათაბაგო, მრავალგზის გამხდარა საქართველოს დაუძინებელი მტრების სათარეშო მოედნად. საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა მისი დარბევა და განადგურება. საქართველოს პოლიტიკური დაცემისა და ოღვევის ეპოქაში ირან-ისმალეთისა და დალესტნელი ყაჩალების შეუწყვეტელი თავდასხმების შედეგად იგი მოსწყდა კახეთს (XVII ს.). მეტად მძიმე პირობებში ჩავარდნენ ინგილოები. მათ ემუქრებოდათ გადაგვარება და გაწყვეტა. აიძულებდნენ ინგილოებს, რომ გამოეცვალათ გვარი და დაევიწყათ ქართული ენა.

ღროთა განმავლობაში პოლიტიკურ და ეკონომიურ კეთილდღეობას მოკლებული ინგილოები თანდათან კარგავდნენ თავიანთ სამშობლო ენასაც.

საბჭოთა ხელისუფლებამ ინგილოებსაც ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, მიანიჭა სრული ბედნიერება, მისცა შესაძლებლობა, რომ ილაპარაკონ და ისწავლონ იმ ენაზე, რომელზეც ურჩევნიათ. გაიხსნა სკოლები მშობლიურ ენაზე იმ სოფლებში, რომლებშიც ქართული ენა ჯერ კიდევ ცოცხლობდა.

ამჟამად ყველა ქართული სოფლის სკოლებში სწავლება მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე და ახალგაზრდებიც ხალისით ექიდებიან ამ საქმეს².

საბჭოთა ხელისუფლების ღროს გაიმართნენ წელში, შეება იგრძენს და აყვავდნენ საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად და ეკონომიურად დაბეჭავებული ინგილოები.

¹ ზ. ედილი, საინგილო, თბილის, 1947, გვ. 4; შდრ. მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძველი საქართველო, II, განყ. IV, ტფილისი, 1911—1913, გვ. 52; დ. ბაკარაძე, ვამეტკი ისაზოვარის მომენტების მანძილზე პოლიტიკურად და ეკონომიურად დაბეჭავებული ინგილოები.

² პირველ ხანგბში ქართულ ენაზე მხოლოდ დაწყებითი სკოლები იყო ბევრ სოფელში. 1944 წლიდან კი ქართულ ენაზე სწავლება შემოღებულ იქნა შემდგომ კლასებშიც.

II. 1945 წელს ინგილოურ კილოზე მეტყველებდა 14.770 კაცი (დაახლოებით). ეს ხალხი განაწილებული იყო 11 სოფელში და 1897 წლის აღწერით ზაქათალის მაზრაში ქართული მშობლიურ ენად ეთვლება 12,394 სულს¹.

ინგილოურ კილოზე მოლაპარაკე სოფელთა რიცხვი წინათ გაცილებით მეტი ყოფილა, ვიდრე ახლა.

დროთა ვითარებაში, საუკუნეების მანძილზე, ინგილოური კილო თანდათანობით გამტერალა რიგ სოფლებში. ესენია: ყანდახი, ენგიანი, კაპანახი, ვერხიანი, ლალაფაშა, მარსანი, სოსკანი (სოსკანთ გორა), ყორალანი, შოთავარი (შოთაგორა), გულუგი (გულლუკ, ვარდიანი) და სხვ.²

ამ სოფლებში აზერბაიჯანული ენის ადგილობრივი მეტყველებისა და ქართული ენის ინგილოური დიალექტის შეჯვარედინების პროცესი დამთავრებულა პირველის გამარჯვებით. ასევე მოსვლია იმ მხარის რიგი ტომებისა თუ ხალხების ბევრი სოფლის მეტყველებას; მაგალითად, წახურელების სოფლების უმრავლესობას ამჟამად დავიწყებული პქვს თავისი საკუთარი ენა და ლაპარაკობს აზერბაიჯანულად³.

საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა ქართული ენის ინგილოური მეტყველების შეჯვარედინება ჯერ ხუნძური ენის, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანული ენის საინგილოს მიდამოების მეტყველებასთან. მართალია, ზოგიერთი სოფლის მეტყველება შეიქნა ამის მსხვერპლი, მაგრამ ინგილოურმა კილომ ძირითადად შეინარჩუნა თვითმყოფობა და გაუძლო საუკუნეების ქარტეხილებს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თავისებურ პირობებს თავისი კვალი დაუმჩნევია ინგილოურ დიალექტზე. „Можно сказать, что ни в одном грузинском говоре нет такого своеобразия, как в ингилойском“.—სავსებით მართებულად შენიშვნავს ა. შანიძე მ. ჯანაშვილის „საინგილოს“ შესახებ დაწერილ რეცენზიაში⁴. რ. ერკერტი კი წერდა: „ისინი [ინგილოები] არაან ქარ-

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 68.

² დიმ. ჯანაშვილი, სანომ მათქმევინა: „ივერია“, № 114, 1889; [დ. ბაქრაძე], ტფილისი, 29 დეკემბერს: „დროება“, № 44, 1866 (წერილი ხელმოუწერელია).

³ ზ. ედილი, საინგილო, გვ. 121.

⁴ Записки Восточного Отделения И. Русского Археологического общества, XXII, вып. III—IV, 1915, გვ. 345.

თველები და ლაპარაკობენ ქართული ენის ერთ-ერთ არც ძალიან განსხვავებულ (ძველ) დიალექტზე ამ სიტყვის მეტად ვიწრო შენახულ გნელობით¹.

რ. ერკერლზე ადრე ინგილოურის შესახებ ვინძე ჭიწა შემდეგს გადმოგვცემდა: „თოთქმის არც ერთი ქართული სიტყვა არ დარჩიმილა, რომ არ ეჭრებოდეს ან თავი, ან ბოლო, ან ძირი“². ის ამის მიზეზად შემდეგს ასახელებს: „შაპ-აბაზ I-ის შემოსევის, კახეთის აოხრების, 100.000 ქრ. გადასახლების შემდეგ, მთელი ზაქათალის მაზრა უვარდებათ ხელში მაჭადიანთ. ინგილოებს აწვებათ მძიმე უღელი, სუსტდება საქ., არსდება ჭარის რესპუბლიკა და ძლიერდება ელისოს სულთანი და შექის ხანი. ძაბუნდებიან ინგილოები... მათი ენაც მახინჯდება ისე, რომ ქართველ კაც აქაური ლაპარაკი ძნელად ესმის“³.

არნ. ჩიქობავა, არკვევს რა ფერეიდნულის მიმართებას სხვა ქართულ კილოებთან, დაასკვნის: „ყველაზე ახლო ფერეიდნული დგას ინგილოურთან, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის ლეიდლი ძმა უნდა იყოს; ინგილოური გაცილებით უფრო, ვინემ ქიზიყური, დაშორდა ქართულს; ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ინგილოურიც, ფერეიდნულის მსგავსად, თითქმის⁴ მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლობო ქართულის გავლენის განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები (თუნდაც იგივე ქიზიყური); თუ ფერეიდნული სპარსული მეტყველების რკალშია, ინგილოურზე თათრული (აზერბაიჯნული) ახდენს ზეგავლენას. არა მხოლოდ მსგავსი ბედი, არამედ მსგავსივე მოვლენები მოეპოვება ინგილოურს: ფონეტიკაში გ'სთან დაკავშირებული ცვლილებანი, მორფოლოგიაში ჟ' ნაწილაკი და არქაიზმის წყება (მაგალ., პერმანსივის ხმარება); სხვა კილოთაგან ქიზიყური, გარე (და შიგნი) კახური და მასთან კავშირში მყოფი მთიულური ყველაზე ახლოს დგანან ფერეიდნულთან; ეს არც არის გასაკვირი: ფერეიდნული ხომ კახურ-ქიზი-

¹ „Sie [Ingiloier] sind Gruziner und sprechen einen nicht sehr unterschiedenen (älteren) Dialekt der gruzinischen Sprache im engeren Sinne des Wortes“ (R. E r c k e r t, Die Sprachen des Kaukasischen Stammes. Wien, 1895, gg. 328).

² „დროება“, № 138, 1883.

³ იქვე.

⁴ ხაზი ავტორისაა.

ყურ-ინგილოურის „ნაგლეჯია“, ოლონდ უცნაური ისტორიული
ბედის შემნე¹.

* * *

ინგილოურს ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი აღგილი უჭი-
რავს ქართული ენის დიალექტთა შორის. იგი ყურადღებას იქცევს
მრავალმხრივ.

საინგილოს განსაკუთრებული ისტორიული ვითარების გამო
ეს დიალექტი მეტად თავისებური გზით განვითარებულა. ინგილოუ-
რის საფუძვლიან შესწავლას მნიშვნელობა აქვს ქართული ენის
ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

III. ინგილოური დიალექტი იყოფა ორად: კაჭურად და
ალიაბათურად. პირველში შედის კაკის, ალათემურის, მეშაბა-
შის, ალიბეგლოს, ქოთუქლოს, ყორალნის, თასმალოსა და ზაგა-
მის, მეორეში კი—ალიაბათის, მოსულის, ენგიანისა და ითითალის
მეტყველება. ინგილოური სოფლები ნაწილდება საინგილოს სამ
რაიონს შორის: კახში (კაკი ანუ კახ-ინგილო, ალათემური, მეშა-
ბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, ყორალნი, თასმალო, ზაგამი), ზაქა-
თალაში (ალიაბათი, მოსული, ენგიანი) და ბელაქანში (ითითალი).
მათ შორის დიდი განსხვავება; ხშირად ურთიერთგაებინებაც
კი უჭირთ. განსხვავება ნათლად ჩანს ფონეტიკაში, მორფოლოგია-
ში, სინტაქსა და ლექსიკაში (სხვაობას დაწვრილებით განვიხი-
ლავთ გზადაგზა, ფონეტიკურ და გრამატიკულ მოვლენებთან ერ-
თად, თანმიმდევრობით).

ტერიტორიულად ინგილოური სოფლების ურთიერთდაშორე-
ბა და მათი აღრევა აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკე სოფლებში
გარევეულ დას ასევამს თითოეული სოფლის მეტყველების განვი-
თარებას და ასხვავებს მას სხვა სოფლის მეტყველებისაგან.

კაქური კილოგავის ყველაზე დიდ ერთეულს წარმოადგენს
თვით კაკის ანუ კახ-ინგილოს მეტყველება. ეს სოფელი „შეფე-
ნილია ქურმუხის უიწრო ხეობაში, კავკასიონიდამ ჩამოწოლილ
საქმაოდ მაღალ კალთებ შორის“². ამ სოფლის თავსა და ბოლოში
აზერბაიჯანული მოსახლეობაა, შუაზე კი ინგილოური (716 კომლი,
3280 კაცი დაახლოებით)³). ამ სოფლის ქართული მოსახლეობა

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის
უნივ. მოამბე, VII, 1927, გვ. 221.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 68.

³ მოსახლეობის შესახებ ცნობები შეკრებილია 1945 წელს.



გაფენილია სიგრძით 4—5 კმ და სიგანით 2—3 კმ მანძილზე დაახლოებით და იყოფა შემდეგ პატარა სოფლებად (უკეთ: უბნებად); ესენია: კახისთავი, თიზირი (მთისძირი), ჩახყირალი (წყლისპირი) და თოტფალი. ბეორე (თიზირი) და მესამე (ჩახყირალი) სოფლის ცენტრშია და აქვთ სრული საშუალო სკოლა; პირველი (კახისთავი) კახ-ინგილოს თავშია, ხოლო უკანასკნელი (თოტფალი) ამ სოფლის (კახ-ინგილოს) ბოლოშია, აქვთ თითო არასრული საშუალო სკოლა.

ამ ორი უკანასკნელის მეტყველებაც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან¹, თუმცა არ არიან ურთიერთდაშორებული მაინცდამაინც და ძალიან ხშირი ურთიერთობაც აქვთ ერთმანეთთან.

კახ-ინგილოს კომლთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ალათე-მურის მოსახლეობაც. ეს სოფელი პირველად წარმოადგენდა კაკის „ბინას“ და მუდმივად იქ არავინ სახლდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ღროს ზოგიერთი მათგანი უკვე მუდმივად (ზამთარზაფხულ) იქ რჩება. აქვთ საშუალო სკოლა. ეს სოფელი დაშორებულია კახ-ინგილოდან 14—15 კმ და მდებარეობს მის დასავლე-თით².

აქაური მეტყველება საერთოდ მიჰყვება კახ-ინგილოს მეტყველებას, მაგრამ შესამჩნევია განსხვავებაც, განსაკუთრებით იმ მოხუცთა მეტყველებაში, რომლებიც აქ მუდმივად დამტკიცრებულან შედარებით აღრე და კავშირი კახ-ინგილოსთან გაუწყვეტიათ ნაწილობრივ მაინც (მაგ., ამათ მეტყველებაში -ებ, -ობ სუფიქსები, კახ-ინგილოს მეტყველებასთან შედარებით, ნაკლებად იცვლება -ებ და -ობ-ად).

კახ-ინგილოს სასოფლო საბჭოში შედის აგრეთვე ინგილოთა ერთი პატარა სოფელი—მეზაბაზი (30 კომლი, დაახლ. 180 კაცი). იგი მდებარეობს კაკ-ალიბეგლოს გზის მახლობლად; დაშორებულია კახ-ინგილოდან 7—8 კმ. აქვთ დაწყებითი სკოლა.

აქაური მეტყველებაც ძირითადად კაკურ მეტყველებას მისდევს, მაგრამ ნაწილობრივ მაინც განსხვავდება მისგან, განსაკუთ-

¹ კახისთავში ამბობენ: „მე მივაჭომ, შენ მიაჭომ, ის მიაჭომს...“ თოტფალში კი — „მე მშაქ, შენ მიაქ, ის მიაქს...“ და სხვ.

² პატარა სოფლები: ხარაბთალა, ქეშუთანი, ყიმურუ, ყარამეშა (შავი ტყე) წარმოადგენენ კახის „ბინებს“.

რებით აზერბაიჯანული სიტყვების სიჭარბითა და „იშათა-ც“ ხმა-
რებით გამოირჩევა¹.

მეორე სასოფლო საბჭოს წარმოადგენს ალიბეგლო, რომე-
ლიც შორავს კახ-ინგილოს 15—16 კმ და მდებარეობს ალათემურის
სამხრეთით კაჯ-ყორალნის გზაზე (აქ ცხოვრობს 220 კომლი ინგი-
ლო, დაახლოებით 1320 კაცი), აქვთ სრული საშუალო სკოლა.
ალიბეგლო და ყორალარი წინათ კაკის „ბინებს“ წარმოადგენდნენ².

მაგრამ აქაური მეტყველება მაინც შესამჩნევად განსხვავდება
კახინგილოური მეტყველებისაგან. ამ უკანასკნელისაგან ალიბეგ-
ლოს მეტყველება გამოირჩება უმთავრესად -ებ და -ობ სუფიქსების
უცვლელად შემონახვით (მაგ., კაცებ, იქნ-ებ-ის, ყიდულ-ობ-ს და
სხვ.), სტ-, შტ- ბერათა კომბლექსების წინ სხვადასხვა ხმოვნების
დართვით (მაგ., ესტაქან, იშკოლად... კაქში კი: ისტაქან, უშკო-
ლად...), აზერბაიჯანული სიტყვების შედარებით ნაკლებად ხმა-
რებით, წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელი მარცვლის
გაგრძელებით, განსაკუთრებით კითხვით წინადადებაში და სხვ³.

ალიბეგლოს სასოფლო საბჭოში შედის ქოთუქლო. იგი
ალიბეგლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 5—6 კმ დაშო-
რებით (მასში ცხოვრობს 60 კომლი, 350 კაცი დაახ.), აქვთ არა-
სრული საშუალო სკოლა.

სხვა სოფელთაგან ეს სოფელი გამოირჩევა მით, რომ აქ ყვე-
ლაზე უფრო უჭირთ ქართულად ლაპარაკი. ზოგიერთ ოჯახში აზერ-
ბაიჯანულად ლაპარაკობენ, ჩვეულებრივი სასაუბრო ენაც აზერბაი-
ჯანულია უმთავრესად (აქაური მცხოვრებნი გათქვეთილი არაან
აზერბაიჯანულ ენაზე მეტყველი მეზობელი სოფლების ხალხ მთ)⁴.
ქოთუქლოს ინგილოური მეტყველება ხასიათდება აზერბაიჯანული
სიტყვების სიმრავლით. ფონეტიკური მოვლენების საკითხში (მაგ.,
-ებ→-ევ, -ობ→-ოვ და სხვ.) კახ-ინგილოსა და მეშაბაშის მეტყვე-
ლებას უფრო გასდევს, ვიდრე ალიბეგლოსას.

¹ მაგ., „ეს ღორ ღორდანამათი“ (ნიშნავს: „ეს ღორი იორდანაისა და
მის ოჯახის წევრებისაა“).

² ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, გვ. 135.

³ შდრ. აგრეთვე: დარგაზად (კაცი) და დაროზად || დარგაზად (ალიბეგ.),
გარცხლ (კაცი) და ვარცლ (ალიბეგ.), იბანეოდითა? (კაცი) და იბანეოდითა?
(ალიბეგ.) და სხვ.

⁴ ამ სოფელს ძალიან ახლოს აკრავს აზერბაიჯანული სოფლები—ყივჩალი,
იბახლო და სხვ.

კაპ-ალიბეგლის გზის გაგრძელებაზე (3—4 კმ დაშორებით ალიბეგლოდან) მდებარეობს ყორა ღანი 1. ამ სოფლის გარენი უოფია ინგილოთა ერთი პატარა სოფელი სამთაწყარო (47 კმ², დაახლ. 280 კაცი). იგი დაარსებულია იქვე, ახლოს, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.

ყორალის მეტყველება შედარებით ახლოს ყოფილა ალიბეგლის მეტყველებისთან. მაგრამ სამთაწყაროებს უკვე მაღლე დასტყობით ქართულის, კერძოდ, ქედელთა მეტყველების გავლენა მათთან მჭიდრო და ყოველდღიური ურთიერთობის გამო. მაგ., აქ „იცის“ ზმნასთან უკვე ხშირად გვევლინება ქვემდებარე მოთხრ. ბრუნვაში (მაგ., „იმი ყმაწულებ მა არ იციან ქართულ ლაპარიკს“, „მირზა ლდე ლ მა ჰავიმიბას იციოდა“ და სხვ.); სკკომბლექსებიანი ზოგიერთი სიტყვა („სტოლ, სკამ, სკლად“...) იმარება ხმოვნის დაურთველად და სხვ.

კაპურ კილოკავს მიეკუთვნება, აგრეთვე, თასმალოსა და ზაგამის მეტყველება. პირველი მდებარეობს კაპ-ალიბათის გზაზე (კაპს შორავს დაახლ. 22—23 კმ, ალიაბათს კი—8 კმ), მეორე კი ამ გზის სამხრეთითა 1—2 კმ დაშორებით. ორივე სოფელში არის სასოფლო საბჭო, სადაც შედიან აზერბაიჯანული სოფლებიც

1. როგორც ცნობილია, მეფის თვითმიყრობელობა ეროვნებათა შორის შუღლს აღვიყებდა. ამ მიზნით იგი ყველა საშუალებას იყენებდა, მათ შორის — რელიგიასაც. ამ პოლიტიკას აქაც უჩენის თავი. ამ სოფლის შესახებ ვინმე მიიღებდი 1888 წელს განხეთ „ავერიაში“ (№ 198) შემდეგს წერდა: „სოფელს ყორალანში არის 120 კომლი მოსახლე, ამათგან ნახევარი მართლა-მადიდებელია და ნახევარი ქრისტიანობითგან გადამდგარნი ინგილონი მაჰმადის რჯულისანი. აქ ერთი ძმა ქრისტიანია, მეორე ძმა მაჰმადიანია, ანუ ძმა ქრისტიანია, და მაჰმადიანი. ერთს გვარში ზოგი გადამდგარია ქრისტიანობითგან, ზოგი ქრისტიანია. ყოფა-ცროვერებითა და ლაპარაკით არ ერჩევან ერთმანეთს. კაცი და დედაკაცი ყველანი ლაპარაკობენ, ნამდვილს ქართულს ენას. აქობამდე ერთმანეთში სიყვარულითა და თანხმობით ცხოვრობდნენ, ებლა კი ფანატიკოსობამ მაჰმადიანობისამ ძლიერ ფეხი აიდგა და იქმდის მიგიდა ეს ფანატიკოსობა, რომ მაჰმადიანთ პირობა შეჰქრეს, სამშობლო მამა-პაპის ქართული ენა აღარ ილაპარაკონ. ერთმანეთში მისვლა-მისვლასაც უკრძალული ფანატიკოსობის მქადაგებელნი... ამათმა ფანატიკოსობამ სწორედ საზღვარს გადაბიჯა. გარშემო ჩამდენიმე ლეიი და თათარი სცხვრობს. იმათთან მშენდობით ეს ცხოვრობთ და ერთმანეთს სასმელ-საჭმელს არ ვუწუნებთ და ეს ახალი გამაჰმადიანებული მაჰმადიანები კი ასე იქცევიან“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რა თქმა უნდა, აქაც ისე-ვე, როგორც საერთოდ ჩვენში, გაქრა ეროვნული შელლი და მტრობა და მოძმეთა შორის დამკვიდრდა მეგობრობა და სოლიდარობა.



(თასმალოში ცხოვრობს 83 კომლი, 500 კაცი დაახლ. ზაგამში კი— 127 კომლი, 770 კაცი დაახლ.). აქეთ თითო არასრული საშუალებულები სკოლა ქართულ ენაზე, მაგრამ ახალგაზრდებმა ცუდად იციან ქართველობის თული ენა, განსაკუთრებით თასმალოში. ორივე სოფელში საოჯახო და მეზობლებში ურთიერთსასაუბრო ენაც ყველგან აზერბაიჯანულია.

ამ ორი სოფლის ინგილოური მეტყველება (ერთმანეთისაგან ცოტათი განსხვავდება), მართალია, უკავშირდება კაკურს, მაგრამ მაინც განსხვავდება კაკური კილოკავის სხვა სოფლების მეტყველებისაგან. ამ სოფლებშიც - ებ და -ობ სუფიქსები ისევე, როგორც ალიბეგლოში, უცვლელად გვენახება; ამით განსხვავდება კაკ-მეშაბაშ-ქოთუქლოს მეტყველებისაგან და უკავშირდება ალიბეგლოს მეტყველებას. მაგრამ თასმალოსა და ზაგამში სიტყვის უკანასკნელ მარცვალს ისე არ გააგრძელებენ, როგორც ალიბეგლოში და არც ალიბეგლოს მსგავსად იცის სიტყვის ბოლო ხმოვანთა ფშვინ-ვიერი დამართვა (“ცეცხლ დაანთებელავაპ?“). სხვა შემთხვევებშიც ბევრგან ვხვდებით განსხვავებებს (მაგ., ჰაპტობაზ¹, შდრ. კაკ-ალიბეგ. ჰაფუტად, ალიაბ. წუმწუმა; პალტონი, შდრ. კაკ-ალიბეგ. ბალტო; წყარო, შდრ. კაკ-ალიბეგ. ბუღალ და სხვ.).

ალიაბათური კილოკავი იყოფა სამად: ალიაბათის, მოსული-სა და ითითალის თქმად. ისინი ურთიერთისაგან ცოტათი განსხვავ-დებიან. სამივე განიცდის სხვა ქართული კილოების გავლენას და დიდად განსხვავდება კაკურისაგან.

ალიაბათური კილოკავის ყველაზე დიდ ერთეულს წარმოადგენს თვით ალიაბათის მეტყველება. ეს სოფელი საინგილოში ყველაზე დიდია და მდებარეობს კახ-ინგილოს დასავლეთით 27—28 კმ-ით (ზუქათალის სამხრეთით 16—17 კმ-ით; მასში ცხოვრობს 900 კომლი, დაახლოებით 5600 კაცი)². აქეთ ქართულ ენაზე ერთი

¹ სამთაწყაროშიც იხმარება „ჰაპტობაზ // ჰაპტობაზ“.

² ამ სოფელშიც ისევე, როგორც მოსულში, ენგიანში, ითითალაში, თას-მალოსა და ზაგამში, ატარებენ თათრულ გვარებს. მაგრამ აქ, როგორც აქაური მოხუცები გადმოგვცემენ: „მუანი ფამილის ხალლი ყოფილან: დათუნანი, ბოლ-დაანი, ჟანშანები, ნაცვლიანები, მალხანები, ფათალიანები, წაწაშეგილი“.

კაჭი, ალათემურში, მეშაბაშში, ალიბეგლოში, ქოთუქლოსა და სამთა-წყაროში კი აქეთ ქართული გვარები: თამაზაშვილი, კოსიაშვილი, გამხარაშვილი, ხუციშვილი, ნადირაშვილი, ბეროშვილი, ფოლადაშვილი, შიომშვილი, ჯანა-შვილი, ყულიაშვილი, ანდრიაშვილი, თოფალაშვილი, ასლამაზაშვილი, ემბრაშვილი, ყიყიშვილი, სუყაშვილი, ჭაჭაშვილი, სარდალაშვილი და სხვ.

სრული საშუალო სკოლა, ერთი არასრული საშუალო და ორი დაწყებითი სკოლა. აქაურმა ინგილომ ქართული თითქმის ყველამ ქარგად იცის, ოჯახებშიც უმრავლესობა ქართულ ენაზე ლაპარაკობს და ურთიერთსასაუბრო ენაც მეზობლებში ქაოთულია უმთავრესად.

ალიაბათელები, როგორც აღვნიშნეთ, განიცდიან ქედელების¹, ლაგოდებლებისა² და ქიზიყელების გავლენას.

მოსული მეტყველებაც იმავე გავლენას განიცდის, რასაც ალიაბათის მეტყველება³. მოსულისა და ალიაბათის მცხოვრებლები ძალიან ახლო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან და მათი მეტყველებაც ცოტათი განსხვავდება (მაგ., მოს. ჩახ, ალიაბ. ჩეჭ... და სხვ.).

მოსული მდებარეობს ალიაბათის სამხრეთით (უფრო სამხრეთ-დასვლეთით) და შორავს მას 6—7 კმ (მასში ცხოვრობს 240 კომლი, 1440 კაცი დაახლ.). აქვთ არასრული საშუალო სკოლა ქართულ ენაზე. აქაურებმაც ისევე, როგორც ალიაბათელებმა, ქარგად იციან ქართული ლაპარაკი და ოჯახებშიც თითქმის ყველგან ქართული ენაა გაბატონებული; მეზობლებში ურთიერთსასაუბრო ენასაც უმთავრესად ქართული წარმოადგენს.

მოსულის სასოფლო საბჭოში შედის სოფ. ენგიანი (რომელშიც ცხოვრობს 108 კომლი, დაახლ. 650 კაცი). ეს სოფელი მოსულს შორავს 2—3 კმ და მდებარეობს მის ჩრდილოეთით. აქ უკვე ქართული ლაპარაკი ახალგაზრდებმა არ იციან სრულებით; ოჯახებში ყველგან აზერბაიჯანული ენაა გავრცელებული.

აქაურ მოსულთა ინგილოური მეტყველება ძირითადად გასდევს მოსულისა და ალიაბათის მეტყველებას.

¹ ქედი 15—18 კილომეტრითა დაშორებული ალიაბათიდან, დასახლებულია ფშავლებით, ხევსურებით, მთიულებით, კაველებით და სხვებით. სულ რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. შედის წითელწყაროს რაიონში.

² ლაგოდებულია ალიაბათიდან (დაახლ. 50 კმ), მაგრამ ალიაბათში ჩშირად დადის აქაური ხალხი, განსკუთრებით ბაზრობაზე; ზოგიერთი სამსახურშიც ეწყობა იქ (ალიაბათში); ალიაბათელებსაც უზდებათ ლაგოდებში წასვლა. ამგვარად, ალიაბათელებს ლაგოდებლებთანაც უზდებათ გარკვეული ურთიერთობის დაჭერა.

ლაგოდებში ცხოვრობენ ჭიათურის, საჩხერის, გურჯაანის, თელავის, ყვარელის, სიღნაღის და წითელწყაროს რაიონებიდან ჩამოსული ქართველები. სახლობენ აგრეთვე რუსებიც, ისებიც, სომებიც, აზერბაიჯანელებიც, ლეკებიც და სხვ.

³ ქედი მოსულიდან 7—8 კმ-ითა დაშორებული და ახლო ურთიერთობა აქვთ მოსულელთ ქედელებან.

ითითალა^ა მდებარეობს ალიაბათის დასავლეთით (უფრო ჩრდილო-დასავლეთით) და დაშორებულია მისგან 23—24 კმ (ტრანსკავკაციული გზით, ტყის გავლით, ზაქათალის გავლით—კი 40—41 კმ). მასში ცხოვრობს 169 კომლი, დაახლ. 1050 კაცი). აქვთ სასოფლო საბჭო და სრული საშუალო სკოლა (ქართულ ენაზე). ოჯახებ-ში აქაც ისევე, როგორც ალიაბათსა და მოსულში, უმრავლესობა ქართულ ენაზე ლაპარაკობს და თითქმის ყველას თავისუფლად შეუძლია ქართულად ლაპარაკი. ითითალის მეტყველება გასდევს უმ-თავრესად ალიაბათის მეტყველებას. აქაური მცხოვრებლები ალია-ბათიდან გაღმოსახლებულან დაახლოებით 100-150 წლის წინათ. პირველად აქ „ბინა“ ჰქონიათ: „ერთი ზმა ალიაბათში იყო, ერთი აქე“, — ამბობენ აქაური მოხუცები. ნათესაური ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა ახლაც აქვთ ერთმანეთთან ითითალელებსა და ალიაბათელებს.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, ამჟამად ინგილოურ კი-ლოზე მეტყველებს 2592 კომლი (ენგიანის გამოქლებით, დაახლ. 14770 კაცი), ამათგან კაკურ კილოკავზე — 1283 კომლი (დაახლ. 6660 კაცი), ალიაბათურზე კი — 1309 კომლი (დაახლ. 8090 კაცი).

ესენი სახლობენ 11 სოფელში. აქედან 7 სოფელი (ქახ-ინგი-ლო ანუ ქაკი, ალათემური, მებაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, თას-მალო, ზაგამი) შედის კახის რაიონში, 2 სოფელი (ალიაბათი, მო-სული) — ზაქათალის რაიონში, 1 (ითითალა) — ბელაქნის რაიონში. ათვე სოფელი შედის აზერბ. სსრ, ხოლო 1 (სამთაწყარო) — წითელ-წყაროს რაიონში, საქ. სსრ.

თითოეული სოფლის მეტყველება მეტ-ნაკლებად განსხვავდე-ბა ერთმანეთისაგან.

IV. ინგილოური კილოს შესწავლის მოკლე მიმოხილვა. ალია-ბათურ კილოკავზე გამოქვეყნებული ტექსტები ამ ბოლო დრომდე არ მოგვეპოვებოდა, კაკური ტექსტები კი დაბეჭდილი აქვს 1911—1913 წწ. ცნობილ ისტორიკოსს, წარმოშობით ინგილოს, პროფ. მოსე ჯანაშვილს (ძევლი საქართველო, II, განკ. IV, გვ. 181—211) და, აგრეთვე, ნიმუშების სახით მოცემული აქვთ ამაზე ადრე

¹ ითითალა შედის ბელაქნის რაიონში (მდებარეობს ბელაქნის სამხრე-თით 15—16 კმ-ით). ალიაბათი, მოსული და ენგიანი შედიან ზაქათალის რაი-ონში. კაკური კილოკავის წარმომადგენელი სოფლები კი ეკუთვნიან კაზის რაი-ონს.

ვინმე წიწას („დროება“, № 138, 1883), ამავე ჯანაშვილსა (1889 წლის „ივერია“, № 191, 193, 196, 197, 198, 200; 1899 წ. „ივერია“, № 153)¹ და სხვებს (მაგ., ზ. ედილს და სხვ.) ეთნოგრაფიულ მიზონილვასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშვნოს, რომ არც ერთ ტექსტში არ არის გადმოცემული ზუსტად ინგილოურის თავისებურება². განსაკუთრებით ბლობად ვხვდებით მათში ფონეტიკურ „შეცდომებს“; უგულებელყოფილია ზოგიერთი ბეგრა (მაგ., ჩ., გ, ჭ და სხვ.) და ფონეტიკური მოვლენებიც. სხვაობა საგრძნობია აგრეთვე მორფოლოგიაში, სინტაქსა და ლექსიკაში.

მ. ჯანაშვილის შრომის ლინგვისტური ნაწილის შესახებ სწორად შენიშნავს ა. შანიძე, რომ მას აქლია სიზუსტე და ბუნებრივობა³.

მ. ჯანაშვილისუულ ტექსტებსა და „ახლანდელ“ კაქურ მეტყველებას შორის დიდია სხვაობა. ბეგრი მათგანი შეუმჩნეველი დარჩენია მ. ჯანაშვილს, ზოგიც შემდეგდროინდელი მოვლენა უნდა იყოს.

ჯანაშვილისუულ ტექსტებში ზედმეტია „ახლანდელი“ კაქურის თვალსაზრისით, მაგალითად, თავიდური ხმოვნის წინ ჰაეს მასობრივად ხმარება (ჰუთქომ, ჰუთხრა...), მთავარი წინაღადების წინამავალი დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი წევრებისათვის ა-ს დართვა („ჩერქელებთან ჰუმ მისულანა, ყოვს დაუჩიხავლნი“, საინგ. 183, 14) და ისეთი სიტყვების ხმარება, რომლებსაც თანამედროვე ინგილოურ მეტყველებაში ვერ ვხვდებით (ჭავ 198, 27⁴; ვირ || ჰუმ 184, 16; კემწიფე 188, 8; ბატონ 206, 17 და სხვ.)⁵. როგორც ამ სოფლის მოხუცები გადმოგვცემენ, მათ წინაპრების მეტყველებას ეს ახასიათებდა.

¹ მ. ჯანაშვილის ეს მასალა, თითქმის ყველა, შესულია მის „საინგილოს“ ეთნოგრაფიულ ნაწილში.

² ნიმუშების სახით მოცემული კაქური მასალა ძალიან ცოტაა რაოდენბით და გადმოცემის სიზუსტეც სრულიად არა დაცული; ზოგ მათგანში უმდლაური სრულებით უგულებელყოფილია და ქ ბეგრაც, რომელიც ინგილოურს არ გააჩნია, გადმოცემულია საერთოდ ქართული ენის მიხედვით: „ფიქრს ეძღვა და ეხვეწება ლმერთს გააძლიეროს ქვეყანა“ („ივერია“, № 153, 1899) და სხვ.

³ Записки Восточного Отделения И. Русского Археологического общества, XXII, вып. III—IV, 1915, гл. 344.

⁴ პირველი რიცხვი აღნიშნავს გევრდს, ხოლო მეორე — სტრიქონს.

⁵ ეს სიტყვები შეცვლილია შესატყვისი აზერბაიჯანული სიტყვებით (მადიან, ეშაქ, ფაჰია, ბეგ და სხვ.).

თაობათა შორის განსხვავება შეტყველებაში ამჟამადაც შესძი-
ნევია ინგილოურში.

ცალკეული შემთხვევიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

1) პრევერბის ხმოვნის მომდევნოდ ზედმეტია მიმღებისეუ-
ლი և ელემენტი შემდეგ სიტყვებში: შესაფლო - შესამბელიც 201,
26; შესაჭმელა 183,26; 184,19; დასაზინებლა 192,27; გასაჩენელ
197,29 (უნდა იყოს: შააფლო-შაამბელიც, შააჭმელა და მისთ);

2) ჰარი ყველა სიტყვაში (ფენ-ის გამოკლებით) დაცულია
კაკურში ცველი ქართულის მიხედვით და ორსად ორის ის შე-
ცვლილი ჯერჯერბით ხანით. მ. ჯანაშვილის ტექსტებში კი
გვაქვს: გაგიხდი 187,15, ჰუბოცი 201,21 (უნდა იყოს: გაგიზდი,
ჰუბოცი);

3) და აკლია სიტყვაში „მუცელშია“ 199,20 (უნდა იყოს: მუცელ-
შიდა);

4) ე და ა ხმოვნები ზედმეტადაა ნახმარი შემდეგ შემთხვე-
ვებში: ღრიმე ორმო 192,12; ექ ხეზე დაგამბოა! 186,2; ხუვალ
მამყევითა! 192,9 (უნდა იყოს: ღრუმე ორმო, დაგამბო, მამყევით
ან მამყევითაგ);

5) „გაგება“ მასდარისაგან. ნამყო წყვეტილში მესამე სუბი-
ექტური პირის მხ. რიცხვში ყოველთვის გვაქვს „გაგება“ ზმნა და
არა: „გაგონ“. მ. ჯანაშვილის ტექსტებში გვხვდება ამ უკანასკნე-
ლის ფორმითაც (გაგონ 210, 3, 22), რაც ორ პირები ინგილოურ
ფორმად;

6) მიცემით ბრუნვაში დაყენებული ლოგიკური სუბიექტის
მრავლობითობა თითქმის ყოველთვის გადმოცემულია კაკურში
-უ-თი. მაგრამ დასახელებულ ტექსტებში გვაქვს თანითაც (ქალებს
შეემინდათ 192, 17)²;

7) ისეთი სიტყვები როგორიცაა: ფაჩჩად 198,1; საგულავ-და-
ნად 192, 19; დედინაცოლ 191, 19, 27; 193, 12, 26; 194, 3; წა-
რაუით 208, 16; 185, 1; იპო! 192,5 (მორისდ.) და სხვ. იხმარე-
ბიან (ყოველთვის) სხვა ფორმით (ფაპჩად ან იშვ. ფადშად, დანა-
გულდანად, გერდედად, თარაფით, იპოვე და სხვ.);

8) დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მ. ჯანაშვილის ტექსტებში
მოცემულ რიგ წინადაღებებს აღგილობრივად შემოწმების დროს

¹ ამ სიტყვაში გალაბიალებული ი (შ) გვაქვს.

² გვაქვს აგრეთვე: „რუმ კარგა და მშევიანა 210, 15; უნდა იყოს:
„რუმ კარგა მოჳ შივაყ“.



არაბუნებრივად მიიჩნევდნენ მოხუცი გლეხები და გადააკომების მნი
თავისებურად; მაგ.:

- ა) ვერ ითხოვსავ 210, 12 („ვერ ითხოვნისავ“);
- ბ) წაა სამთაც მოსულხარ 210, 10 („წაა უკანაყენ, სამთიაც
მოსულხარ || მოსუხარ!“);
- გ) თუ ქალი დახსნაა გინ 210, 13—14 („თუ ქალ მიცემაა არ
გინდ“);
 - დ) სუკლულიზგან დაუხსნი 191, 9 („სუკლულიზგან დაუხტევი“);
 - ე) თქმნ აკრიფით 192, 10 („თქმნ დააგრძევით“);
 - ვ) ქომლს მაატანეს 192, 23 („ქომლზე წაუტანენ“);
 - ზ) თავი ადგილზე წემშითევა რუმ მისულა 188, 23 („თავი
ვათანზე ფაჭხად რუმ მისულ“);
- ტ) რუმ ომოვდნენა, დუნიაა დაათორიალეს 192, 22 („რუმ
გომოუტანენ, დუნიას შევხედეს“);
- თ) ამთონ ჰუზახნი 190, 5 („ამთონ დოუზახნი“);
- ი) ჩემზე ღონიერ ყოფილ ხარავ 186, 26 („ჩემგან ღონიერ ყო-
ფილხარავ“). და სხვ.¹

1947 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებ-
ში (XXX ვ — XXXI ვ, გვ. 249 — 294) გამოაქვეყნა რ. ღამბაშიძემ
კაკური ტექსტები, რომლებიც შედარებით უფრო ზუსტია².

ინგილოურის ორსავე კილოყავზე სანდო ტექსტები დაიბეჭდა
(თუმცა მცირე რაოდენობით) ამ უკანასკნელ ხანებში³.

¹ „ჭტუნტუა“ (წიკოებს) 189, 28 აშეარა კორექტ. შეცდომაა (პირველი უ-ს
თავზე ორი წერტილი).

² ამ ტექსტების ნაწილი გადმობეჭდა შ. ძირიგ უ რ მა თავის ქრესტო-
მათიაში (ქრისტული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი,
1956, გვ. 76 — 91).

³ ი. გიგინეი შვილი, გ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული
დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები,
ლექსიკონი, რედაქტორი ვ. თოფურია, თბილისი, 1964, გვ. 228 — 250;
ნ. როსტიაშვილი, ინგილოური სალექსიკონი მასალები: ქართველურ ენა-
თა სტრუქტურის საკითხები, III, რედაქტორები: ვ. თოფურია, ივ. გიგი-
ნეი შვილი, თბილისი, 1963, გვ. 99 — 108.

თავი პირველი

მირითადი ფონეტიკური თავისებურებანი

§ 1. ბეგრითი შედგენილობა. სალიტერატურო ქართულისა-
გან განსხვავებით ინგილოურში გვაქვს უმღაუტები (ჲ, ჴ), დიფთონ-
გები (ა. ე, ო, უ, ი, ჲ, ჴ, ა. ჲ, ე. ჲ, ა. ჲ...), გემინატები (მმ, ლლ),
რბილი ლ, უმარცვლო უ, ჲ, ჴ, ჭ, ჩ, ც. გარდა ამისა, რიგი
ბეგრები (ზ, ჩ, ჵ, ჷ, ჸ, ჻, ჵ, ჶ...) ზოგჯერ ძირითადი ბეგრისაგან
(ფონემისაგან) განსხვავებულ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას იძლე-
ვიან, თავისებურ ფონეტიკურ ელემენტს ატარებენ და გვევლინებიან
როგორც ერთისა და იმავე ფონემის ვარიანტები. ამ წერივ განსა-
კუთრებულ ურადღებას იქცევს ზ და ჩ, როცა ისინი ენაცვლე-
ბიან ბ და ჲ აფრიკატებს, რომლებიც ინგილოურში, როგორც
ფონემა, დაკარგულა.

დასახელებულ ბეგრათაგან ზოგი (რბილი ლ, ჭ, ც...) ფონე-
მას არ წარმოადგენს, გარდამავალი ხასიათის მატარებელია. ც და
ჭ ჩნდება პოზიციურად ფონეტიკურ ნიადაგზე.

ზოგჯერ შეინიშნება აგრეთვე არაფონემური ბეგრა (შ, თ, ყ, ყ, ც)
ა აზერბაიჯანულიდან (ან აზერბაიჯანულის გზით) შემოსულ
სიტყვებში (შეიძლება შეგვხვდეს ქართულ სიტყვებშიც)¹.

მთავარი ფონეტიკური მოვლენები

ბეგრათა გარკვეულ კომპლექსებთან
დაკავშირებული სუბსტიტუცია

**§ 2. ინგილოური მეტად მდიდარია სხვადასხვა ფონეტიკური
მოვლენებით. მასში უხვად ვხვდებით ყველა იმ ფონეტიკურ პრო-**

¹ ბეგრითი შედგენილობის შესახებ დაწვრილებით: გრ. ი მნაი შვილი,
ინგილოურის ბეგრითი შედგენილობა: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკით-
ხები, III, თბილისი, 1963, გვ. 81—93.



ცესს, რასაც მეტ-ნაკლებად აღგილი აქვს ქართველურ ენებს უდინებელი
მათ კილოებში. ზოგ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილება დაყიდვა კა
შირებულია ბერძათა გარეჭეულ კომპლექსებთან.

§ 3. უმარცვლო უ-სა და ა ხმოვნის კომბინაცია. გინის რეფლექსებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (უმლაუტი და სხვ.) სხვაგან გავარკვიეთ¹. ეს საკითხი იძლენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომ მას სპეციალური შრომაც მიუძღვნა არნ. ჩიქობავამ², რომელმაც ძველ ქართულთან შეპირისპირებით ჩინებულად გამოარკვია გინისა და უბრჯგუს რეფლექსები ფერეიდნულში. ჩვენ მას აქ არ გავიმტორებთ, მხოლოდ პარალელების გასავლებად გზადაგზა მიუჟოთებთ მასზე.

ძველი ქართულის უმარცვლო უ ა ხმოგანთან შერწყმით
გვაძლევს ო-ს ინგილოურში³ (თანხმოვანი+ჟ+ა→თანხმ.+ო); მაგ.:
ზოლგი⁴* (←ძუალი), თოლგი¹ (←თუალი), კოლგი¹ (←კუალი), დაღწო
(←დაიჭუა), წოგს (←წუაგს), გომიურთომ (ძირია რთუ; შდრ. ძვ.
ქართ. მომართუ, შუშ.⁴ VII, 36, მიგართუ, იქვე, VII, 38, მიარ-
თუა, იქვე, VI, 10), გოქ (←გუაქუს), გოქონდა (←გუაქუანდა,
შდრ. ფერეკიდნ. ჩონ გოქონდა 222,32)⁵, მიაქომს (შდრ. ძვ. ქართ.:
აღმოიქუას იგი, პაემ., მ XII, 11)⁶ და სხვ.

აქ ინგილოური საესებით ემთხვევა მთიულურსა (თუ ამ უკანასკნელში გამონაკლისებს გამოვრიცხავთ)⁷ და ფერებიდნულს, რო-

¹ გრ. ი მნა იშვები ი, უმღლუტი ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენთომეცნიერება, V, თბილისი, 1963, გვ. 165—181.

² არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები უერეიდნულში: ჩემინი მცირეობა, № 2—3, თბილისი, 1923, გვ. 70—87; (კლეი ამონაბრძალი, გვ. 3—21).

³ А. Г. Шанидзе; М. Г. Джанашвили, Сайнгило: ЗВО, XXII, вып. III—IV, 1915, аз. 345.

* ნაცვარკვდლურულ ფრჩხილებში მოქცეული ა ხმოვანი (სახელმძღვანი) ბრუნვის ნიშანი თუქეთან ნმონიკნიანგბთან) ქუთავის ალიაბათურ კილოვანს.

⁴ ცურტაველი იაკობ, მარტვლებად შეშენიკისი, ილია აბულაძის გამოცემა, 1938.

⁵ არნ. ჩ ი ქ ა ბ ა ვ ა, ფერერიდნული ტექსტები (ერთვის გამოკვლევას „ფერერიდნულის მთავარი თავისებურებაზი“); ტფილისის უნივერსიტეტის მოაწებე, VII, 1927.

⁶ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები (ერთვის გამოკვლევას „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“): ტფლისის უნი-ერთისორის მოამბე, III, ტფლისის, 1923.

7 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმეის ბოამბე, II, 1937, გვ. 44—46.

შეღუბიც თანხმოვნის შემდეგ ძველი ქართულის უმარცვლო უ+ა ყოველთვის გვაძლევს ო-ს¹.

გა (უა) კომპლექსის ო-დ ქცევის წინაპირობად მიჩნევთ მარტინ არსებითად წყვილბაგისმიერია². ამ ბგერის ეს თავისებურება მეტ-ნაკლებად განსხვავებულია დიალექტების მიხედვით.

უმარცვლო უ+ა-საგან ქართველურ ენებსა და რიგ მათ კი-ლობშიც ვიღებთ ო-ს. მაგრამ არსად არ არის ისეთი სისტემა-ტური და ჩამოყალიბებული ხასიათის მქონე, როგორც ეს გვაქვს ინგილოურსა და ფერეიდნულში.

ინგილოურში ამ ორი ბგერის შეშვეობით ო ჩნდება იმ შემ-თხვევაშიც, როცა ესენი (უმარცვლო უ და ო) დაშორებულია ერთ-მანეთისაგან თანხმოვნით) (მოკდო—მოკუდა, დოქჩა—დაგურჩა). ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს უ-ს გადანაცვლებასთან ო-ს წინ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს მომხდარიყო მხო-ლოდ ასიმილაციით; მაგ.: დამიხტო (←დამიხდო—დამიხდუა—და-მიხუდა), მოკდო (←მოკდუა—მოკუდა), დასწოდო (←დასწდუა—და-სწუდა)... დოგლუბაგს (←დუაგლუბაგს—დაგულუბაგს), დოქჩა (←დუ-აგჩა—დაგურჩა)... დოგიხტო (←დუაგიხდუა—დაგუიხუდა), გოგიყო-ფეს („გაგუიყვეს“), ზოგიცოლეს („შაგუიცვალეს“), წოგიყონეს (॥ წოგუყვანეს“), გოგიყდია³* („გაგვიძლია“), დოგინახია⁴ („დაგვი-ნახავს“), გოგიზდი⁵ („გაგვიზრდია“), დოგიკლი⁶ („დაგვიკლია“), ჩიგაბარა („ჩაგვაბარა“), დოგასხესავ („დაგვასხესო“) და მისთა-ნანი.

ისმება კითხვა: რატომ უნდა ხდებოდეს უმარცვლო უნის წინ გადმონაცვლება ისეთი მაგალითებში, როგორიცაა: დოგიხტო, გოგიგდი, გოგიყოფეს, ჩოგაბარა, დოგასხესავ და სხვები? ადგილობრივ ხომ შეეძლო მოეცა ახალი ბგერა: უკანას-კნელ ორში ო („ჩაგობარა, დაგოსხესავ“) და დანარჩენში უ?

როგორც ჩანს, ვინის მეტათეზისი საერთოდ და კერძოდ მრ. რიცხ-

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 202; მისივე, ვინის რეფლექსბი ფერეიდნულში (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 11.

² არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 44.

^{*} ნახევარკვადრატულ ფრჩილებში მოქცეული ა სუფიქსი (თხრობით წინადადებაში) ეკუთვნია ალიაბათურ კილოკავს.

³ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 150.

⁴ იქვე.

ვის პირველი ობიექტური პირის ნიშნის გუ- პრეფიქსის დაშოა-
და მისი შემაღენერლი ელემენტის (უმარცვლო უნის) გადმოწიუ-
ვლება პრევერბის ხმოვნის წინ უფრო დიდი ხნის ისტორიაში და-
ნე უნდა იყოს ინგილოურმა, ვიდრე უმლაუტისა და უმარცვლება-
ონის მიღება.

შეიძლებოდა ასედაც გვემსჯელა: აქ ადგილი აქვს მეტათე-
ზისს კი არა, არამედ მრავლობთი რიცხვის პირველი ობიექტური
პირის გუ- პრეფიქსის უნის მიერ პრევერბისეული ხმოვნის და-
სგავსებას და შემდეგ თვით მაასიმილირებელი უნის დაკარგვასო.

ამას მხარს დაუჭირდა სვანურის მაგალითებიც, როგორიცაა:
ლოხ-ზბრ (\leftarrow *ლა-ხუ-ა-ზბრ) „გზოგე“, ლოხ-ჺედ (\leftarrow *ლა-ხუ-ე-ჺედ)
„გკითხე“, ქ'ოს-გოშ (\leftarrow *ქი ეს-ტ-გოშ) „დავასხი“, ლოხუშ (\leftarrow *ლა-
ხუ-გუშ) „დავლიე“...¹, ოხ-ყიდ (\leftarrow ოხუ-იყდ \leftarrow *ან ხუ ი-ყიდ) „ვიყიდე“,
ოთ-იგ (\leftarrow *ათტ-ი-გ) „დავიდგი“...² ზღრ. ბქვ. ლწხ. ლოხუ-იღ
(\leftarrow *ლა-ხუ-იღ) „ჩავიცი“, ონ-კუედ (\leftarrow *ან-კუედ) „მოვედი“³...

ასევე ხდება ობიექტურ პრეფიქსთანაც: „გუ-ს -უ- ზემოსვა-
ნურსა და ლაშეურში წინდებულისეულ ა-სა და ბალსქვემოურსა
და იმავე ლაშეურმი ეს- პრევერბის ე- ხმრანს ა-დ წარმოგვიდ-
გენს და თვითონ ორს უკანასკნელ დიალექტში (ეცრ., ლწხ.) ზმის
თავკიდურ თანხმოვანთან მეზ-ბლობაში ჩვეულებრივ იქარგვის⁴:
ოგ-მარე, ოგ-მარე, ოგუ-მარე (\leftarrow *ან-გუ-მარე), „მოგვარზადა“, ოგ-
ხატუე, ოგუ-ხატუე (\leftarrow *აღ-გუ-ხატუე) „დაგვხატა“, ლოგ-ლატგნ,
ლოგ-ლატგნ. ლოგუ-ლატგნ (\leftarrow ლ-გუ-ლატ-გ/გნ) „შეგვიყვარდა“,
ოგ-ლუა, ეგუ-ლუა (\leftarrow ეს-გუ-ლუა) „მიგვარეს“⁵.

ამავე ადასტურებს ფერეიდნულის ზეგიერთი მაგალითიც:
დოგჯერდეს („დაგვჯერდენ“), შა-გჭიდეთ („შაგვჭიდეთ“), დოგჭდება
(„დაგვჭდება“), შოგბირდა („შაგვბირდა“) და სხვა⁶, თუ აქ ნამდვი-
ლად გინის დაკარგვასთან გვაქვს საქმე და არა მის მეტათეზისთან
პრევერბისეული ანის წინ.

მოხეურში დადასტურებულია ისეთი მაგალითები, როგო-
რიცაა: დოგიდგა („დაგვიდგა“), დოგივლე („დაგვივლე“), შოგიტყო-

¹ ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931, გვ. 12.

² იქვე, გვ. 13.

³ იქვე, გვ. 12, 13.

⁴ იქვე, გვ. 31.

⁵ იქვე, გვ. 31 და შემდეგ.

⁶ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თანისებურებანი, გვ. 205.

ბინე („შაგვიტყობინე“), შოგიერთდება („შაგვიერთდება“), გოგივლის („გაგვივლის“) და მისთ. მაგრამ აქ ო-ს გაჩენის საკითხი არასწორად არის ასენილი. მის მიღებაში ვ-ს მონაწილეობა გამორიცხულის მთლიანად. აღნიშნულია, რომ „ჯერ ვვ კომპლექსში ვ უნდა და გულიყო და შემდეგ ი-ს უნდა გამოეწვია ა-ს დავიწროება, რაც მოგვცემდა ო-ს“¹. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მივიღებდით ვ-ს („დეგიდგა“) და არა ო-ს (დოგიდგა). უეჭველია, რომ აქ ო-ს მიღება შეპირობებულია ვ-ს არსებობით პროცესის დასაწყისში. ვ აქ ან შეერწყის ა-ს მის წინ გადანაცვლების შემდეგ, ან ის ნაწილობრივ იმსახურებს მას და შემდეგ თვითონ იკარგვის.

ინგილოურში გვხვდება სიტყვები: თავ მოგაკუნტინესავ (\leftarrow თავი მოგუაკუნტინესო), მოგატყუა (\leftarrow მოგუატყუა), შენთუნ მოგიღირავა (\leftarrow მოგუიღირავ) და სხვა, სადაც აშეარად ჩანს, რომ უმარცვლო უ ნამდვილად დაკარგულა. მაგრამ ამათ მო-ზმნისწინი აქვთ და მათ წინა მაგალითებთან ვერ გავათანაბრებთ. აქ უ-ს დაკარგვა გამოწვეული უნდა იყოს შემდეგი მიზეზით: ინგილოურში გუ-პრეფიქსის წინამდებარე გა-, და-, ჩა-... პრეფერაცია ხმოვანი (ა) გვაძლევს ო-ს უბარცლო უ-ს მონაწილეობით (გაგუ- \rightarrow გოგ-, და-გუ- \rightarrow დოგ-, ჩაგუ- \rightarrow ჩოგ-...). ამით უკვე მრავლობითი რიცხვის პირველ ობიექტურ პირს ბუნებრივად დაუკავშირდა „ოგ“ (პრეფერაციისეული ა ხმოვნისა და მრავლობითი რიცხვის აირველი ობიექტური პირის პრეფიქსის შენაერთი). იქ, სადაც პრეფერაციეული ხმოვანი ა კი არა გვქონდა, არამედ ო იყო და მას უშუალოდ მოსდევდა -გუ- პრეფიქსი, ცხალია, მოგვცემდა „-ოგუ-ს“, რომლის „-ოგ“ გააჩრებული იყო 0₁ მრ. რიცხვის ნიშნად და უზედმეტი ჩანდა.

ძველი ქართულის ქბილბაგისმიერი ვ ინგილოურში თანხმოვნის შემდეგ წყვილბაგისმიერდება და ა-სთან შერწყმით ისიც ხშარად გვაძლევს ო-ს; მაგ.: მოყონ („მოვიყანე“, შდრ. მოგყავს, ყო- \leftarrow ყუ- \leftarrow ყვა- \leftarrow ყავა), ჩადო („ჩაიდვა“), დედინაცოლ (შდრ. ნაცვლად)... ორიგებ (\leftarrow პორიგებ \leftarrow პტარიგებ \leftarrow ხვარიგებ // ცვარიგებ, კაქური), ოსწავლოთ (\leftarrow პოსწავლოთ \leftarrow პტასწავლა-თ \leftarrow პვასწავლოთ // ცვაწავლოთ, კაკური), პოპირებ 205,1 (\leftarrow პტაპირებ \leftarrow პვაპირებ // ცვაპირებ) და სხვ.

ამ შემთხვევაში ინგილოური გამოეყოფა ფერეიდნულს².

¹ კ გ უგუ შვილი, მოხეური კილო: გორის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1942, გვ. 131.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 11.

ა-ს წინ გ-ს გადანაცვლებით (ან ისე, მეტათეზისის გარეშე, გ-ს მიერ ა-ს გალაბდალებით) გვაქვს: ჭომით („ვჭამეთ“) და მისამართი ინგილოურში, მართალია, თანხმოვნის ზემდევნილ კბილბაგისმიერი ვ ჩვეულებრივ წყვილბაგისმიერდება, მაგრამ ეს გაწყვილბაგისმიერებული გ-ა ყოველთვის ა-ს არ გვაძლევს.

სად გახვდება ასეთი შემთხვევები და რა უმოსის ამას ხელს? ამ მოვლენას წინ ეღობება უთუოდ მახვილი. როცა მახვილი ეცემა გაწყვილბაგისმიერებულ ვ-ს, მაშინ ის იცენს სრულბმოვნობას და არ უერთდება ა-ს ო-ში გადასასვლელად. თუ მახვილი მოუდის ა ხმოვანს, მაშინ ხშირად გაწყვილბაგისმიერებული ვ რჩება უმარცვლო უ-დვე (ზოგჯერ შეიძლება კიბილბაგისმიერი ვ არც გაწყვილბაგისმიერდეს და დარჩეს პირვანდელ მდგომარეობაში).

პირველიც და მეორეც გატარებულია მასლარში; მაგ.: იმი
მოკლუად არ იქნებ (კაკური), დაცურაში (კაკური) და სხვ.²

ასეთივე ვითარება გვაქვს ქვად, რვად და ხვალ (завтра) სიტყვებში, რომლებშიც ძველ ქართულში ვ იყო; მაგ.: ქუად // ქუ-ვად, რუად // რვად (რვამეტ), ხუალ // ხუვალ.

ამ სიტყვებს პარალელი ფორმები მოეპოვება ფერეიდულშიც.
აქ ვა კომპლექსის გვერდით გვაქვს უა კომპლექსიც (მახვილიანი
უ+).³

როგორც არნ. ჩიქლაბაგა აღნიშნავს, „ამ შემთხვევაში საინტერესოა: 1) ის, რომ ძირისეული გინის ნაცვლად მახვილიანი უნი გვაქვს, პირველს უკანასკნელი შეენაცვლა. და 2) ის, რომ მახვილიანი უნი+ა უცვლელი რჩება, ონად არ გადაიის. მახვილის ტარების პოტენცია სიმპტომია იმისა, რომ უნი წარმოადგენს სრულს ხმოვანს, რომელიც მარცვალს ქმნის; —ფაქტი, რომ მარცვალ-მქნა უნი+ა ონად არ გადაიის, არკვევს (ჩვენის აზრით) იმ უნის (ბრჯგუს) ბუნებას, რომელსაც+ანი გვაძლევს ონს; ცხალია, ის მახვილის ტარების შემძლე არ უნდა ყოფილიყო, მას მარცვლის შედგენა არ შეეძლო—იგი უმარცვლო იყო“⁴.

¹ შესაძლებელია, რომ ამ გზით მიღებულ ფორმასთან კვლავ გაჩნდეს პირის ნიშანი, გამოწვეული ფსიქლოგიური მომენტით, მეტი გარევეულობის შესატანად; მაგ: ვჭრ ამით წაუტ. ჰერ რამ არ დაგუშტ ტო, წოგეშეყონეს, ოგტუნინეს და სხვ. (შურ. წოდებულების და მისთ. იხ. ზემოთ).

² გვხვდება პარალელური ფორმებიც: მოკლვად // ღოვლებად // მოკლუად.

³ არნ. ჩიქობავა, ვინის ღვთლებას ები ფერებიდან ში, გვ. 78.

⁴ ନୀତି, ୧୩, ୪୩, ୭୮; ଶଫର. ମିଶନ୍‌ବେ, ମତିଜୁଲ୍ଲାରିଙ୍ ତାତିକିଶ୍ରଦ୍ଧାରୀଙ୍କ, ୧୩, ୪୪—୪୬.



§ 4. უ→ო, უ→უ. ძევლი ქართულის უმარცვლო უ 126
გაწყვილბაგისმიერებული 3)+ე ან ი ინგილოურში ჩვეულებრივი გვაძლევს ჲ-ს ან ჲ-ს¹, მაგრამ გვხვდება ზოგჯერ ამ კომპლექსური ქსებისაგან თ და უ ხმოვნების მიღების შემთხვევებიც.

თანხმოვნას მომდევნო წყვილბაგისმიერი გ+ე ზოგიერთ სიტყვაში გადადის ჲ-ში; მაგ.: ჩონ (←ჩენ), გადახორწა, მიიხორწევის (←მიიხვეწების), მარჯონა (←მარჯვენა→მარჯონა), უშობს (←უშევებს)...

ანალოგიური მოვლენა გავრცელებულია ქართული ენის მთელ რიგ კილოებში.

იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ინგილოურში ისეთ მაგალითებს, სადაც ძევლი ქართულის უმარცვლო უ+ი წარმოდგენილია უ-დ; მაგ.: -თ უ ნ (შენთუნ), თ უ თ ა ნ...

ასეთი მაგალითები გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება ძევლქართულში; მაგ.: თუსსა: C მ 5,22, თუსით: C მ 3,9; შენთუს: C მ 6,23; სიტყუთა: C მ 4,4; მყუდრი: C მ 21, 38; ძური: C მრ 7, 23; შუდობით: C ლ 7,50; ჩჩულითა: C ლ 7,25; ღუნოვ: C მრ 2, 22; გუვის: C მ 3,9; შემოხუდე: C ლ 7,6 და სხვ. შდრ. მეგრ. ნანდული, ქიზიყ. ქურანი და მეგრ. ქვირა და სხვ.²

ანალოგიური მაგალითები გვაქვს რიგ ქართულ კილოებში; მაგ.: წუმა (იმერ., ოქჩ., გურ., იმეობ., მესხ. და სხვ.), გათხოული (გურ., იმერ...), საკურველი (იმერ., ქართლ., კახ...), გუმბრა ॥ გვიმბრა (გურ., იმერ.), კუკური ॥ კკკვირი (საბა) და სხვ.

აღნიშნულ შენაცვლებას ყველაზე მეტად ვხვდებით ფერეიდნულში პირველი პირის მრავლობითი რაცხვის ობიექტურ პირთან (მაგ., გუთხრეს, გუდგა, მუგუტანეს, გუგუხარდა და სხვ.)³ და აგრეთვე (ძალიან იშვიათად) სიტყვის სხვა ნაწილშიც, მაგრამ არასოდეს—ბოლოდან პირველ მარცვალში⁴.

§ 5. დასკვნა. ინგილოურში უნისა და ვინის რეფლექსებთან დაკავშირებით შეიძლება დაგასკვნათ:

1) მარცვლოვანი უ, თუ ის ხმოვნის შემდეგ მოექცა, ჩვეულებრივ მარცვლოვნობას კარგავს და იქცევა დიფთხოხვის შემადგე-

¹ გრ. იმნაი შვილი, უმღაუტი ინგილოურში, 165—170.

² ევ. ჯავახი შვილი, ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 103, 178.

³ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 204—205, 208—209, ტექსტები, გვ. 221—243.

⁴ არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, გვ. 81—82.

ნელ ელემენტიალ¹, მაგრამ ასიმილაციის უნარს ნაწილობრივ მაინც
ინაპეჩუნებს;

2) ძველი ქართულის უმარცვლო უ ინგილოურში მეტად და დაზიანების
უდეგრობით ხასიათდება: ა) ე და ო ხმოვნებთან შერწყმით გვაძ-
ლეს სათანადო უმღაუტებს²; ბ) საუმღაუტო შერწყმას ხელს ვერ
უშლის მათი გამუოფითანხმოვანი და ვერც უმარცვლო უ-ს ბოლო-
კიდურობა; უ დაუბრკოლებრივ შოექცევა წინ იმ ხმოვანს, რომელ-
თანაც მან უნდა შეადგინოს უმღაუტი³; გ) უმარცვლო უ-სა ხმო-
ვანი იძლევა ო-ს; საამისოდ მას შეუძლია გადაინაცვლოს ყოველი
მიმართულებით, თუ ის ბოლოკიდურ ბევრის არ წარმოადგენს⁴;

3) ძველი ქართულის კბილბაგისმიერი გ თანხმოვნის შემდეგ
და თანხმოვნთა შორის წყვილბაგისმიერდება და იზიარებს უმარც-
ვლო უ-ს ბედს თითქმის ყოველთვის;

4) სალიფთონგო ხმოვნებს შორის მოქცეული პირველი სუ-
ბიექტური აირის ნიშნად გამოყენებული გ ინგილოურში (კაკურში)
თითქმის არასოდეს არ გხვდება. ის ან იკარგვის (უმთავრესად
პრევერბისეული ხმოვნის ასიმილაციის შემდეგ კაკურში) და ხელი
არ ეშლება დილიფთონგის შექმნას (მაგ., ეხლა ჩინ ოცყაროთ ←
ოყაროთ ← ოვიყაროთ ← ოვიყაროთ), ან მისი მომდევნო ხმოვანი
(უმთავრესად ი) იკარგვის და გ რჩება თითქმის უცვლელად (იშვი-
ათად კაკურში და ხშირად ალიაბათურში: მავყონო, წავყონო);

5) ოვა, ოვი, ოვე (|| უვე) კომპლექსებში და უ-სა და გ-ს
წინ კბილბაგისმიერი გ ყოველთვის იკარგვის მიუხედავად იმისა,
რომ აირის ნიშანია ის თუ ფუძისეული (იხ. ქვემოთ ბევრათა და-
კარგვა);

¹ გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ო, ინგილოურის ბგერითი შედგენილობა: ქართვე-
ლურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963, §§ 11, 17.

² იქვე, § 1c.

³ გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ო, უმღაუტი ინგილოურში, გვ. 166, 169.

⁴ ო-ს მისაღებად ბოლოკიდური უმარცვლო უ წინ არ გადმოინაცვლებს
ინგილოურში და უკალოდ იკარგება კაკურში; მაგ.: თაა (← თაგუ ←
თაგვ), დათ (→ დათუ ← დათ); უმღაუტის მისაღებად კი უმარცვლო უ-ს გადა-
ნაცვლება შეუზღუდველია, ბოლოკიდურობა ვერ აბრკოლებს თას; მაგ.: ლტლ
← ლუდი ← ლელუ ← ლელკ) და სხვ. (გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ო, უმღაუტი ინგილოურ-
ში, გვ. 166, 169).

6) ზმნის ორფუძიანობის საწარმოებლის (-აგ, -ეგ) ან სუვა
სუვიქსის კბილბაგისმიერი ვ ელემენტი ინგილოურში ჩვეულებრივ
არ იკარგვის და თითქმის უცვლელადაა¹, თუ მას თ ხმოვანი გადა
მოსდევს (მაგალითები იხ. მორფოლოგიურ ნაწილში);

7) ასევე უცვლელად რჩება ფუძისეული თავკიდური ვ, როცა
მას ხმოვანი მოსდევს უშუალოდ (ვა მლიტ);

8) ხმოვნის შემდევ არსებული ფუძისეული კბილბაგისმიერი
ვ, თუ მას ხმოვანი არ მოსდევს უშუალოდ, მერყეობას იჩენს: ან
გაწყვილბაგისმიერდება და თვით შევა დიფთონგის შემადგენლო-
ბაში (ასიმილაციის მოხდენამდის ან შემდევ: ბეტრ, შატ „შავი“...
უფრო იშვიათად), ან უცვლელად დარჩება და არ მიიღებს მონა-
წილეობას დიფთონგის ჟექმნაში (თავ, შავ... უფრო ხშირად).

თავისებურ მერყეობას იჩენს ვ - გილ-ა (\leftarrow ვეღ) ზენაში: იგი
პრევერბის დართვის შემდევ ან დაიკარგება უკვალოდ და შეიქმ-
ნება ო დიფთონგი (მოვდა)², ან ამოვარდება მისი მომდევნო ი
(\leftarrow ე) ხმოვანი, ვ გაწყვილბაგისმიერდება და მივიღებთ კვლავ დიფ-
თონგს (მოუდა, წაუდა // წოუდა, გაუდა, ჩაუდა // ჩოუდა, შეუდა //
შოუდა)³.

§ 6. ოა→უა, ოე→უე, ეა→ია. როგორც სხვა ქართულ კი-
ლოებში (ფერეიდნულში, კახურში, ქართლურში, მთიულურში, აჭა-
რულში, გურულში, რაჭულში, იმერულში, მესხურსა და სხვაში),
ინგილოურშიც (ოვა→) ოა კომპლექსი იძლევა უა-ს; მაგ.: მუაგონ-
და (\leftarrow მოაგონდა), მუაქცივა (\leftarrow მოაქცივა), ჩუმუარდა (\leftarrow || ჩომუ-
არდა // ჩიუარდა \leftarrow ჩამოვარდა), გუდმუარდა (\leftarrow || გოდმუარდა \leftarrow
გადმოვარდა), ჩუმუაგდ (\leftarrow || ჩომუაგდ „ჩამოვაგდე“, კაკური), გუ-

¹ ასევე უცვლელად რჩება მრავლობითი რიცხვის ებ ნიშნის მონაცელე
-ებ; მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოსდევს მას ბრუნვის ნიშნის ხმოვანი
თუ არა.

² შდრ. მოიდა (ფერეიდნ., მთიულ., კახ., ფშ. და სხვ.).

³ ანალოგიურ ფუძეებს გრვდებით აჭარულსა და იმერხულში. აჭარულ-
ში იგი ასხილია ისე, თითქოს ხმოვნის შემდევ არსებული კბილბაგისმიერი ვ +
ი გვაძლევდეს უ-ს, რაც არა ჩანს სწორი (მ. ხ ბ უ ა, ზემო აჭარის ენობრივი
მიმოხილვა, ბათომი, 1932, გვ. 10—11). აქ ჯერ ადგილი უნდა ჰქონდეს ცხოვნის
დაკარგვას და შემდეგ, კბილბაგისმიერი ვ-ს გაწყვილბაგისმიერებას. აღნიშნუ-
ლი პროცესს ინგილოურში ჯერაც არაა დამთავრებული. ზოგჯერ ვედ ზენა-
ში ჯერ კიდევ ვწვდებით კბილბაგისმიერ ვ-ს. რომელიც გადახრილია წყვილ-
ბაგისმიერობისაკენ მხოლოდ, თუმცა მისი უშუალო მომდევნო ხმოვანი დაკარ-
გულია (გავდა, წავდა...).

მუამბუა? (← || გომუამბუა? ← გამოვამბოა?), მუალდით (← მოვალდით)... ეყუა? (← || იყუა? ← იყოა?), შენ გაქუა? (← გაქოა? „გაქის“ ალიაბათური), სხო რათაარ გითხრუა მე შენ? („სხვა რა [რომელი] გითხრა [გითხროა?] მე შენ?“ კაჯური), ქერიუა? (← ქერიოა? ალიაბათური), ცეცხლ დანთეველაუა? (← დაანთეველაოა? ← დასანთეველადოა?); მე ცუა? (← მეოა?), შენ-ცუა? (← შენოა?), ესიუა? (← || ესეუა? ← ესეოა? ალიაბათური)...

თა → უა კაჯურში ჯერჯერობით არ არის საესებით დასრულებული სახით წარმოდგენილი. მას ხელს უმლის ზოგჯერ მახვილი, როცა ის ეცემა ოზე, მაგალითად, ახს ეყრა? რაა ამბრვა? || რაა ამბრა? მოკდრა? რაა ქნრა?..

(-ოვე- →) -ოე- კომპლექსი გვაძლევს -უე-ს: აგრუებდა (← აგროვებდა), შიშაგ* დააგრუეთავ (← დააგროვეთო, კაჯური), გუმუელ (← გამოველ), გუმუეკიდ (← გამოვეკიდე, კაჯური)... კალუევ/ებ¹ (← კალო+ებ) და მისთ.

ანალოგიურ მოვლენებს ვხვდებით აჭარულში, იმერხეულში, ქართლურში, გურულსა და სხვ.

კაჯურში -აგა-, -ეგა- და -ავე- კომპლექსებისაგანაც ხშირად ვლებულობთ -უა- და -უე- კომპლექსებს (თუ ამ კომპლექსებში არსებული ვ პირველ სუბიექტურ პირს უკავშირდება):

-აგა- → -ოვა- → -ოა- → -უა-: გუაბირით (← გოაბირით ← გოაბირით ← გავაბირეთ), გუაქითებ (← || გოაქითებ ← || გოვაქითებ ← გვაკეთებ), გუაქითოთ (← || გოაქითოთ ← || გოვაქითოთ ← გავაკეთოთ)...

-ეგა- → -ოვა- → -ოა- → -უა-: შუაგდოთ (← || შოაგდოთ ← || შოვაგდოთ ← შევაგდოთ), შუაბათ (← || შოაბათ ← || შოვაბათ ← შევაბათ)...

-ავე- || -ეგე- → -ოვე- → -ოე- → -უე-: წუელით (← || წოელით ← || წოველით ← წაველით), შუელით (← || შოელით ← შოველით ← შეველით)...

ეა → ია დადასტურებულია ცველ ქართულშიც², მოდებულია ქართული ენის რიგ კილოებში. იგი ჩვეულებრივი მოვლენაა ინგი-

* ნახვარკვადრატულ ფრჩხილებში შოქცეული ვ (სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძეამოვნიანებთან) ეკუთვნის კაკურ კილოკავს.

¹ ამის პარალელურად იხმარება „კალუევ/ებ“. აქ ლ-სა და ე-ს გავლენით უ-ს არტიკულაცია წინ წამოჭელა.

² Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, гл. 57—58.



ლოურშიც. აქ ეს კომპლექსი იცვლება ია-დ: 1) სიტყვის-ფუძეში მთელ ინგილოურში, 2) შედეგენილ შემასმენელში ფუძისეულ ე-სრან შემასმენლისეული ა-ს (\leftarrow არს || არის) მოხვედრისას ალიაბათურში, 3) ე-ზე დაბოლოებულ სახელებზე კითხვითი ან ემფატიკური ა-ს უშუალოდ დართვისას მთელ ინგილოურში, 4) ნამყო წყვეტილის ან -უ სუფიქსის ე-ს უშუალო მომდევნოდ კითხვითი ა-ს ხმარების დროს ალიაბათურში; მაგ.: თიათორი ("თეატრი"), შიაყოლა (\leftarrow შეაყოლა)... მააღებია (\leftarrow მააღებეა \leftarrow მააღებელია \leftarrow მოსაღებელია, ალიაბათური)... დ ლ ი ა ველოდევ (\leftarrow || დლეაც ველოდევ \leftarrow დლესაც ველოდები), ღამიაც (\leftarrow || ღამეაც \leftarrow ღამესაც)... იგრია? (\leftarrow იგრეა?), საქმია? (\leftarrow საქმეა?), ვიტი! მია? (\leftarrow ვიტი მეა?), არსაქნია? (\leftarrow არსაქნეა?), დაპწერია? (\leftarrow დაპწერეა?), გაპცოლია? (\leftarrow გაპცვალეა?), გინდაყია? (\leftarrow გინდაყეა?) და სხვ.

არც ეა→ია პროცესია საქსებით დასრულებული სახით კაკურში მოცემული. ზოგჯერ, მახვილის ნიადაგზე, შესაძლებელია ეს კომპლექსში ე იქნეს შენარჩუნებული უცვლელად (მაგალითად, მოვდეა?...).

ც ა ლ კ ე უ ლ ბ გ ე რ ა თ ა ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა

§ 7. ხმოვანთა სუბსტიტუცია. ცალკეულ ხმოვანთა სუბსტიტუცია ინგილოურში ისე არ არის გაერცელებული, როგორც სხვა სახის ფონეტიკური მოვლენები. საამისოდ მხოლოდ ცოტა მაგალითის დასხელება შეიძლება, მაგრამ მასშიც საეჭვოდ ჩანს. შესაძლებელია, რომ აქ მისი შეცვლის მიზეზი იყოს ან მორფოლოგიური ხასიათის მოვლენა, ან ასიმილაციური თუ სხვა.

ი—ე: ეყო (|| იყო), ეყავ (|| იყავ)... აქ არ არის გამორიცხული არასრული სახის შორეული რეგრესული ასიმილაცია. არც მორფოლოგიური მიზეზია უგულებელსაყოფი. შესაძლებელია, რომ ეს ზმნა მიმდინარეობდეს არა ერთპირიანი ვნებითიდან, არამედ ორპირიანიდან: შემდეგ ირიბი ობიექტი ჩამოსცილდა მას და გაქვავებული სახით მექნიკურად გადმოვიდა ერთპირიან ვნებითმი (მაგალითად, იგი ეყო მას).

ა—ი გვაქვს სიტყვაში „სიმუარ“ (самовар), მაგრამ ეს სიტყვა ამ ფორმით შეთვისებული ჩანს ადგილობრივი აზერბაიჯანული მეტყველებიდან.

ა—ე ადგილი აქვს ზოგჯერ შემდეგ სიტყვებში: ნასოედინა (|| ნასრადინა || მასრადინა), პოვერ („повар“), ფეჩეთ („печать“), რებე (ალიაბათური || რაბე, კაქური), ჩევ¹ და სხვ. მაგრამ ეს გამოწვეული ჩანს ასიმილაციით).

¹ „ჩევ“ იხმარება მხოლოდ ალიაბათში, სხვაგან კი სწორად ამბობენ.

ა—ო: ტონიან („ტანიანი“), ყროლ („ყრალი“, კაკური; კაკურში)

დან ალიაბათურში: აყრულდა ← აყროლდა ← აყრალდა) და სხვ.: მორიანი

ე—ო: რამთონეერ, ამთონ, ექთონ // ემთონ, იმთონ, რაქ-
თონია! და სხვ. შესაძლებელია, რომ აქ ო ფურისეულიც იყოს (შდრ.
ოდენ: ეგოდენ...).

ე—ა: გაჭზახეო („გაჭძეხიო“, ალიაბათური), სამნიმაც (← სამ-
ნ-ი-მე-ც—> სამ-ნ-ი-ვე-ც), ფაყი¹ და სხვ.

უ—ო: ლოქმაა (კაკური), გაცორევაა („გაცურება“, კაკური)...

ო—ე: რემენი!... (აქაც ალბათ ასიმილაციით არის).

ო—უ: რუმ (← || რომ), რუგრუმ (← როგრუმ ← როგორ +
რუმ). თურემ („თორემ“), იქრულა (← იქროლა), გუგრავ (← გოგ-
რავ), არაგუნი (прагон), უჩერეთი² (იცერეთ), ბაბრუც (|| ბაბ-
რუც „ბაპიროსი“, ს. ალიბეგლო), ტანსმუსი³ (← ტანისამო-
სი), გრამულ („გარმონი“, ს. ალიბეგლო), ბერკაცი ჩავარდა ამ
ბიჭის სურალზე (← copar „დაკითხვა“, ალიაბათი) და სხვ (შდრ.
მეგრ. ქოთომი, ჭან. ქოთუმებ; მეგრ. თომა || თუმა, ცონ || ცუნა, ხო-
მაფა || ხუმაფა⁴; ნუსა || ნოსა, ნოკრი || ნუკრი⁵ და სხვ.).

ი—უ: ეს თულა საცა ფეფ და აბუებს, შენც იქ და აბუ-
შე ფეფი (ალიაბათი, შდრ. გირინი || გურუნი, ნისალი || ნუსალი⁶...
ზუმ || ზიმ...?).

ე—ო: ცრომელ (|| ცრომტლ „ცრემლი“, კაკური)...

ი—უ: შააჯდუნა (კაკური || შააჯლინა, ალიაბათური), ჩააჯდუნა
თოლებ (ს. ალიბეგლო)...

აზერბაიჯანულში არსებული სიტყვები — უმუდ („იმედი“), ყა-
ვაბ („ბასუნი“), აფთაფა და სხვ. ინგილოურში გადმოცემულია

¹ „ფაყი“ მნილოდ ალიაბათურში იმარება „ფეყი-ს“ პარალელურად,
კაკურში კი ყველგან ამბობენ „ფეყ-ს“ ფეყ-ის ნაცვლად.

² ამ ფორმით იხმარება ალიაბათურში, კაკურში კი „ოჩერედ-ს“ ამბობენ.

³ ივ. ჯავახი შვილი, ქართ. და კავკ. ენების თავდაპ. ბუნ. და ნათ.,
გვ. 614—615; შდრ. ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი, გვ. 218.

⁴ И. Кипшидзе, Грамм. мингр. языка, СПб., 1914, გვ. 011
და ტექსტები.

⁵ ივ. ჯავახი შვილი, იქვე, გვ. 182—184; გ. როგავა, ქართველურ
ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1962, გვ. 84—85, შდრ.
კარლ ჰორსტ შმიდტი, ქართველური ფუნქციების ბერათისისტემის რეკონსტ-
რუქციისათვის: სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, 2—3, თბილისი,
1964, დამტება, გვ. 39—40.

⁶ ივ. ჯავახი შვილი, იქვე, გვ. 179, 183.

⁷ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-ძეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,
ტფილისი, 1938, გვ. 276; მისივე, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებით-
ურთ, ტფილისი, 1936, გვ. 136 და შემდეგ.



უმედ-ად // უმუდ-ად (მთელს ინგილოურში ჩვეულ), უუღა ამასტარებელი
// ჯუღაბ-ად (კაჯურში)¹, ჰათუფა-დ (კაჯურში, სამთაწყვეტილ
და ზაგამის მეტყველების გამოკლებით) და ჰაპტობა-დ (// ჰაპ-
ტოპა-დ სამთაწყაროსა და ზაგარში) და სხვ.

უმეტესი სიტყვების ხმოვნები კი ისეა გადმოცემული, როგორც ახერხაიჯანულში; მაგ.: ახური (axyp „ბაგა“)², ახშამ (ax-pam „საღამო“) პაზირი (// პაზირის հազыր, შდრ. გურ. ხაზირი), ოთალ (otag), ხალყ (xalq „ხალხი“), მანათ (манат) და სხვ.³

ვხვდებით „ლოპატკა-ს“, რომელიც სავსებით იმავე ფორმით იხმარება, როგორც რუსულში წერენ მას (ჟიაზა). საინტერესოა: რატომ წერას ემთხვევა და არა გამოთქმას („ჟიაზა“). მაგრამ ამ ერთი მაგალითით რაიმე დასკვნის გაქვთხა შეუძლებელია. რუსულის გზით შემოსულ ფრანგ. ოდეკალონს გამოთქვაძენ აღიკალონ-ად, ე. ი. ისე, როგორც მას გამოთქვამენ რუსები („ალეკაზონ“)⁴. ასევე ანად გამოთქვამენ ო-ს „ботинок-ში“ (ციათინკარ).

შე- და მო- წინდებულები ინგილოურშიც ისცვე, რასგორც
აღმოსავლურ მთელ რიგ კილოებში (კახურში, ქართლურში, ფერგ-
ილნურში, მთიულურში, ხევსურულში და სხვ.), წაომოდგენილია
სშირად შა- და მა-დ, თუ ასიმილაცია ან სხვა ფონეტიკურ-მორ-
ფოლოგიური მოვლენა არ ჩაერია; მაგ.: შაჟდა, გულს შამაზყრის,
მაჟალა, წამავწიგა, შავზულა, შამკდარია, მამიყონა...

§ 8. თანხმოვანთა სუბსტიტუცია. კაქურში (თვით კაქსა და ქოთუქლოში)⁶ მეტად გავრცელებულია (ალიაბათურში კი შედარებით იშვიათია)⁷ წყვილბაგისმიერი ბანის შენაცვლება კბილბაგის-

¹ ალიაბაძურში (ითითალის მეტყველების გამოკლებით) წევულებრივ უკავაბ-ს „ან ე „ჩავაბ-ს“ ამბობენ.

² შდრ. ვ. თ თ ფ უ რ ი ა, ქართლური: კრებ. არილი, ტფილისი, 1925, გვ. 138.

³ აზერბაიჯანულიდან შემოსულ სიტყვებში აზერბ. ე ქართ. ანითა და ენით გადამდიცავთ.

⁴ ზოგან (მაგ., ითითალაში) ატყალონ-საც ამბობენ.

⁵ იხ. წინდებულები (მორფოლოგიურ ნაწილში

⁷ აღიაბათურში მას გვხვდებით სპორალურად და იმასაც მხოლოდ მაშინ, როცა ებ-ს ან ობ-ს თანხმოვანი მოსდევს (მნიშვნელობა არა აქვა იმას, ეს თანხმოვანი აქვამაც რეალურად არსებობს, თუ იგულისხმება იგი), მაგ., ვაგრშევადით („უაგროვებდით“), აკოჟევში, პატრონებს, თოფებს, ახლევ გოცმულზენ და სწვ.

მიერი გინით მრავლობით რიცხვსა და თემატურ სუფიქსებში და
იშვიათად სხვებში¹.

-ებ→ -ევ: ზევ („ძმები“), კაცევ („კაცები“)... დგვეს („ძგება“),
ანთევინევს („ანთებინებს“), მოშიევოდაყ („მოშიებოდათ“),
საცხოტრეველ („საცხოტრებელი“)...

-ობ→ -ოვ: ამბოვს, სრიალოვს, იცნოვთა? სწავლოვს, ფიქ-
როვს, ნადიროვან („ნადირობად“) და სხვა მრავალი.

ანალოგიური ენთარება ცნობილია დაღისტნის რიგ ენებში
(მაგ. ლაქურსა და სხვ.). არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცე-
სის ასე ფართო მასშტაბით გავრცელებაში წილი მიუძღვდეთ ამ
ენებსაც.

კაჭურშივე (თვით კაჭმი) ვხვდებით ამავე -ებ, -ობ სუფიქსე-
ბის -ებ, -ომ-ად შეცვლას, თუმცა ეს არ არის შასობრივად გავ-
რცელებული. მას მხოლოდ იქ-იქ ვაწყდებით ზოგიერთის მეტყვე-
ლებაში; მაგ.: სახლემ (←სახლებ, სახლებში)²... დაავაზირებელ
(←დაავაზირებელი)³.... ყიდულომს, მუცელში ხანეალ ურკომს
და სხვ.

კიდევ უფრო იშვიათად ვხვდებით (მთელს ინგილოურში)
-ევ→ -ებ: აჭამებ („აჭმევ“, აჭმებს და სხვ.

აწმყოს თემის -ავ სუფიქსისა და ფუძისეული ან კაუზატიუ-
რი -ევ, -ოვ-ის -ამ, -ემ, -ომ-ად შეცვლას, რაც ფართოდა გავ-
რცელებული ალმოსავლურ კილოებში, ინგილოურში ძალიან იშვი-
ათად ვხვდებით (ხედამს, განსომს და სხვ.). სამაგიეროდ ვ→მ ჩვეუ-
ლებრივით ზოგიერთ სიტყვაში; მაგ.: დაამიტწყდა (←დაავიწყდა),
დამმირწყდა (←დამამირწყდა←დამაგიწყდა), მიწრო (←ვიწრო)⁴,
კიდემ (|| კიდევ), მენაჯი (←ვენაჯი), სამნიმაც (←სამნივაც←სამ-
ნივეც), სამიმინი (←სამივნი←სამივნი, ალიაბ.), კიდმან (←კიდვან
←კიდობან, კაჭური), მემრე (|| მეერე) და სხვ. (შდრ. აჭარული:

¹ ჯანაშვილისეულ ტექსტში ეს მოვლენა სრულებით არა ასახული (თუ
არ მივიღება მხედველობაში გრძალებულ სიტყვას – „ამბოვ, ამბოვენ“, რომელიც
ასე იხმარება მთელ ინგილოურში).

² 6. მარს ს მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლად მიაჩნდა (Грамм. древ-
нелит. груз. языка, № 51. 52). მაგრამ აქ ჩვენ გვაჟვს უბრალო ფონეტიკური
მონაცემება და მეტი არაფერი,

³ დავაზირება დავალება.

⁴ „ძვ. ქართულში მოცემულია „იწრო“-ს სახით (მეგრულში სწორედ ამ
სახითაა ეს სიტყვა დაცული, ოლონდ წ-ს წინ ნ არის განვითარებული: ინწრო);
შემდეგ განვითარდა თავგიდური ვ: ვ-იწრო; მთიულურში ვ-ს შეენაცვლა მ: მი-
ვიდეთ მიწრო... იწრო→ვიწრო→მიწრო...“ (არნ. ჩიქობავა, მთიულ. თავი-
სებურებანი, გვ. 47).



ამსილი, მარსკლავი, დამირწყდა, მითამ...¹ გურ.: ამამსო ტყულებით, მარსკლავები...² მესხ.: სამსე და სხვ.).

აგრეთვე გინის ნაცვლად გვაქვს შანი ვინ კითხვით ნაცვლდება უკირთხულის სახელში და ვარსკულავში, მაგ., ეს მინაა? („ეს ვინ არის?“)... მასკულავში და სხვ.

მეორე (მასკულავი) სხვა კილოებშიც³ გვხვდება ამ ფორმით და ძველ ქართულშიც. ხოლო პირველი მეგრულ-ჭანურის ძირითად ფორმებს წარმოადგენს⁴ და გაბატონებულია აგრეთვე ფერეიდნულშიც⁵ ისევე, როგორც ინგილოურში.

გვხდებით აგრეთვე სხვა ბეგრათა შენაცვლების თითო-ოროლა შემთხვევასაც:

ე—კ: წ—კინავს (|| სწერინავს⁶ ← ბრწყინავს), ერ ფუთი ყირი (ალიაბ.; შდრ. ყურაგრძელი → ყურადღელი → კურდღელი, ბრწერინალე, გა-ცა-ბრწერინდა, საკისარი || საყისარი⁷).

აქ პირველ მაგალითში ადგილი აქვს ჟ-ს წარმოების ადგილის (ენის ძირიდან) შედარებით წინ (უკანა ენასთან) გაღმონაცვლებას (ალბათ, წ-ს გავლენით) და ჟ-ს გაღმოსვლას უკანასკნელი სამეულის შემაღებნლობაში, ხოლო მეორე მაგალითში (ყირი) პირიეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რის გამოც პ გადადის დეფექტური სამეულის შემაღებნლობაში.

მ—ნ: ჩაცონს (← || ჩაცომს), მიაქონს (← || მიაქუმს), გამააქონს (← || გამააქომს), მააქონს (← მააქომს), ააქონს (← || ააქომს), „სუნკა“ (← „სუნკა“, ალიაბ., შდრ. გურ. „სუნკა“), ნასრადინა (← მასრადინა || → ნასრედინა)...

ლ—ნ: ნუს მარს დაპკრონ (← ლუსმარი ← ლურსმანი), მესროვნა (← მესროლა, კაკური), ცუნ (← ცვლი, კაკური)⁸, ჩრიან (← ზრიალ ← ხლიერ ← ძლიერ)...

¹ ჯ. ნოღა იდე ელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936, გვ. 9.

² ს. უღენტი, გურული კილო, თბილისი, 1936, გვ. 47.

³ მაგ., შდრ. ხვეს. მასკლავივით (ბ. გაბურ რი, ვევს. მასალები: შელიწდებული, ტფილისი, I-II, 1923-1924, 159, 16); მთიულ. მასკულევიანი (არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 47), მასკულავი (იქვე, ტექსტ., 60, 33) და სხვ.

⁴ არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი, § 19, გვ. 83-85; მისი ვაკ. შედ. ლ., გვ. 224; ნ. მარე, გრამატიკა ცან. ენა, СПб., 1910, 28, § 45; И. კიპშიძე, გრამატიკა მინგ. ენა, §§ 51, 52, 53.

⁵ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 201.

⁶ შდრ. ვ. თოფურია, ფონ. დაკვ. ქართ. ენებში, IV, ბუნებრივი კომელექსისისათვის: ენიმკის მოაბბე, I, 1937, გვ. 119-121. ინგილოურში სხვა სიტყვებში წყ კომპლექსს უცვლელად გვხდებით, მაგ., წყულ.

⁷ ივ. ქაგთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს., I, თბილისი, 1964, გვ. 224, 225.

⁸ შდრ. მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 226.



- ნ—ლ: გრძელ (←გარმონი), მილამ (←მინამ)...
 რ—ნ: ნუმ (// რუმ, კაქური)...
 რ—ლ: ჩილი (←ჩირი)...
 ლ—რ: განავარს, გამონავარს შატრუშებია ამიბე (←განავალს, გამონავალს = „გამვლელს, გამომვლელს...“ ალიაბ.)...
 ბ—მ: კმენა (←კბენა), უნდა დაკმინო შენ (←დაგქბინო)...
 ბ—პ: წაბრი (←ძაბრი)...
 ხ—ჭ: თოჭ (←თოხი, კაქური), ფაყლამ თოჭავს („ლობიოს მარგლის“)...

ჭ—ჩ: აფუჩევს („აფუჭებს“), ესნები დახჩათნებ (ალიაბთი); შდრ. ჭიჭილაკი // ჩიჩილაკი: И. Кипшидзе, Грамм. мингр. яз., გვ. 06).

ლანის ხანით შენაცვლებას ვხვდებით მხოლოდ ალიაბათურში და იმასაც იშვიათად, მაგ., დიახ←დიაღ←დია+ღ[მერთო], შენ საგავზახე (←გაპძელ)...

პირველი, მართალია, კაქურში უფრო ძველი ფორმითაა შემონახული („დიაღ“), მაგრამ რიგ კილოებში ისევეა დაცული, როგორც ალიაბათურში. მეორე მაგალითში შეკუმშვისას ისევე, როგორც სხვა კილოებში, ალიაბათურშიც აღდგება პირველადი ბგერა, მაგ., გაზღადა არა: „გაზხა“.

აგრეთვე ვხვდებით:

- ჰ—ჟ: შუვაზე ჟის („ზის“, შდრ. გურ. ჟის)...
 ს—ჸ: ტანსმოზ (კაქური // ტანსმუსი, ალიაბ.)...
 გ—ღ: მაღრ (← // მაგრ←მაგრე), მამიქარღა←მომიქარგა...
 დ—თ: იმთონ, ემთონ...
 დ—ნ: ქენებ მუშიოვს (←ქედემ←ქიდევ)...
 ბ—პ: ბალკონით უყურებენ (←ბალკონით)...
 ბ—ჟ, ტ—თ: ფათინქარი (БОТИНОК)...

დ—ტ: გოროტებმი, ტანა (←დანა „ხბო“, კაქური), ტავარ (←დავარ „წვრილფეხა საქონელი“), ტად (←დაძი „დედის ძმა“)...
 ფ—ბ, ფ—პ: ჰაბტობამ // ჰაპტობამ (აფთაჭა), კარტობილ (←კარტოფილი)...

ქ—ქ: ქილო^{მას} (←კილო), გააქითა // გააქეთა (←გააქეთა)...
 გ—ქ: ხაქსი ადტანეს (←ვარ ალიაბ.¹), ციქნები (←ციგნები, ალიაბ.)...

¹ აქ მიღებული ჩანს ასიმილაციით.

ა—ჲ: ერ მანათ ბეჭედს მისცემს (ალიაბ.), უთხრა: „ტაქ“
(გვხვდება კაკურში სპორადულად; აქ საქმე გვაქვს ას გაფშვინ-
ვიერებასთან).

ჲ—ჵ: დაყეჩე! (ალიაბ. || დაგეჩ! „გატეხე! კაკური), დაზური
|| დაყოცა (ალიაბ. ← || დაჯოცა, კაკური), დაყოცეს (ალიაბ. ← || და-
ჯოცეს, კაკური), იყოცებოდნენ (ალიაბ.), ორივნი დაცყოცენ (ალი-
აბ.), დაყოცილი (ალიაბ.), ნაცე ჩ მიაქმენ (ალიაბ. ← || ნაცე „ნა-
ტეხი“, კაკური; შდრ. დაქშობილი || დაყშობილი, დაჯოცენ || დაყო-
ცენ)!

ხ—ჸ—ჲ: თოყი (ალიაბ. „თოხი“)²...

აქ მოტანილი ყარიანი მაგალითები ყველა ალიაბათურია,
კაკურში ამ შენაცვლებას იშვიათად ვხვდებით (ფეფ და სხვ.).

სიტყვა „ხალხი“ კაკურში იხმარება „ხალყ-ის“ ფორმით (ჟა-
მაათ-ის || ჯამაათ-ის პარალელურად), მაგრამ ეს არაბული სიტყ-
ვა და აქ შეთვისებული ჩანს აზერბაიჯანულის გზით ამ ფორმით.
ალიაბათურში კი ეს სიტყვა „ხალღ-ის“ სახით გვაქვს, თუ ასიმი-
ლაცია არ ერევა (ხალღი). ასიმილაციის ჩარევისას კი დანი იცვლება
ხანით (იქ ნაწნარ ხალხს სრუ შეეხტწა). სიტყვა „ოთახიც“
ლანითაა გადმოცემული ინგილოურში (ოთაღი აზ. იგა).

აზერბაიჯანულ სიტყვებს, როგორიცაა: ლექენ (ტაშტი), დექ-
იშახ (ცვლილი), ჩირმი (ოცი) და მისთ. ინგილოები გამოთქვა-
შენ: ლაგან, დეგი შენ, იგირმი და ა. შ.

თითქოს, აქ, ერთი შეხედვით, აზ. ე. შეცვლილია განით, მაგ-
რამ სინამდვილეში ბირიქით მოვლენასთან გვაქვს საქმე: ინგილოურს
კი არ შეუცვლია ა (ე) განით, არამედ შეუნარჩუნებია მისი ძვე-
ლი სახე. ლიტ. აზერბაიჯანულში პალატალიზებული გ (გ), რომე-
ლიც გვხვდება წინარიგის ხმოვნებთან, ორ ხმოვანს შორის (და
დახურული მარცვლის ბოლოში) შეცვლილია ე-დ.

ზემოთ დასახელებულ სიტყვებს ძველი ფორმით გამოთქვამენ
ადგილობრივი (საინგილოში მცხოვრები) აზერბაიჯანლებიც, მაგ-
რამ საინგილოს ერთ-ერთი სოფლის სახელში წინარიგის ორ ხმოვანს
შორის არსებული პალატალიზებული გ მათ შეუცვლიათ ა-ით:
ვაემ ← ვაკემ ← ვაგემ. ინგილოებს კი ეს სიტყვაც განით შე-
მოუნახავთ (ზაგამ).

¹ მ. ძიძი შვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბი-
ლისი, 1960, გვ. 88; ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—
XVIII სს., თბილისი, 1964, გვ. 220—223; შდრ. Г. А. Клилов, Этимологи-
ческий словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 264—265 (ქშ).

² აზ. თხა, კერკი; შდრ. კაკ. თოხ, (აქვე, მე-პ პარაგრაფში).



ს 9. ბგერათა შერწყმით მიღებული აფრიკატები და აფრიკატიზაცია (ხშულის შერწყმა სპირანტითან, სპირანტიზაცია და ბალატიალიზაცია). სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში დაბასტურებულია ბგერათა შერწყმით მიღებული აფრიკატები, მაგრამ მას, როგორც გავრცელებულ მოვლენას, არ ვხვდებით.

ინგილოურშიც იშვიათია ის, ზოგჯერ დაუმთავრებელ პროცესთანაც გვაქვს საქმე. მაგალითად, ზოგჯერ ამბობენ ერცხოვა (←ერთსხურა) და ზოგჯერ — ერთ სხოვა: ერცხოვა თუ გავზახე („გავძელ“, ალიაბ.), დედას ერცხოვა შესლ უჩნდევ (კაკი), ერცხოვა უნდ დაგასწავლო, სახლიდიც ნათესავე მოტლოცენ (←სახლი + დითს ← სახლის დიდის, კაკი) და სხვ. მაგრამ პარალელურად ამბობენ ასეც: ერთ სხოვა ქათამიც გავღლიოტო (ალიაბ.) და სხვ.

უკვე დამთავრებულია პროცესი „გროც“ (←გუერთს ← გუერდს „ახლოს“) სიტყვაში. ეს სიტყვა მხოლოდ ამ ფორმით იხმარება მთელ ინგილოურში.

ანალოგიური მოვლენის ჩანასახი მოცემულია ჯერ კიდევ ძველ ქართულში², ვხვდებით ჭანურშიც³.

ინგილოურში აფრიკატებს ვიღებთ ზოგჯერ ხშულის დამართვის სპირანტიზაციითაც, მაგ., ციკანი (თიკანი, ალიაბ; შდრ. ძევს ← დევს)⁴.

¹ შდრ. ცამეტი (← ათსამმეტი), ჩვიდმეტი (← ათშვიდმეტი), ბეჩავი (← ბედ-შავი), ჩა- (← შთა- ← შდა- ← შედა-); ჩავიდა (← შთავიდა) და სრვები, რომლებიც ჩვეულებრივ ფორმადაა ქცეული სალიტ. ქართულსა და დიალექტებში.

² მესხური დავითის ქონიკაში: „გრუც“ (სამი ქრონ., ე. თავკაიშვილის გამოცემა, გვ. 89; მოხსენებული აქვს მ. ჯანაშვილსაც, საინგ., გვ. 242, შენიშვ.; შდრ. ძე. ქ.: გრ შობად უც მას ყრმად წული (კიმ., I, 218, 12); ძალ მიც (← ძალ მიძს ← მიძეს) ესე ყოფად (მათე 9, 18, ბენეშ. გამოც.): ძალ გაც (ib., 20, 22 ← ძალ გიძს ← ძალ გიძეს); შდრ. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., I, თბილისი, 1964, გვ. 297—299; ალ ჭინაურაშვილი, ხევსულულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 22—23.

³ მაგალითად, თურქ. დავთესუზ „დაუპატიუებელი“ ← davet+siz ჭანურში გვაძლევს დავეცუზ-ს, ts—ც (მაგალითი ამოღებულია ს. ჟღერ ტის მიერ გამოცემული „ჭანური ტექსტებიდან“. ამაზე ავტორის ყურადღება ს. ჯი ქიამ გაამახვილა).

⁴ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ოთხთავის თარგმანში თხის ჩვილი შეიძლის სახელად თიკანია — ნახმარი. საშუალო საუკუნეებისა და თანამედროვე ქართულში ამ სიტყვის მეორე ფონეტიკური სახესხვაობა ციკანი გაბატონდა, მაგრამ გურიაში დღვევანდლამდის ძველებურად თიკანს ხმარობენ“ (ქართ. და კაკე. ენების თავდაპ. ბუნება და ნათ., გვ. 103). შემდეგ განაგრძობას: „შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ, რაფი თოთავისა და დაბადების ქართულ თარ-



ვხვდებით აგრეთვე ზოგიერთ სიტყვაში სანის სპონტანულ გააფრიკატებასაც, მაგ., წულებული (|| ცულებული || „წისქილის შეღრ. ცანდალი←სანდალი... სუნდი || ცუნდი რიცა² და სხვ.).

დეზაფრიკატიზაციას, რომელიც მეტად გავრცელებულია გურულსა და აჭარულში (სტორი, სასტორი, სტავლა, მასტავლებელი და სხვ.)³, ინგილოურში თითქმის არ ვხვდებით. „სემენტი“ (ცემენტი) და „ტრაფათ“ (სწრაფად)⁴, რომლებიც ალიაბათურში შეენიშნეთ, მხედველობაში არ მიიღება. პირველი ალიაბათურში შემოსულია აზერბაიჯანულის გზით სანით, რადგანაც აზერბაიჯანულს ც ბეგრა არ გააჩნია (კაკურში ეს სიტყვა იხმარება ცანით); მეორე კი ქართული წარმოშობის სიტყვაა, მაგრამ მას ალიაბათურში მასობრივად არ ვხვდებით ტარით (კაკურში ეს სიტყვა შეცვლილია აზერბაიჯანულიდან შეთვისებული სიტყვით „ეგინა || იგინა“).

კაკურში ჩ—ტ გვაქვს მხოლოდ აზერბაიჯანულიდან შემოსულ „ტომაყ“ სიტყვაში (← ცომაგ „კომბალი“).

ასიმილაცია

§ 10. ასიმილაციას მეტად ფართო ადგილი უჭირავს ქართველურ ენათა დიალექტებში და ხშირად გვხვდება თვით ამ ენებშიც.

გმანში ციკანი-ს მაგიერ თიკანი გვაქვს, თითქოს თ-ს ც-დ შენაცვლება და ციკანი-ს ფორმა ახალი იყოს, მაგრამ იმავე ხანაში, როდესაც თიკანი იყო გაბატონებული, ციკანი-ს ფორმაც რომ ყოფილა, ამას იმავე დაბადების თარგმანში დაცული ქურციკი-ს სახელიც ამტკიცებს“ (ib., გვ. 191). დაასკვინის, რომ ქურციკი-ს მეორე ნახევარი „აქ ბერძნ, ტრაგოს-ს, ე. ი. თხას უდრის და ციკანი-ს, ისეთივე ბოლოშეკეცილი ფორმაა, როგორიც ვაცოკ-შია. მაშასადამე ციკანი-ს, თიკან-თან შედარებით, მერმანდელ შენაცვლებულ სახესხვაობად მიჩნევა არას-გვით არ შეიძლება. ამ თუ სახესხვაობას შორის იმდენად ქრონლოგიური არა, რამდენადაც დიალექტური განსხვავებაა საგულისხმებელი“ (ib., გვ. 191).

ეს თუ ასეა, რაშინ შეიძლებოდა ხელი აგველო ამ სიტყვაში თ-ს ც-დ შენაცვლებაზე; მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შენაცვლება ძელთაგანავე მომზღვაური ხოგიერთ დიალექტში. და სწორედ ამის ანარექლი იყოს თვით ქურციკ-შიც ამ სიტყვის ნეორე ნახევარი.

¹ Н. Марр, Грам. древнелит. груз. яз., გვ. 016.

² И. Кипшидзе, Грам. мингр. яз., გვ. 06.

³ აჭარულსა და გურულში სწკომბლექსი ყოველთვის გვაძლევს სტ-ს. აქ ადგილი აქვთ დეზაფრიკატიზაციას. წ აფრიკატი, როდესაც მას წინ წვდება ხანი, ე. ი. ისეთი ელემენტი, რომელიც მის შემადგენლობაში შედის, კარგავს სწორედ იმ შემადგენლე ელემენტს, რომლის მსგავსიც მას წინ დაუხდა და მარტივი ს+წ აფრიკატის (ს+ტ+ს) ნაცვლად ვიღებთ გამარტივებულ ბეგრას: მარტ. ს+ტარტ. ტ→სტ-ს.

⁴ სწრაფად→წრაფად→ტრაფათ.



ინგილოურშიც უხვად ვხვდებით ასიმილაციის მაგალითებს, მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა სახის ასიმილაცია არსებობს, როგორც ხმოვნებისა, ისე თანხმოვნებისა: პროგრესული, რეგრესული, სრული, არასრული, შორეული, კონტაქტური და საურთიერო.

ასიმილაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც უმღაუტს უკავშირდებოდა, სხვაგან გავარკვიეთ¹. აქ განვიხილავთ ასიმილაციის სხვა შემთხვევებს.

ხმოვანთა ასიმილაცია

§ 11. ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. ხმოვანთა დამსახუების მხრივ ინგილოურში (კაჯურში)² მეტად დიდ როლს ასრულებს ვინი (უფრო წყვილბაგისმიერი). ხშირად თვით მაასიმილირებელი ვინი იკარგვის, მაგრამ ასიმილირებული ბეგრა კი საჭმაოდ მკვიდრობს ამა თუ იმ სიტყვაში. ასიმილაციის გამოწვევაში განსაკუთრებით აქტიურია S₁ ნიშანი. ის თითქმის ყოველთვის ახდენს ნაწილობრივ ასიმილაციის პრევერბისეულ ხმოვანზე. ეს მოვლენა არც ერთ კილოში არ არის ჯერჯერობით დადასტურებული. ამ მხრივ ინგილოური (კაჯური) გამოყოფა სხვა ქართულ კილოებს, თუნდაც უახლოეს მონათესავე კილოებსაც კი, როგორიცაა: ფერეიდნული, კახური, მთიულური და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ ასიმილაციის ეს მოვლენაც, როგორც ბეგრი სხვა ფონეტიკური ცვლილება, გამოწვეული ჩანს აზერბაიჯანული ენის ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობით. აზერბაიჯანულ დიალექტებსა და სალიტერატურო ენაში გ თანხმოვნის წინ ა ხმოვანი ყველგან გალაბიალებულია. მაგალითად, სხვა თურქული ენების დავშან გვაძლევს დოვშან-ს „კურდლელი“, თავურთიოგ „ქათამი“, თავლა→თოვლა „თავლა“ და მრავალი სხვა. აღსანიშნავია, რომ ეს ფონეტიკური პროცესი, რომელიც აზერბაიჯანულში ძალიან გავრცელებულია, არ არის დადასტურებული ანატოლიური თურქულის არც ერთ დიალექტში, როგორც ამას სათანადო სპეციალისტები აღნიშნავენ.

→ და S₁ გ დაცულია: დოვკალით (|| დოტკალით || დოპტკალით || დოპტკალით „დაგვალით“), გოჭჭროთ (|| გოპტჭროთ || გოპტჭროთ || გოპტჭროთ), აგ ადგილ გოდოვჭროთ, გოვთხაროთ

¹ გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, უმღაუტი ინგილოურში, გვ. 171—174.

² ალიაბათური ამ მხრივ არავითარ თავისებურებას არ შეიცავს სხვა მის მონათესავე კილოებთან შედარებით.

209, 18¹ (|| გოჭთხაროთ || გოჭთხაროთ), გოჭწევ (|| გოჭწევ || გოჭწევ), მეროვ 186,4 (←მე+რა+ვიცი)...

ე→ო და S₁ გ დაცულია: შოვკარ (|| შოვკარ || შოვკარ)...

ა→ო და ე→ო და მაასიმილირებული გ (S₁ ნიშანი) დაკარ-გულია:

ა→ო: ოხტან („ავიტან“), ოხშენო („ავიშენო“), გოხინო („გავიჩინო“), ღოღზარით („ღავიძარით“), ღოღნახ („ღავინახ“), ღოღლოცით („ღავილოცეთ“), გოღოხხორშ („გაღავიხეშე“), გო-მოღლებდი („გამოვილებდი“)...

ე→ო: შოხნახ (←შოინახ←შოვინახ), შოვკერავ („შევიქრავ“)...

აფა→→ოვი: ეგიც მე ვერ ოთავნებავ (←ოვათავნებავ←აფათავნებო)...

თუ ოფ-ის უშუალო მომდევნო ა ხმოვანი არ დაიკარგა, მაშინ ზემოთ განხილული წესის თანახმად -ოფა- კომპლექსი შეიცვლება -უა-დ; მაგ., ერთიც მტგრქლას, სამს უ ა თ ი ე ვ დ ი თ (←ავათავებ-დით) და სხვ.

კაჯურში დამხმარე ზმნის S₁ ვინიც ხშირად იმსგავსებს მიმ-დების სუფიქსის ე ელემენტს, თუ დაკარგულია სუფიქსის მეორე ელემენტი ლასი, რაც არც ისე იშვიათი შემთხვევაა ინგილოურში; მაგ.: ე→უ: მააცემუვარ (←მააცემვარ←მოსაცემელ ვარ, შდრ. შენ მააცემეხარ, ის მააცემელი), შენ თავ მააკლუვარ („მოგჭ-ლავ“), მააკლომუვარ („მოგვედები“), მაასლუვარ („მოგალ“), წაას-ლუვარ („წავალ“), დააწერუვარ („დაწწერ“), დააჭოცუვარ („დავ-ხოცავ“), შენბე მე ერ არა გააჩიებუვარ („გაგიმულავნებ“)²...

ასიმილაციის ეს მოვლენები არ არის საერთოდ დამახასიათე-ბელი მთელი ინგილოურისათვის; მათ ვხვდებით მხოლოდ კაჯურში. პირველი ხუთი შემთხვევა სისტემატურადაა გატარებული მთელ კაკურში და დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს, როგორც ჩანს, ხოლო უკანასკნელი ჯერ კიდევ არაა ფართოდ გავრცელებული. იგი უნდა იყოს შედარებით ახალი მოვლენა³ და ამის გამო ძალზე

¹ მაგალითები, რომლებსაც მითითებული აქვთ გვერდები და სტრიქონე-ბი (აქაც და სხვაგანაც) ამოღებულია მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებუ-ლი ტექსტებიდან (ინგილოური ზღაპრები და თქმულებანი: ძველი საქართველო, ტ. II, 1911—13, განკ. IV, გვ. 181—211).

² ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საჭმე აქაც: ჭმუაში 189,4 (←ჭმოვაში←ჭმევაში←ჭმ+ევ, შდრ. გურ. ჭმოვა)...

³ მ. ჯანაშვილისეულ ტექსტებში მას არ ვხვდებით.

მერყეობას იჩენს: ხან ლასს არ კარგავს და, ცხადია, ხმოვანიც არ იცვლება (მააცემელ ვარ); ხან კიდევ, ლასი იკარგვის (როგორც ეს ხდება ზოგჯერ ალიაბათურშიც), მაგრამ ხმოვანი უცვლელი რჩება (მააცემევარ).

ასიმილაციის სხვა მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია მთელი ინგილოურისათვის, არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ინგილოურის კუთვნილებას; მას სხვა კილობშიც აქვს ადგილი.

ვნებითის მაწარმოებელი ე იმსგავსებს პრევერბისეულ ანს რეგრესული ასიმილაციის გზით სრულად, თუნდაც მათ შორის პირის ნიშანიც იყოს; მაგ.: დეენახა, დეეჭმინა, დეეწერა, უნდა მოლლას დეემარხას, დეეგლიუა, დეეგწივ, დემეხსენ, დევეხსენ (ალიაბ.), დევეწივე (ალიაბ.)... გეეგზავნას („გაეგზავნა“), გემეგა, გემეცინა, გიმეეპას, გეგეყრებ, გევეყარ (ალიაბ.)... წეეპარა... ჩეეჭეცა...

ამ სახის ასიმილაცია ცნობილია ფერეიდნულში (ისევე უხვად, როგორც ინგილოურში), კახურში, ქართლურში, რაჭულში, იმერულში, მესტურსა და სხვაგან.

გურულში ამ სახის ასიმილაციას მოჰყოლია დისიმილაცია: ღიეცა←ღეცა←დაეცა, ჩიეყარა←ჩეეყარა←ჩაეყარა და სხვ.

ინგილოურში, როგორც ფერეიდნულსა და ზოგიერთ სხვა კილოში (იმერულში და სხვ.), ვნებითის ე სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ონსაც, ხშირად — ობიექტური ნიშნით დაშორებულსაც კი; მაგ.: მეექლას (←მოექლას), თუ არ მემექლა (ალიაბ.), მეეყონას, მეეწონა, მეგეცესო („მოგეცესო“, ალიაბ.), მეგესწონს (ალიაბ.) და სხვ.

გურულში კი აქაც მომხდარა ასიმილაციის შემდეგ დისიმილაცია (მიეწონა←მეეწონა←მოეწონა და სხვ.).

გხვდებით ზოგჯერ პრევერბისეული ანის, ონისა და ინის სრულ რეგრესულ დამსგავსებას ფუძისეულ ენთან (თანხმოვნით გაყოფილთანაც კი); მაგ.: დელექ! (←დადეგ!), დელექით!.. ჩელევ!.. ჩეველ (|| ჩრველ)... წეველით (|| წრველით), წეველ (|| წრველ)... გეველ (|| გრველ)... მეველ (|| მრველ), მეველით (|| მრველით)... მევეც („მიეცი“), ამას არ მევეც... თუ არ მევეცით (|| მრვეცით), მევეც (|| მრვეც).

ფუძისეული ინიც იმსგავსებს ზოგჯერ თანხმოვნით გაყოფილ პრევერბისეულ ა ხმოვანს და გვაქვს არასრული რეგრესული ასიმილაცია: ჩედიან (←ჩადიან), ჩედის კად ქორწილ...



-ობ სუფიქსის ო-ც იმსგავსებს მის წინამდებარე სახელის ა-ს;
კაც მუშოოვს (|| მუშოობს-←მუშაობს), ბეჭრ მუშოოვა ც. ვერცხლი
უზღევს, მააყოლა კოლხოზში მუშოოვა, თავთი გოროგი და გოროგი როვეს-←გორაობს (შდრ. გურ.: მუშოობა, მუშოოვს და სხვ.).

ზოგჯერ ფუძისეული უნიც (სასხვის ქცევის მაწარმოებელი თუ სხვა) იწვევს ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას როგორც პრევერბისეული ანისას, ისე სხვა ა პრეფიქსისაც, თუ ის უშუალოდ წინ მოექცევა; მაგ.: ოტეგი (←აუგია), ჩიტეგამ (←ჩაუდგამს), გოტთავდა, წოტდა (←წატდა-←წავიდა)... როჟყავი? (←რა+უყავი? ალიაბ.) და სხვ. (შდრ. იმერ. დოუჩოქა, გოუფუჭა, გოუწყრა, გოუშეა: III. ძვიდვის, ჩ. ხარაქ. ნიჯნეიმერ. გო. გრუ. ქა.: „Памяти акад. Н. Я. Марра“, М.-Л., 1938, გვ. 121; გურულში კი ამ შემთხვევაში სრული სახის ასიმილაცია გვაქვს: დუუძახა და სხვ.: ს. ელენტი, გურული კილ, გვ. 52).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენას ინგილოურში არა აქვს სისტემატური ხასიათი; მას მხოლოდ ზოგჯერ ვხვდებით. მის პარალელურად გაცილებით მეტია უასიმილაციო ფორმები (ჩატყრია!, ჩატყრეს და სხვ.).

ამგვარად, ინგილოურში ხმოვნის უშუალო მომდევნო უნისუსტად ამელავნებს დამსგავსების უნარს; ინი კი სავსებით მოკლებულია ამას. ამით ინგილოური უბირისბირდება დასავლურ კილოებს და ნაწილობრივ აღმოსავლურსაც.

ეს გარემოება ნაწილობრივ მახვილითა და ნაწილობრივ აზერბაიჯანულის გავლენით უნდა ა. ხსნას. მარცვლოვანობას ნაწილობრივ მოკლებული ი და უ. ცხადია, მოკლებულია ხმოვნის დამსგავსების უნარსაც ნაწილობრივ.

რთული პრევერბი ამო- (←აღმო-) და რთული პრევერბის (გამო-ს, ჩამო-ს, წამო-ს) ნაწილი -ამო- იქცევა ომო-დ სრული სახის შორეული რეგრესული ასიმილაციით, თუ ამ ნაწილის ონი თვით არ შეიცვალა ანით (ჩამაასხ!-ჩამოასხ!) ან ენით (გემეეტანა-ნა-გამოეტანა) ან კიდევ უნით (ჩუმუარდნილ-ჩომუარდნილ-ჩიმოვარდნილ); მაგ.: ომოსულამდინ (←ამოსელამდის), ომოდის... გომოჩნდა, გომოღებარ, გომოღებდი, გომორბენულან, გომოურთომ, გომოქშებულ, გომოვდა, ჩომოცშედა... შემო-→შომო-: შომოპყონს, შომოვიდა, შომოპკრა...

გურულში კი შემო- პრევერბი შეცვლილია შამო-დ ან შამო-, შამი-დ, ან კიდევ შამუ-დ. უკანასკნელი ხმოვნი (ო) იცვლება ასი-

¹ შდრ. ი. ყიფ შიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი მეგრულ-სა და ქართულში: ტფილისის უნივ. მოამბე, ტ. I, 1919, გვ. 7.



მილაციის წესის მიხედვით, ხოლო პირველი ხმოვანი (ა) ეყველება გვის უცვლელია.

ეგვვი შეიძლება ითქვას ყველა რთული პრევერბის შესახებ გურულში და საერთოდ დასავლურ კილოებში.

ამ დებულების გავრცელება შეიძლება აღმოსავლურ კილოებზედაც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ რთული პრევერბის მეორე შემადგრენელი ნაწილი (-მა- // -მო-) ნაკლებად განიცდის ფონეტიურ ცვლილებებს ფუძისეული ხმოვნის გავლენით.

ინგილოურში კი, როგორც ფერეიდნულში, სულ სხვა მდგომარეობასთან გაეჭვს საქმე. აქ რთული პრევერბის პირველი ნაწილის ხმოვანიც იცვლება მეორე ნაწილის ხმოვნის ცვალებადობასთან დაკავშირებით, რასაც იწვევს მომდევნო ფუძისეული ხმოვანი; მაგ.: უმუაზრო (←ომუაზრო←ამოვაზრო), უმუაგდებ... გუმუართ (←გომუართ←გამოვართუ)... გოდოვჭროთ... შუმუავლო (←შომუავლო←შემოვავლო)... ჩემოველ (// ჩემოველ // ჩომოველ) // ჩუმუელ (←ჩომუელ←ჩომოველ) და სხვ. (იხ. ზემოთ).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინგილოურში ისევე, როგორც გურულში, პროფესიის საწარმოებლის მე-ს ე-ზე გავლენას ვერ ახდენს ფუძისეული ხმოვანი; მაგ., ინგილოურში: მეჩონგურეა (და არა: „მოჩონგურეა“), მენადირეა (და არა: „მანადირეა... გურულში: მეუნაგრე, მეურმე...“) და სხვ.

ფუძისეულ ხმოვნებში ასიმილაცია, თუ მხედველობაში არ მიყიდებთ უმლაუტებს, იშვიათია ინგილოურში. სულ რამდენიმე მაგალითის დასახელება შეიძლება; მაგ.: სეველია¹ (←სოველია, შდრ. გურ. სობელი), ჩონბოურა იცია? (←ჩუენებურად იცი?)... ჩუნგურ (←ჩონგური)... ევევერი (←მევვე)... მეშინა (←მაშინა, ალიაბ.), მეშინაზე შეჭსხედით (ალიაბ.)... რემენსაც (// ჰემენსაც←რომელსაც), კედე იზახის (←კიდევ)... ფრინეველ (←ფრინაველ, შდრ. ფრინავს, მფრინავი)...

გვცდებით ასეთ მაგალითებსაც მითითებით ნაცვალსახელებში: ეეს (←აეს←ად+ეს←აი ეს), ეემ (←აემ←ად+ემ←აი ემ)²...

არ არის გამორიცხული, რომ მიღებული იყოს სხვა გზითაც: ჰე+ემ→ეემ. შესამე გზა, სახელდობრ შემდეგი: აი+ემ→ეი+ემ→

¹ იგულისხმება ლაბარაკი.

² შდრ. ბ. გაბუური, კევს. მას.: ეეს 127,5 (← // აეს 126,7 ←ად+ეს←აი ეს), ეებლა 165,34 (←აებლა 123,28 ←ად+ებლა←აი ებლა), აეგ 218,17 (←ად+ეგ+აი ეგ), აევრ 125,3, აემ 143,5 (←ად+ემ←აი ემ), აებლად 155,22 და სხვ.



ე—+ემ—>ეემ გამორიცხულად მიიჩნევა ინგილოურში (განსაკუთრებული კატეგორია), რადგანაც აქ ინს არ შეუძლია წინამავალ ხმოვანზე გაფართოვანი ლენა მოახდინოს და დაიმსგავსოს იგი. ასევე გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს მეოთხე გზაც: აი+ამ—>ეი+ამ—>ეამ—>ეემ, რომელსაც კიდევ მეტი წინააღმდეგობა ერობდება.

გვაქვს „ზომოვთხან“ („ზემო მხარეს“), მაგრამ აქ საქმე უნდა გვექნდეს „ქომოვთხან-ის“ (←ქუემოვთხან) ანალოგიასთან და არა ასიმილაციასთან.

§ 12. ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. მარტივ ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები იშვიათია ინგილოურ-შიც, თუ უმლაუტიზაციას არ მივიღებთ მხედველობაში, რაც განვიხილეთ უკვე ცალკე¹.

ა→ე: ჭესი (←ჭასი, ჯC „გლოვა“), წელზე ჭერა აქო (←ჭარა յარა „ჭრილობა“), ჭევაშ-ჭევაშ (←ჭავაშ-ჭავაშ, ქაშ-ქაშ „ნელანელა“) და სხვ.

ამ მაგალითებში ვიწრო ჯ-მ დაავიწროვა მომდევნო ა და მოგვცა ე.

ო→ვე: ველდაშ (← || ეოლდაშ ჩილდაშ „ამხანაგი“), ვერლან (← || ეორლან ჩილდან „საბანი“)...

აქაც ალბათ ჯ-ს მოუხდენია ნაწილობრივი ზეგავლენა ო-ზე: მისი არტიკულაცია წინ წამოუწევია (ბაგისმიერობა კი შეუნარჩუნებია) და თვითონ დაქარგულა.

ენსაც შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა ონზე პროგრესული ასიმილაციის გზით: წამოსწიოს წინ მისი არტიკულაცია და ბაგისმიერობა არ დაუკარგოს, მაგ., მევერე და სხვ.

თან ხმოვანთა ასიმილაცია

§ 13. თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. თანხმოვანთა ასიმილაცია საერთოდ არაა ფართოდ გავრცელებული ინგილოურ-ში. ამ მხრივ იყი, მართალია, არ ჩამოუვარდება ზოგიერთ აღმოსავლურ კილოს, მაგრამ დიდად ჩამორჩება დასავლურ დიალექტებს, სადაც თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია ძალზე გავრცელებულია.

¹ უმლაუტებთან დაკავშირებული პროგრესული ასიმილაცია: გრ. იმ-ნაი შვილი, უმლაუტი ინგილოურში, გვ. 171—172.

ინგილოურშით თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის მაგალითები, მართალია, მოიპოვება, მაგრამ არა აქვს მკაფიობრივი დაგი; ხშირად განიცდის მეტყეობას (ერთსა და იმავე თარიღულ ერთისა და იმავე პირის მეტყველებაშიც კი). ამის მაგალითებია:

დათ: ავათ გამხთარვარ (შდრ. გურ. ავათ გახთი, შეხთებოდა და სხვ.)...

დათ: კტარი (← კუდარ), ლორ არმამქტარ ყოფილ (კაკური; შდრ. გურ.: კტება, მოქტა, კტარი...)... ფერმაზე კეთობიან (← კეთდებიან „იმყოფებიან“), იმი იჯახში კეთოვის (ს. კაკი), ნაჰტევ (← ნაჰთტევ ← ნათტევ ← ნაიდების ← ნათლდების), გამათტა (ალიაბ. ← || გამათლა „გაკვირდა“)... დამიხტო (← დამიხდო ← დამიხდუა ← დამიხტდა), ჰეჩ რამ არ დოგუხტო, მოხტო (← მოხდო ← მოხდუა ← მოხუდა), შეხტო („შეხვდა“), კისერში ხტევის (← ხტდების, კაკური)... შემსტარვარ (← შემსტარვარ ← შემსტარვარ; შდრ. ვ. ოფურია, ფონ. დავგ., II, გვ. 299, 303-304; მისივე, ქართ. ენათა სიტყვაწ., II, გვ. 536), ჰაბე დაასტინი? (← დასტინი? ← დაასტარი?), გზას ამსტარ (კაკური) და სხვ.

მოყვანილ მაგალითებში ასიმილაციასთან ერთად შეიძლება დისიმილაციაც ვივარულოთ (დათ → ტ: კეთდება → კეთობა → კეთტება, დამიხტდა → დამიხდო → დამიხთო → დამიხტო...), მაგრამ ეს ინგილოურში ნაკლებადაა მოსალოდნელი. ინგილოურს, დასავლური კილოებისაგან განსხვავებით, ყრუ ფშვინვიერ ბგერათა ერთად თავშეყრა არ უყვარს და, როგორც ჩანს, არც ახასიათებდა მას ეს მოვლენა ისტორიულად.

უმრავლეს შემთხვევაში კი უასიმილაციოდ (დაყრუებული დონით) გვაქვს შემონახული რიგი ფორმები; მაგ.: მოყდო, მოკდომაში, მოკდომირა, ამასაც უწყდებოდა ჩარაგა, შეწუხდა, შეწუხდნენ და სხვ.

ვხვდებით აგრეთვე სპორადულად: დათ: მისხა აგონდების (← მისლა ← გისლა, კაკური; შდრ. გურ.: ვინცხა, რაცხა და სხვ.)... დათ: ზორრამა (← ზორლამა „ძალმომრეობა“), ჰარრამა (← ჰარლანმა „ტრიალი“)... კარე: ჰაჩიჩინაგა (← || ჰაჩიჩინაგა ← || ჰაჩიჩი კინ აგა ← ჰაჩიჩის კინად „სახნისი“).

§ 14. თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. ასიმილაციის ამ სახეს ინგილოურშით, თანხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციასთან შედარებით, უფრო მეტი ნიადაგი აქვს მოპოვებული: გაერცელების არეც მეტია და მეტყეობაც ნაკლებია, თუმცა სავსებით ჩამოყალიბებული არც ესაა.

გ→ქ→კ ხდება მაშინ, როცა გ მოექცივა ყრუ მქვეთრი (ჭ., ტ., წ., ჭ., კ., ყ.) ბგერების წინ, თუნდაც ვინით იყოს დაშორებული კეტანეავდნენ, დაკუწავ, არ ჭელავ, გაკრონდა (←გაგრო+^{უნდა}_{უნდა} და, ალიაბ.), დოკტირდევ („დაგვჭირდება“, კაკური) და სხვ. (შდრ. გურ.: კელავს, კპარავს, კწვავს, კჭრის, მოკყიდა და სხვ.).

ინგილოურში ანალოგიურ მაგალითებში ხშირად გვაქვს ყრუ mediae გ.

გ→ქ გვაქვს ყრუ ფშვინიერ ბგერათა წინ (უშუალოდ ან ვინით დაშორებულ მეზობლობაში): თუ ქცივ, ცეცხლთან დაე! დაქცებლნდა („დაგრცენდა“), რაქთონ თეთრ მოქცევ? (ალიაბ.), იღარ დოქტი („დაგვრჩა“), დაქტურუა? (←დაგახურუა?), მოქვშიებირა („მოგვშიებია“), აქთონ (←აგთონ←აგდონ←აგოდენ), ექთონ (←ეგთონ ←ეგლონ←ეგოდენ←ეგოდენ)...

გ→ჭ ვხდებით ყრუ მქვეთრ და ყრუ ფშვინვიერ ბგერათა წინ; მაგალითები ალიაბათურიდან: მოჭჭტოლეთ ცხორი, ჭენავდი, ჭოჭქუ („ვთქვი“), სხუჭებს მიჭჭყონდით ჟარები გაალალელა, ჭჭამ (შდრ.. კაჭური: ჭომ მე), ჭჭრი (შდრ. კაკური: ჭრუ მე), შრლი დაჭჭყალე, დაჭჭყლოთ; უოხი თუ ვერ გამავცანე, მე იმიზეგან ნაკლები ჭკეთტები („ჯოხი თუ ვერ გამოვიცანი, მე იმაზე ნაკლები ვიძნები“); დაჭბი (←დავლბი)... მაგ. კაჭურიდან: ჭყუროვდი (მე, ს. ზაგ.), შავჭყოფა, ჭჭომო (|| ჭომო) და სხვ.

ინგილოურში არც ესაა სისტემატურად გატარებული: ამავე ყრუ მქვეთრ და ყრუ ფშვინვიერ ბგერებთან ჩვეულებრივი ვინიც ხშირად ისმის.

გ→ფ ასიმილაციის გზით ყრუ ფშვინვიერ ბგერათა მეზობლობაში მეტად გავრცელებული მოვლენაა დასავლურ კილოებში; აღმოსავლურ კილოებში საერთოდ და კერძოდ კი ინგილოურში მის ადგილს იჭერს ბგერათა უბრალო სუბსტიტუცია (§ 8). ასიმილაციის გზით მის (ბანის) შენაცვლებას მხოლოდ სპორადულად შეიძლება წავაწყდეთ ინგილოურში: აამთავრეცს, იგეფს, შუფში, მაქთაფში („სკოლაში“, ალიაბ.), ყაფში (შდრ. ყაბრი, გან „ჭურჭელი“) და სხვ.

ამავე ადგილას ზოგჯერ გვაქვს ყრუ mediae ბ, მაგ., უშობს და სხვ.

ფ→პ ყრუ მქვეთრ ტ-სთან: სიპტა (← || სიფტა ← || სიფთა, ციფთა „პირველად“, კაჭური), სიპტანდელ (← || სიფტანდელ ← || სიფთანდელ), ჰაპტობამ (← || ჰაპტობამ ← || ჰაფტონფამ ← || ჰაფთოუფამ აფთაფა, კაკური) და სხვ.

წ→ც: ცუცქშლი (←წუცქშლ, მხოლოდ ამ სიტყვაში ვხვდებით).

ს→ჰ მუღერ გ-სთან: იმიზგან (←იმისგან, ალიაბ.), იმიზგნი (←იმიზგნით ←იმისგნით ← იმისაგნით ← იმისაგანით, კაკ.), ჩემიზგნი (←ჩემსგნით ← ჩემსგანით, კაკ.), შეზგნი (კაკ.), ცოლიზგან, სხტზგან და სხვ. (შდრ. გურული: მიზგან, მიზდა, მიზდევს და სხვ.).

ჟ→ჸ მკვეთრ ქ-სთან: ვაშკაცებისთუნ 189,11, ვაშკაცი, კრუშები, კრუშკას (რუს. „кружка“) და სხვ. (შდრ. გურ.: ვაშკაცი, „კურუშკა“ და სხვ.).

თ→ტ ყრუ მკვეთრ ქ-სთან: ქუტკირი (←ქვითკირი, ალიაბ.) და სხვ. (შდრ. ქვიტკირი გურულსა და სხვებში).

ლ→ლ მკვეთრ ქ-სთან: ატკალონი (← || ადკალონი ← || ალიკალონი) და სხვ.

ქ→ხ ყრუ მკვეთრ ყ-სთან: რა გახყე გაყყოფელი? (←გაქყე და გაქსყე და გაქსყე, ალიაბ.) და სხვ.

ჸ→ხ უკანაენისმიერ ყ, ხ-სთან: ხყონდა (←ჸყონდა ← ჸყენდა, ალიაბ.¹), მოხყონს (ალიაბ.), გახყიდა (ალიაბ.), დახხურა (ალიაბ. || დაპხურა || დაპხეხურა, ალიაბ.) და სხვ.

ლ→ხ ძალზე მერყეობას იჩენს ინგილოურში; ხშირად გვხვდება პარალელური ფორმა: დახჩიო || დაღჩიო, დეებწივა || დეელწივა, ოთახში || ოთალში (მაგრამ: ოთალით არ გადის; შდრ. აზ. ითაგ) და სხვ. (შდრ. გურ.: „ბახში“ და „ბაღი“, „ბახს“ და „ბაღლი“).

ს→შ: შიშმილი (←სიშმილი), შაჭმელი (←საჭმელი || შიშმელ || შეჭმელ).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის მრავლობითი რიცხვის ნ ხშირად იმსგავსებს მიმღეობისეულ ლ-ს; მაგ.: გაათლენია (← || გაათლელნია „გაათლიან“, „გაათლებიან“), დააკლონია (← || დააკლონია „დაკლავენ“, „დაიკლებიან“), დააყურენია (← || დააყურელნია „დაუყვარებენ“, „დაიყვლებიან“) და სხვ.

წ 15. ახიმილაციასთან დაკაგშირებით შეიძლება დაგასკვნა:

1) ინგილოურში ძალზე გავრცელებულია პრევერბისეულ ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. ხმოვანთა პროგრესული დამსგავსება აქ თითქმის არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მაუმლაუტებელ ასიმილაციას და რამდენიმე სხვა შემ-

¹ კაჭურშია „აქონდა“.

თხევებას, რომელიც უმთავრესად აზერბაიჯანულიდან შემოსულ სიტყვებში გვხვდება.

2) დამმსგავსებლის როლში ყველაზე აქტიურად გამოიყოფა ^{შემოსული სიტყვების} _{მინამდებარე პრევერბისეულ}, ეს და ხმოვნებს ყოველთვის და მიმღეობისეულ -ე- ხმოვანს კი ზოგჯერ. ამ დამსგავსებისას ის ზოგჯერ სავსებით იყარგება (განსაკუთრებით მაშინ, როცა ის მოექცევა სადიფონენგო ხმოვნებს შორის: -ები- // -ავი- → -ოვი- -ო- → -ო-).

ამითაც გამოეყოფა ინგილოური (განსაკუთრებით კაკური) სხვა ქართულ კილოებს.

3) ი და უ, რომლებიც დასავლურ კილოებში საერთოდ და კერძოდ გურულში ყოველთვის იმსგავსებენ წინამავალ ხმოვნებს, ინგილოურში მოქლებული არიან ასიმილაციის უნარს (პირველი მთლიანად და მეორე ნაწილობრივ). ისინი თვით სუსტდებიან, ეპედლებიან წინამავალ ხმოვნებს და მათთან ერთად ქმნიან დამაგადლ დიფონენგებს (დაუჭირიაყ, ჩომოუგდო, წაჟეცა, ჩალაგა, ადლა და სხვ.), რაც აზერბაიჯანულის გავლენასა და მახვილს უნდა მიეწეროს.

4) თანხმოვანთა ასიმილაცია, როგორც საერთოდ აღმოსავლურ კილოებში, ისე აქაც სუსტადაა განვითარებული; განსაკუთრებით მერყეობას იჩენს თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. ამ მხრივ ის დიდად „ჩამორჩება“ დასავლურ კილოებს. თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია კი უფრო მასობრივადაა გატარებული, თუმცა სავსებით ჩამოყალიბებული არც ისაა.

დისიმილაცია და მეტათეზიდე

§ 16. ხმოვანთა დისიმილაცია. დისიმილაცია ნაკლებგავრცელებულია ასიმილაციასთან შედარებით.

ხმოვანთა დისიმილაციაც თითქმის მხოლოდ რეგრესულია ინგილოურში; მაგ.: -ე- → -იე- : სამარიებრი¹ (← სამარეები), ხიები (ალიაბ.), ტყიები (ალიაბ.), დღიები¹ (ალიაბ.), ღელიები² (ალიაბ.), იმერ მეღუჯნიებმა (ალიაბ.), მეზროხიებმა¹ (ალიაბ.) და სხვ. (შდრ.

¹ კაკურში უდისამილაციონ იხმარება.

² ღვლე—წყლის მიერ ჩანგრეული ადგილი.

იმერხეული: ტყიები, კდიებში, დღიებში, შიეძლება...¹ გურ. და
აჭარ.: ღელიები, მოწაფიები... შიეძლო, შიეჭამა, შიეკრა და პნევტული
ა→ო→უ: ჰაპტობად // ჰაპტობად (სამთაწყ., ზღვ., თამ. ქ. ჰიტ), ჰიტ
თუთად(←ჰათათად: ქაქი, ალათ., მეშაბ., ალიბეგ., ქოთ.)...
ა→ი: ჰაჩიჩად(←ჰაჩაჩად, შდრ. აჩაჩა, საბა)... მეხბორიობა
(←მეხბორეობა, ალიაბ.)².

აქ უკანასკნელ მაგალითში ონის დისიმილაციური გავლენით
მომხდარა ენის დაგიწროება ინად.

§ 17. ხმოვანთა დისიმილაცია ასიმილაციის შემდეგ. ჯერ
მაგალითები მოვიყვანოთ: ავე- // -ავ- → -ევ- → იე- : ბატრა დრო-
ზე მე მაგრა ვი მუ ში ი ე ბ დ ი (← ვიმუშებდი ← ვიმუშავებდი), ვიმუ-
შიებ, იმუშიებს (ს. კაკი), ოშტიებირა (← ოუთებირა ← აუთავებია),
ათიებს(← ათავებს, ს. კაკი), განათიერე/ევ რამ არა („განათვები რა-
მე არაა“), გათიევაში (← გათევევაში ← გათავებაში), დაბრიმიებულება (←
დაბრიმებულა ← დაბრმავებულა), გაცხიებულ (← გაცხეებულ ←
გაცხაებულ ← გაცხავებულ), სხტებ (← სხტიებ ← სხტებ ← სხტაებ), ქტებ
(← ქტიებ ← ქტებ ← ქტაებ, ძვ. ქ. ქვავ), გომაქშებულ, კოჭანიევზე
(← კოჭანევზე ← კოჭანაებზე), კლიევზე (← კლევზე ← კლავებზე), ეს
ზავე დო მაგიები ით ნაქნარიაო (← მაგებით ← მაგაებით, ს. მოს.)
და სხვ.³ (შდრ.: იმერა.: თმიები ← თმეები ← თმაები...⁴ გურ. და
აჭარ.: ყანიები ← ყანები ← ყანაები... მესხ.: დიები, ძმიები და სხვ.⁵).

-აო- → -ოო- → -იო-: ლოციობენ (← ლოცონობენ ← ლოცაობენ
← ლოცავობენ, დოც-ავ-ს; შდრ. ლიტ. ჭიდაობენ... გურ. ჭიდონ-
ბენ)...

ძალზე მერყევია ასიმილაცია და დისიმილაციაც შემდეგ სიტყ-
ვებში: მიორე⁶ // მივერე // მშვერე // ჩტვერე // მტორე // მშურე // მეტ-
რე // მეორე // მევერე // მევრე; მიორეს დოჭზახეს ისლამავ... მუში-
ობს // მუშობს⁷ // მუშოვს // მუშოვს // მუშუოვს და სხვ.

¹ Н. М а р р, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: ТР., VII, СПб., 1911, გვ. 50, 61.

² ლიტ. მ-თი-ებ-ში დისიმილაცია უნდა გვქონდეს: მ-თე-ებ-ი → მ-თიები,
შდრ. თე-გ-ა, ა-თე-ევ-ს.

³ კაჭურში ეს სიტყვა არ იხმარება სრულიად; შეცვლილია აზერბ. სიტყ-
ვით — „ტანაჩიოვავ“ (← ტანა + ჩი + ოვა-ა: ტანა — ბბო. ტანაჩი — მეხბორე).

⁴ უცვლელი ფორმებიც გვაქვს შემონახული ზოგიერთ სიტყვაში, მაგ.,
რაებით, მილიციაებით, უანდარმაებით და სხვ.

⁵ 6. მარი, იქვე, გვ. 50.

⁶ ი. მაისურა აქე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში:
გორის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1942, გვ. 8.

⁷ შდრ. გურ.: მიორე // მოორე.

⁸ შდრ. გურ.: მუშოვს, ჭიდოოფს და სხვ.



ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის შემდეგ ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლურ კილომეტრული გურია (გურ., აჭარ., რაჭ.: მიეტანა ← მეეტანა ← მოეტანა, დიეწერა ← დეეწერა ← დაეწერა, წიელო ← წევლო ← წაელო, გადიეგლო ← გადეეგლო ← გადაეგლო, გადიეტანა, გიეკეთებია, გიელანძლა, გამიეტანა, ჩამიეგლო, წამიეყვანა... იმერს.: თმიები ← თმები ← თმაები...); იგი გამორიცხული არ არის არც აღმოსავლურ კილომეტრი. მაგრამ საერთოდ, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კილომეტრი ფუძებმოვნიანი სახელების ბოლო ხმოვანს შედარებით იშვიათად მოსდის ასეთ ცვლილება. თითქმის არც ერთი კილო, გარდა ინგილოურისა, ასე ფართო მასშტაბით ხმოვანთა გარკვეულ კომპლექსებთან დაკავშირებულ სუბსტიტუციასა და სრული სახის ასიმილაციას არ გასცილებია.

კითხვა ისმის: რატომ მაინცდამაინც სუფიქსურ წარმოებასთან დაკავშირებით გვაქვს ეს მოვლენა ასე ფართოდ გავრცელებული ინგილოურში და არა პრევერბებთან, როგორც დასავლურ კილომეტრი, ან სიტყვის ფუძეების შიგნით? პრევერბებთან ინგილოური ჯერჯერობით ასიმილაციას არ გასცილებია. ამიტომ პრევერბებში ეს საკითხი უნდა მოიხსნას ინგილოურში. სიტყვის ფუძეებში ასიმილაცია და მსგავს ბეგრათა თავმყრა შედარებით ნაკლებია არა მარტო ინგილოურში, არამედ საერთოდ ქართულ კილომეტრი. ცხადია, დისინილაციაც ნაკლები იქნება აქ. დარჩა ფუძებმოვნიანი სახელების ბოლო ხმოვანი, რომელმაც შეიძლება ასიმილაცია განიცადოს სუფიქსური წარმოების დროს მომდევნო სუფიქსის ხმოვანთან და დისიმილაციაც მოგვცეს შემდეგ.

ჭ 18. თანხმოვანთა დისიმილაცია. ინგილოურში თანხმოვანთა დისიმილაცია პროგრესულიც გვხედება და რეგრესულიც, მაგრამ ფართო მასშტაბით არც ერთია გავრცელებული და არც მეორე. პირველი (პროგრ. დის.), საერთოდ დამახსიათებელია ქართული ენისა და მისი კილოებისათვის, მეორე კი უფრო იშვიათია.

პროგრესული დისიმილაციის მაგალითებია: რ→ლ: არალის (ასე იხმარება თითქმის ყველა კილოში), ორ-ოლი... მ→ბ: ამბაჲ (← || ამმა „მაგრამ“, „ხოლო“)... თ→ტ: დაფტარი (←დაფტარი,

¹ ასე იხმარება მხოლოდ ქოთუქლოში. სხვაგან კი ყველგან უდისიმილაციიდ გვაქვს (ამმა). ეს ფაქტი ცნობილია აზერბაიჯანულში. არაბულმა Ramamal-მა აზერბაიჯანულში Fāmbal-ი მოგვცა.

дэфтер „рүзүүлө“, үллюк), сиңгүрүн (\leftarrow || сиңгүр)… бүтээгдэх: таат-
даажаа (\leftarrow таатдаажаа \leftarrow таатдаажаа, тапмача „гаамыцаан“). **Түүхийн түүхийн**
рүзүүлэсүүлээ дөслийн түүхийн магадлолында: шүүжүүлэхийн
(\leftarrow доггуз „జీబ్రా“)…

§ 19. მეტათეზისი. ვინის მეტათეზისი ცნობილია არა მარტო კილოგრამი, არამედ სალიტ. ქართულშიც. „განსაზღვრულ ბერძნობაში დღეს ქართულში ვინს არა აქვს თავისი მტკიცებულება“¹. ამის გამო ბერძნობა განსაზღვრულ კომპლექსში თავის საკუთარი სახე ვერ დაუჭირია². მის გადანაცვლებას რ, ლ და ნ ბერძნების სონორობას უკავშირებენ. გადასმა ხდება შემდეგ კომპლექსებში: „labialis, dentalis, gutturalis + რ, ლ, ნ+ხმოვ. → lab., dent., gut.+გრ, გლ, გნ+ხმოვ.“²

ქართული ენის ზოგადი კანონი ინგილოურში დაჩრდილულია, რაღაც აქ ვინის მეტათეზისი დამკიდებულია უმთავრესად სხვა მიზეზებზე.

ეს მიზეზები ჩევნ ზევით (ბეგრათა სუბსტიტუციასა და უმ-ლაუტებთან დაკავშირებით) გაფარვიეთ და დავინახეთ, რომ ინ-გილოურში უმარცვლო უნისა და ვინის გადანაცვლება ხდება იმისდა მიხედვით, შეუძლია ოთხ არა მას მეზობელ ბეგრასთან შერწყ-მა და ახალი ბეგრის მოცემა ინგილოურში ორსებული წესის მიხედ-ვით³ (აქნუთავ ← აკუნითო, შეზრო ← შეზრუა ← შეზრა ← შე-ცუერა-ა, ჩინ დიდ სოფელ გომოვგარით ← გომოვიარეთ და სხვ.).

სპორადულად გხვდებით გარდამაგალ საფეხურსაც: გაღანაც-
გლება მომხდარა, მაგრამ უმღაუტი არ მოუკია: დოჭუკლეს ცხრიუებ
(ოლიაბ.) და სხვ.

Мეტაтეზისის სხვა შემთხვევების საილუსტრაციოდ შეიძლება შედეგი მაგალითების დასახელება: ნ-ლ-ნ: ბლენ (\leftarrow ბნელი), აბლენებდა, დაბლენდა, სხლინში (\leftarrow სხნილში \leftarrow ქსნილში)... ლ-რ-რ-ლ: დაათორიალა (\leftarrow „დაათრალიერა“), ტალერკა (რუს. „тарелка“), ტალერკები (\leftarrow || ტარელკები), ზრიან (\leftarrow ზრიალ \leftarrow ზრიელ \leftarrow ძლიერი⁴)... ნ-რ-რ-ნ-ნ: ფარანი („фонаръ“)... ბპ-ბპ: შაამბელი⁵,

¹ გ. ა. გვ. დ. დინი, „მარცვლის“ საკითხის გამო: ქურნ. მომავალი, № 2, ტფილისი, 1921, გვ. 10—12.

² ib., 83. 12.

³ გვაქვს „დანაცლილიანებულ“ 182,3; მაგრამ ეს უფრო სწორი უნდა იყოს წარმოების მიხედვით, ვიდრე „დანაცლილიანებული“. „ნაცლელი, ნალველი“, „ნაცლიანი, ზანაცლლოსანი, რომელ არს სევდიანი“. ძველ ქართულში იყო და საბას აკვთ შეტანილი ლექსიკონში.

⁴ შედ. ანნ. ჩიქობავა, გარე-კანეთი დიალექტოლოგიურად: კრებ. არიოი, ტეილოისი, 1925, გვ. 71.

დამბული (შდრ. გურ.: შესამბელი, დამბული და სხვ.)... **ლუ**→
ფლ: ჩიფლაყი (←ჩილფაყ, ყალყა “ტიტველი”)... გზ→ზე:  გავნა (←“გაგზავნა”), ზგავნის, მე გამაზგავნა, ზგა (← || გზა)¹... ზერ
 ლი (←გზელი←გრძელი), სიზე (←სიგზე←სიგრძე), აზგელებენ...
მგ→გმ: გოგმიგზავნიყე (|| გოგმიზგავნიყე←გომგიგზავნიყე←გომ-
 გიგზავნიყე ←გამოგიგზავნიყე, ალიაბ.), შენ ერ თოლს გა გ მ ი ღ ე ბ
 (← გამგიღებ ← გამოგიღებ), აგმიგსიგი (← ამგიგსია ← ამოგიგსია),
 საათიაც ა გ მ ი ყ თ ნ ი ჩემ თავ, წავ იქავ (← ამგიყონია←ამოგიყონია←
 ამოგიყვანია). გოგმიყონ (←გომგიყონ←გომოგიყონ←გამოგიყვანე) ...
ღღ→ღღ: ღღელ (ალიაბ. || ღღელ, კაკ.)... ხე→ეს: ქსელი (←სქელი)...
ჭხ→სხ: სხნის, გასხნა, სხლინი (←ჭნილ)... ჭშ→ხშ: შხირად...
 ქს→სხ და ჭშ→შხ დამახასიათებელია მეგრულისათვის ქართუ-
 ლიდან ნასესხებ სიტყვებში² და არაიშვიათია ქართულის დიალექ-
 ტებიც³.
 ინგილოურში რაე და ხმოვანიც იცვლიან აღგილს: გარ→გრა:
 გრა მულ დოუკარ („გარმონი დაფუკარი“)... რცუ: ლურბელ
 (←ლრუბელი), ტურბად (←ტრუბად, რუს. трубы), ტურბებ და სხვ.
 (შდრ. ზრუგი || ძრუგი←ზურგი, ლურბელი←ლრუბელი... ჩლუქი←
 ჩულქი... გირგალი←გრიგალი, გირგოლ←გრიგოლ, გირგოლა და
 სხვ.).

ბ გ ე რ ა თ ა დ ა კ ა რ გ ვ ა დ ა ჩ ა მ ა ტ ე ბ ა

§ 20. ბგერის დაკარგვა გავრცელებულია ქართველურ ენებში.
 დიალექტებში კიდევ უფრო ხშირია ეს მოვლენა. ამ მხრივ ინგი-
 ლოური არ „ჩამორჩება“ არც ერთ ქართულ დიალექტს. აյ ხშირად
 იკარგვის როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი. ზოგიერთის მიმართ
 გარკვეული წესის გამომუშავებაც კი შეიძლება.

§ 21. თანხმოვანთა დაკარგვა

a. სანის დაკარგვა

ინგილოურში (განსაკუთრებით კაკურში) სანი თითქმის ყო-
 ველთვის იკარგვის, როცა ის აფიქსის შემაღენელი ნაწილია; სა-
 ხელდობრ:

¹ „გზა-ში“ მეტათეზისს ვწყდებით თითქმის მარტო მოსულში, თუმცა
 ალიაბათურში სხვაგანაც შეიძლება, წავ-შედეთ. კაკურში კი ყველა სოფელში
 ყოველთვის სწორად ამბობენ ამ სიტკვას („გზაა“, რაგრამ მისგან ნაწარმოებ
 სიტყვებში კი გვაქვს მეტათეზისი („ზგავნის“ და სხვ. ი. ზევით).

² გ. თოფურია, ფონეტიკური დაკარგვებანი ქართველურ ენებში, III,
 კ და ს სიბილანტ-აფრიკატებათა ბეზობლობაში: საქ. არქ., წიგ. II, ტფილისი,
 1927, გვ. 180.

³ გ. თოფურია, იქვე, გვ. 180, შენიშვ. 1.

ა) სანი იყარგვის (კაკურში თითქმის ყოველთვის და აღია-ბათურში¹ ზოგჯერ), როცა ის მსახლეობრივი სიტყვის ნაუკურტებული -თუნ თანდებულები არ დაერთვიან²; მაგ.: კაკალი წარჩე, ბებ-რი შულ, კარებისირჩე, კამები დაახებნელა (ალიაბ.)... ხი ზირჩე, ტყი პირჩე, ზროხა ნაჭამ გადაა შომოსულ სოფელში („ძროხის მჭამელი ბიჭი შემოსულა სოფელში“), მელა მუცლი ტკივილიც ეს ყოფილ 182,6 და სხვ.

აქ მოყვანილი მაგალითებიდან მხოლოდ ზოგიერთში შეიძლებოდა ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგულიყო ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სანი. უმრავლეს სიტყვებში კი ამ ბრუნვის სანის დაკარგვა წარმოადგენს სინტაქსურ მოვლენას; გამოწვეულია ფსიქოლოგიური მომენტით და წილი მიეძღვის სიტყვის მნიშვნელობით მხარეს — ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთცნებიანობას, რომელიც იწვევს მას გაკომპოზიტებისაკენ. ანალოგიური მაგალითებია სხვა კილოებშიც.

ბ) სანი იყარგვის მთელ ინგილოურში, თუ ის მყოფადის მიმღების მაწარმოებლის (სა-ს) ნაწილია და მოქცეულია პრევერბის ხმოვნის შემდეგ; მაგ.: მააკდომელ (\leftarrow მოსაკუდომელი), გააცოცხლებელ, მააქნოლ, მააკლალა, მააცემელა, მააღებელა, დააწერელა, მაასული ვარ (ალიაბ.) || მაასლო ვარ (კაკური), წააყონი ვარ (ალიაბ.) || წააყონე ვარ (კაკური), მააღები ვარ (ალიაბ.) || მააღებუფარ (კაკური) \leftarrow || მააღებე ვარ, კაკ.), მე იმი თავ დააჭერი ვარ (ალიაბ.) და სხვ.

აქ აუცილებლად დიდი წილი მიუძღვის სიტყვის ფონეტიკურ მხარეს: სანის დაკარგვით შესაძლებელი ხდება ორი ბერების („აა“) გამოთქმა სამეტყველო სიმების ერთი შემართვით.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე (მხოლოდ კაკურში) აგრეთვე მაშინ, როდესაც ბოლოხმოვნიანი სახელი ან ზმნიზედა მოცემულია მიცემითი ბრუნვის ფორმით და მას დაერთვის ემფატიკური ა³; მაგ.: იმააც უთქომ (\leftarrow იმასაც) ... ღამიაც (\leftarrow ღამესაც), დღიაც ველოდევ (“დღესაც ველოდები”) და სხვ.

¹ ალიაბათურში კი სანმოკეცილი ნათესაობითის პარალელურად ხშირად იხმარება სრული ფორმის ნათესაობითიც: კალი ის ნანდომ ბიჭი, წყლი ის ქობი, ხალყი იმის სანახელა მივა და სხვ.

² -თუნ თანდებულის დართვის შემთხვევაში ინგილოურშიც ისევე, როგორც სალიტ. ქართულში, სრული ფორმით გვნახვება ნათ. ბრუნვა. -გან თანდებულის დართვის დროს კი ს გადადის ზ-ში ასინილაციის გზით (ი. ზემოთ).

³ ემფატიკური ანის დართვა კი შეიძლება გამოწვეულ იქნეს -ც- ნაწილაკის დართვით.



გ) აგ და -აგ ფუძიანი ზმნები ყოველთვის კარგავენ პირის
ნიშანს სანს თურმეობით პირველში¹ მთელ ინგილოურში: მოტექლები
(←მოუკლავს), დოტექლავ, შეტერავ², უნახავ, მოუწნავ, უთქომ და
სხვ. (შდრ. ხევს.: მაუკლავ 152,27, რო შამაუკრავ გმალი 159,28,
ამაწეულ უნახავ 160,25, შაურტყამ გმალი 160,28, უთქომ 152,30³...)

დ) აგრეთვე ყოველთვის იყარგვის პირის ნიშანი სანი საშა-
ლი გვარის -აგ-იან და ამ-იან ზმნებში: მზინავ, მინგავ, მყავ... მაქ.
(კაკ.) || მაქო (ალიაბ., „მაქვს“), გაქ (კაკ.) || გაქო (ალიაბ.), აქ (კაკ.)
|| აქო (ალიაბ.), გოქ („გვაქვს“) და სხვ. (შდრ. გურ.: მაქ, გაქ,
აქ, გვაქ... ხევს.: მყავ 191,12... კახ.: მყავ, გავ, აქვს || აქ⁴...
ქართლ.: მაქ, გაქ, მძინარ, მიჭირამზ და სხვ.

ე) სხვა შემთხვევაშიც ეხვდებით სანის დაკარგვის მაგალითებს,
მაგრამ მას არა აქვს სისტემატური ხასიათი. შეიძლება ზოგჯერ
დაიკარგოს მიცემითი ბრუნვის სანი⁵ ბოლოთანხმოვნიან ფუძეებ-
თან; მაგ.: ამ ბიჭს ჰარ დილაზე ფლავ უკეთებენ, ზედაც უზოლო
ქორც ადებენ (ალიაბ.), მოლლამ უთხრა ამ ბიჭ (ალიაბ.) და სხვ.

ასევე ზოგჯერ იყარგვის ეს ჩვენებით ნაცვალსახელშიც სანი.

„სწორია“ სიტყვის თავკიდური სანი თითქმის ყოველთვის
იყარგვის (წორია, წორი).

სშირად იყარგვის აგრეთვე თავკიდური სანი „სპარსეთ“ სა-
ხელში და სუფიქსისეული სანი „არის“ ზმნაში (ეს უკანასკნელი
შეეხება მხოლოდ ალიაბათურს).

სხვაგან ინგილოურში თითქმის არც ეხვდებით სანის დაკარ-
გვის მაგალითებს თანამედროვე სალიტ. ქართულთან შედარებით.

სანის ა-დ დასუსტების შემთხვევები გვაქვს (კაკურში) ხმოვნის
შემდეგ, როცა ის მიცემითი ბრუნვის ნიშანადა მოსალოდნელი; მაგ.:
გუგრავ შინ მინ წალენეს? („გოგრას შინ ვინ წიოლებს?“),
დროვ ეზევის („დროს ეძებს“), ბატარა ზმავ ცოტა ღუნრა ლევს
ერ კავ დევაა (|| ერ კავ დევას) აზლევს („ერთ კარგ აქლემს აძ

¹ დღოთა I სერიაში კი სანი არ იყარგვის: დაგლოცავს, დაპუარავს, დაგ-
ლუპავს, ნახავს, შეპხედავს, ჰელავს...

² უფრო ხშირად იხმარება: „შაუკრავ“.

³ ბ. გაბუური, კვესურული მასალები.

⁴ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთა დიალექტოლოგიურად, გვ. 68.

⁵ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 133.

6 კაკურში კი მხოლოდ სპორადულად შეიძლება წავაშყდეთ მიც. ბრუნ-
ვის სანის დაკარგვის შემთხვევებს (იხ. მორთ. ნაშ.).

ლევს“), იწყოეს სახლ და დგმა („იწყებს სახლის დაგმას“), ის ხე კრის და სხვ.

სანის დასუსტება და დაკარგვა ჩვეულებრივია კილოებში, განსაკუთრებით ქართლურსა¹ და კახურში². ქიზიყურში სანის დაკარგვა ყველაზე შორს წასულია. არნ. ჩიქობავა ქიზიყურის ხანის შესახებ შემდეგ დასკენას იძლევა: „ნათესაობითი ბრუნვის ს სუსტდება და ა-ს გვაძლევს ან სულ იკარგება... მიცემითს ბრუნვაში - ს იკარგება თანხმოვნის შემდეგ... სუსტდება ა-დ ხმოვნის შემდეგ... ზმის უღვლილებაში - ს სუსტდება ე, ა, თ ხმოვნის შემდეგ და ა-ს სახეს იღებს“³.

b. დონის დაკარგვა

ა) ინგილოურში (განსაკუთრებით კაჯურში) და თითქმის ყველგან დაკარგული ჩანს ვითარებით ბრუნვაში: წატედა საზებნელა, მაატყუშებელა, დააჭერელა, წითლა, დააზინებლა, წაყონელა || წააყონლა, მააჭრელა და მისთ⁴.

ეს მოვლენა, როგორც სისტემა, გატარებულია მთელ კაჯურში; არც ალიაბათურშია იგი მაინც დამაინც დარღვეული.

ანალოგიურ მოვლენებს ვხვდებით, ოუმცა სპორადულად, გურულსა და იმერულში (მაგალითად, ძირფესვიანა, ცოლშვილიანა და სხვ.) და აგრეთვე ძველ ქართულში (მაგ., ჯოჯოხეთა, სალოცველა, სალიდებელა, მოუკლებელა, საბერძნეთა, სივნიეთა, თოშეთა⁵...). „თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც ზმისართების წყება ა-ზე ბოლოვდება: მაღლა, დაბლა, ახლა, ნელა, ჩქარა“⁶...

„მეგრულში გარდაქცევითი ბრუნვისათვის თანხმოვნზე დაბოლოებულ ფუტებთან - თ იხმარება: კოჩორიმოჩქუდუ=კაცად მიმაჩნდა“⁷ და სხვ.

„მეგრულის ეს თ ქართულისათვის ა-ს გვავარაუდებინებს“⁸.

¹ ვ. თ თ ფ უ რ ი ა, ქართლ., გვ. 129—130, 132—133, 144—145.

² არნ. ჩ ი ქ ა ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალ., გვ. 55—69, 75—76.

³ არნ. ჩ ი ქ ა ბ ა ვ ა, სანის დასუსტება ქიზიყურში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 67—68.

⁴ ამ ბრუნვისაგან მიღებულ ზმისართებშიც არა გვაქვს დონის: მაღლა, დაბლა, კარგა, კოლა (—კუალად) და სხვ.

⁵ მაგალითები ამოღებულია არნ. ჩ ი ქ ა ბ ა ვ ა ს ნარკვევიდან, რომელიც მან სპეციალურად ვითარებით ბრუნვას უძღვნა ქართველური და ხალდური ენების ურთიერთობასთან დაკავშირებით (მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკი-ს მოამბე, I, 1937, გვ. 17).

⁶ ib., გვ. 18.

⁷ ib., გვ. 17.

⁸ ib., გვ. 17.



ზემოთქმულის შემდეგ ინგილოურში ვითარებითი ბრუნვის დონის დაკარგვის საკითხი კითხვის ქვეშ უნდა დადგეს. შესაძლებელია, რომ ინგილოური ამ შემთხვევაში ისტორიულად ემთხვერდეს მეგრულს და ვითარებითი ბრუნვის ნიშანად ბოლოთანხმოვნიანებთან იყენებდეს მხოლოდ ა-ს (უფრო ვრცლად იხ. მორთვაში).

ბ) სხვა შემთხვევებში კი დონის დაკარგვის მაგალითები მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში გვაქვს; მაგ.: სა წასლოლია? მოხ! შიგ შავ! და სხვა (შდრ. გურ.: სა იყავი? მოი! წაი! შეი!..).

სპორადულად ვხდებით: შენ არ მოჰკი („მოჰკუდი“, ალიაბ.), ჩნ ების („ჩნდების“, ს. ალიბეგ.), ვაგონებზე შევსხეთ (\leftarrow || შევსხედით, ალიაბ.) და სხვ.

c. გინის დაკარგვა

უმარცვლო უნისა და ვინის რეფლექსები ზემოთ განვიხილეთ. როგორც დავინახეთ, ინგილოურში უმარცვლო უ და ვ მრავალფეროვანი რეფლექსებით ხასიათდება.

ა). თანხმოვნებს შორის მოქცეული და ბოლოკიდური ძევლი ქართულის უმარცვლო უ ინგილოურში დაიკარგება იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ შეუძლია ინგილოური წესის მიხედვით უმღაუტის ან ო-ს მოსაცემად გადანაცვლება; მაგ.: ამააქს (\leftarrow ამააქუს), თაგ (კაკ.), დათ (კაკ.), ხახ (\leftarrow ხახ, კაკ.)¹ და სხვ.

ბ) თანხმოვნებს შორის მოქცეული კბილბაგისმიერი ვინი იზიარებს თანხმოვნებს შორის მოქცეულ უმარცვლო უ-ს ბედს, ოლონდ იმ დამატებით, რომ ის შეიძლება დაიკარგოს (უმთავრესად ალიაბათურში) ზოგჯერ იქაც კი, სადაც ინგილოური წესის მიხედვით შესაძლებელია მისი გადანაცვლება და უმღაუტის ან ო-ს მოცემა; მაგ.: შაყრილიყნენ, ეყნენ („იყვნენ“), ეხლა დევ მაას-ლელია და სხვ.

გ) თანხმოვანსა და ხმოვანს შორის მოქცეული ძვ. ქართულის უმარცვლო უ იყარგვის უმეტეს შემთხვევაში იქ, სადაც ის არ გვაძლევს უმღაუტის. ღ და უ ხმოვნების წინ კი ჩვეულებრივ იყარგვის არა მარტო ინგილოურში, არამედ საერთოდ უმრავლეს დია-

¹ ალიაბათურში კი ბოლოკიდური უ (უმარცვლო) ზოგჯერ არ იყარგება და სახელობითი ბრუნვის ნიშანთან შერწყმით გვაძლევს უ-ს, მაგ., თაგუ, დათუ და სხვ.

ლექტიში და მც. ქართულშიც. ა-ს, ე-სა და ო-სთან მან უნდა მოგვიცეს ახალი ბერძნი. მაგრამ ზოგჯერ ირლევა ეს წესი აღმართულში და კიდევ უფრო იშვიათად კაკურში) და უნიკურულში გვის უპალოდ; მაგ.: ხევს ამას თეთრ სუთრაში („ხევეს“), ჩინარს შომოჲ ხევნი გრლ („შემოახევევია“), და ახ ხივ კლივზე („დაიხვივე მქლავებზე“), ყელზე ეხევის („ეხვევის“), ვერხის ხევ... შემოახევნი 196,17 და სხვ. (შდრ. ფერეიდნ.: ლედი, ქეშაბები, ქევრი¹...).

ეგვევ შეიძლება ითქვას კბილბაგისმიერი გინის შესახებ, რომელიც თანხმოვნის შემდეგ წყვილბაგისმიერდება და იზიარებს უმარცვლო უნის ბედს; მაგ.: ოამეტ ოთალი, რეტლ (ქა., შდრ. გურ. რეული), ინახენ, მარხენ, ნახენ, ხედენ, დევდენ გელები, ბეჭდის გაყიდა² ვირწყდება, ამ ბიჭი კითხებით (აღიაბ.), იპარენ 191,25 (შდრ. ი-პარ-ავ) და სხვ.

ღ) ს₁ გ -ოვი- და -ოვა- კომპლექსებში ყოველთვის იკარგვის კაკურში (მეორეს იზიარებს აღიაბათურიც):

-ოვი- → -ო- → -ოვ- : მოვთხოვო (← მოითხოვო ← მოვითხოვო), მოვყონო, მოვღო, მოვღ [მე] და სხვ.

გინის დაკარგვის ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს ფერე-იდნულში, კახურ-ქიზიყურსა და მთიულში³.

-ოვა- → -ო- → -უა- : შუმუავლო (← შომუავლო ← შომოავლო ← შემოვავლო), უმუაზრო... (§ 6; შდრ. ფერეიდნ.: გამუაზრით („გამოვაზრით“), მუამბილეყე („მოვამბილეყე“), მუაკრინე („მოვაკრინე“)... მსგავსი მოვლენები გვაძეს გურულში, იმერულში, აჭარულსა და სხვაში.

ამ კომპლექსში ფუძისეული ვინიც ჩვეულებრივ იკარგვის ინგლოურში, მაგ., გუმუარდნილგა! (← გამოვაზრითა) და სხვ.

ე) ს₁ გ პრევერბისეცული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ ყოველთვის იკარგვის კაკურში ხმოვანთა შემდეგ კომპლექსში: -ავი- → -ოვი- → -ო- → -ოვ- : დოვზინ, დომჭირ, დომჭირით, დოვნას, წოვყონო, წოვღ, თვლ, თვტანო, თვმენო...

-ევი- → -ოვი- → -ო- → -ოვ- : შოვტან, შოვკარ, შოვყონ, შოვნახო, შოვნახით...

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 203.

² შესაძლებელია, რომ აქ არც გაჩენილა ვინი მასდარში (შდრ. ჭრა-ჭრის, ყიდა—ყიდის) და, ცხადია, ვირც დაიკარგებოდა. ლიტერატურულში კი აქ ვინი მოგვევლინა მასდარში (ყიდვა-გაყიდვა, შდრ. გაყიდა).

³ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნ., გვ. 202.

⁴ იქვე, გვ. 201—202.



-ოვა- → -ოვა- → -ოა- → -უა- : შუავლო, შუაგდო...

-ავა- → -ოვა- → თა- → -უა- : ჩუაგდით, გუაქეთებ („გაფაშერის უძინას“); გუაპირით მენ და ჩემ აოლდაშევმა, ღდელიბე ტრგული მინას; წუალდით...

ვ) ფუძისეული გინის დაკარგვის შემთხვევები გვაქვს მთელ ინგილოურში ხმოვანთა შემდეგ კომპლექსში:

-ოვე- → -უე- : აგრუებდა... (§ 6).

-ოვო- → -აო- : არ გააჩაო („გაამხილო“)...

-ივო- → -იო- : ჩიოდა, ქუად აქ გადამაქციო (← გადამაქციოვო... შდრ. გურ.: ჩიოდა, ციოდა...).

-ივე- → -ე- : განაჩივე/ებ (← განაჩივებ)...

ბანისაგან მიღებული გინი¹ მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს გინის ბედს ინგილოურში. იგი იყარგვის მხოლოდ უნის წინ, როგორც საერთოდ (იყარგვის გინი) ქართულ ენასა და მის კილოებში; მაგალითად, ბ → ბ → ი : დაღონეტული¹ (← დაღონევული ← დაღონებული), დაფიქრეტული² დგას (← დაფიქრევული ← დაფიქრებული), დაბრუნეტული¹ (← დაბრუნევული ← დაბრუნებული), გამათეტლან (← გამათევულან ← გამათებულან „გაკვირვებულან“), შაწუხულან (← || შაწუხეტლან ← შაწუხევულან ← შეწუხებულან), გაბრალეტლან (← გაბრალევულან ← გაბრალებული) და სხვ.

თითქმის ყველა შემთხვევა გინის დაკარგვისა შეტ-ნაკლებად დადასტურებულია ზოგიერთ სხვა კილოებშიც, მაგრამ არც ერთ კილოში, გარდა ინგილოურისა, არ გხვდებით ყველა ამ მოვლენას ერთად.

d. ლასის დაკარგვა

ალიაბათურში უფრო ხშირად იყარგვის ლასი, ვიდრე კაკურში. პირველში მისი დაკარგვა მოგვაგონებს ლასის ბედს გურულში, სადაც ის ორ თანხმოვანს შორის ყოველთვის იყარგვის. კაკურში კი ჯერჯერობით მერყეობას აქვს ადგილი ლასის დაკარგვაში. ვხვდებით ზოგჯერ პარალელურ ფორმებსაც ერთისა და იმავე კაცის შეტყველებაშიც კი (მაგ., სახლში || სახში)². ალიაბათურში, როგორც გურულში, სისტემატურად იყარგვის თანხმოვანთა შორის

¹ წყვილბაგისმიერი ბანი ნაწილობრივ კარგავს ბაგისმიერობას და იქცევა კბილბაგისმიერ ვ-დ.

² მ. ჯანაშვილისეულ ტექსტებში ლასი გვაჩვს ისეთ სიტყვებშიც, როგორიცაა: აკლდა 204,10, სახლს 205,15 და სხვ.


ლასი; მაგ.: გაყურეთდა, დააკდა, (|| დააკტი), სახდებიან, იჭირენ
ერ ს ა ს ს ქირადეთი, სახში, ცეცქში, ცეცხთან, ვაშჩე, ვა შესრულებულ
ს ი ს ს ს გაპყო, წაბს („წაბლს“), თაფს („თაფლს“), შუფში („შუმრილ
ში“), შინაუროვად იმი იშილით ნაჲ ტევ (← ნაპთტევ ← ნაპთდევ ←
ნათლდების) და სხვ. (შდრ. ძვ. ქ.: ხლდომა → ხდომა → ხთომა ||
ხტომა).

ლასის დაკარგვას ხმოვანსა და თანხმოვანს შორის კაურსა
და ალიაბათურ პი გხვდებით მიმღეობებსა (ზოგჯერ) და სხვა ზო-
გიერთ სიტყვაში; მაგ.: ქნიხარა? (← ქნილ ხარა?), საქნეხარა (← სა-
ქნელ ხარა?), დაანახეხარ, ჩემშე და დგ მე ხართ სახლემ, შენ
დამშროხარ, მოსუხხარ... სუ მუდამ, სუ ცოდნია და სხვ.

ლასის დაკარგვით ალიაბათური გვერდით უდგას გურულს,
ხოლო კაკური—კახურსა და ქართლურს.

მ. ჯანაშვილისეულ ტექსტებში (ხმოვანსა და თანხმოვანს
შორის) მხოლოდ ორ სიტყვაში („სუ ცოდნი“ 190,21; „ხემწიფევ“
188,23) გხვდებით ლასის დაკარგვის შემთხვევას.

e. რაეს დაკარგვა

რაე ინგილოურში, როგორც გურულში, თითქმის საესებით
იზიარებს ლასის ბედს: ყოველთვის იკარგვის თანხმოვანთა შორის
და თანხმოვანმომდევნო თავკიდური რაც; მაგ.: გოხზდებოდი (← გა-
ვიზრდებოდი), დამჩა (← დამრჩა), კაცი გული შეფთხა (შდრ.
ფრთხ-ილი), ზგელი (← გრძელი), სიზე (← სიგრძე), ბზანებით
(← ბრძანებით), ტყელ-ტყელი (← ბრტყელ-ბრტყელი)... ქადა
(← რქად), ქებით, ჩებოდა, კინაძა, წყილი, ზელ (← რძე), ზალი (←
რძალი), უული (← რჯული) და სხვ.

სხვაგან (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, თანხმოვანსა და
ხმოვანს შორის, ხმოვნის წინ სიტყვის თავში და ხმოვნის შემდეგ
სიტყვის ბოლოში)¹ რაე იკარგვის მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში
და ისიც ზოგჯერ; მაგ.: მოპასტსუკან ჩახედა სარკეში (← მოპარ-
სების უკან, ალიაბ.), შენუმ (← შენ+რომ, კაქ.), მემღან (← მერმე-
ღა), როგო დაპჩა (← || დაპრჩა), აბია? (|| აბეა? || პაბია? || ჰაბეა? ||
გაბია? || გაბეა? || რაბია? || რაბეა? კაკური), ახეა? (|| ჰახსა? || გახსა?
|| რახსა? კაქ.) და სხვ².

¹ ხმოვანთა შორის კი არ იკარგვის არასდროს.

² არსებობს აზრი, რომ „რაე მეტად სუსტი ბგერაა და ინგილოურში
ძალიან ირყევა, თითქმის გაქრობის გზაზეა დამდგარი“ (სტ. მენთეშაშვილი,



სხვა შემთხვევებშიც ვხვდებით თანხმოვანთა დაკარგვის მაგალითებს და ამით ბერათა კომპლექსების გამარტივებას:

ბ → ი: წკინავს (// სწკინავს „ბრწყინავს“, იხ. ზემოთ), შემუშავებელი მა (სპორადულად, ალიაბ...)...

ზ → ჟ: ერ კუნჩე დავე (ალიაბ. ← კუნჩე ← კუნძე)...

გგ, გპ → გ, პ: მე გონივარ¹, მე კითხავ (← კკითხავ ← გკითხავ)...

ანალოგიურ მოვლენებს ვხვდებით გურულსა და სხვა კილოებში.

ჭ → ქ: კაკალ ქოაც კაც ბუღალ ყოფილ (← ქოშაც ← ქუეშაც), ხე ქო დამარხა, ამღამ ყარაულ ლელექ ქათმევ ქო...

ქ → ხ: მახმადამ ხანჯალი ჩომოუნივა (ალიაბ., სპორადულად), ჩომოუნევს გააჭრელა შიშკას (ალიაბ., სპორ.)...

ყ → ი: შენ ცოტა უკანაყივი (ს. ქოთ., სპორ. ← უკანაყ+იყვი ← უკანაყ+იყავი ← უკანაყენ იყავი)...

თ → ი: ერ (← // ერთ), რამეტი² (ალიაბ. ← თრამეტი←თრევამეტი ← ათრევამეტი), აგე (← აგეთი), ეგე ტკბილ რამე არ მეჭამა (ალიაბ.), მიდიან ერ ფინ (// ფინთ) ზალლებიან ადგილში (ალიაბ., აზერბ. პინთ „ბინძური“; შდრ. გურ.: ფინთი ადგილია, ფინთი ძალლები ხავს და სხვ.), კეჭტევ (კაჭ.) // კეჭტება (ალიაბ. ← კეჭთტების ← კეთდების), ნაძტევ (კაჭ. ← ნათოტევ ← ნათლდების) და სხვ.

-ვით თანდებულის თ თითქმის ყოველთვის იკარგვის ინგილოურში.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თ ჩვეულებრივ მაშინ იკარგვის, როცა საქმე გვაქვს ფუძის განმეორებასთან³ ან -ვე ნაწილაკის დართვასთან; მაგ.: მოლის კნოში ი-ქნოში 187,28, მოლის მოკითხი-მოკითხის და მოკითხის გარბენი-გარბენი რბენი წოუდა... ქაჩალმა იმ ღამივე ბეჭედ ყბაში ჩადო და მისთ.

გ → ი: ზეც, ღდელი, ქევეც („მევავე“) და სხვ.

ჰაემეტობა ინგილოურში: საჭ. სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940, გვ. 201). ინგილოური მასალები ამას არ ადასტურებს. რაე იჩენს „სისუსტეს“ და „მერყეობას“ (რ → გ → ჰ → ი) მხოლოდ ნაცვალსახელებში და „რომ“ კაგშირში (სიტყვის თავში ხმოვნის წინ): ჰაეთონ // რაეთონ, ჰადსა? // რადსა? ჰემენ // რუმენ, ჰუმ // რუმ და მისთ). სხვაგან კი რაე არავითარ მერყეობას არ იჩენს და ჩვეულებრივი რისმის სიტყვებში: ერ // ერთ, კტრლცხი, ვიცივარ, ცხორი, ღორი, კარი, რამეტი⁴ და სხვ.

¹ აქ დაყოვნებული კ ისმის.

² გვაქვს აგრეთვე „ჭშტლეტ“ (← თშტილეტ←ათშუიდმეტი).

³ ფუძის განმეორებისას ლიტ. ქართულშიც იკარგვის თანი, მაგრამ არა ორსავე ნაწილთან, არამედ პირველთან.

აგრეთვე იხმარება თავკიდური შანის გარეშე შემდეგი სიტყვები: კოხეძი ("მკვახე"), წონეძი ("მწვანე"), თაძი ("მთავარი ჰელისტი"), ("მთელი"), ტრედი ("მტრედი"), კლავი ("მქლავი"), რაზე უძლეს და (207.13) და სხვ.

ეს სიტყვები ამ სახით იხმარება კახურში, ფერეიდნულში, ქართლურში, გურულსა და სხვა კილოებშიც. ბევრ მათგანს შესატყვისი მოეპოვება მეგრულში. გარეკახურის თავისებურებათა განხილვისას არნ. ჩიქობავა წერს: „თანამედროვე სამწერლობო ქართულის თვალსაზრისით თავკიდურ თანხმოვანთა დაკარგვის შთაბეჭდილებას სტოვებს სიტყვები თა (=მთა), ტერი (=მტერი), „ტრედი“ (=მტრედი), „ხარე“ (=მხარე), „შეილდი“ (=მშეილდი); ნამდვილად კი, ამ სიტყვებს თავკიდური შანი არ უნდა ჰქონოდა“¹.

ვ. თოფურიას აზრით, „ტერი, კლავი, რგვალი, ხალი“ და მისებრ სიტყვებს [ქართული ჯაგუფის ენათა — გ. ი.] განცყოფის შემდეგ უნდა გასხენოდა მ, როგორც ამას მეგრულ-სვანურთან შედარება გვიდასტურებს. მაგრამ ძველს ქართულში მათი შანით ხმარება გვიჩვენებს, რომ იგი დიდიანია რაც სახელებს დაკროვია. ამის დასამტკიცებლად სათანადო მაგალითები დღესაც საკმაოდ მოგვებოვება, მაგ.: ცელი ქართულის „შენიერი, ტრედი“ და სხვა ახალს ქართულში შან-დართული მოგვევლინა“².

იხმარება „წიგნ“ (კაურში), მაგრამ — ში თანდებულის დართვისას ნარი იკარგება („წიგში“). ნ არ არის აგრეთვე „გოუჩიდება“ ზმნაში (ალიაბ.): „დიდ ზმას ბიჭი გოუჩიდა“ (ალიაბ.) და სხვ. ასევე უნაროდ არის ეს სიტყვა წარმოდგენილი პრევერბის დართვისას რიგ დიალექტებში (კაურში, გურულში და სხვ.).

სამწერლობო ქართულთან შედარებით აქ ნარი დაკარგულად გვეჩვენება. მაგრამ შესაძლებელია, რომ სამწერლობო ქართულში გვქონდეს ნარის განვითარებასთან საქმე და დიალექტებში კი არქაული ფორმის შემონახვასთან ამ სიტყვაში³. თუმცა ძველ ქართულში ორსავეს გხვდებით⁴.

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70.

² ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 134.

³ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტი, გვ. 69; შდრ. მისივე, მესამე პირის სუბ. უძე. ნიშ. ქართვ. გნებში: ენიმეი-ს მოამბე, V—VI, 1940, გვ. 13—42; ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუუიქსაციისათვის: ტფ. სახელმწიფო უნ. შრომები, III, 1936, გვ. 227—233; მისივე ნ და ს ფენებისათვის ქართვ. ენებში: საქ. სსრ მცცნ. აკად. მოამბე, II, № 1—2, 1941, გვ. 189—195; მისივე, ქართვ. ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, ენ-, მ- — არ, სე-, -აქა აფიქსებისათვის; თბ. სახელმწიფო უნ. შრომები, ტ. XV, 1940, გვ. 41—45.

⁴ ქ. ქართულში ორსავეს გხვდებით, მაგ., ხუნდა (ა. შანიძე, გვ. ქართ. ქრესტ., 1, გვ. 2, სტ. 19), ჩას (ფიზ. კთ 14, ივ ბოლნელი, 22, 17) და სხვ.

§ 22. ხმოვანთა დაკარგვა მეტად გავრცელებულია უნგრეთული ლოურში. თითქმის არც ერთ კილოში არ არის ესპროცესული ფართო მასშტაბით, როგორც აქ. დაკარგვა შეეხება ყველა ხმოვანს. სულ ერთია, ფუძისეული იქნება თუ აფიქსისეული (ჭმალი — ჭამალ, გავგი — გავიგე, მოულა — მოვიდა, ჩმოდის — || ჩომოდის — ჩამოდის, გამნალები) — გამონალები, ყიდლობენ — ყიდულობენ, მემლან — მერმელა, გაუ — გაულა — გავიღა).

კაკურში ი ჩამოსცილებია თანხმოვანფუძიანებს სახელობით ბრუნვაზი (ქალი — ქალი), ა დაკარგულა შედგენილ შემასმენელთან, თურმეობითებთან და სტრატიულ ზმებთან (უაცი — კაცია, ყოფილ — ყოფილა, გდი — გდია). ე მოქვეცილი აქვთ -ყე, -ვე და მანაწილაკებს. მ არა გვაქვს აორისტი ზმებთან (გოგი — გავიგი, გადგ — გაიგი) და სხვ:¹

§ 23. ბგერის დაკარგვა და შახვილი. თანხმოვანთა დაკარგვა თითქოს გამორკვეულია: უმეტეს შემთხვევაში „მის გამომწვევე მთავარ მიზეზად, რასაკვირველია, ფიზიოლოგიური ფაქტორი უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით ბგერის დაკარგვა ხდება ისეთ ფონეტიკურ კომბლექსში, სადაც რამდენიმე თანხმოვანია თავმყრილი. რომელიმე ბგერის დაკარგვით ნაკლები ძალა იხარჯება და გამოქმაც გაადვილებულია. აქ, ასე ვთქვათ, ძალთა ექონომიას აქვთ ადგილი“².

ამიტომ ბუნებრივია ის ნაწილობრივი შეხვედრები, რომელთაც ადგილი აქვს თანხმოვანთა დაკარგვის მხრივ კაკურ-ალიაბათურსა და სხვა კილოებში.

გამორკვეულია აგრეთვე რედუქციაც — ხმოვნის ამოვარდნის შემთხვევებიც. რედუქცია „გამოწვეულია ხოლმე პრეფიქსებისა და სუფიქსების გავლენით... თვით პრეფიქსისა და სუფიქსის გმოვნებიც ემორჩილება რედუქციის კანონს... პრეფიქს-სუფიქსის გავლენა ფურის გმოვანზე, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად... ძველებური სახე დღეს მას უმთავრესად სვანური ენის სამს კილოში აქვს დაცული“³.

¹ დაწვრილებით: გრ. ი მნა ი შვილი, ხმოვანთა დაკარგვა ქართული ენის ზოგიერთ კილოში: იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, XIII თბილისი, 1962, გვ. 135—155.

² ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 132.

³ ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგისათვის: ქართ. საენათმეცნიერო საზოგ. წელიწადებული, I—II, 1923—1924, გვ. 7—8.

სვანურში ოდეუქციის წესი ამჟამად ასეთია: „1. ოდეუკირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი, 2. ოდეუქციას არ ემარტინება ერთმარცვლიანი გაორმარცვლიანებისას, 3. ოდეუქციის რევენ პრეფიქსიც და სუფიქსიც და 4. ოდეუკირდება ერთი ხმოვანი“¹.

„ქართულში, სვანურისაგან განსხვავებით, ა) კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ბ) ოდეუკირდება მარტო სამი ხმოვანი (ა, ე, ო, გ) იკუმშება ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანების შემთხვევაში და დ) ერთდროულად ამოიღება ორი ხმოვანი.“

ოდეუქციის წესები საერთო უნდა ყოფილიყო თავის ღროშე ქართველური ენებისათვის; სახელდობრ, ძველ ქართულში ა) კუმშვას იწვევდა პრეფიქსიც და ბ) ოდეუკირდებოდა ი და უ ხმოვნებიც. ამდენად, სვანურსა და ქართულს შორის ოდეუქციის მხრივ სხვაობა არ იყო“².

უდავოა, რომ გარკვეული წილი მიუძღვის ხმოვნის დაკარგვაში მახვილს.

ქართველურ ენათა მონაცემების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე არნ. ჩიქობაგას გამორკვეული აქვს³, რომ „მახვილია ის ფაქტორი, რომელიც ხმოვნის ამოღების პირობას (—ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვას)—) აქცევს ხმოვნის ამოღების მიზეზად. მართალი მიზეზი მახვილია. მას ზემოხსენებული პირობის გარეშეც შეუძლია გამოიწვიოს ხმოვნის დაკარგვა, იქნება ის ძირისეული, თუ აფიქსისეული ხმოვანი“⁴.

დიფერენციაცია ხმოვნის დაკარგვის საკითხთან დაკავშირებით მეორეული მოვლენა ჩანს მთელი ქართველური ენებისა და მათი კილოებისათვის.

„სრულხმოვნობა მეორეული მოვლენა არაა, იგი ამოსაგალი გითარებაა.

სრულხმოვნობა ქართულისთვისაც ისტორიულად ისევე დამასახიათებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ზანურისათვის (მეგრ-ჭანურ.): ქართულმა ეს ვერ შეინარჩუნა—მახვილის მიზეზით“⁵.

¹ გ. ო ო ო უ რ ი ა, ოდეუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 70.

² გ. ო ო ო უ რ ი ა, ოდეუქციისათვის ქართველურ ენებში, გვ. 88.

³ არ. ჩიქობაგა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, I, II: საქ. მეცნ. აკად. მოაბდე, III, 2, 3, 1942, გვ. 191—198, 291—303.

⁴ არნ. ჩიქობაგა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, თბილისი, 1942, გვ. 107—108.

⁵ ib., გვ. 129.

⁶ 3. ფოგტის აზრი იმის შესხებ, რომ თითქოს ხმოვნის ოდეუქციასთან კავშირი არ ჰქონდეს მახვილს, არაა დამაჯერებული (Alternances vocaliques en Géorgien, NTS, XI, Oslo, 1939, გვ. 118).

მახვილი ქართულში ამჟამად სუსტია, მაგრამ ძველად იგი ძლიერი უნდა ყოფილიყო¹.

არნ. ჩიქობავამ გამოარკვია, რომ

„1. ცველ ქართულში მახვილი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც უკანასკნელ მარცვალზე, ისე თავმარცვალზე, იქნებოდა იგი მეორე მარცვალი ბოლოდან თუ მესამე;

2. მახვილი იყო ინტენსიური, დინამიკური;

3. მახვილი არ იყო ფიქსირებული, არამედ — მოძრავი;

4. მახვილთან შინაგან კავშირში იყო ხმოვნის დაკარგვა (ფუძეში თუ აფიქსში)².

„ინტენსიური მახვილის მქონე ორი დიალექტობრივი (თუ ენობრივი) ცენა ძველ ქართულში ფაქტია: ერთი უპირატესად ბოლომარცვალზე სვამს მახვილს (იმა), მეორე უბირატესად თავ-მარცვალზე (თაუ-ლ, რფ-ქ-ლ).

ორივეში მახვილი ინტენსიურია, დინამიკურია, არაფიქსირებულია. ალბათ, ისეთი კილოებიც იყო, სადაც მახვილი არ იყო არც ინტენსიური, არც დინამიკური, არამედ — მუსიკალური³: ფუძე-უკუმშველობა ამ კილოს (თუ კილოების) შემონატანია ძველ ქართულში⁴.

როგორი მახვილია ამჟამად ინგილოურში? როგორი უნდა ყოფილიყო იგი წინათ, რომ ასე საგრძნობი კვალი დაუმჩნევია ხმოვანთა დაკარგვის საქმეში?

მახვილი ამჟამად ინგილოურ კილოში არ არის სავარაუდო ერთნაირი. საერთოდ შეიიღება ითქვას, რომ ის მეტ-ნაკლებად ყველგან სუსტია და ხშირად ფრაზის მახვილი უფრო გვაქვს, ვიდრე სიტყვის მახვილი.

მახვილი განსხვავებულია სიტყვების მიხედვითაც: ზმებსა და ნაცვალსახელებში ის უფრო ძლიერად იჩენს თავს, ვიღრე არსებით სახელებში.

¹ სწორი ჩანს ნათქვამი: „Früher muss das Georgische einen ziemlich starken expiratorischen Akzent gehabt haben; aber jetzt gleicht die Betonung „dem geglätteten Meer nach dem Stürme“ (Schuchardt)“: Adolf Dirr, Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928, გვ. 57; H. Schucharolt, über das Georgische, გვ. 14.

² არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, II, გვ. 298.

³ ტონური იგივეა — გ. ი.

⁴ იქვე, გვ. 299.

ბრძანებით წინადადებაში მახვილი გვაქვს შედარებით ინტენ-
სიური და დინამიკური. იგი ეცემა უმთავრესად სიტყვის ჟამბრულ
მარცვალს ისევე, როგორც სხვა ქართულ კილოებში, და ხასიათდე-
ბა შეტი „მოსხლეტილობით“, რის შედეგადაც ხდება მომდევნო
მარცვლის (უფრო ხშირ შემთხვევაში კი უკანასკნელი მარცვლის)
მოწყვეტა (მაგ., მამ! ← მამეცი! და სხვ.).

შენიშვნა: ბრძანებით წინადადებაში მახვილის წყალო-
ბით გვაქვს ფუძისეული ან აფიქსისეული ხმოვნის ამოვარდნის
შემთხვევებიც; მაგალითად, აშნი ! („ააშენე!“), ჩმოა! („ჩამო-
დი!“) და სხვ.

კითხვით და გაკვირვებით (ძახილის) წინადადებებში მახვილი
უფრო ინტენსიურია შემასმენელზე (ჩეულებრივ კაჯურში). და
კითხვით ნაცვალსახელზე (ალიაბათურში უმთავრესად). მისი იდ-
გილი განისაზღვრება ბოლოდან მეორე მარცვლით¹, მაგრამ არც
უკანასკნელი (ბოლოდან I) მარცვალია თავისუფალი ამ მახვილი-
საგან (მასაც ეცემა II ხარისხს. მაგ.). შეჭითხვის დროს ჩეულებ-
რივ უკანასკნელ ორ მარცვალზე ტონი იცვლება: ისმის საგრძნობ-
ლად აწელულად (უმთავრესად კაჯურში); მაგ.:

კაჯურ-ალიაბათური: კაა ხარა? მოეყონრთა?² მოგიყონბა? მო-
დისა? მოქცესა? ვერ იგებსა? დაძჭირესა? აზლევენა? იყნონა? იყერა?
წასულანტა? (← წასულანოა?), მაღლესტა? (← მოილესოა?), მაღლასტა? მო-
გილიბა? მაღლაპტა? ჩამახლაპტა? მეცუა? (← მეოა?), შენცუა?..

კაჯური: ჩემ სახლოპტა? (← ჩემი სახლიოა?), ბრინჯა? (← ბრინ-
ჯიოა?), წაასლობხრა? მაასლობხრა? როგო ხრა? ჰაბე მოსუხბრა ექ?
თმა ჰაბე არ ამამდისა? სა იყნონა? სა იყერა? მინ არდსა? მინდა ჰეგ? ჰაქ-
თო ნარა? რაშ (|| რაშგ)³ გრძა ჰექთონ? ჩემ ავადოვად ჰაშ გრძა შენ?
(„ჩემი ავადმყოფობა რაში გინდა შენ?“)... სა არიძნა? სა წია-
ღებებრა ჰე დანაწერ? მინ დააწყოველია ჩემბე? („ვინ უნდა დაიწ-
ყოს ჩემთვის?“), რა კაა სიზმარისა, მე მამყიდ! შენუმ ყახაფ არ
გოზლევდა! შენუმ არ მრეცხავდა! და სხვ.

¹ შდრ. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: ტულისის
სახ. უნივერსიტეტის ნოამბერ, IV, 1924, 333- 348; გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი
ფონეტიკის საფუძლები, გვ. 127—141; ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა,
1956, გვ. 249—290.

² კითხვითი ა ნაშილაკის შესახებ იხილეთ სინტაქსურ ნაწილში (ჩ 105).

³ -ში თანდებულის ინი ხშირად იკარგვის ან სუსტდება გ-დ, თუ ეს თან-
დებული დაერთვის „რა“ კითხვით ნაცვალსახელს. დაკარგვა (ან დასუსტდება
გ-დ) გამოშევეულია იმით, რომ მახვილიანია ფუძისეული (რა) სიტყვის ხმოვანი.
სხვა სიტყვაზე დართული -ში თანდებულის ხმოვანი შედარებით ნაკლებად იკარ-
გვის. -ზე თანდებულის ხმოვანიც შეიძლება დაიკარგოს ზოგჯერ კაკურში;
მაგ., ცოტა ჩანს გატდა (ზე+ზე „გვერდზე“).

ალიაბათური: კარიპურა? კაციპურა? ზროხაპურა? ნანაპურა? (ჟდე-
დაოა?"), ქვლავი არია? ("ხელმოწერილია?"), იყრა, რა არი? ჭრის რეალური
დაზობაყრისა? ("ქვები დაიბადება ხოლმე?"), რემენ სინიფშე სარიგო მუსიკის
("რომელ ქლას მი ხარ!"), რჩეო ხარ? და სხვ.

ინტენსიური დინამიკური მახვილის წყალობით შეიძლება -ეა
და -ოა კომბლექსებიც უცხლელად შემოგვენახოს ზოგჯერ კაკურში,
როგორც ზემოთ აღნიშნეთ; მაგ.: მოუღება? ეყრა? მოკდრა? კატად
რაქთონ ამბრა? და სხვ.

მახვილის ნიადაგზე შეიძლება ვ→უ (ხმოვ.): მოკლუა, ნახუ-
ად, ქუვად || ქუად¹ და სხვ.²

თხრობით წინადადებებში მახვილი თავს იჩენს უმთავრესად
პრევერბის ხმოვანზე პრევერბიან ზმნებსა და პრევერბიან მიმღობ-
ებში (ზოგჯერ სხვა პრევერბიან სიტყვებშიც ამათი ანალოგიით);
მაგ.: გრძგ ("გავიგე", კაკური), დრენან ("დავინახე", კაკ.), რელ
("ავიღე", კაკ.), წაუ (კაკ.← || წატდა), გრტდა, დატზინოთ ("დავი-
ძინოთ", ალიაბ.), დავნახეო ("დავინახეო", ალიაბ.), გრბბინა (ს.
ქოთ.← || გაბრბინა), გატერევისა, დრტკრეფისა, ჩრტყერისა, მაა-
ცემელისა, მააცემუვარ, წააღებელისა...).

რთულ პრევერბიან სიტყვებში კი მახვილი შეიძლება იყოს
პირველი ან მეორე პრევერბის ხმოვანზე; მაგ.: გმმიყონისა (←ამო-
შიყვნია), გამმილისა (←გამომილია) გამნაღებისა (←გამონაღები),
გმრტდა (←გამოვიღა, კაკ.), ჩმრტდნენ (←ჩამოვიღნენ, კაკ.), ჩმუ-
არდა (←ჩამოვარდა, კაკ.), გდმრსულ (გადმოსულა, კაკ.)...

პრევერბის მახვილი ზოგჯერ კითხვით წინადადებაშიც იჩენს
თავს; მაგ.: მრჩეონრთა? წატდნენა? და სხვ. (აქ პირველი ხარისხის
მახვილი ეცემა ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხოლო მეორე ხარისხის
მახვილი — პრევერბის ხმოვანზე).

ჩვენებით-მითითებითსა და კითხვით ნაცვალსახელებში და
უპრევერბო ზმნებში (ჩვეულებრივ თხრობით წინადადებებში) უმ-
თავრესად თავკიდურ მარცვალზეა მახვილი, რის შედეგადაც ვი-
ღებთ ზოგჯერ თავკიდური ხმოვნის ძლიერ შემართვას; მაგ.: ცე-
სენ, ცემითმა, ცე კაც, ცუთქომ (კაკ.), ცუმზერავს (კაკ.) და სხვ. (იხ.
ქვემოთ).

¹ შდრ. არნ. ჩ ი ჭ ი ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ძე. ქართ., I, გვ. 192.

² გვაქსს „მეც თქუა?“ (კაკ.), „იმამ თქუა?“ (კაკ.) და სხვა. მაგრამ აქ უნი
მი ღებულია არა უშუალოდ უმარცვლო უნისაგან, არამედ ონისაგან (თ ← უ).
თქუა? ← თქოა? ← თქუა-ა? შდრ. თხრ. თქო ← თქუა.

კაკურში არსებით სახელებში, ზედსართავ სახელებსა და გადართა უმრავლესობაში (ზოგიერთ სხვა სიტყვაშიც) ამჟამაც ჭარბი ხვილს ვხვდებით უმთავრესად (თხრობით წინადაღება მიუნდებოდა რიც) ბოლოკიდურ მარცვალზე; მაგ.: მამახ, დედახ, ზროხახ, კამბეხ, კაკალ... სმანდ („სიმინდი“), კიდბან („კიდობან“), კრებ („კარები“), სტვლის („სტოლი“)... იმიზგნი (← იმისგნით), მასენი (← მასეკანით ← მასუკანით)... პატრა („პატარა“), პაწირ („პაწაწა“)... ჭმბა („ჭამახ“)...

„ნახუახ, მოკლუახ“ და მსგავსი მასდარები, რომლებშიც გვაქეს ვ→უ (ხმოვ.), მერყეობას იჩენენ: ზოგჯერ შემოღის ამ რიგით (უკანასკნელი ბეგერები გამოითქმის ისე, როგორც ტრიფ-თონგი, ნახუახ, მოკლუახ, ან კიდევ ისე, როგორც დიფთონგი—ნახვახ, მოკლვახ), მაგრამ ზოგჯერ კი არა (მახვილს ღებულობს თვით უნი [← გ] ან პრევერბის ხმოვანი).

თანდებულები და ნაწილაკები (და აგრეთვე ზოგიერთი სხვა სიტყვაც), რომლებიც მშიდრო კავშირში იმყოფებიან სხვა სიტყ-ვებთან, მოკლებული არიან მახვილის ტარების უნარს აქაც ისვევე, როგორც აზერბაიჯანულსა და ზოგიერთ კავკასიურ ენაში (მაგ., უდურში¹ და სხვ.); მაგ.: კარშ (← || კარშ || კარში)... ჯანჩ (← || ჯანჩე), ხეჭ (← || ხეჭე)... ორივ (← ორივე)... სადამ (← სად-მე)... უთქომე (← უთქომევე) და სხვ².

ინგილოურში დინამიკურ მახვილთან ერთად თავს იჩენს ტონური მახვილიც, რომელიც მეტი მუსიკალობითა და ნაკლები „მოს-სხლეტილობით“ ხასიათდება. ამ მახვილის წყალობით უნდა გვქონდეს ხმოვნის დაგრძელება ზოგიერთ სიტყვაში მოელ ინგილოურ-ში³; მაგ.: წოორა („სწორედ“), წოორია („სწორია“), მოოდგომი („მოდგომია“, კა.). რადე არ მოოდი? თავქერ მიიღ, თუ პირანყ? (შდრ. თხრ. პირანყ მივდ)⁴, სა მიიღი? (|| სა მიიღ || სა მიედი?)...

აქ ისმის დაგრძელებულად, თითქმის უდრის ორ ხმოვანს, მაგრამ არასოდეს დაყოფილად (მარცვლებად) არ გამოითქმის.

¹ А. Дири, Грамматика удинского языка: сб. МОМПК, вып. 33, Тифлисъ, отд. IV, 1904, გვ. 3.

² გრ. οθναίθριππο, ხმოვანთა დაკარგვა ქართული ენის ზოგიერთ კილოში, გვ. 143—144.

³ შდრ. არნ. ჩიქობაგა, გრძ. ხმ მთიულ., გვ. 339; გ. როგავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1963, III, გვ. 7—10.

⁴ პირანყ—|| პირანდ —პირამდ —პირალმა (ზმნისართი); იხმარება „ზევით“, „ზევითების“ მნიშვნელობით. „თავქერ მიიღ თუ პირანყ?“ ნიშნავს: ქვევითებ (ქვევით) მიდისარ, თუ ზევითენ (ზევით)?

ასეთი სიტყვა, რომელიც ხმოვნის დაგრძელებით ხასიათდება, შედარებით ცატაა. მაგრამ აღნიშნული მახვილის არსებობა, მისი წყალობით (როგორც წესი) ბოლო ხმოვნის დაგრძელება კი ყველაზე უფრო შესამჩნევია (თითქმის ყველა სიტყვაშიც კი) კახის რაიონში ალიბეგლოელთა ურთიერთსაუბარში¹; მაგ.: ჰაბერა? ჰე კაც მინა? ჰას წერავა? წაყონესა? კაჯ ხართა? გეზინებისა? (|| გეზინება? ² სოფელში წასულა? ³ იქნებისა? ესენ კაცებნია? მადლასა? მადლასაბა? მაჯლესაბა? წააღლესავ? პურ მოტლიაყა? დაუწერიაყა? (|| დოუწერიაყა?), გოუწევთა? სახთი მოღიბის?..

სოფ. ალიბეგლოში ბრლოდან პირველ მარცვალზე შეიძლება გვქონდეს ტონური მახვილი მაშინაც კი, როდესაც ამავე სიტყვის სხვა მარცვალზე ეცემა დინამიკური მახვილი; მაგ.: ჰაბერ? რახ გინდე? წაღყონესა? გრძეშევთა? პურ მრულიაყა?..

ანალოგიური მოვლენა კაკურში სხვაგანაც იჩენს თავს ზოგჯერ (სპორადულად); მაგ.: როგო მინგავთა? ჰაჯ მიქნია? ჰამბე წერავსა? ჰაბე ამბოვსა? ათავნევა? წამიყონავა?..⁴

ალიაბათურშიც ეხედებით მსგავს „შემთხვევებს ისევე სპორადულად (თავიანთ წრეში ურთიერთსაუბრის დროს), როგორც კაკურში (ალიბეგლოს მეტყველების გამოკლებით); მაგ.: მინ საწყობია? („ვინ უნდა გადაიხადოს?“), რათა ნაღილი დაწერა? („რამდენი ზღაპარი დაწერა?“), აზლევენა? არ მოღისა? კარი დაჭირესა? ბრინჯი დააგრუესა?.. სხო რა დაწერა? სა ყოფილა?.. მე ვიცოდია? ვერ ხედავთა? იცია? მინ თქრო?..

მას ეხედებით აგრუთვე ზოგჯერ თავის წრეში „ჩეეულებრივი“ საუბრის დროს თხრობით წინადადებაშიც ინგილოურში, განსაკუთრებით კი — ალიბეგლოელთა მეტყველებაში; მაგ.: საღმოვ იქნების, იცხოვრას, თითო ტომაყ იაღეს, წაულნენ გზასუკან, თუ გააცალკევ, თუ ის დაზრეს, გაჩენის შემდეგ, მოტლაა, ზეშჭიდვა, სალამ მისცა, სალამ ააღნე; სიზმარში ხედავს, წაულნენ დევი სახმე... .

„ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ დინამიკური და მუსიკალური მახვილი ერთიმეორის გვერდით გვაქვს ყველა

¹ შტრ. არნ. ჩიქობავა, ექვე, გვ. 336—337.

² თხრობითში იქნება: „გეზინების“ ანუ „გეზინებ“ (და არა: „გეზინება“).

³ თხრობითში: „წასულ“ (და არა: „წასულა“).

⁴ მოტანილი მაგალითები ჩაწეობილი გვაქვს მხოლოდ კაკულუა ურთიერთსაუბრის დროს (ბაზარში შეხვედრისას).



ენაში. ოლონდ ერთ ენაში ერთი გადაწონის ხოლმე, შეორუშის შეორებე¹. ქართველური ენებისათვის წარსულში ორივე მახვილა ცისაკა დობებ².

ინგილოურში ამჟამად, როგორც დავინახეთ, მუსიკალურ (ტონურ) მახვილსაც ვხვდებით დინამიკური მახვილის პარალელურად, მაგრამ ინგილოურისათვის წარსულში ნიშანდობლივად უნდა იქნეს მიჩნეული მხოლოდ ინტენსიური დინამიკური მახვილი, რომელიც ამჟამად გადამენების გზაზეა დამდგარი. მუსიკალური მახვილი ინგილოურში არ უნდა იყოს დიდი ხნის ისტორიის მქონე. იგი შეიძლება მიღებული იყო აზერბაიჯანულის გავლენითაც³. მას თანამედროვე აზერბაიჯანულის მსგავსად ვხვდებით ბოლოდან პირველ მარცვალზე⁴.

ინგილოური უნდა ეკუთვნოდეს ქართულ დიალექტთა იმ ფენას, რომელსაც ახასიათებდა მოძრავი, ძლიერი, დინამიკური მახვილი. მისი გადმონაშოთ უნდა იყოს ის მახვილი, რომელიც ახლაც თავს წამოყოფს ზოგჯერ ზოგიერთ სიტყვაში და იწვევს ხმოვნის დაკარგვას (კრებს, ჭმას, გალა, გომოლლით, ჩმოულა, გლოულა, გამნალებ, ამმიყონია) და სხვ.).

არსებით სახელებში კაქურში მახვილი თანდათანობით დამკვიდრებულა ბოლოდან მეორე მარცვალზე, რის შედეგადაც ბოლო მარცვალი მოსწყვეტია ბოლოთანხმოვნიან სახელებს; ბოლოხმოვნიანებთან კი მომხდარა მომდევნო ხმოვნის შემოქრეთება ამ მეორე ხმოვანთან, მეორე ხმოვნის წარმოთქმისათვის დაჭიმული სახმო სიმების დაშვებამდის უკანასკნელ ხმოვაზე გადასვლა, რის გამოც ხდებოდა ამ ხმოვნის დაჩრდილვა და დიფთონგის შემაღენლობაში შესვლა მეორე ხმოვანთან⁵.

სწორედ ამას უნდა მიეწეროს სახელობით ბრუნვაში ა-ს (← ი) გადარჩენა ბოლოხმოვნიანებთან.

¹ არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძვ. ქართულში, II, გვ. 299.
² იქვე.

³ ადგილობრივი აზერბაიჯანული მეტყველების გავლენას ზმნებში უფრო ფართოდაც ვხვდებით ინგილოურში. მაგ., არ ვიციდნ, ამ კაცმა უთხრადა ცალს, რაბე შიჭმელ არ გოქნ? იმამ უთხრადა, ტალახიადა და სხვ. (შდრ. ადგილ. აზერბ. მეტყველება: ბილმირამდა და სხვ.).

⁴ აზერბაიჯანულში კი „Основное ударение, как это яствует уже из закона гармонии гласных, первоначально находилось на первом слоге; в современном языке ударение ставится обыкновенно на последнем слоге“ (В. А. Гордлевский, Грамматика турецкого языка, Москва, 1928; გვ. 10).

⁵ ბოლოხმოვნიანთა ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ აგრეთვე მასდარებიც კაქურში.



ამჟამად აქ მახვილი გვაქვს უმთავრესად ბოლოდან პირველ მარცვალზე როგორც თანამედროვე აზერბაიჯანულში.

მორფოლოგიური დანიშნულების მქონე სუფიქსისეული ხმაურებული ნების დაკარგვა კაკურში მაჩვენებელია იმისა, რომ ისინი არ ატარებდნენ მახვილს.

ხმოვნის დაკარგვასა და მახვილთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1) ინგილოურში მახვილი ამჟამად სუსტია; ხშირად ფრაზის მახვილი უფრო გვაქვს, ვიდრე სიტყვის მახვილი.

2) ისტორიულად ინგილოური უნდა ეკუთვნოდეს ქართულის იმ დიალექტებს, რომლებსაც ახასიათებდა მოძრავი, ინტენსიური, ღინამიური მახვილი.

3) ამ მახვილის ნიადაგზე წარმოშობილი უნდა იყოს ინგილოურში ხმოვანთა ძლიერი და ფშვინივირი შემართვა-დამართვა.

4) მახვილის გავლენით ხმოვნის დაკარგვა არა ერთგან და ორგან უნდა ხდებოდეს ინგილოურში, სახელდობრ:

ა) აფიქსისეული მახვილიანი ხმოვანი უდავოდ აძლიერებს ფუძისეული ხმოვნის დაკარგვას;

ბ) აფიქსისეული მახვილიანი ხმოვნის გავლენით უნდა იყოს დაკარგული რთულ პრევერბებში პრევერბისეული ხმოვანი;

გ) ფუძისეული მახვილიანი ხმოვნის გავლენით უნდა იყოს დაკარგული ფუძისეული ხმოვანი კომპოზიტებსა და მარტივ სიტყვებში;

დ) მახვილის მატარებელი ფუძისეული ხმოვნის გავლენით უნდა იყოს დაკარგული კაკურში მორფოლოგიური დანიშნულების მქონე სუფიქსისეული ისეთი უმახვილო ხმოვნები, რომელთაც არ შეეძლოთ მახვილის მატარებელ ფუძისეულ ხმოვანთან შერწყმა და დამავალი დიფთონგის უკანასკნელ წევრად ყოფნა¹.

პირველი სამი შემთხვევა (ა, ბ, გ) სიერთოა მთელი ინგილოურისათვის. უკანასკნელი (დ) კი მხოლოდ კაკურის კუთვნილებას წარმოადგენს.

ჩანს, რომ მახვილის საკითხში კაკური და ალიაბათური მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს. დროთა ვითარებაში მომხდარა

¹ ამ უკანასკნელი დებულების საფუძველზე უდავოდ მართლდება არნ. ჩიქობავას მისაზრება იმის შესახებ, რომ -უ ინგილოურში მახვილის ზეგავლენით უნდა იყოს შეკვეცილი (-უ ნაწილაკი ფერებიდნულში და მისი მნიშვნელობა გრააბტიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: ქართული საქანამეცნიერო საზოგადოების წელიწევული, I-II, 1923—1924, გვ. 34).

მათი განმსგავსება ნაწილობრივ მახვილის საკითხშიც, რაც კათა-
ნადო შედეგი მოჰყოლია ხმოვნის დაკარგვაში.

უკრაინული
პირული

§ 24. ბგერის ჩამატება. ბგერის ჩამატების მხრივ ინგილოუ-
რი ბევრი თავისებურებით არ ხასიათდება ქართული ენის სხვა
კილოებთან შედარებით.

ა-სა და ო-ს ზორის და-უ-ს-თან + გ: მოკდოვო (ალიაბ.),
გაჭყიდოვო (ალიაბ.), უდროვო 210,28... ყრუგია!, ქუგია!, კუვ-
თან, შუვა 211,1, მუვაში 211,3, მევუა? (კაკ)¹...

+ გ → უ: მესროვნა 202,8, ხუვალ 192,9, ქუვად, ჭამუად 205,
31, პოვნუად 209,8²...

+ ი: ჰყიდიდა (ასე იხმარება იმერ., კახ...). კინიაზმა (კაკი),
შიტოებსაც 181,27, ციხეა ზმარ („ცხარე ძმარი“, ასე იხმარება
გურულშიც)...

აბბობენ აგრეთვე: ხათირ 150, ფიქირ 138 და სხვ. მაგრამ
ეს არაბული hatr და fikr სიტყვებია; ბოლო ორი თანხმოვნის
გასაყრელად თურქულ ენებში ვიწრო ხმოვანს ჩაურთავენ ხოლმე;
აზერბაიჯანულიდან ინგილოურში გადმოსულია ასეთი ფორმით.

+ ჟ: ღრუშმ ორმოვე³ (შდრ. ქიზ., ფშ. ღრიმე; ხევ. ღირმა და
სხვ.⁴)...

იხმარება „ცრამელ“ („ცრემლი“, კაკ.), მაგრამ აქ ე ჩამატე-
ბული არ უნდა იყოს. მა სიტყვაში სუფიქსი (-ალ // -ელ) ხმოვნით
უნდა იყოს შემონახული ინგილოურში (შდრ. არნ. ჩიქობავა, შედ.
ლექს., გვ. 73; მცსივე, სახელის ფუძ. უც. ავებ., გვ. 50).

„შემონახულია ფორმა ბრიმა „ბრძანა“ ინგილოურში და ქი-
ზიყურში⁵; მაგ.: ეემ დევას⁶ ერ თოლ ბრიმად ჰქონი (კაკი)...

იმ სიტყვებს, რომელთაც აქვთ თავკიდურ ბგერად სტ-, სკ-,
შქ-, სფ- (\leftarrow || სპ-), თავში დაერთვის ხმოვანი; მაგ.: ისტარჩინად
(სამთაწყ., რუს. „старшина“), ისტანციანი, ისტამბული⁷, ისტო-
ლიი (|| სტოლი), ისტაქანი (კაკი, ქოთ., ალიაბ... || ესტაქან; ალი-

¹ ზოგი ამათგანი ძევლ ქართულშიც გაზღდება ვინით (მაგ. შუვა და სხვ.).

² მ. ჯანაშვილისეულ ტექსტებში წერია „ზურულიც“, მაგრამ აქ უ არ
იხმარება.

³ მ. ჯანაშვილისეულ ტექსტებში იკითხება „ღრიმე ორმოვ“ 192,22, მაგ-
რამ აბბობენ „ღრუშმ ორმოვ“.

⁴ ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960,
გვ. 31.

⁵ ვ. თოფურია, მესამე ტიპის გნებითის წარმოება ქართულში: საქარ-
თველის სსრ მცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942.

⁶ „აქლემს“.

⁷ შდრ. იმერხ. ისტამბულზე ახლოს (Н. Марр, Дневник поездки
Шавш. и Клардже., გვ. 61).



ბეგლო, ზაგ., სამთაწყ.), ისკამიი (კაკი, მოს., ალიაბათი || სკამი; კაკი, სამთაწყ., ალიაბათი), ისკლადი (კაკური, ალიაბათური) სკლადი; სამთაწყ., კაკი, ალიაბ.), ისკლადჩი (კაკი, ალიაბ. || სკლადჩამოთვა ჩი; სამთაწყ., კაკი, ალიაბ.), იშკოლ (ალიბეგლო, ქოთ. || უშკოლ; კაკი)¹, იშკაფი (ისფიჩქავ) და სხვ.

ეს სიტყვები შემოსულია რუსულიდან აზერბაიჯანულის გზით. ადგილობრივი აზერბაიჯანლებიც ამ ფორმით ხმარობენ მათ.

ამავე აზერბაიჯანულის გავლენას უნდა მიეწეროს აგრეთვე ხმოვნების ჩართვა თანხმოვანთა შორის შემდეგ სიტყვებში: გარა-დუზი (←გრადუსი „თერმომეტრი“), ალასტაფა („ალასტაფა“)... თითაორ და სხვ.

ინგილოურშიც ისევე, როგორც სხვა კილოებში ჩვეულებრივია მ და ნაზალი ბეგერების განვითარების შემთხვევები; მაგ.: მააშბა (ძლი. გურ. მუამბა...), ზამსრულდა, ამსრულდა, თუ შამიშ-სრულევ, საქმეს ომსრულევდი, იმცხოვრებს, მემცხრა (მოს., ითით.), მამსულ ხალხს („მოსულ ხალხს“); წამსულს კაჯ გზად, ნაზ-ჩიმს შუდობად (ალიბეგ.); გადაყლამბა, მე გედმეყლამბა, ემგრე („ეგრე“, ალიაბ.), ამგრე („აგრე“, ალიაბ.), ჰემგე 186,14... მინგავ („მიპგავს“), არ მინგონდა („არ მიპგუანდა“), მემლან („მერმელა“), ფირინგულ (←ფირინგულ ყარიბი „დახეული“ კაკ.)...

პირველი პირის ნაცვალსახელთანაც გვაქვს ზოგჯერ ნარი უმეტესად მაშინ, როცა ის მეორე პირთან ერთად იხმარება: „მენ და შენში მინ ღონიერი“ 185,27). მაგრამ აქ საქმე უნდა გვქონდეს უძველესი ფორმის შემონახვასთან (მენა). ეს სიტყვა სრული ფორმით უნდა გვქონდეს შემონახული „ჭირიმენ-ში“ („ღმერთისიც სახელის ჭირიმენ, ყონალებისიც თავის ჭირიმენ...“ ალიბეგლო; „შენ თავის ჭირიმენ, შენ გულყევაას ჭირიმენ...“ სამთაწყ.).

შენ გვხვდება ქართული ენის სხვა კილოებშიც².

¹ ალიაბათურში ყველგან და აგრეთვე კაკურის ორი სოფლის მეტყველებაში (ზაგამისა და თასმალოში აზერბაიჯანული სკლოების გავლენით) ამბობენ: „მაქთაბ-ს“ („მექტბ“ || „მექთაბ“), სოფ. სამთაწყაროში კი — „შეოლა-ს“.

ასევე წინახმოვნის გარეშე იხმარება სოფ. სამთაწყაროში აგრეთვე „სტოლ“, „სკლად“, „სკამ“ და სხვა. ამ სიტყვებში აქ საქმე უნდა გვქონდეს წინახმოვნის არდართვასთან კი არა, არამედ მის ჩამოცილებასთან, რაც აჩალი (მათი ახალ ადგილზე დასახელების შემდეგდროინდელი) მოვლენა უნდა იყოს და უნდა მიეწეროს ქართულის გაელენას.

² ა. შანიძე, ქართ. კილოები მთაში: „რებული“ ივ. ჯავახი შვილი 186, რედაქტორობით, პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის“ გამოცემა, ტფილისი, 1915, გვ. 195.

არნ. ჩიქობავას აზრით, „ჭანურსა და მეგრულში პირველისა და მეორე პირის სახელები უნდა ყოფილიყო ასეთი საზიანად“¹. სი-ნ, ჩქუ-ნ, თვე-ნ; ქართული კი — მე-ნ(ა), შენ(ა), ჩვე-ნა, თვე-ნა“².

ივ. ჯავახიშვილს -ნ(ა) || -ნ სქესის კატეგორიის ნიშნად მიაჩნია³.

გვაქვს სხვა ბეგრების ჩართვის მაგალითებიც: დაამირწყდა, დაპირწყებოდა⁴... მუთაქავა („მუთაქა“, ზაგი), ვარცხლი⁵ (კაკ. ॥ ვარცლი, ალიბეგლო, კაკი, ალიაბათი)... იმგურგლივ (←იმ-გ-ურგლივ ← იმ-[ის] + გ + თ + რგულ-ივ)...

ადგილი აქვს ზოგჯერ (იშვიათად) ფუძის განმეორებასაც, მაგალითად, „მეზინების“ ზნაში: მეზინზილებ (॥ მეზინების)...

ვხვდებით აგრეთვე, თუმცა სპორადულად, ფორმებს: „იმათ-ზგან“ და „იმათდგნი“, რომელებშიც ზ და დ გაჩენილია იმიზგან-ისა (←იმისგან) და იმიდგნის (←იმითგნი←იმითგან-ით) ანალოგით.

ბ გ ე რ ა თ ა შ ე მ ა რ თ ვ ა - დ ა მ ა რ თ ვ ა

§ 25. ხმოვანთა მაგარი ანუ ძლიერი შემართვა-დამართვა. ინგილოურ კილოში შეიძლება მკაფიოდ განვასხვაოთ ერთიმეორისაგან ხმოვნის შემართვის სამი თავისებურება (მაგარი ანუ ძლიერი, ფშვინვიერი და ვიწრო მეღერი ანუ იოტირებული) და დამართვის ორი თავისებურება (მაგარი ანუ ძლიერი და ფშვინვიერი).

ძლიერი შემართვა-დამართვის თითო-ოროლა მაგალითს ქართული ენის ბევრ კილოში ვხვდებით, მაგრამ ინგილოურში ხმოვანთა ძლიერი შემართვა მეტად ფართო მასშტაბითაა გავრცელე-

¹ არნ. ჩი ი გ რ ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 73.

² ივევ, 72; შდრ. თ. გამყრელი იძე, სიბილანტურა შესატკუნისაბა ნი და ქართველებრ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 36—50.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესავა, გვ. 428—454, კერძოდ: 454.

⁴ კაკურში ხბო-ს ტანა-ს ეძანიან, მებბოე-ს კი — ტანა-ჩი-ს; ალიაბათურში კი ორსავეს ვხვდებით: 1) ტანა, ტანაჩი, 2) ხბორი, ხბორები, მებბორე. მეორე ყოველთვის მოცემულია ხბორ ფუძით, ეს სიტყვა ამ ფორმით სხვა კილოგბშიც გვაქვს. ვხვდებით სალიტერატურო ქართულშიც (მებბორე), ვევლა ეს ებოვარ → ხბორ ფუძეს გულისხმობს: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 97; შდრ. ს. უ დ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 56.

ამბობენ აგრეთვე: მიიხორჭევის, გადაბორჭილ და სხვ. მაგრამ აქ შესაძლებელია, ორ რ ტ ფუძისებული იყოს (შდრ. ა. შანიძე, იქვე, გვ. 30).

⁵ ასე იხმარება გურულშიც და სხვა ზოგიერთ კილოშიც.

ბული, თუმცა ის ბგერა, რომელიც ფიზიოლოგიურად მიღებულია ძლიერი შემართვის ან ძლიერი დამართვის შედეგად, ჯერ კი უცვარ არ არის დამდგარ ბგერად ქცეული და წარმოადგენს გარდამცვალ ბგერას.

ამ გარდამავალ ც ბგერაზე სხვაგან გვქონდა საუბარი¹. აქ აღვ-ნიშნავთ მხოლოდ, რომ ხმოვანთა ძლიერი შემართვა ისტორიულად წარმოშობილი უნდა იყოს ინტენსიური დინამიკური მახვილის ნია-დაგზე. ამასვე მიუთითებს მისი თანამედროვე მდგომარეობაც. ძლიერ შემართვიან ხმოვანთა უმრავლესობა ამჟამადაც მახვილს ატარებს. შემდეგ კი, დროთა ვითარებამი, ინტენსიური დინამიკური მახვილის „შენელებასთან“ დაკავშირებით აქედან წარმოშობილა ფშვინვიერი შემართვა.

ინტენსიური დინამიკური მახვილი, რომელიც დამახასიათე-ბელი უნდა ყოფილიყო ინგილოურისათვის წარსულში, თურქულის (კერძოდ აზერბაიჯანულის) გავლენით უმეტეს შემთხვევაში შეიძლებოდა გაჩენილიყო პირველ მარცვალზე თავიდან. ამ მახვილის წყალობით თავკიდურ ხმოვანს მიულია ძლიერი შემართვის სახე. შემდეგ კი, აღბათ, იმავე თურქულის² გავლენით, მახვილი თანდა-თან შესუსტებულა თავკიდურ ხმოვანზე და მაგარი შემართვაც ფშვინვიერი შემართვის საფეხურის გავლით გაქრობის გზაზე დამ-დგარა.

ამჟამადაც ზოგჯერ ნაშთის სახით თავს წამოყოფს ძლიერი შემართვა ისეთ სიტყვებშიც კი, რომლებშიც დიდი ხნის დაკარგუ-ლად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, მას არაიშვიათად წავაწყდე-ბით ზნის თავკიდურ ხმოვანზე კაურში:³ აუთქომ (კავი) // პუთ-ქომ (ალიბეგლო), ცუსროვნი (კავი) // პუსროვნი (ალიბეგლო), დაპერ ქნაც ცუნ დ ყოფილ (// პუნდ ყოფილ, ზაგ.) და სხვ.

მითითებით (ჩვენებით) ნაცვალსახელებში ასეთი შემართვა ჯერ კიდევ ცოცხალია⁴.

¹ გრ. ο μέν αἱ Σχειροὶ, ინგილოურის ბგერითი შედგენილობა: ქართვე-ლურ ენათა სტრუქტურის საქოთხები, III, თბილისი, 1963, გვ. 82-83.

² თურქულში თავდაპირველად მახვილი ყოფილა პირველ მარცვალზე თა-ვიდან, შემდეგ კი დამკვიდრებულა ბოლო მარცვალზე (B. გორდევსკი, გრამმატიკა ტურ. ენა, გვ. 10).

³ იშვიათად ალიაბათურშიც შეიძლება წავაწყდეთ, მაგ., ცლლ დ ე ს (ალიაბათა), ცუთქომ: სახში წამიყონეთ (მოს.) და სხვ.

⁴ გრ. ο μέν αἱ Σχειροὶ, ინგილოურის ბგერითი შედგენილობა, გვ. 82.

იმავე წინა მარცვლის მახვილის წყალობით ძლიერი შემართვა სცოდნია ინგილოურში (კერძოდ კაკურში) თავეი და მაგრამ შემდეგ მახვილის შესუსტების ნიაღაზე მომზადება გაფშვინვიერება და სავსებით გაქრობაც კი უმრავლეს შემთხვევაში.

ამეამად გაღმონაშობის სახით გხვდებით მას მხოლოდ კაკურში სხვა ფორმების პარალელურად; მაგ., ცუთხოვ // ჰუთხოვ // ჰუთხოვ (← ცუთხოვ ← ცუთხოვ), ის გარაქ ცუთხოვნოთ, ამათ თქმს, კად, ცუთხოვნოთ (ქოთ.), ამა მე ვერ ცუჭე // ჰუჭე // ჰუჭე (← ცუიქ ← ცუიქ ← ვიქ, ცუსროვნ // ჰსროვნ // ლსროვნ (← ცუსროვნ ← ცუსროვნ „ვესროლე“), ცოლაპარიკეოდიყ // რლაპარიკეოდიყ (← ცუელაპარიკეოდიყ) // ცველაპარიკეოდიყ ← ველაპარიკებოდიყიყ), ცოპირევდიყ // ჰიპირევდიყ (← ცუაპირევდიყ ← ვაპირებდიყიყ)... ცურ // ჰურ (← ცუირ ← ცვირ ← ვირი¹) და სხვ. (ზღრ. ცვანა „ყანა“, ცვილუ „ქვლა“, ცვერე „ბრმა“, ცვა „შუბლი“, ცვაიჭარა „ბედისშერა...“)².

ძლიერი დამართვა არ არის ინგილოურში გავრცელებული. მას მხოლოდ სპორადულად გხვდებით მარტო ზოგიერთ სიტყვაში; მაგ., აურ, არაც და სხვ. (იმ მხრივ ინგილოური ვერ შეედრება თუშურს).

ჭ 26. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა. ს. ქლენტი სპეციალურ ნარკეებს უძლენის ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის საკითხს სვანურში. მისი ნარკეების თანახმად „ქართველური ენებიდან ფშვინვიერი შემართვის ხელშესახებ მასალებს იძლევა სვანური ენა: ბალსზემოური (ბზ) და ბალსკვემოური (ბქ) კილოები“³. ამ კილოებიდან სათანადო მასალების მოტანის შემდეგ ვეტორი აღნიშნავს, რომ „სვანურის ამ მონაცემებს კიდევ უფრო ამაგრებს სვანურის მოძმე ენათა ცოცხალი ენობრივი მასალები. ასე, მაგალითად, ჭანურის ვიწურ-არქაბული კილოს ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმინისართებს ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა დღესაც ახასიათებს“⁴.

¹ ამ სიტყვას მხოლოდ იშვიათად წავაწყდებით ინგილოურში; მის ადგილს იჭერს აზერბ. სიტყვა „ეშაქ“ (← ეშაშეK).

² არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, § 7, გვ. 20.

³ ს. ქლენტი, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VII, № 5, 1945, გვ. 386; მისთვე, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 122.

⁴ ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 126.

მოხსენებული აქვს ინგილოურიც; მის შესახებ წერს: „საფიქრებელია, რომ ინგილოურში თავკიდულ ხმოვნის ფშვინვიერ შემართვას; მაგ.: ჰელვა, ჰალკა, გუთან-ჰაჩიჩა, ექმ ჰარაკიმ, ჰუნდ, ჰეგი, ჰაგუბა“ და სხვ. (გვ. 126).



ჭანური კილოს ვიწურ-არქაბულ კილოკავს შეიძლება ნაწილობრივ ამოვუყენოთ გვერდით აგრეთვე ამავე ჭანურის ათარულობით კილოკავიც შემდეგნაირი მაგალითების საფუძველზე, როგორიცაა: ჰაქ 87,3 „აქ“, ჰიქ 112,9 „იქ“, ჰამ 87,31 „ეს“, ჰიმ 87,8 „ის“, ჰაშო 90,20 „ასე“, ჰიშო-ჰაშო 98,4 „ისე-ასე“, ჰასტერი 100,17 „ასეთი“ და სხვ¹.

ინგილოურში უხვად ვხვდებით ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის შემთხვევებს. დავისახელოთ სათანადო მაგალითები.

ხმოვანთა ფზვინვიერი შემართვა ჩვენ ებით-მითითებით ნაცვალსახელებში: ჰეგრი, ჰიგი, ჰე კაცი, ჰეს (ალიაბ.), ჰემამ (კაკ.), ჰემაგ (+ჰე+მაგრე), ჰემგე რამ 197,30 („ეგეთი რაიმე“), ჰეგენ 203,11 და სხვ².

დაახლოებით ასეთივე ფშვინვიერი შემართვა გვექნება რაეთავეკილურბერიან კითხვით ნაცვალსახელებთანაც მაშინ, როდესაც რაე იმდენად დასუსტდება ($\dot{\text{r}} \rightarrow \text{g} \rightarrow \dot{\text{s}}$), რომ წარმოადგენს მხოლოდ მომდევნო ხმოვნის შემართვის ობიექტს; მაგ.: ჰაბეა? (|| კაბეა? || რაბეა? „რატომ?“ კაკ.), ჰახეა? (კახეა? || რახეა? „რა არის?“ კაკ.), ჰაშუნდა? (|| კაშ უნდა? || რაშ უნდა? „რაში უნდა?“ კაკ.), ჰათაარ (|| კათაარ || რათაარ „როგორ?“ კაკ.), ჰოგო (|| კოგო ||) როგო „როგორ?“ და სხვ.

ინგილოურში ასეთივე ფშვინვიერი შემართვის მეშვეობით ჰაე გვაქეს როგორც უცხოური წარმოაშობის, ისე ქართულ სხვა სიტყვებიც; მაგ.: ჰენგა (\leftarrow ენკა „ცხენოსანი მეყრიონი ქალი“)³, ჰამბარი (\leftarrow ამბარ „საწყობი“, ძეედან: „ტრრი რაბე აა ჰამბრე?“ ითით.), ჰაფთუფად (კაკი || ჰაპტობად || ჰაპტობად, ზაგ., სამთაწყ. აფთაფა „თუნგი“), ჰარაწ (\leftarrow არაწ, კაკ.), ჰაჩიჩად (კაკ. \leftarrow აჩიჩა, საბა, ლ.), ჰაგუბად 187,7 („აბგა“), ჰაკაკ (კაკი, მცენ., მა ჯანაშვილი, ლექს.), ჰალდენ, ჰალდენ, მუშტის ოდენ (ალიაბათი), ჰალავ \leftarrow ალავ || ალი „ალი“, კაკ.); ჰიგინა⁴ (\leftarrow ეგინ \rightarrow ეიჩ „სწრაფად“ კაკ.)...

¹ მაგალითები ამოღებულია არნ. ჩიქობავას ჭან. გრამ. ანალიზიდან, ტექსტები.

² შდრ. Н. Марр, Грамм. древнелит. груз. яз., § 120.

ჰაქედან უნდა გვეონდეს მიღებული სოფლის სახელი ჰენგიანი || ჰენგიანი || ენგიანი.

³ სტ. მენთეშავილს „ჰიგინა“ მიაჩნია „რიგიანად“ სიტყვისაგან მიღებულად, განმარტებაში უწერია „რიგიანად“. ჰაეს რაესაგან მიღებულად თვლის (ჰაემეტობა ინგილოურში: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940, გვ. 201,7).

ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას სხვათა სიტყვის გადმოსაცე
მი ო→უ-ს წინაც ვხვდებით ინგილოურში; მაგ.: კელემ-ჰუაშ (კელე
დემ-ო-ა?), სახლევ-ჰუა? (|| სახლევ-უა? „სახლებიო?“ კაკ.), ალირო
ჰუა? (კაკ.), ჰასანა-ჰუა? (ალიაბ.), შენ-ჰუა? (←შენ-ო-ა?), შე-ჰუა?
და სხვ.


კაკურში ამავე სიტყვებში ხშირად ვხვდებით ფშვინვიერი
შემართვის პარალელურად ძლიერ შემართვასაც. ალიაბათურშიც
ზოგჯერ ამ მაგალითებში ძლიერი შემართვის შთაბეჭდილებას უფ-
რო ვღებულობთ, ვიდრე ფშვინვიერისას; ყოველ შემთხვევაში ჰ
ყრუ მსკდომ ჸ-ს უფრო უახლოვდება ვიდრე ყრუ ფშვინვიერ ჸ-ს
(გვაქვს სავსებით გაქრობის შემთხვევებიც).

სხვათა სიტყვის გადმოსაცემი ო→უ-ს წინაც ფშვინვიერი
შემართვა ინგილოურში მეორეული მოვლენა ჩანს. იგი მიღებული
უნდა იყოს მაგარი შემართვის „გაფშვინვიერებით“. თვით მაგარი
შემართვა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოშობილი ჩანს
მახვილის ნიაღაგზე. ანალოგიურ მაგალითებში ახლაც მქაფიოდ
გაირჩევა მახვილი სწორედ იმ ხმოვაზე, რომელიც ხასიათდება
მაგარი (ან ფშვინვიერი) შემართვით.

ფშვინვიერი შემართვის წყალობით უცხოური წარმოშობის
ჰაერნი სიტყვები უცვლელად შემონახული ინგილოურში; მაგ.: ჰა-
ლალი (halal „ლირსი“), ჰალალობარი („ნების დართვა“), ჰალა
(hala „ჯერ“, „კიდევ“, ჰალაქი („ჯერჯერობით“), ჰამ (ham „ასე-
ვე“, „კიდევ“, ჰალვა (halva „ხალვა“), ჰარიამა (hərlənəmə
„ტრიალი“, ჰუჯუმ (hçymum „თავდასხმა“, „შეტევა“), ჰარ (hap
„თითოეული“, „ყყველი“), ჰარაი (haraï „განგაში“, „დასახმარებ-
ლად ძახილი“, „მიწვევა“), ჰაზირი (hazyr „გამზადებული“, „შდრ-
გურ. ხაზირი, გახაზირება), ჰამამი (hamam „აბანო“), ჰაქიმი (ha-
kim „ექიმიბაში“ ინგილოურად), ჰურმათ (hürmət, hərmət „პატი-
ვისცემა“, „მორიდება“). ჰუნარ (hynər „გმირობა“, „გამბედაობა“),
ჰისაბდარ (hesabdar „მოანგარიშე“, ალიაბ.), ჰეჩ (heç „არაფერი“),
ჰრუათ (həçət „ჯილტობა“)...

ასევე ჰაეთი შემონახული ინგილოურში: ჰელვარი, ჰადული, ჰა-
ლომობს („იბრძვის“, „ომობს“, კაკ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს ზოგჯერ ვიწრო მჟღერი ჸ-ს (სპორადულად
ვინისაც) გაფშვინვიერების მაგალითებიც ქართულსა და არაქარ-
თული წარმოშობის ზოგიერთ სიტყვაში; მაგ.: ჰერ (← || ჰერ ←
იარ, კაკ.), ჰამ (← ჰამ იშ „ასაკი“, კაკ.), ჰეშიქ (← || ჰაშიქ ← ია-
შიქ, რუს. „ящник“), ჰარალ (← || ჰარალ იარა „იარალი“, ჰევაშ-ჰე-



ვაშ (<→ ევაშ-ტევაშ <→ || ჰავაშ-ჰავაშ ქაშ-ქაშ „ნელ-ნელა“)... ჰორლი ღან (<→ || ჰორლან ჩირგან „საბანი“ || → ვერლან || → ტერლან), დაშ (<→ || ჰორლაშ იოლაშ „ამხანაგი“; „მეუღლე“ || → ვერლაშ || → ტერლაშ, კაჭ.), ჰასილა (<→ || ვასილა, ალიაბ.), ჰუქად („წყობად“, ← ჩიკ, „საბალნე“, „ტვირთი“) და სხვ.

ფშვინგიერი შემართვის წყალობით ფართოდ გავრცელებულა კაჯურში „ჰაემეტობა“ ანლაუტში მოქცეულ ხმოვანთა წინ ზნებზი, როგორც ეს ჩანს მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილი მასალებიდან და იმ გადმონაშთებიდან, რომელებიც კაჯურის თანამედროვე მეტყველებაში აქა-იქ ახლაც წამოყოფენ თავს: ჰუთქომ (ალიბეგ.), ჰუსროვნი (იქვე), ჰუჭმიაყ (იქვე), დაპეად ქნად ჰუნდ ყოფილ (ზაგ...). ჰუნახი 195,10, ჰუკითხნი 197,3, ჰუვაზირაყ 197,9, ჰუწავლები 197,29, ჰუნავ 202,1... ჰოლაპარიკეოდიყ (|| ჰოლაპარიკეოდიყ, კაკი), ჰუთხოვ 205,16, ჰუც 197,30, ჰუქ 205,19 და სხვ.

დასკვნა: ინგილოურში ხმოვანთა ფშვინგიერი შემართვის დამკვიდრებაში საგრძნობი წილი მიუძლვის მაგარი შემართვის გაფშვინგიერებას მახვილის შესუსტებასთან დაკავშირებით. ხმოვანთა ფშვინგიერი შემართვა, რომელსაც ასე ფართოდ ვხვდებით ინგილოურში, პარალელს პოულობს სვანურსა და ჭანურში. წინათ იგი ქართველურ ენებში უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ვიდრე ამჟამად გვაქვს. ინგილოურმა კი სალიტ. ქართულთან და ქართული ენის ყველა სხვა დიალექტთან შედარებით მეტი უნარი გამოიჩინა თავკიდური ხმოვნის წინ ჰაეს შენარჩუნებაში. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს ის უცხო ენობრივი გარემოც, რომელშიც მოქცეულია ინგილოური კილო და რომელთა გავლენას განიცდის. ესაა აზერბაიჯანული და დაღესტრური ენები, რომლებშიც ფართოდ ვხვდებით ხმოვანთა ფშვინგიერ და მაგარ შემართვას (პირველში ფშვინგიერი სჭარბობს, მეორეში კი— მაგარი). ქართული წარმოშობის ინგილოურ ზმნებში, რომლებშიც ამ ენების გავლენა, შედარებით სხვა სიტყვებთან, ნაკლებ მოსალოდნელია, თავკიდური ხმოვნის წინ ჰაე თანდათან გაქრობის გზაზე დამდგარა. ამ სიტყვებში უფრო მეტი ზემოქმედება უპოვია ქართული ენისა და ქართული კილოების გავლენას. საესებით გამჭრალა ალიაბათურში, სადაც ეს გავლენა უფრო მეტია¹.

¹ ფშვინგიერი შემართვა-დამართვის შემთხვევები ანასიათებს თანხმოვნებსაც.

§ 27. ხმოვანთა ფშვინვიერი დამართვა. ინგილოურში ხშირად ვხვდებით ფშვინვიერი დამართვის მაგალითებსაც. ამ ურჩევის შემდეგ ინგილოურს ვერ შეეღრება ქართული ენის ვერც ერთი კულტურული მართვის გვაქვს

უმეტეს შემთხვევაში პრევერბისეული მახვილიანი ხმოვნის შემდეგ, თუ მას თანხმოვანი მოსდევს; მაგ.: დაპ-ჩებიან (|| დაპ-რიებიან, იშვიათად, ალიაბ.), დოპჩ. (|| დავჩ. „დავრჩი“, კაკ.); დაპ-ჭ წ ე ვ (|| დოპ-ჭ წ ე ვ || დოპ-ჭ წ ე ვ, კაკ.), ჩერთმა გაპ-ტყრო (მოს.), შიმშილი მოპ-ვ კ („სიმშილით მოვკვდი“, კაკი), მოპ-ტყდობოდი (ალიაბათი)...

ორ- და სამპირიან ზმნებში არსებულ ჰაესაც ხშირად ვერ მივიჩნევთ პირის ნიშნად: პრევერბისეული ხმოვნის გამოთქმის დასრულება ჩევულებრივ ხდება ფშვინვიერი დამართვითა (ჰაეს გაჩენით) და ოდნავი ინტერვალით, რის შემდეგაც მოსდევს მომდევნო თანხმოვნისა და სხვა ბევრათა გამოთქმა; მაგ.: დაპ-ტყარგვ] (|| დოპ-კარგვ!), დაპ-ტყლოთ (|| დოპ-კლოთ), მე ერ ინსნი თავ დოპ-ჭ („მე ერთი კაცი დავწვი“, კაკი), დაპ-ტყრო (|| დოპ-ჭრო), გაპ-ტყროთ) (|| გოპ-ჭროთ); ექთონ ეაფავ გაპ-ტ წ ი ვ (|| გოპ-წ ი ვ), ემდეფაც ჩენ გაპ-სწივ (|| გაპ-სწი, ალიბეგლო)...

პრევერბისეული ხმოვნის ფშვინვიერ დამართვას შეიძლება შევხვდეთ მიმღებებსა და მასდარებშიც; მაგ.: განაპ-წ ე ვ ზაპმად (|| ჟაფა), კლავის გაპ-წ ე ვ ა და სხვა.

პრევერბიანი ზმნების ანალოგით ჸ-ს ვხვდებით შემდეგ ზმნებშიც: აპ-ხყო (←აქყო←აქვსყე, ალიაბ.), კეპ-ტევის (კაკ. || კეპ-ტება, ალიაბ.), კეპ-ტევიან, შინაუროვად იმი იშილით ნაპ-ტ ე ვ (კაკი) და სხვ.

თუ პრევერბისეულ მახვილიან ხმოვანს ქცევის საჭარმოებელი ან სხვა ორმელიმე ხმოვანი მოსდევს, მაშინ მის გამოსათქმელად დაჭიმული სახმო სიმები ფშვინვიერი დამართვის გარეშე გადადიან მომდევნო ხმოვნის გამოთქმაზე და შესაძლებელია ფშვინვიერი დამართვა მიეკოლოთ ამ ხმოვნის შემდეგ; მაგ.: შააპ-წრეს (კაკი), მუაპ-ყო (←მოაქვსყე, ალიაბ.), მინ გაპ-წ ე ვ ე ლ ი ა პაზირულ (|| პაზირულ „მხადება“, ქოთ.), თმა ა ჯ პ-წ ი ვ ა მაღლა (მოს.), თოლებ გოუპ-წ ე რ დ ა (თასმ.), დედაკაც პლჯათ¹ ნუ გოუპ-წ ე ვ (ითით.) და სხვ.

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება ყოველგვარი ფშვინვიერი დამართვის გარეშე (წაყონა, ჩოტები, შემეეყარა, გლმუარ-დნილგა) და ა. შ.).

¹ ჩემეთ 1) ჯიუტობა, ჩიუბი, დავა; 2) ჯიუტი, მოჩხუბარი.



ფშვინვიერ დამართვას შეიძლება შევხვდეთ ინგილოურში სიტყვის ყველა ნაწილში. კახის რაიონის სოფ. ოლიბეგლოში, რომელის მეტყველებაში ზოგჯერ თავს იჩენს ბოლოვიდური ხმოვნის გაგრძელება, გხვდებით კითხვითი ანის დამართვას იმ შემთხვევაში, თუ იგი არ დაგრძელდა; ე. ი. აქ ხმოვნის დაგრძელება იცვლება მისი ფშვინვიერი დამართვით; მაგ.: ცეცხლ დაანთებელავაჲ? სახლებაჲაჲ? (←სახლებ-ავ-ავ?) და სხვ.

აქ გვესმის ძალიან სუსტი ჲ ან ანის ოდნავი დაგრძელება¹.

ანალოგიურ მოვლენას შეიძლება წავაწყდეთ (იშვიათად), ალიაბათურშიც, მაგრამ აქ არა სიტყვის ბოლო ხმოვანთან, არამედ პრევერბის ხმოვანთან; მაგ., ჩედირა და ჰ-სუეს („კარავი დაასვეს“)...

ხმოვნის ფშვინვიერი დამართვის წყალობით ჲ ინარჩუნებს არსებობას ხმოვნის შემდეგ აზერბაიჯანულის გზით შემოსულ ინგილოურ სიტყვებშიც: მრპკამა ჰტლპენ (←მეტკამ „მაგრად სცემენ“, კაკ.), ფადშაჲ (კაქ. ← || ფადშაჲ, ალიაბ., პაძშა „ფადიშა“, „მეფუ“) და სხვ.

აზერბაიჯანულის გზით შემოსულ თითქმის ყველა ინგილოურ სიტყვაში ჲ აქ უცვლელად შემონახულია ორ ხმოვანს შორისაც²; მაგ.: შაპაბასი (ალიაბ.), ხაპარ (← აზერ „უნაგირი“), გაპალულება (ალიაბ.), დაპლეათნენ („წაიკიდნენ“, იქვე), გუაპაზირა (შდრ. გურ. გაახაზირა) და სხვ.

აქ ჲ გამოთქმა უერთდება ხან წინა ხმოვნის დამართვას და ხან მომდევნო ხმოვნის შემართვას.

დაახლოებით ასეთივე აკუსტიკური შთაბეჭდილება შეიძლება მივიღოთ ზოგჯერ ქართული სიტყვების გამოთქმის დროსაც; მაგ.: გაპაზახე („გაპძელ“, ალიაბ.), დაპაბანა („დაპბანა“) და სხვ.³

¹ მახვილი აქაც (თუმცა ტონური) გვაქს იმ ხმოვანშე, რომელიც ჩასიათდება ფშვინვიერი დამართვით ან დაგრძელებით.

² თუ არ მივიღებთ მხედველაბი ზოგჯერ გამონაკლის (მაგ., შაველელა ← || შაპისმელა, ალიაბ.), რომელშიც ვხვდებით ზოგჯერ მის დაკარგვის შემთხვევასაც.

³ შდრ. არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეტიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., XI, თბილისი, 1959, გვ. 166—167; 5. ოსტრიაშვილი, ინგილოურის ძირითადი თავისებურებანი სოფელ კაის მეტყველების მიხედვით: თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო მომების კრებული, № 8, 1958, გვ. 282, 286.

ფშვინვიერი დამართვა ხშირ შემთხვევაში იცვლება ხმოვნის გაგრძელებით; მაგ.: ჰათაარ და ადგი ეს სახლები? „¹ რა გრძელები და დგი ეს სახლები?“ სოფ. ალიბეგლო), ჩემზე ნრქარ და ადგე გი? („ჩემ მოსამსახურედ და დგები?“ სოფ. ქოთოქლო), შენ სად გა ა ბა ხე? („შენ სად გა ა ბეღ?“ ალიაბათი), ჰაბე გა ა უავრ დი? („რატომ გა პჯავრდი?“), როგო გა ა ბედითა? („როგორ გა პბე-დეთ?“ სოფ. კაკი), სა მი ი დი? ნუ მი ი დ! ნუ მი ი დი ი გ! ნუ მი ი დი ი ხარ! ნუ მო თ დი ი ხარ! ემ მამას უავრ მო თ დი ს... ამ კაცს შეებრა ალდა კატა და ზაღლი (სოფ. ალიაბათი)... ქერიზ (← || ქეპრიზ ჭა) და სხვ.¹

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, სადაც ორი იდენტური ხმოვანი შეცვლილია ერთი ხმოვნითა და ფშვინვიერი დამართვით; მაგ.: ერთი უონი და პსუე ს გზაში (ალიაბათი)².

არ არის გამორიცხული, რომ ინგილოურში გადმონაშთის სახით შემონახული გვქონდეს ზმის უღვლილების პრეფიქსული წარმოების ხმოვნიანი ვარიანტი (დაპატან→ღაპანა), რასაც არნ. ჩიქონავა ვარაუდობს ქართული ენის უცველესი ვითარებისათვის³, თუმცა ამას ეწინააღმდეგება ისეთი ფორმების გაჩენა, როგორიცაა: წოორა, დიიდ, ფიქიროვს და მისთანა; მაგ.: წოორა თქუ! წინ ერ დიიდ წყალ უხტევ (კაკი); ე ნადირ ვი ქიროვს, ფიქიროვს; ჩონ სა ამის ერთ მოტბარი („ჩვენ სამში ერთს მოუპარავს“, კაკი)...

§ 28. ოოტირებული შემართვა. მაგარი და ფშვინვიერი შემართვის გვერდით ინგილოურში ვწვდებით ვიწრო შელერ ანუ ოოტირებულ შემართვასაც; მაგ.: ჰეზნამ (|| ჰეზნამ ← ეზე „სიძე“, კაკ.), ჰენგილავ (|| ჰენგილავ ენგილავ, კაკ.), ჰენგიან (|| ჰენგიან ენგიან, სოფლის სახელია), ჰოლქამ (← ელკა „ჰევანა“), ჰემავ (|| ჰემავ), ჰეხლა („ახლა“), ჰერით! (|| ჰერით! კაკ.)...

აზერბაიჯანულიდან შემოსული ამ სახის სიტყვები უმეტეს შემთხვევაში უცვლელად იხმარება ინგილოურში (ჰაშშილუდ „სიკეთე“, ჰოლდამ, ჰავაშ || ჰევაშ „ნელა“ და სხვ.)...

¹ შდრ. რ. ლამბაში დე, სამაგიერო სიგრძე ინგილოურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIV, № 2, 1953, გვ. 123—124; გ. მაჭავარი ირანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 38.

² შდრ. ცეფარა ← ევფარა ← აეფარა.

³ არნ. ჩი ქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმებში, გვ. 151—168.

ამ იოტირებული შემართვის ანალოგიურ მოვლენებს ადგილი
აქვს ქვემოსანურში, როგორც ეს რიგი გამოკვლევებიდან ჩამოყალიბების
ქართული კილოებიდან შეიძლება გვერდით ამოვუყენოს ანუ მოვალ-
ინგილოურს თუშური. სათანადო შრომებიდან ცნობილია, რომ
თუშურში ა უჩნდება თავში ხმოვნით დაწყებულ ზოგიერთ ნაცვალ-
სახელსა და ზმინისართს (მაგ., ხამ, ხახლ. ხაგრ...)?

§ 29. ინგილოურში ხმოვანთა შემართვა-დამართვასთან და-
კავშირებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1) ინგილოურში ჩვეულებრივ ვხვდებით ხმოვანთა შემართვის
საშია და დამართვის ორ სახეს.

2) ამ მხრივ ინგილოური კილო მქაფიოდ გამოეყოფა ქარ-
თულ ენასა და ქართული ენის სხვა კილოებს, მაგრამ მას ანალო-
გიური მოვლენები ზოგიერთ შემთხვევაში მოექმნება ქართველური
ენებიდან სვანურსა და მეგრულ-ჭანურში.

3) ინგილოურში არსებულ ხმოვანთა შემართვის ზოგიერთი
სახე არ უნდა იყოს უცხო არც ქართული ენისათვის ისტორიულ
წარსულში.

4) ინგილოურში ხმოვანთა შემართვის ფშვინვიერი სახის
შემონახვასა და შემართვა-დამართვის ყველა სახის განვითარებაში
გარკვეული წილი მიუძლივის აზერბაიჯანულისა და დალესტნური
ენების გავლენასა და ქართული კილოებისაგან ნაწილობრივ მოწ-
ყვეტას.

¹ ს. ჟღენტი, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში: საქ. სსრ
მცცრ. აკად. მოამბე, VI, № 5, 1945, გვ. 387; მისივე, სვანური ენის ფონეტი-
კის ძირითადი საკითხები, გვ. 125; მ. ქართველი, სვანური ენის ლაპამულური
კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი: იბერ-კავკ. ენათმეცნიერება, VII,
თბილისი, 1955, გვ. 140—141; მისივე, ა-ს გვენეზისისათვის სვანურში: ქარ-
თველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959, გვ. 91—100; მისი
ვე, სვანური ენის ლენტებური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებუ-
რება: ქართვ. ენათა სტრუქტ. საკითხები, II, თბილისი, 1961, გვ. 168—169;
შდრ. ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 29—32;
მისივე, ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი, 1956, გვ. 160—162; თ. გამ-
ყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტრა სისტემა და აბლაუტი ქართვე-
ლურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, გ. წერევთლის
რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1965, გვ. 64—72.

² ს. სუბური, მთათუშურის თავისებურებანი (მანქანაზე გადახედი-
ლი საკანდ. დისტრიცია), 1942, გვ. 23; თ. უთურგაიძე, თუშური კილო,
ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 9.

5) ინგილოურში ხმოვანთა შემართვა-დამართვის საკითხში
გარეულ როლს თამაშობს აგრეთვე მახვილი.



§ 30. ზოგადი დასკვნა ფონეტიკური ნაწილისათვის. ინგილოური კილო მეტად მდიდარია ფონეტიკური თავისებურებებით. ქართული ენის არც ერთ კილოში არ ვხვდებით იმდენ ფონეტიკურ თავისებურებას, რამდენსაც ინგილოურში. აქ გვაძეს უმღაური, ლაბიალიზაცია, პალატალიზაცია, თანხმოვანთა და ხმოვანთა ასიმილაცია-დისიმილაციის ყველა სახე, სუბსტიტუცია, აფრიკატიზაცია, ბგერათა დაკარგვა, ბგერათა ჩამატება, შემართვა-დამართვა და სხვ.

უცხო ენობრივი წრის გავლენას ინგილოურის ბგერითი შედეგნილობისა და ფონეტიკური შოვლენებისათვის თავისი დალი დაუსვემს (ძ და ჯ ბგერების დაკარგვა, უმღაურების გაჩენა, ხმოვანთა შემართვა-დამართვა და სხვ.).

თ ა ვ ი მ ა რ ს ე

მთავარ მორფოლოგიურ მოვლენათა ანალიზი

სახელი

ბრუნიძე

§ 31. სახელობითი ბრუნვა სხვადასხვანაირადაა წარმოლგენილი კაურსა და ოლიაბათურში. ამ მხრივ მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა.

კაურში ხმოვანულიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ① (→ ხ)–ს დაირთავენ მიუხედავად ბოლოკილური ხმოვნის რომელობისა და მარცვლის რაოდენობისა¹; მაგ.: და, ზმა („მმა“), დედა, მამა, თორნე, კალო, ზუზუ („ძუძუ“)... დემურჩი („მჭედელი“), ტანა-ჩი („მებბორე“), ქეჩი („თხა“) და სხვ.

თანამედროვე ქართულ კილო-თქმებში საერთოდ და კერძოდ კი კაურში ① → ხ სახელობითი ბრუნვის ნიშნად მოუდის საკუთარ არსებით სახელებსაც; მაგ.: ვასილა, ნიკო, მიხაკო...

¹ რომელთაც სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვისათვის მნიშვნელობა აქვთ გურულში. აქ ერთმარცვლოვანი ყველა ხმოვანულიანი სახელი დაირთავს 0-ს, ხოლო ერთზე მეტმარცვლოვანთავან — მხოლოდ ა-ზე დაბოლოებულები, მაგრამ არა ყველა, არამედ ისეთები, რომელთაც ა ქონების აღმნიშვნელად (შაგოვალი, დიდგულა) ან კინობითობის საჭარმოებლად მოუდით (შეიძლება ეს ფუნქცია ამჟამად დაკარგულიც ჰქონდეს მას. სულ ერთია, ის საკუთარი სახელი იქნება თუ ზოგადი). გამონაკლისია უცხოური წარმოშობის ა ბოლობმოვნიანი სახელები, რომლებიც დაირთავენ (ზინი, აკოშკაი) და ნათე-საობის აღმნიშვნელი ა ხმოვანულიანები: მამა, დედა, მამიდა და სხვები, რომ-ლებიც ზოგჯერ (მაგალითად, მაშინ თუ მთემელი საკუთარ მამაზე ლაპარაკობს) დაირთავენ და ზოგჯერ კი არა (თუ სწორი მამაზე ლაპარაკი). ასევე ითქმის ა ბოლოხმოვნიან საკუთარ არსებით სახელებზედაც (თუ შინაურზე, ოჯახის წევრ-ზე ან ანლობელზეა ლაპარაკი, მაშინ დაირთავს).

ამავე კაკურში თანხმოვანფუძიანი სახელი თითქმის ყოველ-
თვის ფუძით არის წარმოდგენილი, თუ ამ ბრუნვას რომელიმე
ნაწილაკი არ დაერთო, ანდა თუ წინადადება კითხვით არის და
ეს სახელი მის ბოლო წევრს არ წარმოადგენს, ანდა კიდევ თან-
ხმოვანფუძიანი სახელი შედგენილი შემასმენლის მნიშვნელობით
არაა მოცემული აწყოსა და მყოფადში; მაგ.: კაც მოსულ, ღორ
მოუკლავ, გარ წაუყონი, ერ ქალ ყოფილ...

სახელობითი ბრუნვის ნიშნის არქონა სხვა კილოგრამი ახა-
სიათებს (მაგალითად, ხევსურულს, თუშურსა და სხვ.)¹. მაგრამ მას
ისეთი სისტემატური ხასიათი არსად არა აქვს, როგორც კაკურში.

ერთ-ერთ ქართველურ ენას (სვანურს) სრულებით არ გააჩ-
ნია სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

კითხვა ისმის: კაკურში უძველესი მდგომარეობის შემონახვას-
თან გვაქვს საქმე თუ მეორეულ მოვლენასთან? *

სვანურში რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი გაჩენილა და
შემდეგ დაკარგულა, ეს უკვე დამტკიცებულია².

ფაქტია, რომ კაკურში საქმე გვაქვს სახელობითი ბრუნვის
ნიშნის დაკარგვასთან და არა გაუფორმებელი ბრუნვის შემონახვას-
თან. ამას ამტკიცებს: 1) ამ ბრუნვის ნიშნის შემონახვა ხმოვან-
ფუძიანებთან, 2) მისი გაჩენა ნაწილაკის დართვის შემთხვევაში
თანხმოვანფუძიანებთან. (კაციც, ორივ, კაცივი ← კაცივით), 3) გა-
ქვავებული სახით მისი არსებობა და კავშირით შეერთებულ რიცხ-
ვით სახელებში (ოციდაერთ, ოციდაორ, ოციდასამ...), 4) მისი
აღდგენა შედგენილი შემასმენლის მნიშვნელობით ნაბარ სახელებსა
და მიმღებებში (კაცი ← კაცია, დიდი ← დიდია, დააწერელი ← დასა-
წერელია, გააკეთებელი (← გასაკეთებელია), 5) მისი გამოვლენა
კითხვითი წინადადების ბოლოს მოხვედრილ სახელთან (ჰაბა კა-
ცი?), 6) ამ ბრუნვის ნიშნის არსებობა ალიაბათურში თანხმოვან-
ფუძიანებთან, 7) მორთულობის დანიშნულების მქონე სუფიქ-
სისეულ ხმოვანთა დაკარგვის ხშირი შემთხვევებია კაკურში და სხვ.

ქართული კილო-თვებისა (თუნდაც იმავე ალიაბათურისა) და
სალიტერატურო ენის გავლენით, რაც თანდათანობით იჩნეს თავს

¹ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: „კრებული“ ივ. ჯავახიშვი-
ლის რედაქტორობით, 1915, გვ. 195.

² ა. შანიძე, უმღაუტი სვანურში: კოებ. არილი, 1925, გვ. 218—220;
ვ. თ თვე ურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილისის
უნივ. მოამბე, VII, 1927, გვ. 285—312; მისივე, კვლავ უმღაუტისათვის სვა-
ნურში: ტფილისის უნივ. მოამბე, VIII, 1928, გვ. 337—346.



და ძლიერდება ქართული სკოლების, უურნალ-გაზეთების, სხვადაც უცნებელი სხვა ლიტერატურის, რაღიოს, საქართველოსთან მჭიდრო ურთისა მოვალეობა ერთობისა და სხვათა მეშვეობით, ამჟამად კაკურში შეიძლება შევხედეთ სახელობითი ბრუნვის ნიშნის უქონლობის შემთხვევებსაც ბოლოხმოვნიანებთან, ხოლო ბოლოთანხმოვნიანებთან — პირიქით მოვლენას. ამას ადგილი აქვს ერთისა და იმავე პიროვნების მეტყველებაშიც კა; მაგ.: იყო ერ მამად და ერ დედა... მამა ყოფილ მენადირე... ის მამა კლაბოდა... ერ დღეს მამა მოკლო... მამა რუმ მოკდო, სულ თავი ცხოვრევად გამტკრდა... შეული დღე-დადლე გახსარდა...

სახელობითში თანხმოვანფუძიანებთან ი-ს დართვის შემთხვევ-ვებს ვხვდებით უმთავრესად და¹ კავშირის წინ; მაგ.: ცხენი და ყუშ აშეყონიაყ² ეს და ცხენ აშეყონიაყ³...

ალიაბათურში ხმოვანფუძიანებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი დაკარგული აქვთ (მამა, დედა), ხოლო თანხმოვანფუძიანები -ი ნიშნით გვევლინებიან სახელობითში (კაცი, ქალი).

§ 32. მიცემითი ბრუნვა ინგილოურში უმეტეს შემთხვევაში -ს დაბოლოებით გვეყლინება. -ს ნიშნის დაკარგვას მხოლოდ ზოგ-ჯერ გხვდებით (კაკურში უფრო იშვიათად, ვიდრე ალიაბათურში); მაგ.: პოლ რეცხენ, ჩედიან ქორწილ, მოჰყონენ დეკაც, ამ ქაჩალ უყიდნია... იმააც (←იმასაც) უთქომ... მეექიდა იმასთან შეჭირნა...

ზმინიზედებშიც იყარგვის ზოგჯერ სანი; მაგ.: კაც ადგა ერ დღე, ტყეში წატუდა; თქო ერ დღე; მეგრე დღე ააყონა ყმაწულებ; ამ დღეაც (←ამ დღესაც) ცომ მააზელელ ყოფილ; ამ ღამეაც (←ამ ღამესაც)...

მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის იოტიზაციის შემთხვევები მხო-ლოდ კაკურში შეინიშნება; მაგ.: უანავარმა თუ ლქტუ და დათს უთხრა („მგელმა მელასა და დათეს უთხრა“), ენაც ნუ უგდევ („ენას ნუ იჩლექ“), ფენავს სუფრაც, იშყოვენ სახელევ დადგ-მაც, აყოლევს აოლდაშევბე წმაც ქნუაც... (§ 21, a).

¹ „და“ კავშირი ჩვეულებრივ საუბარში ნაკლებად იქმარება (განსაკუთ-რებით კაკურში).

² „და“ კავშირის წინ გაჩენის ტენდენცია ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ -ი ჩნდება იქაც, სადაც ის არაა მოსალოდნელი. მაგალითად, ტავარი და ეშაქშა მომატყუეს („ცხვარმა და ვირმა მომატყვიეს“, ს. ალიბეგლო) და მისთ.

§ 28. ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და იკვეცს - ა ნიშანს (ძალიან ხშირად კაურში და ზოგჯერ ალიაბათურში) ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს კაურში, ქართლურში და სხვა აღმოსავლურ კილოებში.

ინგილოური ამაზე უფრო შორსაც მიდის: ნათესაობით ბრუნვაში დასმულ ბოლოთანხმოვნიან მსაზღვრელს მთლიანად ეკვეცება ბრუნვის ნიშანი მაშინ, როცა იგი საგნის ნათესაობაზე არ მიუთითებს; მაგ.: პურ ჭმავ, დიდ ზმავ პურ უჭმელა დგევ, პატრაზმა თავ დააზებნელა მივ (კაკი), კიდემ ერცხო ინსან დააწოლელ ადგილ არის...

ინგილოურმა ნათესაობით ბრუნვაში ემფატიკური - ა არ იცის¹. მის მაგივრად აქ ინი გვევლინება.

ნათესაობით ბრუნვაზე დართული ინი, ნაცვალი ემფატიკური - ა-სი, ალიაბათურში გვევდება ყველა შემთხვევაში: ბოლოხმოვნიან და ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან, მომდევნო და წინამავალ მსაზღვრელთან².

მსაზღვრელს წინ უსწრებს საზღვრული: ქალიზი მაღლი დოხტურ-ის-ი, კარ გააღეს კიდობნ-ის-ი, ტყავ კარზე გოქო უანავრ-ის-ი, ჩამავლეს ქობი წყლ-ის-ი, ქალი პატარა ბიჭ-ის-ი-ა, ეს ბინა ჯომარდი ყასაბ-ის-ი-ა, არმუტან ფადშა-ხს-ი-ა, ტანსმოსი ჰუსევნა-ხს-ი-ა...

მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს: ხანელ-ის-ი ყუას უდებენ; ქოხ-ის-ი წინწლავ თავ რემენია, ქსელ თავ რემენია? ბატ-ის-ი კად ქორცი რემენია? ამამ ქორც-ის-ი ტკბილი გამავცნო, შენ ზალლებ-ის-ი ერ ცალი არ მოსულა; მერდმა ნამერდ-ის-ი ბატებით თეთრიც ახტანა, ორ ბატიც მახყონა („გულუხვება ბუნწის ბატებით ფულიც აღლო“); კინ-ის-ი კრები ყოფილა, კობლია სარ-ის-ი და კობალა-ხს-ი მააჭრელა წატულა, აპმადა-ხს-ი და მაპმადა-ხს-ი ნაღილი უთქომ, აქე ვეზირ აპლავერდია-ხს-ი დედაკაცს ქალი ექნა...

¹ ემფატიკურ - ა-ს შეიძლება წავაწყდეთ მიცემით და მოქმედებით ბრუნვებში მხრილოდ ც ნაწილაკის დართვისას: გრლსაც დაჭკუჭავს, ერ უიბერაც (← ჯაბეგთაც) იყოს წახლ და სხვ.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIII, 1942, გვ. 89; მისივე, ისტორიულად განსხვავებული ორი მორითოლგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: საქ. მეცნ. აკადემიის მთამბე, III, № 6, 1942, გვ. 621.



ინი კაქურშიც უნდა ყოფილიყო დართული, მაგრამ იგი შემოვარა და გაკარგულა სუფიქსისეულ ზოგიერთ სხვა სმოვანთან ურთადებით არის დართვისას და ამ ბრუნვაში დაყენებული სახელის შედგენილი შემასმენლის წევრად გამოყენებისას; მაგ.: ომერთ-ის-ი-ც სახელის ჭირიმენ, ყონალებ-ის-ი-ც თავის ჭირიმენ, არც პურ მაქ, არც დაწოლელ ფართალ (კაკი); იმ ქალ-ის-ი-ც მალ-დოვლათ აღლეს (სამთაწყ.); თეთრ გოლ მამად ყოფილ, გოლებ-ის-ი-ც კემწიფე 197, 2—3... ცე ღორ მოზობლ-ის-ი-ა? ცე კორც ღორ-ის-ი-ა? ცე კამბეჩ ვახტანგ-ის-ი-ა?.. მოკითხაში უთხარ: ზროხაც არმუტან ბეგ-ის-ი (← ბეგ-ის-ი-ა); ცე ღორ ჩემ არა, მოზობლ-ის-ი („ეს ღორი ჩემი არაა, მეზობლისია“)... ცე ქალ ჩემ ზმ-ის-ი (← ზმ-ის-ი-ა)... ცე წიგნ ხასე-ხს-ი (← იასე-ხს-ი-ა)... ცე ღორ მორდანაანთი (← მორდანაანთია ← მორდანაანთია ← იორდანაიანთია ← იორდანა-ე-ან-თ-ი-ა)¹ || მორდანამათი² (← იორდანას მათია), ცე ქათამ ჭურაანთი || ჭურაანთი, ცე კამბეჩ შოთაანთი || შოთაამათი, ცე ცულდ გიორგინთი || გიორგიმათი და სხვ.

აქ რომ წყობა შევცვალოთ, ე. ი. მსაზღვრელი მოვაქციოთ საზღვრულის წინ (ჩვეულებრივ ასე იმარება ინგილოურში), მაშინ კაქურში ნათესაობით ფორმაზე დართული ინი დაიკარგება, სამაგიეროდ საზღვრული გაიჩენს ინს და თვითონ იქნება შედგენილი შემასმენლის წევრი; მაგ.: ჩემი მოზობლი ღორი (← ჩემი მეზობლის ღორია), ჩემ მამი ცხენი (← ჩემი მამის ცხენია), მორდანაანთი (|| იორდანაამათ) ღორი (← ღორია), შოთაანთ (|| შოთაამათ) ქათამი (← ქათამია)...

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, თუ არაა შედგენილი შემასმენლის წევრი, კაქურში ინს არ დაირთავს; მაგ.: ქორწილ ყოფილ თავი ზმების (და არა: „ქორწილ ყოფილ თავი ზმებისია“). ამდენად არ არის სწორი რ. ერქერტი, რომლის განმარტებითაც ბოსტან მამისი უდრის მამი ბოსტან-ს (der Garten des Vaters, des Vaters Frucht—[Gemüsse]—Garten [a]);

¹ ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: ჩვენი მეცნიერება, № 11—12, 1924, გვ. 9; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: ენიმების მოამბე, I, 1937, გვ. 210—220; ა. შანიძე, ქართვრამ, საფუძვლები, I, § 163, 1.

² ეს ფორმა („მორდანაამათი“) იხმარება მხოლოდ სოფ. მეშაბაშში მეორე ფორმის („მორდანაანთი“) პარალელურად.

³ თ-ც იკარგება ზოგჯერ კაკურში: აორდანაან ღორი...

ზმახ მამისი უდრის მამი ზმახ-ს (der Bruder des Vaters, des Vaters Bruder); ცხენებ მამისი უდრის მამი უქორეტში (die Pferde des Vaters, des Vaters Pferde)¹.

უნდა ვიფიქროთ, ინგილოურს ემფატიკური ანი ნათესაობით ბრუნვასთან არ გაუჩენია და ამით დაუმჯვიდრებია სხვაობა ნათესაობით ბრუნვის ფორმასა და ნათესაობით-მიმართულებითი ბრუნვის ფორმას შორის: მიაქომს მათ ზოგ დღისა...

ნათესაობითში ინის დართვის შემთხვევებს ეხვდებით ფშაურსა² და სხვაგანაც, მაგრამ იქ მასაზღვრელი უნდა მოსდევდეს საზღვრულს და მოვლენაც შედარებით ახალი ჩანს.

მოვლენის განვითარების თვალსაზრისით ინგილოურს გვერდში უდგას მეგრული, რომელსაც ნათესაობითის -ი გაუჩენია წინმავალ მსაზღვრელთანაც³.

§ 34. მოქმედებითი ბრუნვა ბოლოთანხმოვნიან სახელებთან ჩვეულებრივ -ით ნიშიანია, თუ ფუძის განმეორებასთან არ გვექნება საქმე და შედარებით იშვიათ შემთხვევებს გამოვრიცხავთ⁴.

ბოლოხმოვნიანებთან კი -ით იქცევა -თ-ად და ბოლოში დაერთვის -ი⁵; მაგ.: დააბეჭდეს ცხენი ზუაჟთი, ზუზუმთი, დანაჟთი, ყინვაჟთი...

„ძეველ ქართულში კითხვაზე საიდან? ჩვეულებრივად უთანდებულო მოქმედებითი მიუგებდა, მაგრამ გვხვდება -გან თანდებულიც -ით დაბოლოების შემდეგ, ე. ი. კითხვაზე—საიდან? მიუგებს უთანდებულო მოქმედებათიცა და -გან თანდებულიანიც“⁶. ახალ სალიტ. ქართულში კი მხოლოდ თანდებულიანი მიუგებს, ზოგიერთ დაა-

¹ R. Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, Wien. 1895, II Theil, გვ. 322, 323).

² ასევე აქვს ბ. ჯანა შვილ საც (საინგ.: ძვ. საქ., II, 1911—1913, გვ. 232), რაც არ მართლდება სათანადო შემოშებით.


³ მაგ.: „დაუცავ პალო რკინი ისი... გონება კაცისი აქვ“: ალ. ლევა კია შვილი, იცრის-ხეური ფშაური: სტუდენტთა სამეცნ. შრ. კრებული, წიგნი I, 1941, გვ. 163; ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფუძვლები, წ. 131.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზრომები, XXIII, 1942, გვ. 93.

⁵ სრული ფორმის პარალელურად შეიძლება წავაწყდეთ თანმიმდევრილ მოქმედებით ბრუნვასაც; მაგ., ფეხი (|| ფეხით) იქერს და სხვ.

⁶ -ი ზოგჯერ შეიძლება დაერთოს ბოლოკვეცილებსაც და ბოლოთანხმოვნიანებსაც ბოლოკვეცელების ანალოგით; მაგ., ქაჩალმა ააშენა დიდი სახლები ბატი გაყოფითი (მოს.) და მისთ.

⁷ არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმ-კის მოამბე, I, 1937, გვ. 55.


ლექტიშა კი—ორივე. ინგილოურში ჩვეულებრივ¹, ოოგორც მთის კილოებში², უთანდებულო მოქმედებითი მიუგებს კითხვაზე სარდაწილის მაგ.: გომოდის იმ სახლით, ბაზრით მოტტდა, თიფლიზი გადას ზეავნიან მანგლისში (კაქი), აქი ითაც ერ ორმოც ცხენიანი მიჰყაბიან (ალიაბათი), ჩემ მიწა აც გავდეს (იქვე)...

-თ (|| → -თ) ბრუნვის ნიშანს ყველაზე უფრო ხშირად აქ დაერთვის -ი; მაგ.: თავლა აც თი ელათ გამოყონ! დერია აც თი გამოტტდა, იქი აც თი გოღმუალდი, ახლა ლამაზ კაც საც თი ვიპოვნო? (ალიაბ.), გამიშურ ამ ციხე აც თი... დერია შიგა აც თი ერ შეხრევილი ზონზი გადმააგდებელნია (ალიაბ.), ცეცხლის შიგა აც თი გამოყონ, ემ დარვაზა აც თი ზედა აც თი გადატტდე, გადავხორწოთ თაც ქრუა აც თი (მოს.)...

მსგავს ფორმებს გხედებით ბოლოთანხმოვნიანებთანაც (ალიაბათურში); მა.: ჭიდი თი მოვდა; ჭელი თი, რაც გინდა, გომოდის; წევდა სახლი თი³... (შდრ. „არცა იზარებდა სვლად ქალა-ქი თი ქალაქად და ქუნითი ქნად“, კიმ., I, 2, 9—10; ა. შანიძე, წელიწადის ეტიმ., გვ. 1—11).

-თ-ი დართულ გამოსვლით (Ablativus) ბრუნვის შეიძლება დაერთოს თანი და მივიღოთ ორმაგი ნიშანი ბრუნვისა; მაგ., იქი აც თი თ || იქი აც თი, აქე აც თი || აქა აც თი და სხვა. ეს იშვიათია.

ზოგჯერ გამოსვლით ბრუნვა თანმოკვეცილიც შეიძლება იყოს; მაგ.: ჭიბი გამააქს, ჭიდი ზედა გოღმოსლაში, დერია აც გამონასულ მა კაცმა არწყივა, დერია შიგა აც ჭმა საქნელია შენთუნ (ალიაბ.), იქი აქე ცხენი ჭმა მოტტევსა? (ალიაბ.), იმათ ზე ნიმალვი წატუდა (კაკი)...

§ 35. სადაობით-გამოსვლით ბრუნვასაც წავაწყდებით⁴ ზოგჯერ ინ გილოურში მთის კილოების მსგავსად; მაგ.: ერ დღე ამ ქე არი ზანი არაბოლლიებ ივლიან (სამთაწყ.), გოღმოვ ნეფე-ს თანით ერ კაც (კაკი); გადა მიდის, ქუასთანი ეზახის (კაკი);

¹ გამონაკლისის სახით თანდებულდართულიც გველინება, მაგ., იქიდგან და სხვ.

² ა. შანიძე, ქართ. კილოები მთაში, გვ. 197; მისივე, ქართ. გრამ. საფ., § 93; ბ. გაბუური, კეც. მასალები, პროფ. აკ. შანიძის რედაქციით, წვლიწყდეული, I—II, ტფილისი, 1923—1924.

³ შდრ. „წლითი-წლობით ფართოვდება“ („კომუნისტი“, 1941, 18 მაისი)

⁴ ამ ბრუნვების შესახებ: ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფ., I, § 100; მისივე, ქართ. კილოები მთაში, გვ. 195.

კარშითით დაკლიტა კარ (კაკი), ცხრა თას იქითყენი მა-
ლა საათ (სამთაწყ.).

§ 36. ნათესაობით-გამოხვდით ბრუნვასაც ვხვდების ანგა-
ლოურში; მაგ.: ყიდულობდა იმ კაციზე გნით (\leftarrow კაც-ის-გან-ით),
ბაჯლებ დედიზე გნით მააშორით (კაკი), ე გადად დიალ მადლო-
ბელი შურა და კმათიზე გნით („ეს ბიჭი ძალიან მადლობელია
საბჭოთა ხელისუფლებისა“), წავ, . მათაღით ლაფ ბურთულიზე მიზე გნი
სუქან ყოჩ მააყონ! („წადი, ფარეხიდან ყველაზედ მეტისმეტად
მსუქანი ვერძი მოიყვანე!“ კაკი), ჰუსევნავზე გნი (ითით.)...

§ 37. საერთოდ ონგილოურში და კერძოდ კაჯურში ვითარე-
ბითი ბრუნვის ნიშნად ბოლოთანხმოვნიან სახელებთან ჩვეულებრივ
გვევლინება - ა და არა - ად (\rightarrow -ათ)¹; მაგ.: ემი გააგვევლა (კაკი),
ლუნეა დაალეველა თქმნსა მაახლვარ (ქოთ.), ოგვ იმი სანახელა
ვდგევართ (თითით.) და მისთ.

ხმოვანზე გათავებულ ფურცელთან გვაქვს - დ (|| \rightarrow -თ)². ხში-
რად ვხვდებით ვითარებით ბრუნვაში დაყენებულ მასდარებს (საწყი-
სებს), რომელთანაც უმეტეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშნად გვივ-
ლინება ნარი; მაგ.: ზი ამოსტრისენ წაუდეს ნადიროვან (ნადი-
რობად, კაკი), ნუ წაუდეს ზი ჩასლი წარეზე ნადირობან (ალიბეგ-
ლო), ვეზირები გაზგაენა ნადირობან (ალიაბათი, შდრ. და პდევთ
ბადტ თქ'ნი ნადირობად, ჰაემეტი ტექსტი, ლუკა, 19, r, V, 16,
19, v, V, 1), გადად მიდის ყურდლლოვან (კაკი), ტანაჩიო-
ვან ნაქნარ ზმასაც უშეოლში ზგანიან (ტანა-ჩი-ობა-ა-დ, „მეხბო-
ედ“, „მეხბორეობად“, კაკი), ოუჩიობან ვეტარებოდი („სანა-
დიროდ დავდიოდი“, მოს.), წასულა აუჩიობან (ალიაბათი),
მამა წაუდა მაჭაკლობან (ალიაბ.), ხუალ ყონალობან ვეზახი
(„სტუმრად“, „სტუმრობად“, ალიაბ.), მოუტა ყონალობან (ზაგ.),

¹ - ად (|| \rightarrow ათ) გვხვდება სპორადულად: ნა კრა დ დგვივ („მოჯამაგირედ
დგება“, კაკი); ნა კრა დ დადგომა მინდა (ითით.)... ჩ ჭარათ მოქნუა გაათავა
(ითით.); დედაკაცმა დამწყო ყურილი დ ი დ რ ჭანა ათ (ითით.)... ავა დ ა თ
(\leftarrow ა-დ-ა-დ) გაკრდა (კაკი)... გვაქვს გაქვავებული სახით ავა დ ი (შდრ. პურადი,
თვალადი, პირველადი..).

² ვხვდებით დონის დაკარგვის შემთხვევებსაც დონიანი ფორმის პარალე-
ლურად. მაგ., რქს ზმა წაუდნენ სანა დირო (სანადიროდ, კაკი); მე წავალ
დლეს ნა დირობა (ნადირობად, ალიაბათი)..

უეიძლება დონის ადგილზე - ი (→ -ი)-ს განვითარების შემთხვევებსაც წაგა-
ყწედთ სპორადულად: იმიზნი პატრა ზმას ბინაზე ტანაჩი აყენევს („ტანაჩიდ“,
კაკი); გონები, მას ზარა მიგდებსაც („გონებია, მასხარად მიგდებსო“, სამ-
თაწყ.) და სხვ.



ადე, შიშობან წაა! (ყავი), მეზონეტან („მეძროხედ“, „მეძროხებად“, კავი), ზახლობან ეზახისყე (ალიაბ.)...

ა. შანიძის აზრით, ცველი ქართულის ინფინიტივის ნაშთი უნდა გვეკონდეს მოხეურშიც შექვეცილი სახით: „მთაჩი წავალ ნადირობ“ (ყაზ. 310,34), „ნადირობ მივდიოდი“ (ყაზ. 276,18), „დადიოდა ხილობ“ (ყაზ. 290,13), მეც ხილობ წავალ (ყაზ. 239,38), „ტყეში წავიდნენ შემობ“ (ყაზ. 343,26)¹.

არნ. ჩიქობავა წერს, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ქართველურ ენებში ორი ფორმანტი (-> და -დ) გვქონდა.

„და -და -ა ფორმანტების შეფარდებითი წონის გასათვალისწინებლად უნდა მოვიგონოთ, რომ -დ ქართულშიაც არის, მეგრულ-შიაც (-თ-ს სახით) და სვანურშიც, -ა კი ქართულსა და მეგრულს აქვს -ო-ს სახით, მაგრამ სვანურს კი — არა...“

მეორე მხრივ, -ა ფორმანტი დაუხვდა -დ ფორმანტს თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუქებთან, და -დ-ს მოცილეობა ამგვარ ფუქებთან (ბეთლემ-დ ტიპი!) მისი დამარცხებით გათავდა. ეს ცხადყოფს -ა-ს სიძველეს. ყოველ შემთხვევაში არც ერთი აფიქსია ჩვენი ენებისათვის შემთხვევითი და არც მეორე, ორივე დამახასიათებელია ქართველური ენების ძველი ვითარებისათვის. ეს ორი აფიქსი ქართველურ ენებში ორ სხვადასხვა ენობრივ ფენას განეკუთვნება. მათგან გარდაქცევითი ბრუნვის -დ ქართველურ ენებში ააშკარავებს იმ ფენას, რომელიც ხალდურისათვის (ურარტულისათვის) არის დამახასიათებელი².

ინგილოურში კი ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გვევლინებიან -ა, -დ და -ნ ფორმანტები. ამათგან, თუ ზემოთქმულს გავიზიარებთ, -ა ერთ ფენას განეკუთვნება, -დ და -ნ კი — მეორეს³.

ამ ორი უკანასკნელიდან რომელია პირველადი?

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამ. საუკელები, გვ. 63.

² არ. ჩიჭავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოშობისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, ტფილისი, 1937, გვ. 22 (ხაზი ყველგან ავტორისა); შდრ. ი. ი მნ ა ი შვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 408—415; Г. А. Климонт, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1962, გვ. 78—86.

³ შდრ. ზენა—ზედა, სანა (სანამდის)—სადა, მანა (მანამდის)—მადა და სხვ. (არნ. ჩიჭავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისათვის ქართველურ ენებში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 174).

ზმნებში, როგორც ზოგიერთი მქოლეებარი ვარაუდობს, ვნებითის ნიშანი -დ მიღებულია 6-საგაძ დისიმილაციის გზით ქართველი რამ საქმის ვითარება სხვას გვიჩვენებს. -დ გვევლინება არამორნეასთა თანხმოვანთა მეზობლადადა... ჩანს, რომ ვნებითს პარალელურად აწარმოებდა ორი სუფიქსი, რომელთა თანხმოვნითი ელემენტი იყო -ნ და -დ. ამათგან -ნ გადაშენდა და -დ გაბატონდა².

ინგილოურის ვითარებითი ბრუნვის დონის ნარისაგან წარმოშობის დასამტკიცებლად ჯერჯერობით არავითარი მასალები არ მოვეპოვება არც ცელ ქართულში და არც სხვა ქართველურ ენებსა და მათ კილოებში. არ არის გამორიცხული, რომ პირიქით მოვლენასთან გვქონდეს საქმე (დ→ნ) ან პარალელური წარმოშობისა იყოს.

§ 38. ინგილოურში გვაქვს ნათესაობით-მიმართულებითი ბრუნვის მაწარმოებლად გამოდის -ა; მაგ.: წატრდა ბეგისა, წახოლ იმ კაცისა მაჭაკლა, წაყყონა თავისა... მიღის თავი მამახსა, საღმოზე წატრდნენ ქიმ ფაჳჩიახსა... ალარ წატრდა იმრესა... თქლნსა წატრდნენ... მიღის თავი დედაანთა, წაყყოლა თავიანთა, ხანუმაანთა წატრდნენ, მოსეენთა მივდივარ, გიორგინთა მივდივარ... იმათა წაასლოლი იქნენ.

მართებული იქნება მისი ახსნა ძეელი ქართულის საფუძველზე: მივედ მამისა იოან ტსა შეყენებულისა (კიმ., I, 25,22), მაშინ მოვიდა ოკ იოან ტსა ნათლისლებად მისგან (კიმ., I, 12,9).

ამასთან საერთო აქვს ინგილოურს ფუნქციაცა და ფორმაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ეს დამთხვევა.

როგორც ჩანს, ინგილოურშიც საქმე გვაქვს ნანათესაობითარ მიმართულებით ბრუნვასთან, სადაც მიმართულებითის ნიშანია ან მარტო -ა³, ანდა -ად || -და და დონი დაკარგულა⁴.

¹ ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მაამბე, I, 1919, გვ. 88—96; მისივე, ქართ. გრამ. საფუძვლები, I, გვ. 298.

² გ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, გვ. 525; მისივე, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, -ედ, -ურ, -რ აფიქსებისათვის: ენიმკის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 533—536.

³ არნ. ჩიქობაგა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოშობისა და ისტორიისათვის, გვ. 22.

⁴ შდრ. ა. კიზირია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საბაზრულოთან: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 332; ი. იმანაშვილი, სახელთა ბრუნვება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 379—380.

მაშასადამე, „წაულა ბეგისა“ უნდა მომდინარეობდეს ან „წაულა (სახლად) ბეგისა“, ანდა „წაულა (სახლად) ბეგისა ფაფულული ან კიდევ „წაულა (სახლად) ბეგისადა“ ფორმისაგან.

დონის არსებობას მხარს უჭერს ნაცვალსახელებიც: ღრმ მომავლინა მე შენ-და (კიმ., I, 25, 18—19), მიავლინა მისა (←მის-და¹...

ნათესაობით-მიმართულებითი ბრუნვა (მიმართულებითი ბრუნვის სახელწოდებით) უფრო ჩამოყალიბებული და განზოგადებული სახით გვაქვს მეგრულ-ჭანურში².

იქ ეს ბრუნვა და აგრეთვე დაშორებითი (დაწყებითი) და დანიშნულებითი ბრუნვები ნათესაობითი ბრუნვის დიფერენციალის წარმოადგენს³.

ამ ბრუნვების საწარმოებლად მეგრულ-ჭანურის ზოგად სახელებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე (იშ[ი]) დაერთვის ფორმანტები -ა (კოჩ-იშ-ა, მიმართ. ბრ.), -ე[ნ] (კოჩ-იშ-ე[ნ], დაშორ. ბრ.) და -ოთ (კოჩ-იშ-ოთ, დანიშნ. ბრ.); ხოლო ნაცვალსახელებთან კი პირველი ორი ბრუნვის საწარმოებლად გვაქვს -და (ჩქიმ-და) და -დე[ნ]! (ჩქიმ-დე[ნ]) ფორმანტები.

ვ. თოთურიას აზრით, „ზოგადი სახელების -ა მიმართულებითში (კოჩ-იშ-ა) და -ე[ე[ნ]] დაწყებითში (კოჩ-იშ-ე[ნ]) იგივეა, რაც ნაცვალსახელების -და (ჩქიმ-და) და -დე[დე[ნ]] (ჩქიმ-დე[ნ])“⁴.

ძველი ქართულისა და მეგრულ-ჭანურის გათვალისწინებით ირკვევა, რომ ინგილოურის ეს ბრუნვა წარმოადგენს ნანათესაობითარ მიმართულებით ბრუნვას, რომელსაც დონი ან დაჰკარგვია ფონეტიკურ ნიაღაზე, ანდა თავიდან არ ჰქონია იგი მას.

სალიტერატურო ქართულსა და რიგ კილოებში ამ ბრუნვის მონაცვლეობას ეწევა ნანათესაობითარი მიცემითი ბრუნვა (მიდის მოყვრისას).

¹ ვ. თოთურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოაბე, I, გვ. 181; შდრ. ა. უანიქე, ქართული გრამატიკის საფუძლები, I, გვ. 621; მისივე, გ. მთაწმილის ენა იოვანეს და ეფთზმეს ცხოვრების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, III, თბილისი, 1946, გვ. 79; H. Mapp, Грамматика древнелитературного грузинского языка, С.-Петербург, 1908, ტაბ. VIII; ი. იმბაიშვილი, იქვე, გვ. 491—495.

² არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936, § 10.

³ არნ. ჩიქობავა, იქვე, § 12.

⁴ ვ. თოთურია, იქვე, გვ. 181.

დადასტურებულია, რომ „მიც. და მიმართ. სინტაქსური უზნებულით რიგ შემთხვევაში ფარავენ ერთმანეთს და კატერინა შესაძლებელი მათი მონაცვლეობა“¹.

§ 39. ზოგჯერ ინგილოურში (ალიაბათურში) ვხედებით მო-
თხობითი ბრუნვის ორმაგ ნიშანსაც; მაგ.: იმ კაც-მა-მ უჩივლა,
ამ ქაც-მა-მ უთხრა, ამ კაც-მა-მ თქო, კარ-მა-მ დაპერშმა, ქა-
ჩალ-მა-მ თქო, შაპ-აბას-მა-მ თქო, ყოშუნებ-მა-მა² მოუწიება და მისთ.

ინგილოურში (ალიაბათურში) მოთხობითი ბრუნვის ეს ორ-
მაგი ნიშანი გამოწვეული უნდა იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორით:
სუბიექტი (მოქმედი) რომ უფრო აქტიური ჩანდეს, მსმენელის
ყურადღება გაამახვილოს სუბიექტის მოქმედებაზე.

მოთხობითი ბრუნვაში მესამე პირის ნაცვალსახელთან მანი
გვევლინება ნარის ნაცვლად ინგილოურშიც ისევე ზოგჯერ, რო-
გორც გურულში; მაგ.: ამამ ადა, ამამ წაცყონა, გამაცყონა
ამამაც, იმამაც უთხრა, მაგამ მამიპარა და სხვ. (შდრ. გურ.:
იმამ უთხრა, იმამ მეიყვანა...).

აქ საქმე უნდა გვქონდეს ანალოგიასთან (ამა+მ→ამამ, მაგა+მ
→მაგამ... შდრ. დედა-მ, ძმა-მ...).

§ 40. ბრუნვებთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ:

1) მირითად ბრუნვებს გარდა ინგილოურში გვაქმს მეორეუ-
ლი ბრუნვებიც, წარმომობილი თანდებულიანი და უთანდებულო
ძირითადი ბრუნვებისაგან.

2) ბრუნვის ნიშნები იგივეა, რაც ქართულ ენასა და ქართულ
კილოებში, ოღონდ სახელობით ბრუნვაში კაკური გამოეყოფა ქარ-
თულ კილოებსა და ოვით ალიაბათურსაც კი; ბოლოთანწმოვნიანი
სახელები სახელობითში გვევლინებიან მხოლოდ ფუძით.

3) ნათესაობით, მოქმედებით და კითარებით ბრუნვებში ინ-
გილოურში უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქმს ფუძის კუმშვადობასა
და ძველობასთან, თუმცა ვხვდებით პარალელურ ფორმებსაც:
მიწით || მიწამთ || მიწამთი, ფენჭერამთი ზრდბ და სხვ.

¹ ვ. თოფურია, ბრუნვების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ
ენათა ბრუნვებასთან შედარებით: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, V, № 3,
1944, გვ. 339.

² მა (← -მან) მოთხობითი ბრუნვაში შეიძლება ბოლოხმოვნიანთანაც შე-
გვხდეს სპორადულად; მაგ.: „ფაპჩა-მა ამ ქართულს უკან შულებ გააცალავა“
და სხვ.

4) ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ემფატიკური -
არ იცის ინგილოურმა; აქ მისი აღგილი ინს უჭირავს ყველგან¹

თანდებულიანი ბრუნვები



§ 41. -გან თანდებულიან ფორმას ერთვის მოქმედებითი
ბრუნვის ნიშანი -ით, რის გავლენითაც -გან იკუმშება, მაგ., კა-
ციზენით (\leftarrow კაც-ის-გან-ით) და სხვ. (§ 36).

ანალოგიური მოვლენა გვაქვს რიგ კილოებში.

შენიშვნა: ალიაბათურში მოქ. ბრუნვის ნიშნის დაურ-
თველადაც ხშირად იხმარება; მაგ., ხაბარი მოქცე ქალი-
ზეგან, მოკლიზეგან, შემეშინდა ასლანიზეგან და სხვ.

§ 42. -თჟს || -თუნინ ინგილოურში შეცვლილია -თუნ-ით (§ 4).
იგი ნათესაობით ბრუნვას დაერთვის; მაგ.: დედახსთუნ უთქომ,
ჩემ ზმისთუნ მინდა, იმისთუნ პრეათ მიწურვ („იმიტომ ჯიუ-
ტობას მიწურვ“, ალიაბათი), შენ იქნენ ჩემთუნ შეჭლ, მე შენთუნ
მამავ ვიქენე (ზაგ.), თქმნ თავი რაჭთუნ დამიზახნია, იცითა?
(ალიაბათი), პალალი იყოს შენთუნავ (კაკი).

-თან თანდებული ზოგჯერ გვხვდება ნათესაობით ბრუნვას-
თანაც ძველი ქართულის მსგავსად; მაგ., დევისთან წატრდა (კა-
კი), იმ ფაქტის ქონი თავისთან კარგა ნაკოდნ ვეზიო (იქვე)
და სხვ.

§ 43. -ყენ (\leftarrow კენ \rightarrow) || -ყე || -ყ იხმარება -კენ თანდებულის
მნიშვნელობით; მაგ.: მოტებრუნა ცხენს პირი ამ სოფლისყენ
(ალიაბათი), მიღის ცახრიანისყენ (ქოთ.), წატრდა კახეთის-
ყენ... პატა უკანავყენ მიღიან (ალიაბათური), უკანაყენ გა-
დაახტონს (ალიაბათური), წყლის უკანაყენ გადმახტუნა (კაკური),
წინაყ ჭროტავს (კაკური), წინაყ წეველ (კაკური)...

§ 44. -ებრ || -ებრა „მსგავსების“ გამოსახატავად იხმარება
ინგილოურშიც; მაგ.: თოლებიც ახლა მას კულავისებრი ანა-
თებს (|| მას კულასებრე ანათებს, მოს.); თუ დაგიჭირეს, ტოლ-
მასებრა დაკქუწენ (ალიაბათი); შენსებრა ლამაზ დეკაც ჰენ
არ დამინახავ (|| ჰენჩეთ არ დამინახი „სრულებით არ დამინახავს“,
კაკი), თქმნსებრა ინსანთან ემაშინსუკან მინდორში არ გავალ
მე (ქოთ.), ქელლებ დახხეთქა დამპალ გუგრასებრა (სამთაწყ.)....

¹ მოქმედებით ბრუნვაში -ც ნაწილაკის დართვისას ანსაც შეიძლება ჭავა-
ჭყდეთ (თოფლიშითაც და სხვ.), მაგრამ ეს ახალი მოვლენა უნდა იყოს.

-ებრ || -ებრა ჩვეულებრივ დაერთვის ნათესაობით ბრუნვის,
მაგრამ სპორადულად შეიძლება მიცემით ბრუნვასთანაც იჭრს შეტევის
ცოტა თროლსებრა ვარ (ქოთ.) და სხვ.

§ 45. -ზე←-ზედა თანდებული ინგილოურშიც მიცემით ბრუნ-
ვას დაერთვის ჩვეულებრივ (იმაზე←იმასზე, ერ დროზე...). სრული
სახითაა კაკურში მაშინ, როცა ის გამოყენებულია რთულ შემას-
მენელთან (დერიად შუაზედა...), ან მას დაერთვის -ც ნაწილაკი
(ხეზედაც...), ან კიდევ, როცა ის დაყენებულია საღამობით-გამოს-
ვლით ბრუნვაში¹ (დგვვის სტოლის ზე და ა თი, კაკ.).

§ 46. შიგნი (შიგნით) || შიგა (შიგან) || შიგ || შიდა || შიდ || ში
|| შე || შ: შიგნი შავყონ (მოს.), შიგ დაგასხდენ (მე ქათმებს,
მოს.), შიგაც ერ ფრინველ არის (კაკი); ხედავს, რომ თავი და
თვეზე მუცელში და („ხედავს, რომ თავისი და თვეზის მუცელ-
შიდაა“, კაკი); თავი ტუმრევ თზ ში და (ეზოშიდაა, კაკი), ასკარ-
შიდა (←ასკარშიდა „ჯარშიდაა“), პოტულკაშიდა („ბოთლშიდაა“,
კაკი), ყულუხში შატდე („სამსახურში შევიდე“), რაშე || რაშ
(კაკი || რაში) და სხვ².

-ში თანდებული ზოგჯერ დაერთვის მასდარს და მასთან ერ-
თად გამოყენებულია დროის გარემოების გამოსახატავად, დროის
ზმნიზედად; მაგ.: მამას მოკდომაში უთქომ („მამას სიკვდილის
დროს უთქვამს“)³, გზაში წასულაში ხედენ ერ დევად კოლს
(„გზაში წასვლის დროს ხედავენ ერთი აქლემის კვალს“, კაკი),
წყალი და ლევა ში უჭროტიან („წყლის სმის დროს უჭვრეტენ“,
ალიაბათი), ამ ქუაზე ინსან და ეომაში სახლი პატრონევ თავში
ვარდევიან ყოფილ („ამ ქვაზე კაცის დაქდომის დროს სახლის
პატრონები თურმე ხდებიან“, კაკი) და სხვ⁴.

¹ ამ ბრუნვაში დაყენებული (ზედათი || ზედათ || ზედა) სახელს მართავს
ნათესაობით ბრუნვაში: ეს და ი ზედა და გოდმოსლაში და სხვ.

² შიგნა (← შიგნით ← შიგანით), შიგად (← შიგათ ← შიგან-ით) — მოქ.
ბრუნვაში დაყენებული თანდებული მართავს სახელს ნათ. ბრუნვაში: დ ე რ ი ა დ
შიგა და ემა საქელა (ალიაბათი) და სხვ.

³ შინა→ში თანდებულის შესახებ დაწვრილებით: ა. მარტიროსოვი,
თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ.
217—220.

⁴ შდრ. ლიტ. „მამას, როცა კვდებოდა, უთქვამს“.

* შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 133.

§ 47. -უკან (|| → -კან) თანდებული (ზმინზედაა თანდებულის მნიშვნელობით) კაკურში ზოგჯერ კარგავს უ ხმოვანს (განკაუჭა რებით „მა“ ნაცვალსახელთან), დაერთვის მიცემით ბრუნვას და ხშირად გვევლინება შეხორცებულად; მაგ.: ამ გზას უკან ერ! (გვესმის: „გზა-სუკან“), იმი თქმას უკან ებნების, მამად მოკდომას უკან, ნახორ თას უკან, ამაშინ სუკან ეს სახლ-კარ ჩების, წასტლას უკან (|| წასლასუკან), კაკში მოყონას უკან... მასკან...

ალიაბათურში ყოველთვის სრული ფორმით გვევლინება და სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში; მაგ.: ფარდაგს უკან, სამღამეს უკან, მოყონას უკან, იმაშინს უკან ახმედას ეს ქალი მოპწონს...

-უკან თანდებულს შეიძლება დაერთოს მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -ით და მოხდეს მისი შეკუმშვა; მაგ., პატრა ხანს უკანი ილაპარიკა (←უკნით←უკანით) და სხვა, რასაც ვხვდებით ინგილოურში სპორადულად.

§ 48. ქვეშ ზმინზედა გვევლინება თანდებულის მნიშვნელობით. იგი ინგილოურში „ქრ“ (← || ქოშ) სახითაა მოცემული და ერთვის მიცემით ბრუნვას ჩეეულებრივ; მაგ.: ლოგინ ქრ დამალა, მოტდნენ ქაჩლი სათივექრ (|| სათტექრ), ხექტ, ქუვაქრ...

§ 49. -ვითგა თანდებული ინგილოურში შექვეცილია ვი-ს სახით და სახელობითსა და მიცემით ბრუნებს დაერთვის; მაგ.: ერ ქალ არის, კაცი ვი ეტარევ (კაკი); კტარივი (←მკვდარივით, კაკი)... კტარ ვი (←მკვდარსავით, კაკი), ჩემსვი, ზროსვი სქელ გრლ წოლილ 197, 1—2 (←ზროსავით)...

§ 50. დამ¹ თანდებულსაც ვხვდებით ზოგჯერ ინგილოურში (ალიაბათურში). იგი დაერთვის მოქ. ბრუნვას; მაგ.: გოდმოტდნენ

¹ ამ თანდებულის გენზისის შესახებ: არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახლ ქართულში, გვ. 55—63 (დაღმა || დაღმე→დამ); თ. უორდანი, ქართ. გრამ., 1889, გვ. 153; ა. კიზირია, მართვა-შეთანხმების საკითხები ძველს ქართულში ჯრუჭის ოთხთავის მიხედვით, სადისერტაციო შრომის თეზისები, თბილისის სახელმწ. უნივ., 1940—41 აკად. წ., გვ. 5 (-ით+გამო→იდ+გამო→იდამო→დამ). პირველი გხრ (დაღმა || დაღმე→დამე || დამა→დამ) რამდენიმე საფეხურანია, მაგრამ „ყველა ეს საფეხური ისტორიულად დასტურდება მეცამეტე საუაუნიდან მეთვრამეტემდის (ჩარიცვით)“ (არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 63).



სოფლიდამ, აკურომია ზურგიდამ ქერქეჭი, მოტდნენ ქალა-
ქიდამ...

§ 51. ქართული თანდებულების გვერდით ინგილოურში გვაჭვს
არაქართული წარმოშობის თანდებულებიც: -ინჯახ ॥ -ინჯახ ॥ -ინჯა
(„-ძღვე“), -ძე ॥ -ძე ॥ -ძეჭ ॥ -ძეთ („-თვის“); მაგ.: გათენებინჯახ,
გომისლინჯახ, მოსლინჯა; თავიძე, ზმიძე, კაციძეჭთ, რაბეთ, ფაპ-
ჩაძე ებნება („მეჭვს ეუბნება“) და სხვ¹.

ნაცვალსახელი

§ 52. პირის ნაცვალსახელი. პირველი პირის ნაცვალსახელი
ინგილოურში ხშირად ნარიანია ფშაურისა და მთიულურის მსგავ-
სად²; მაგ.: მენ და ერისტო და სხვ. შდრ. შენ, ჩვენ, თქვენ,
ისენ (მისი მესახება: § 24).

მესამე პირის ნაცვალსახელთა ფორმათაგან აღსანიშნავია ისი
(შდრ. იგი). აქ იგი სრული ფორმით შემონახულა³ (უმთავრესად
აღიაბათურში); მაგ.: ისი ებნება, ისი მოხვონებს, ზმაა ისი ზმას
ადგილზე მოხყონავს...

ალიაბათურში ზოგჯერ ეს (←ესე) ნაცვალსახელი სახელობი-
თის (ესი) ფორმითაც გვევლინება; მაგ.: ესი დარჩებოდა ცარია-
ლი, ბებერმა გამგა ესი...

§ 53. ჩვენებითი ნაცვალსახელი. ინგილოურში (უმთავრესად
კაჭურში) ეს (←ესე) ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად ზოგ-
ჯერ იხმარება მხოლოდ ეს სახით⁴; მაგ.: ე ქალ, ე კაც; ზმაო,
ე რა საქმედსა?..

იგი ჩვენებითი ნაცვალსახელი გვხვდება სრული ფორმითაც
და შეკვეცილადაც (ჰიგი ॥ ია ॥ ი); მაგ.: ჰიგი ზოლ ნუ ააქო! ჰემგვ

¹ ვრცლად: გრ. ომნაიშვილი, ერთი თანდებულის გენეზისისათვის
ინგილოურში: იბერ.—კაჭკ. ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964, გვ. 221—
226; ნ. როსტიაშვილი, -ძე სუფიქსისათვის ინგილოურში: მაცნე, საქ. სსრ
მცნ. აკადემიის სახაგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 6 (21),
1964, გვ. 290—293.

² ა. შანიძე, ქართ. კილოები მთაში, გვ. 195.

³ თანამედროვე სალიტ. ქართულში კი ისი აღდგება მხოლოდითმი მხო-
ლოდ -ც (ა) ნაწილაკის დართვისას (მაგ., ისიც მოვიდა და მისთ.; შდრ. ხეგს.
და იმერ., აგრეთვე „კვეფისტყ.“).

⁴ ჩვენებითი ნაცვალსახელთა ხმოვნის წინ ც-სა და ჰ-ს გაჩენის შესახებ:
ფონეტიკურ ნაწილში.



რამდი ჰიგი 186,14... ერ დღე იმ შტლებ მამას ეტყუან... იმ ქალ-
მა დახბარა ი უსტავ, ი ზებიც ამბოვენ...

ეგ (←ეგე) ნაცვალსახელი იხმარება ჰეგი (\leftarrow ჰე+ეგე) და ეგი (\leftarrow ეგი) ფორმითაც; მაგ.: რა არი ჰეგი? (\leftarrow რა არი ჰეეგი? \leftarrow რა არის ჰე+ეგე? მოს.), ჰეგიც ურემშე შოვაგდოთ! ჰეგენი გამავ-
ცნო (ალიაბათი)... ეგ სოფელი სრუ დაწოცილა (ალიაბათი); ე ა
ქალი ეგ იმ ბიჭებისი რემენისთუნ იქნეს? (ალიაბ.)...

ეგთი და აგეთი გვხვდება ეგე და აგე ფორმებით: ისი ეგე
ტანსმოს ნოქარს აცომდა (მოს.)... აგე ხტევის (ქოთ.)...

ვხვდებით ეეს, ეე და ეემ || ემ ნაცვალსახელებსაც: ეეს (\leftarrow ეს
 \leftarrow აე+ეს \leftarrow აი ეს): ეე ს შმაა ყოფილ 200,26... ეე (\leftarrow აე \leftarrow ააე \leftarrow აა
+ეს \leftarrow აი ეს): ეე მაგ ქალს ე მაგრ დომევი გულში (კაკი)... ეემ
(\leftarrow ემ \leftarrow ააემ \leftarrow აი+ემ): ეემ სახლის ქრშავთი ზედთყენი სიმაღლეზე
შაასლოლ კარ არის (კაკი), ეემ ბებერმა რაბე დამაკოცინა? (კაკი)...
ეემ ბებერმა უთხრა, ემ ზუზულითი გაგზარდ... (შდრ. კევს. მას.:
ეეს 127,5 \leftarrow || აეს 126,17... აემ 143,5...).

ჩვენებითი ნაცვალსახელი შორისდებულთან შეხორცებულა-
დაც იხმარება: ოგი (\leftarrow ოვგი \leftarrow ოიგი \leftarrow ოე+იგი || ჭ+იგი): ოგი
უამაათ! ხედავა? ოგი უამაათ მე დამდევს (კაკი), ოგი ადგილ
გოჩინებ (ალიაბათი)... უგე (\leftarrow უაგე \leftarrow ო+ეგე \leftarrow ოე+ეგე || ჭ+ეგე):
უგე იმბე დარჩომილა (ალიაბათი), უგე ის წევ გაწმინდ (კაკი)...¹
ოგე (\leftarrow ოვგე \leftarrow ოე+ეგე): ოგე, ი კაც... (შდრ. ოვ ქე \leftarrow ოვ ექი:
ოვ ქე ერ დიდ დუმა არი, ალიაბათი)... ოუგემ (\leftarrow აუგემ \leftarrow ააუგემ
 \leftarrow ა+უგე+ემ \leftarrow აი+ოგე+ემ \leftarrow აი+ო+ეგე+ემ): ოუგემ ქალ...
ოგემგი (\leftarrow ოვ გე ემ გე თო): ოგემგ კაც...

ალიაბათურში მოიპოვება აჲი და ჲა ჩვენებითი (მითითებითი)
ნაცვალსახელებიც: აჲი ბეჭედი იმის ნიშანგამა არის (ალიაბ.)...
ბებერო, ჲა, ჲა, ეს ლავაში (ალიაბ.)... (შდრ. „და აჲა ორნი მათ-
განნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა“: ხანმეტი ლექც. ლ
24,13; „აჲა იჲ შეხემთხვა მათ“: იქვე, გ 28,9).

§ 54. კითხვითი ნაცვალსახელი. ვინ კითხვითი ნაცვალსახე-
ლი ინგილოურში, მეგრულ-ჭანურისა და ფერეიდნულის მსგავსად,
შინ ფორმით არის წარმოდგენილი (§ 8); მაგ., მინ არის ა?
..

¹ უკვე-ს მნიშვნელობითაც იხმარება საორადულად: უგე იქე თულქუ
დადგა (ალიაბათი); მე უგე ი ქალი ვარ (ითით.)...

რამდენი კითხვითი სახელის მნიშვნელობით ინგილოფურში
(განსაკუთრებით ალიაბათურში) რათა იხმარება; მაგ.: რამდენი რა
მა გადარი? რათა გაქო? მოლლა, რათა ქალი კყავ? რათა
კაცი იყო?..

§ 55. მიმართებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელო-
ბითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელია მინც:
მინც (|| მინაც) აქ პურს მადლებს...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: თუთან „თვითონ“,
ჰარ „ყოველი“: თუთან მოუდა... ჰარ კაცზე („ყოველ კაცზე“),
ჰარ დღი („ყოველ დღით“)...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია მიმე || მინშე
(ალიაბათურში) || მინამ (კაკურში) „ვინმე“, რამ || რამ (კაკურში)
„რამშე“: სხვ დუქანში მიმე (|| მინმე) აღარ წაუდა... ჰეჩ მი-
ნამ არ ყოფილ („სრულებით ვინმე არ ყოფილა...“ შდრ. კევს.
მას.: ვინამ 155,4...)... ჰარ ოადმ თავი ენაზე ლაპარიკობს 198,
16... ჰეჩ რამ არ უთქომ („სრულებით რამე არ უთქვამს“)...

რიცხვითი სახელი

§ 56. რიცხვით სახელებად გამოყენებულია აზერბაიჯანული
სიტყვები ქართულ სიტყვებთან ერთად; მაგ.: ელლი ფუთ („ორ-
მოცდაათი ფუთი“), ორ მინ მანათ („ორი ათასი მანეთი“)... ბირ-
ინჯი || ბირინჯი („ბირველი“), იქინჯი || იქინჯი („ბეო-
რე“)...

ალიაბათურში ეხვდებით შემდეგი სახის პარალელურ ფორ-
მებსაც: ათი და რეგა || რამეტი, ათი და შტდი || შტდმეტი...

კაკურში და კავშირით შეერთებულ რიცხვით სახელებში
(ოციდან ასამდე) სახელობითი ბრუნვის ნიშანი შემონახულა გა-
ქვავებული სახით.

§ 57. მრავლობითის წარმოება გაფრცელებულია ჩვეულებრივ
-ებ-ის¹ საშუალებით, მაგრამ არცთუ იშვიათად იხმარება ნარიცა და

¹ კაკურში (სოფ. კაჭა და სოფ. ქოთუქლოში) -ებ-ის ნაცვლად უმეტეს
შემთხვევაში გვევლინება -ებ: კაცებ, ქალებ, ზმეებ, კარევ და სხვ. (იხ. § 8). შდრ.
ა. შანიძე. ქართ. გრამ. საფ., § 171, 8; მისივე. Два чано-мингрельских
суффикса в грузинском и армянском языках, 1916, 1—8 (Отдельный от-
тиск из Записок Вост. Отд. Имп. Русского Археолог. Общества, XXIII);
მისივე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: საქ. სსრ
მეცნ. აკადემიის მოამბე, II, № 8, 1941, გვ. 763—767.



თანიც. უკანასკნელი ორი გამოყენებულია უმთავრესად რიცხვითსა-სელებთან, ნაცვალსახელებთან, რთულ შემასმენელთან და ნათესაფრთხოებული ბის გამომხატველ ზოგად და საკუთარ სახელებთან; მაგ.: რა უნიკალურობა ხართ? (ალიაბ.), სამიგნი გატლენი, სამნი, ჰქსნი, ისენ ხევა გა ათ ლელნია (|| → გაათლენნია), ისენ ხევა მააჭრელნია (|| → მააჭრენნია), შენ დუდრუან ზმებიც ჰემაგეთ ნია, დერია შიგავთი შეხრვილ ზონზ გადმა აგდებელნია, ისენ ჰენგილა-ვნია... დედაანთა წატდა, მამაანთა არ მიღიოდა, შოთაანთ ლორი, შოთაამათ ლორ (სოფ. მეშაბ). და სხვ.¹

ინგილოურში ვხვდებით ზოგჯერ მრავლობითი — შემდეგ შემთხვევებში:

1) ნაცვალსახელებთან (ალიაბათურში): ეგენები: ეგენები მოტლენ... ეხენები || ესნები: ესნები გაღმოახორწნენ... ესნე-ბი მარტანე... ისნები || ისნები: ისინები წატლენ... ისნები ერგან სხედან...

აქ, როგორც ჩანს, ნარი ფუძისეულად გაუგიათ და ამიტომ -ებ დაურთავთ.

2) თუ სახელი შედგენილი შემასმენლის წევრია, მას (კაჯურ-ში) -ებ-თან (resp. -ებ-თან) ერთად ნარიც დაერთვის მესამე პირ-ში (მრავლობითში); მაგ.: ისენ კაცებნია? (|| კაცევნია?), წარებნია? (|| წარევნია?), ქათმებნია? (|| ქათმევნია?), ლორებნია? (|| ლორ-ევნია?), ყმაწულებნია? (|| ყმაწულევნია?)... ისენ კაცევნი (|| კა-ცევნი, „ისინი კაცები არიან“), ისენ ქათმევნი („ისინი ქათმები არიან“), ისენ ლორებნი („ისინი ლორები არიან“), ისენ ყმაწულებნი („ისენი ყმაწულები არიან“)...

აქ ნარის დართვა გამოწვეული უნდა იყოს ფსიქოლოგიური მომენტით: რადგანაც სუბიექტის მრავლობითობა არაა გამოხატული მეშვეოლ ზმნაში, ამიტომ ამის საკომპენსაციოდ -ებ-იან (resp. -ებ-იან) სახელს ნარიც დაერთვის.

თუ მეშვეოლი ზმნა მრავლობით რიცხვში გამოვიყენეთ, მაშინ ალარ იქნება საჭირო ნარის დართვა სახელთან; მაგ.: ისენ კაცებ (|| კაცევ) არიანა? ქალებ არიან? ზალლებ (|| ზალლევ) არიანა? ისენ ყმაწულებ (|| ყმაწულევ) არიან, ისენ კაცებ (|| კაცევ) არიან...

3) ვხვდებით გაორკეცებულ -ებ-იან მრავლობითსაც; მაგ., ვირს ირმი ქებებ გატკეთოთ 207,20 და სხვ. (შდრ. კარ-ებ-ებ-ი,

¹ სვა შემთხვევაში ნარიან მრავლობითს მხალოდ იშვიათად შეიძლება წავაზყდეთ: შეონი (ალიაბ.), ქესიბი („ლარიბი“, ალიაბ.), სრულნი („სრულნი“, ალიაბ.) და სხვ.

რაჭ. და სხვ.). მაგრამ ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ „კებ-იქ“ (\leftarrow რები) ერთ წყვილ რქას აღნიშნავს, ხოლო წყვეტილ შეტყის
გამოსახატავად უმატებენ კიდევ -ებ-ს.

სხვა შემთხვევაში იშვიათია ორმაგნიშნიანი მრავლობითი;
მაგ.: ესენი იქნენ ზმებნი (მოს.), წავდნენ სამნივნი (სამ-
თაწყ.)... ჰაერი-ლარ-ებ¹ (ალიბეგ., შდრ. თუმ. მოდიან თაორის ალ-
ლარ-ნი: ძვ. საქ., ტ. II, განკ. V, გვ. 16) და სხვ.

-ლარ სიტყვებთან ერთადაა შემოსული აზერბაიჯანულის
გზით.

ზ მ ნ ა

პირის ნიშნები

§ 58. პირგელი პირის ნიშანი ვ ხშირ შემთხვევებში შერწყ-
მულია პრევერბის ან ძირის ხმოვნებთან კაკურტში (§§ 11, 21):

ა + ვ → ა: ოცლ („ავილე“), ოცტან („ავიტანე“), ოცფა-
რებდით („ავიფარებდით“), ოჩემიებ („ა-ვ-ი-ჩემ-ი-ებ“)...

ა + ვ → უ: უათიებდით („ავათავებდით“)...

და + ვ → დო: დომჭირ („დავიჭირე“), დონახ („დავინახე“),
დომჭინით („დავიძინეთ“), დომცუთ („დავიცვით“)... დომჭლოთ
(„დაგვლათ“), დომჭვ („დაგწვი“)...

და + ვ → უ: დუაგდით („დავაგდეთ“), დავტოვეთ („დავტოვეთ“), დუაპი-
რით („დაგაპირეთ“)...

გა + ვ → გო: გოვგ („გავიგე“), გოვჩინ („გავიჩინე“)... გოპ-
ყიდოთ („გავყიდოთ“), გოპჭროთ („გავპჭრათ“)...

გა + ვ → გუ: გუაგდით („გავაგდეთ“), გუაქითით („გავაქე-
თეთ“), გუალით („გავალეთ“)...

ჩა + ვ → ჩო: ჩორბინ („ჩავირბინე“), ჩოყონ („ჩავიყვანე“),
ჩომტან („ჩავიტანე“)...

ჩა + ვ → ჩუ: ჩუაგდით („ჩავაგდეთ“), ჩუაბარით („ჩავაბა-
რეთ“)...

ჩა → ჩე + ვ → ჩა: ქორწილ ჩად შენბე („ქორწილს ჩავდი-
ვარ შენთვის“)...

წა + ვ → წო: წომლით („წავილეთ“), წოყუნით („წავიყვა-
ნეთ“)... წომჭროთ („წაგჭრათ“)...

¹ ჩახა მეჩეთის მსახური მუსულმანი, მლოცველობის წეს-ჩვეულებათა
შემსრულებელი.

წ + გ → შუ: შუალდით („წავალდით“), შუაქცივ („წავაქცივ“)...

შე + გ → შო: შოხნახ („შევინახე“), შოხჭიდნოთ („შევიტობიროთ“)... შოპირდეთ („შევპირდეთ“)...

შე + გ → შუ: შუაგლით („შევაგლეთ“), შუაგრუვით („შევაგროვეთ“)...

გ + ა → ო: ოჩუქებ („ვაჩუქებ“), ოთხუებდით („ვათხოვებდით“)... ჰობირებ 205,1... ქნოთ („ვქნათ“), ნოხით („ვნახეთ“), ჭომ („ვჭამე“), ჭომო („ვჭამო“)...

გ + ე → ო: ხოდავთ („ვხედავთ“), კდობი („ვკვდები“), ქონ („ვქენი“)...

გ + ი → უ: მე უქ („ვიქ“), მე უც („ვიცი“)... ჰუთხოვ 205,16, ჰუქეფთებ 195,17... მე თქუ¹ („მე ვთქვი“), ჩონ თქუთ („ჩვენ ვთქვით“), მე ცლუ („ვცლო“), მე ხერა ჭრუ (|| შჭრუ || ჭჭრუ „ვჭრი“), მე ჰყურ (|| მე ჰყურვარ „ვყყირი“), მე ყუდუდუშებ („ვყიდდიყე“)...

მო + გ + ი → მოდ: მოხტანო („მოვიტანო“), მოეყონო („მოვიყვანო“), გომოეცანით („გამოვიცანით“), გმოხლით („გამოვიღეთ“)... შომოხეკრავდით („შემოვიკრავდით“)...

მო + გ + ა → მუა: მუაქდი („მოვაქდი“)... შუმუავლო („შემოვალო“)... ჩუმუაგდ („ჩამოვაგდე“)...

ალიაბათურში მსგავს შემთხვევებს მხოლოდ სპორადულად ვხვდებით: ქნოგთ (ჩონ), ჩომოხტან (მე), ცლუ (მე), პოტლობ (მე) და სხვ. აქ უმეტესად საქმე გვაქვს ვინის გაფშვინვიყრებასთან (§ 14), ან მის გაწყვეტილბაგისმიერებასთან მომდევნო ხმოვნის (ინის) დაკარგვით, ან კიდევ მის „უცვლელად“ შენარჩუნებასთან იმავე ხმოვნის დაკარგვით (§ 22) ან ისე, ხმოვნის დაუკარგავად; მაგ.:

გ → ჭ (მევეთრ და ფშვინვიყრ თანხმოვნებთან): ჭოქუ, ჭქნევ, ჭქნო („ვქნო“), ჭქნავდი, ჭჭამ, ჭქეთდები, ჭყიდით, დაჭჭკალე, გა-ჭჭმინუოთ, გომოპჭყრი, მიპჭყონდით, მიპჭუემ, შეპჭკრო, გადაჭ-ჭყონ...

პრევერბი + ს₁ გ + ი → პრ. + უ || გ: აულებ (|| ავლებ „ავი-ლებ“, გაუზო || გავგო („გავიგო“), დაგჭირო² („დავიჭირო“), წაუ-ყონ || წავყონ („წავიყვან“), აულებდით || ავლებდით („ავილებდით“),

¹ ს. ქოთუქუ თში ამის პარალელურად ხშირად იჩიარება: „მევთქუ“ ან „მეთქუ“ (ერთად).

² ასიმილაცია ვინისა მომდევნო თანხმოვანთან ამ შემთხვევაში ჩვეულებ-რივ არ ხდება, რადგანაც ხმოვანი (დაკარგული) იგარაუდება მათ შორის.

ამატულნეთ || ამავყონეთ („ამოვიყვანეთ“), გამავცნო (ზემოთიც-
ნო“)...

ალიაბათურში **S₁ 3** უცვლელად გვერახება ბგერათ საჭიროების
პლექსში, როგორიცაა: „ვაჩრახე, ვამბოვდი, წავაკევო, ვიქეაფებ“
და მისთ.

ვინის გაფშვინტვერება ქაჯურშიც იჩენს თავს (მაგ., ღაპ-ჭჭრო,
ღაპ-ჭეარე, ღაპ-ჭწევ, შაპ-ჭყოფ და სხვ.), მაგრამ მას ჯერ არა
აქვს აქ ისეთი შასობრივი ხასიათი, როგორიც ალიაბათურში:

ინგილოურში საერთოდ ისევე, როგორც ძეველ ქართულში,
აბსოლუტური ვნებითი მესამე სერიის ფორმებში მიმღეობისეული
ნაწილის წინ პირველი სუბიექტური პირის ნიშანს არ დაირთავს;
მაგ:

თურმ.: ყოფილვარ, დამშროლვარ... || თურმ.: ყოფილ-
ვიყავ, დამშროლვიყავ... III კავშ.: ყოფილვიყო, დამშროლ-
ვიყო...

§ 59. პირველი პირის ობიექტური ნიშანი მრავლობით რიცხვ-
ში გრ (გვ) ჩევულებრივ განიცდის ფონეტიკურ ნიადაგზე სათანა-
დო ცვალებადობას¹:

გვ+ა→გო: გოქ („გვაქეს“), გოქონდა („გვქონდა“), გოზ-
ლევს („გვაძლევს“), გოტყუებს („გვატყუებს“)...

ა+გვ→ოგ: ოგტკივდა („აგვტკივდა“)... დოგლუბავს
(„დაგვლუბავს“), დოქჩა („დაგვრჩა“)... დოგასახესავ („დაგვასახესო“),
გოგიზდი („გაგვიზდა“), წოგიყონეს („წაგვიყვანეს“)...

ო-ს მეზობლად გვ→გ: მოგაკუნტინესავ („მოგვაკუნტინესო“),
მოგაკარეს („მოგვაკარეს“), მოგასრნეს („მოგვასვენეს“)²...

გვ+ი→გუ: გუჩივლეს („გვიჩივლეს“), გუნდა („გვინდა“),
გუთხრა („გვითხრა“), ოგუყონეს (|| ოგიყონეს „აგვიყვანეს“), დო-
გუხტო (|| დოგიხტო „დაგვიხგდა“)...

გვ+ე→გე: გოჩერებ („გვეჩერება“), გოქონებ („გვექნება“)...

გვ+ყრუ თანხ.→კვ.: კვტანეავლენ, კვყავ... (გურულში ეს
უკანასკნელი მოვლენა უფრო მასობრივადაა გავრცელებული).

¹ შდრ. არნ. ჩიქაბავა, ფერებიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ.
202—205, 208—209.

² მ-ის ნიშნის ან მისი შემადვენელი ნაწილის დაკარგვის შემთხვევას
ვხედებით მ. ჯანაშვილისეულ ტექსტებშიც; მაგ., კლავდინ (=მკლავდინ) 197,6;
მოგატყუა (=მოგვატყუა) 190,9 და სხვ.

§ 60. მეორე პირის ობიექტური ნიშანი გ ფუძისეული განის
წინ ჩვეულებრივ იკარგვის (მენ გონია), ხოლო ყრუ მკვეთრ და გრძელები
ყრუ ფშინგიერ ბგერათა მეზობლობაში ან იკარგვის, ან ემსახულების
ბა და ყრუვდება:

გჭ: გჭ: გწ და სხვ. → კ (\leftarrow || კა), კჭ: კწ და სხვ.: კლავ
(\leftarrow || კკლავ), უნდა დაკმინო შენ (\leftarrow || დაკმინო \leftarrow დაკმინო)...
შეკჭამს, უნდა მოკერა... მოწყურდა... რად კტკივა... კყავ... (§ 14).
გც: გნ და სხვ. → ქც, ქნ და სხვ.: მოქცემ, დაქცურა (\leftarrow დაგ-
ხურა), ქთხოვს... (§ 14).

§ 61. ს ნიშანი დაცულია, როგორც სალიტ. ქართულში,
დინამიკური ვნებითისა (აშშები), სტატიკური ვნებითისა და პირ-
ველი თურმეობითის გამოკლებით კაკურში. აქ პირველის წარმოება
არქაული ფორმით შემონახულა (კდლბის), ხოლო უკანასკნელ ორს
მოსწყვეტია ანი (ასხი \leftarrow ასხია, უჭამი \leftarrow უჭამია, ყოფილ \leftarrow ყოფილა),
როგორც ამას ინგილოურის ფონეტიკურ-მორფოლოგიური
ანალიზი ადასტურებს (დაწერილებით ქვ.).

ს₂ და 0₃ პრეფიქსები ინგილოურში

§ 62. მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექ-
ტური პრეფიქსების შესახებ ა. შანიძის მეტად მნიშვნელოვან სპე-
ციალურ გამოკვლევაში პრეფიქსების ხმარების დადგენილ კანონ-
ზომიერებას ინგილოური არ ექვემდებარება.

ჰავ არის „ძირითადი პრეფიქსი“ ინგილოურშიც ისევე, რო-
გორც ქართულ ენასა და ქართული ენის სხვა კილოებში. მაგრამ
ინგილოურის თავისებურება ისაა, რომ ჰავ ხმარება აქ თითქმის
შეუზღუდველია. იგი შეიძლება მეტ-ნაკლებად შეგვევდეს ყველა
თანხმოვნის წინ¹ (მათ შორის ისეთი თანხმოვნების წინაც, როგო-
რიცაა სპირანტები: ხ, ლ, ს, ზ, ჟ)². მის ბგერანაცვალს სანს

¹ ჲ ფიქსირებულია მედერ თანხმოვანთა წინაც: ნუ მოჰდიხარ (ალიაბათი),
ნულარ მიჰდიხარ (იქვე), მარტო შენ არ მოჰდი (იქვე), ნუ ჩაჰვარდებ მიწროსა
(ალიბეგლო); მას ყბით გაჰვარდა თხილი (ალიაბათი), თქონ შაკლებავთ (ალა-
თემური), იმას დაჭნაყავდნენ (ალიაბათი), დაჭმარცხავს (იქვე), დაჭმარხონ (კაკი),
დედაკაცები ჰბანენ (ალიაბათი); ხანუმას ჰუსენა მოჰვონდა (იქვე), კაცს დაპრჩე-
ვოდა (კაკი); შეერთ არ დაპრჩეთ! (ალიაბათი) და სხვ. შდრ. რ. ლამბა შიძე,
სამაგირო სიგრძე ინგილოურში: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე,
XIV, № 2, 1953, გვ. 123.

² შდრ. ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფუძვლები, I, გვ. 177.

(ენისწვერისმიერი ბგერების: დ, თ, ტ; ძ, ც, წ წინ)¹, შინს (ნუნა-
მიერი ბგერების: ჯ, ჩ, ჭ წინ), ხანს (უკანაენისმიერი უკანაენისმიერი
რების წინ) და ლოტს მხოლოდ ზოგჯერ წავიწყდებით წარმოშობის
ახლაღა იკიდებენ ფეხს.

აშეარად ჩანს, რომ ჰაეს ხმარება ინგილოურში სცილდება
მორფოლოგიურ კანონს: იგი გვხვდება იქაც, სადაც მისი არსე-
ბობა გაუმართლებელია.

თანხმოვნის წინ S₂ პრეფიქსი: ჰ: აპტონინდებ, მოჰკვდობ (კა-
კი), მოჰკვდობი (ალიაბათი), გაჰზახეო („გაჰშელიონ“, ალიაბ.), ჩაჰე-
დებით (ალიაბ.)... ს → ჰ: მოშტრი, ნუ შეშტამ, შტამ...

გაბატონებულია ჰ ცხრა თანხმოვნის წინაც: ჰდ: თუ კი მიჰ-
დი, ჩემ ნაენარ ბეჭედი ჰაპ, ჰაო! (ალიაბათი); სახთი მოჰდი? 185,20... ჰტ: რაბე ჰტირი? (ითით)... ჰწ: ნუ შაჰწუხდებ/ევ/ემ
(„ნუ გეწყინება“, „ბოდიშვ გიბდი“), დაჰწერია? შენ ბეტრ ქაფაჩა
გაპწივ; დედაკაც ჰტეათ ნუ გოშტევ (|| გოშტევ, ითით)... ჰჭ: ნუ
შეპჭამ (|| ნუ შეშტამ)...

ეგვევ წესია დაცული ბრძანებით კილოშიც.

თანხმოვნის წინ S₂ პრეფიქსი წართქმით ბრძანებითშიც გვხვდე-
ბა: ჸ: შენ ქედფ გაქწივ (|| გაქსწივ)! დაჰწუ! („დაწვი“), მოჰთხოვ,
ერეა ყბაში ჩაგაუტას! 196,22... შაჰხედით! („შეხედეთ!“ კაკ)...
ს: ასწიგ!²... ჰ: ყბად გააღ, თოლევ დახხუჭ! (კაკი)... ოლონდ შე-
დარებით იშვიათია პრეფიქსის გაჩენის შემთხვევები წართქმით
ბრძანებითში. ამ უკანასკენელს სხვა დრო-კილოსაგან განასხვავებენ
ჩევულებრივ მით, რომ აქ არ ჩნდება პრეფიქსი და არც პრევერბი-
სეული ხმოვნის გაგრძელებასთან გგაქვს საქმე: დარეცხ! დარეცხ-
ით! დადგ! დაჯ! მოქან! მოქანით! დაწერ! (კაჟური); გაზეხ! დადგი!
დადგით! (ალიაბ.) და მისთ. შდრ. თხრ.: დაარეცხ, დაარეცხით,
დაარეცხი? დაარეცხითა? დაადგ, დაადგი? დაადგით, დაადგითა?..

¹ ქართლურში ადგილი აქვს დ, თ, ტ ბგერების წინ ჰაეს ხმარების შემ-
თხევებს სანის ნაცვლად. „მართალია, ეს მაინცადამაინც ხშირად არ გვხვდება.
მაგრამ, როგორც გარკვეული მოვლენა, ყურადსალებია; მაგ.: „დაჰტკეპნა, ჰთხო-
ან, ჰდებია“ და სხვ.“ (ვ. თოფურ ია, ქართლური, გვ. 144). თუმცა ქართლურ-
ში ჰაეს წარმოშობა სანის ხუბსტიტუციით შეიძლება აგრძენა (იქვე, გვ. 132)
„ლაჰტი, პრიტავი“... (იქვე, გვ. 148) და ეს მოვლენა, შესაძლებელია, აქაც არ
იყოს გამორიცხული.

² ეს ზმნა მესამე პირშიც ასე იხმარება: „მან ასწივა“.

მოჰევან, მოჰევანი? მოჰევანითა? დაშტერ, დაშტერი? (კაჭუ-
რი), გააზევე || გააზევე (ალიაბათური) და მისთ.

S₂ ორმაგი პრეფიქსი: სა მიშდიხართა? 187,23; დედალი მოჰ-
დიხართ, თუ მამალი? (ალიაბათი)... ახმედ, რახბე არ ჰეყიღი
ბეჭდებ? (ალიაბათი); რახბე არ გაჰყიღდე ბეჭედი? (იქვე)...

თანხმოვნის წინ 0₃ (ირიბი) პრეფიქსი: ს: დასწდო (|| დაჰ-
წდო) ... შ (← || ს): შჭამს (|| სჭამს || ჰჭამს ის მას მას)... ჰ: გაჰ-
ყოლია¹, გაჰყონონ, ჰკრავს, დაჰკრა, შომოჰკრა, ჰკითხავს, გადაჰკი-
დეს, ჩამოჰკიდა... დაჰპირებია¹, ჰპარენ, მოჰპარაყე¹... ჰქონდა,
ჰქონია¹... ჩაჰტოლოდა... მოჰგონდა („მოაგონდა“), ყბით გაჰვარდა
ტურას, დაჰვაზირა („დაავალა“)... მოჰშივლაჭე¹, პური¹ მოაშივევია?
შაჰშინებია¹... შეჰეტტაბია¹, შეჰედა, გაჰხარებია¹, ტყავი¹ გაჰქა-
და, მოჰკადა, მოჰჟერა წელი (მოს.)... გაჰჟავრებია¹... დაჰხნებია¹,
გაჰზღოლია¹...

შ ცრა თანხმოვნის წინ: ჰდ: დაჰდევს, კარს მიჰდგომიან
196,23... ჰთ: გაჰთიევი პურ (კავი), მოჰთხოვეო (ალიაბ.), მოჰთ-
ხოვა ქობი¹... ჰტ: ამას გული აპტეკივდა... ჰც: მიჰცა (|| მიისცა)...
ჰწ: დაჰწდო (|| დასწდო), შეჰწორდა, შეჰწორებულია¹ („მორიგებუ-
ლა“), ჰწყოტავს, შენ ეჰზნამ შენ სახლ არ ჰწონოვს („შენ სიძეს
შენი სახლი არ მოასწონს“), ჰწყურიან... ჰჩ: გაჰჩენია¹... ჰჭ: არ
ჰჭრის (კავი), ბატს თაგი მოჰჭრა, ქრები დაჰჭრა (ითით.), გომო-
ჰჭრა ყელი (მოს.), გაჰჭირებიაყ თავ (ალიბეგლო)...

0₃ (პირდ.) პრეფიქსი თანხმოვნის წინ, როცა 0 მიცემით
ბრუნვაშია: შ: კუჭს თუთან შჭამს... ჰ: შეჰჭამენ... გომოჰწევს
დახილს... პურს აპტანდა¹ თუთან სამ აბაზა (მოს.), არ აპტანსო
(იქვე)... დაჰკლონ, მოჰკლავს ცხორს შინ... ს: ახყონს ამ ქალს,
მიდის, მიხყონავს (|| მიჰყონავს, ალიბეგლო)... ჰ: მამაა ახომს
ყბად, თოლევ ახუჭავს (კავი)...

**0₃ პრეფიქსი თანხმოვნის წინ, როცა 0 სახელობით ბრუნვა-
შია:** ჰ: ერთმერთი ამ ცხენებმა გომოჰკროს (ალიაბათი), მოჰკლეს...

¹ ალიაბათურში ჩვეულებრივ „აპტანდა“ არ იხმარება, არამედ „ააქონ-
და“. „აპტანდა-ში“ ძირია ტან, ა პრევერბისეული ხმოვანია („ალტანდა“, შდრ-
მი-ტან-ა, მო-ტან-ა, ალ-ტან-ა → ა-ტან-ა, აღმო-ტან-ა → ამო-ტან-ა, ჩამო-
ტან-ა...).

ჰთ: ერთი ორმო მოპირენა (ალიაბათი)... ჰდ: წყალში ჰეგუზა
მაღლიდგან 190,16... ჰქ: ნიქად გაჰქრა (კაკი), დაჰქრეს მოპირენა
ყავარი (ალიაბათი)... ჰწ: აღიაღი აჰწივა (ითით.), ხელი უსენი
გააჰწორა (ალიაბათი)... ჰ: ცხენმა თავ ა დ წივა 203,8...

0₃ პრეფიქსი S₁ ნიშანთან: ხშირად ვეცდებით ჰაეს პირველი
სუბიექტური პირის ნიშნის ვინის (|| → ჭ-ს) წინაც: 0₃ (ირიბ.):
აჰჭკიიღე, მოპირენა, დაჰქროთ (|| დაჰქვროთ)... მიპირენა
(|| მიჰესცეთ || მიპირენა || მიჰეცეთ), მიპირე (|| მიჰეცეთ)... მოპირენა
(|| მოპირენა, მოს.)... 0₃ (პირდ.): ჩინ დაჰქოთსავთ (|| დაჰ-
ვთესავთ)... ხალიჩას მოპირენა (|| მოპერენა)... ხუალ გააჰყი-
დო (|| გააჰყიდო)... მე ჰეომ (|| ჰეომ || ჰეომ, კაკ.). ჰეთხოვ 205,10,
ჰემგას ჰექ 205,19, ჰოპირებ 205,1, ჰეტტებ 204,7... დოპელოთ
(კაკური), დოპელო (კაკ.), დოპეკალ (კაკ.), დაჰქელოთ, დაჰქელო,
დაჰქეალ (|| დაჰგეალ), მოპეკელო (|| მოპეკელო), გააჰქროთ, მოპემი,
მეც ელავი გააჰწივე (|| გააჰწივე, ალიაბ.), გააჰტიდო, გოჰულდუა?
(კაკური), ცხორი გააჰქრინხეთ (ალიაბათი), ჰებოვნოთ! 209,6...

მარჩიობლი პრეფიქსი¹ (0₃^{d,n}): ჰშ: მოპირია, ცხრანივ თავებს
მოპირიას, მამამთილს კისერ მოპირია... ჰს (ალიაბ.): ფათიშას
ჰ ხ ო ლ ი ა ცხრა ზელი; ფორლანიც დახურა, თავზე ქულიც დასხ-
ხურა (|| დასხურა || დასხურა); თავი მიწადთი გადაჰყონენ, მოპი-
ყონს ჰაქიმს... ჰს: მამამ ჰალალობად მიშსცა (ალიაბეგლო), მიპი-
ცემ (|| მიჰესცემ, ალიაბ.)...

თითქოს სვანურის მსგავს ინკლუზიურ კატეგორიასაც² ვეცდე-
ბით ინგილოურში, მაგ., ასეთ ფორმებში: დაჰქწევეთ (მე და შენ
ალიაბათური), გოპმათლით (მე და შენ, „გავმათლით“, „გავკვირ-
დით“, კაკური), გააჰჭარდებით (მე და შენ) და სხვ.

მაგრამ აქ ინკლუზივთან არა გვაქვს საქმე. ამას ცხადყოფენ
ანალოგიური პრეფიქსებიანი ზმნები, რომლებშიც ამ კატეგორიაზე
ლაპარაკიც კი არ შეიძლება; მაგ., ხუალ-ხუალზევთ იქნებ მოპირე
(|| მოპერე, ზაგ.); თუ მე მოპირე, თქონ ამ მიწაში ნუ
დაჰდებით (ზაგ.); ველარ გააჰწლა (ალიაბათი); იჰწევა, ვერ
დგება, იჰწევა, ვერ დგება (მოს.) და სხვები, რომლებშიც ჰაეს
ხმარება მორფოლოგიურად ყოვლად გაუმართლებელია.

¹ შდრ. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექ-
ტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, § 49.

² К. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском: Памяти академика Н. Я. Марр, 1938, გვ. 134—151.



აქ მოყვანილი მრავალრიცხოვანი მაგალითიდან აშენად ჩანს, რომ ჰაეს მორფოლოგიური ფუნქცია ინგილოურში ძალის მეტყველება შერყეულია. უმეტეს შემთხვევაში ჰაე ჩნდება ფონეტიკურ ნიმუშებით ზე: ბგერათ ფშვინვიერი შემართვა-დამართვით (ჩა 26, 27).

ს 63. ჸ „პრეფიქსი“ ხმოვნის წინ ინგილოურში. „ცნობილია საზოგადოდ, რომ სპირანტი ჰაე ხმოვნის წინ ქართულში ადვილად იკარება (ჰამბავი—ამბავი, ჰამბორი—ამბორი, ჰალალი—ალალი და სხვ.)“¹. ქველ ქართულში არსებული ჰაემეტობა სწორედ ამ ნიადაგზეა გამჭრალი.

ინგილოური ამ მხრივ განსაკუთრებულ თავისებურებას იჩენს. ის ჰაეს ინარჩუნებს სახელებში თითქმის ყველგან; ზმნებში კი მისი არსებობა ამჟამად აქაც ძალზე შერყეულია.

თუ მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ინგილოური ჰაეს ინარჩუნებს ზმნებშიც უ, უ, ო, ჲ ხმოვნების წინ ანლაუტში; მაგ.: ჰუთხრა 193,18, ჰუთქომ 188,7, ჰუქნი 189,11, ჰუცხოვრიაყ 189,13, ჰუცნებაყ 189,28, ჰუზანი 190,3, ჰუცოდილნი 190,5, ჰუწუხნიაყ 208, 30, ჰუკითხნიაყ 190,30, ჰუპოვნიაყ 191,6, ჰუკოცი² 200,21, ჰუგრუბა 190,15, ჰუგრტები 201,22, ჰუყვარს 207,16, ჰუცავყ 190,24, ჰუსრობიაყ 184,26... ჰუც (=ვიც) 183,6, ჰუქ 205,19, ჰუთხოვ 205,16, ჰუქედფებ 205,17, ჰუყო 205,9... ჰრყავ (=ვეყავ) 185,21... ჰოპირებ 205,1...

ასეთი ფორმები ძველი ქართულისათვის არ არის უცხო³. შესაძლებელია, ვივარაულოთ, რომ ინგილოურში ძველი ქართულის ჰაემეტობასთან გვაქვს საქმე.

ხანმეტისა და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენამდის ა. შანიძე მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტების საფუძველზე ასკვნიდა: „ჰაეს წარმოშობას თავკიდური უნის წინ ზმნის ფორმებში არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უძევს, არამედ იგი წმინდა ფონეტიკური წარმოშობისაა“⁴.

1. ა. შანიძე, ს₂ და ი₃ ქართულ ზმნებში, გვ. 3.

2. ტექსტში წერია: „ჰუცოცი“ (შეცდომა. აქ გარკვევით ამბობენ ყოველთვის ქარს).

3. შდრ. ჰკემ (ოთხთ. მ 21, 27), ჰკყავ (ოთხთ. მ 25, 36), სათონ ჰკყავ (ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტ. უნივ. მრამბე, III, 1923, 6, v, 12); ჰკცოდე (ჰაემეტი ტექსტი, იფარული პალიმსესტი) და სხვ.

4. ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის თბილებური პრეფიქსის ქმარებისა ქმოვნის წინ ქართულ ზმნებში: ტფილისის უნივ. მრამბე, II, 1922—1923, გვ. 264.

ჰაემეტი ტექსტების გამოცემასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „ხანძეტისა და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენის შემდეგ, რაზე მარცხნიდა, უნდა გადასინჯულ იქნეს საკითხი ინგილოურ კინკრაძი ჰაეს გაჩენის შესახებ ზენის ფორმებში... სხვანაირად უნდა შეფასებულ იქნეს ინგილოურში ჰუკვარს, ჰუნდოდა, ჰუთხრა, ჰუნახი და მსგავსი ფორმები, სადაც, როგორც ახლა ირკვევა, ჰაემეტობის კვალი უნდა იყოს დარჩენილი“¹.

მ. ჯანაშვილს 1924 წლის 10 ოქტომბერს ქართული საენათ-მეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში („ინგილოური ჰაე და ჰაემეტი ტექსტები აღიშისა და ხანძეტურთან დაკავშირებით“) ინგილოური ჰაე პრეფიქსი მიუჩნევია იმავე ჰაემეტობად და გაუზიარებია ა. შანიძის მიერ გამოთქმული აზრი, „რომ ჰაემეტობა და ხანძეტობა სხვადასხვა დიალექტური წრის დამახასიათებელი მოვლენაა“².

ამავე მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გ. ახვლედიანს საესებით მართებულად შეუნიშნავს, რომ „საკითხი ასე უნდა დაისვას: ინგილოური ჰაე არის წმინდა ფონეტიკური წარმოშობის თუ მორფოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია?“³

სტ. მენთეშაშვილი სპეციალურად ინგილოურის ჰაემეტობი-სადმი მიძღვნილ ნარკვევში წერს, რომ „ინგილოურ კილოში ჰაე-მეტობა არ არის მორფოლოგიური მოვლენა, არამედ ფონეტიკური“⁴.

ეს აზრი ძირითადად სწორად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენ-ადაც ჰაე ჩნდება ხმოვანთა მემართვის ნიაღაზე (§§ 26, 28).

§ 64. ჰაეს მორფოლოგიური ფუნქციის საკითხი ინგილოურ-ში. დადასტურებულია, რომ ქართულში ბევრათა შემართვა-და-მართვის საფუძველზე გაჩენილი ჰაე „ძირითადად გარდამავალი ბევრაა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მეტი მკაფიობის კვალობაზე მან მოიპოვა მორფოლოგიური ფუნქცია (პირის ნიშანი ზენაში), რამაც მას კიდევ მეტი მკაფიობა მისცა, და ამ გზით იქცა იგი დამ-დგარ ბევრად“⁵.

¹ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა, გვ. 362.

² წელიწდებული, გვ. 359.

³ იქვე, გვ. 360.

⁴ სტ. მენთეშაშვილი ინგილოურში: საქ. სახ. მუშ. მო-ამბე, X-B, 1940, გვ. 203.

⁵ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1938, გვ. 102.

არ არის გამორიცხული, რომ ჰაეს ინგილოურშიც მოეპოვე—
ბინა ერთ დროს პარის ნიშნის ფუნქცია ჸემეტტრი ტექსტის წარმოების
ნორმებისდაგვარად და შემდეგ მომხდარიყო ამ ფუნქციის გაუქმება—
(ჩამოცილება).

ეს უკანასკნელი შესაძლებელია მომხდარიყო ფშვინვიერი შე-
მართვის მასობრიობის ნიადაგზე, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ,
ქართული ენისა და ქართული კილოების გავლენით.

ამ გავლენით უნდა იყოს ჰაე გამჭრალი ზმნის თავკიდურ
ხმოვანთა წინ ალიაბათურში. რომ ალიაბათურს ქართული ენისა
და ქართული კილოების ძლიერი გავლენა განუცდია, ეს სხვა მოვ-
ლენებიდანც აშკარად ჩანს.

კაკურშიც, საღაც ეს გავლენა ნაკლებია ყველაზე, ძალზე შერ-
ყეულია ჲ-ს არსებობა ზმნის თავკიდური ხმოვნის წინ და მორფოლო-
გიური ფუნქციაც, რა თქმა უნდა, არ გააჩნია (შდრ. ცუნდ // ჰუნდ
// უნდ, ცუთქომ // ჰუთქომ...).

იმ დროს, როდესაც მ. ჯანაშვილი ინგილოურ ტექსტებს
იწერდა, კაკურში ჰაე ფართო მასშტაბით ყოფილა გარცელებული
ზმნის თავკიდური უ, ჟ, რ, ჲ ხმოვნების წინ, როგორც ეს მისი
ჩანაწერი ტექსტებიდან ჩანს. მაგრამ მორფოლოგიური ფუნქცია
კი არც მაშინ ჰქონია. ამას ამტკიცებს: 1) იმავე ტიბის ზმნებ-
ში სხვა თავკიდურ ხმოვანთა წინ მისი არქონა (აქ, აქონდა,
აქამეს, ასხი, თოლს არ აშორებდა, შენ მართლა ამბოვა? ეზახიან,
ესახლა, ებნება, ექნა, ელაგა, გვეყო, ჩეყყარა, იცის ის მას, შენ
არ იცი და სხვ.), 2) ინლაუტში მისი არ გამოვლენა (ჰუზახნი—
დაჟზახნი, ჰუჭერი—დაუჭერი, ჰუნახი—დაუნახი) და სხვა.

მაშასადამე, იმ დროსაც არ გააჩნდა ჰაეს მორფოლოგიური
ფუნქცია და იგი წარმოადგენდა მომდევნო ხმოვნის ფშვინვიერ
შემართვას.

ფშვინვიერი შემართვა, როგორც ზევით ფონეტიკურ ნაწილ-
ში აღვნიშნეთ, წარმოშობილი ჩანს ძლიერი შემართვის გაფშვინ-
ვიერების საფუძველზე, ხოლო თვით ძლიერი შემართვა—მახვილის
ნიადაგზე. მახვილი კი ძველად უნდა ყოფილიყო თავიდან პირველ
მარცვალზე ინგილოურშიც ისევე, როგორც აზერბაიჯანულში (ამ
ნიადაგზე უნდა იყოს კაკურში დაკარგული მორფ. დანიშნულების
მქონე ზოგიერთი სუფიქსის სესული ხმოვანი). ინგილოურში იმუშადაც
თავს იჩენს ფშვინვიერი შემართვის გვერდით ძლიერი შემართვაც.
ეს ხდება მაშინ, როცა მახვილი ეცემა თავკიდურ ხმოვანს.



ზმებში¹ ამჟამადაც გვევლინება ხშირად მახვილი თავისიან
პირველ მარცვალზე. თუ ეს მახვილიანი მარცვალი რაჭილურ
ხმოვანს წარმოადგენს და ამავე დროს მახვილიც ძლიერია, მაშინ
მის წინ წარმოიშობა გარდამავალი ბერია ც (მაგარი შემართვა);
მაგ.: ერ ბერ კაც ცეყო (სამთაწყ.), ცუთქომ (კაკი), ცუნდ (იქვე),
ცუთხოვნოთ (ქოთ.)...

ზოგჯერ ისე სხარტად და მოწყვეტილად გამოითქმის მახვი-
ლიანი ხმოვანი, რომ შეიძლება ორი ერთნაირი ხმოვნის ნაცვლად
ერთი მივიღოთ (ცეფარა თიანს ← ეეფარა ← აეფარა ქვაბს, კაკი)².

თუ მახვილიანი ხმოვნის გამოთქმის სისხარტისა და მოწყვე-
ტილობის (ე. ი. მახვილის) შენელებასთან გვექნება საქმე, მაშინ
წარმოიშობა ჰ (ფშვნიერი შემართვა); მაგ.: დაჰვად ქნად ჰუნდ
ყოფილ (ზაგ.), ამ ქალს ჰუნდ დებ ერ შულ (ალიბეგლი), მოლლა
ნასრადინას ბერ გააცინეველ საქმე ჰუნი (ზაგ.), ხალხს უგი
იმაზე ჰუცინი (იქვე) და სხვა (§ 26).

ამჟამად კაკურში ამ ორივე სახის გარდამავალ (ც, ჰ) ბერის
გხვდებით ზნის თავკიდური ხმოვნის წინ მხოლოდ გადმონაშთის
სახით.

მახვილის მატარებელ ხმოვანს როცა წინ თანხმოვანი უჩის,
მაშინ მის წინ ც-ს ან ჸ-ს წარმოშობის საკითხი ისსნება და საქმე
გვექნება მის უშუალო მომდევნოდ ჰაერნასთან, თუ მის უშუ-
ალო მომდევნოდ თანხმოვანია (დაპ-წევნი, მოპ-კალით, შოპ-პირ-
დეთ... § 27).

თუ მახვილიან ხმოვანს უშუალოდ მოსდევს ხმოვანი, მაშინ
მახვილიანის შემდეგ ჰაერნა ჩეულებრივ არ ხდება, რადგა-
ნაც მახვილიანი ხმოვანი მომდევნო ხმოვანს უშუალოდ მიიკრავს.
ასეთ შემთხვევაში ჰაერნა შესაძლებელია მხოლოდ ხმოვნის
შემდეგ; მაგ., ზაპ-წრეს, გაუ-ჰ-წროას და სხვა, რასაც გხვდე-
ბით ზოგჯერ (§ 27).

შეიძლება ანლაუტში მოქცეული ხმოვნის შემდეგაც მივიღოთ
ჰაე (ფშვინვ. დამართვა), თუმცა ძლიერ იშვიათად (ეპ-წევის
„ეშველება“, „ებმარება“).

მახვილიანი ხმოვნის ფშვინვიერი დამართვისას ჩეულებრივ
ადგილი აქვს ოდნავ პაუზას და შემდეგ გადასცლას მომდევნო თან-

¹ სახელებში კი ძალიან შენელებულია მახვილი და ადგილიც შეცვლილია.
ძველ მდგომარეობას ინარჩუნებენ ნაწილობრივ ნაცვალსახელები და აზერბაი-
ჯანულიდან შეთვისებული ზოგიერთი სიტყვა, მაგ., ინსან და სხვ.

² შდრ. დაპსუეს (§ 27).

ხმოვნის გამოთქმაზე. ამის გაშო ხელი ეშლება ჰაეს ასიმილაციას შომდევნო ბეგრასთან. სწორედ ამით უნდა აიხსნას ჰაეს არსებობა დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ს, უ, შ, ღ, ხ ბეგრების წინა განვითარების გილოურში.

დასკვნა ასეთია: ინგილოურში ჰაე ჩნდება ხმოვათა ფუნინ-ვიერი ზემართვა-დაბართვის საფუძველზე. ამ ნიადაგზე ჰაეს გაჩენას აქ მეტად დართო სახე მიუღია და წარმოშობილ „გასობრივი ჰაემეტობა“, თუმცა მის პარალელურად ცსაც ვხვდებით იმავე ზმნებში. არ არის როსტოკი, რომ ამ ნიადაგზე წარმოშობილ „ჰაემეტობას“ კავშირი ჰქონდა ძველი ქართულის როტფოლოგიურ ჰაემეტობასთან. დღევანდელი ინგილოურის მიხედვით მხოლოდ ისლა შეიცლება ითქვას, რომ აქ ჰაე ჩნდება ფონეტიკურ ნიადაგზე, მას მორცოლოგიური საფუძველი არ გააჩნია.

§ 65. პრევერბები ინგილოურში. ინგილოურში ვხვდებით თანამედროვე სალიტ. ქართულში არსებულ ყველა პრევერბს და გრეთვე ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოშობილ ამ პრევერბთა შემდეგ სახესხვაობებს:

მო- : მახლა, მანიუნეს, შუაგრუ, შუალდი, მეველი || მოვილია...

მი- : მეც („მიეცი“), მრვეცით („მივეცით“), მჭეც („მივეცი“)...

ა- : ოდ („ავილე“), ოთავნებავ („ავათავნებო“)...

და- : დოდუროყინო, დოგინახი, დექირა, დუაგდით („დავტოვეთ“)...

ჩა- : ჩოგაბარა („ჩაგვაბარა“), ჩრველით || ჩეველით || ჩოველით || ჩუელით...

შე- : შონახავ, შოველით || შოველით || შუელით...

წა- : წოველით || წწველით || წწველით || წუელით, წოგიყონეს („წაგიყვანეს“), წრხლლ („წახველი“)...

გა- : გოაქითოთ || გუაქითოთ, გევინა...

გადა- : გოლიოხორწოთ, გედვილეთ...

ამო- : ამახლა, ამეელა, ომოული, უშუაგდებ...

*ჩამო- : ჩამაჟიდა, ჩემევეიდა, ჩერველ || ჩემეველ || ჩობრველ, ჩომოტეგდი, ჩუმუარდ („ჩამოვვარდი“)...

შემო- : შაბახყონეს, შომოჟყონეს, უშუაგლო („უემოვაგლო“)...

გამო- : გამახავ, გომოული, გუმუართ („გამოვართვი“)...

გადმო- : გოდმუარდნილ || გუდმუარდნილ || გლმუარდნილ, გიდმევეგდა...

წამო- : წამეველით || წემეველით || წომლველით || წემოველით ||
წომლველით, წომლული, წამალა, წუმუავლო („წამოვაგლონ“) და
სხვ. (§§ 6, 7, 11).

მა- პრევერბი ობიექტური წყობის ზმნებში ჩვეულებრივ უკავ-
შირდება პირველ ობ. პირს მხოლოდით რიცხვში (მო- კი-II და
III-ს უმეტესად)¹; მაგ.:

0₁: მე მამა თავ მამიტყუებია, მე ერ ქეჩია მამიპარავ,
მე მამიკლავ, მამკლავს, მამცა, ჰეგნ მამაშორ 191,25, კაცი სულ
მამლის 192,26, ექ შენთან მამიყონა 185,22...

0₂: მოგიპარავ (შენ, „მოგიპარავს“), შენც მოკკლავს, მოქშიე-
ვია, მოქშიედა...

0₃: მოქშიევია, მოქშიედა (|| მოშიედა) ... მოქშიედაყე^{1..}

მრავლობით რიცხვში პირველ ობიექტურ პირთან მო- პრე-
ვერბი უცვლელად გვენახება მთელ ინგილოურში (ამის შესახებ
ფონ, ნაწილში იხ. ჭ 3).

სუბიექტური წყობის იმ ზმნებში, რომელთაც ქცევის საწარ-
მოებელი ი აქვთ², ჩვეულებრივ გვევლინება მა- ყველა პირსა და
რიცხვში (პირველი პირის გამოკლებით კაქურში): მავლო (მხოლოდ
ალიაბათურში), მაღლო, მაღლას...

კაქურის პირველ სუბიექტურ პირში კი ყოველთვის მო-
გვაქვს, როცა ფონეტიკური პროცესი არ ერევა. აქ პრევერბისეუ-
ლი თ პირის ნიშნის როლსაც ასრულებს ჩვეულებრივ (წესის თანახ-
მად: მა + გ → მო); მაგ.: მოაცტანო („მოვიტანო“); ქალ მამიყო-
ნი; თუ მადალებ, თუ მადწონი, კიდემ შენ გაზლევ. იმამაც უთხ-
რა: დიალაც მოაცადრევ, დიალაც მოაწონევ (კაკი) და სხვ.
(შდრ. ჭ 58).

დრო-კილო

პირველი სერია

ჭ 66. -ავ ხუფიქსი უჩნდება ხშირად ერთფუძიან ზმნებს -ავ
ბოლოსართიან ზმნათა ანალოგიით³; მაგ.: მე უსმენავ, მიწაჲ დანას-

1 თუ ფონეტიკური პროცესი არ ერევა.

2 სხვა ზმნებში კი მო-საც ვხვდებით და მა-საც. ზოგჯერ მათი მონაცვ-
ლეობა გამოშევულია გრამატიკული აუცილებლობით (პირის გარჩევის საჭი-
როებით), რომელიც სძლევს ზოგჯერ მოსალოდნელ ფონეტიკურ პროცესსაც კი,
მაგ., შენ მააქომ (←მოაქომ) და მისთ. ფონ. კანონით უნდა ყოფილიყო: „შენ
მუაქომ“. მაგრამ მაშინ ის პირველ პირს დაემთხვეოდა (შდრ. მე მუაქომ
←მოაქომ—მოგაქუამ „მომაქეს“).

3 ზოგჯერ (იშვიათად) იგი გადაჲყვება თურმეობით პირველშიც (მაგ.,
ერ ლოგმა პურ დოშეყოფაც და სხვ.).



მენი მიწას უსმენავს, ეს გუსმენავს, შენ გისმენავდი, ფენავს
სუფრად, ჭრატავს, ზაღლ ყეფავს, წელ-პირს იბანავდა, ჭაჭარაცი
ზურგში ფხანავს, იფხანავს, პაბე წერავსა? თურმენი ჭაჭარაცი
ტუჩის კნოტავს, წყოტავს, უმზერავს („უმზერს“), მუცელში ყოფ
გოლ კმენავს ფახჩას, შენ გხებნავდი, მოჟყონავს ქალს, მიტტა-
ნავს, იმ ღუნეს და არავს ყოფავს ბაკნით (შდრ. 6. წყვ. ვაშლ
გოტყოფა; თავ შიგ ჩაყოფა და სხვ.).

ფუძედრეეკად ზმნებსაც დაერთვის -ავ (სპორალულად) და
ფუძისეული ე → ი; მაგ.: იჭირავს, დამიჭირავ, თულად კოქობი თავ
აფრინავს და მისთ.

ეგვევ მდგომარეობაა ზოგ მასდარში. გვაქვს დაჭირვავ,
ტირვავ, ყურვავ და სხვ.; მაგ.: შენ ტირვაში იწუმას,
ტუმარაში ნაქნარ კაც აყოლევს ყურვად (ალიბეგლო) და სხვ.

ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით სხვა კილოებშიც.

§ 67. დინამიკური გნებითი აწმყოს³ მხ. რ. მესამე ბირში -ი-ს
დაბოლოებას იცავს კაჯურში ისევე, როგორც ეს ძველ ქართულში
იყო (ალიაბათურში ყველგან → გვაქვს); მაგ.: ავათ კდების
(|| კდევის), ე გადად („ბიჭი“) იქცევის (შდრ. წახქცივა), ლამდე-
ბის, ენების, უდების, დანიშმიშ კეთტევის ორ თოლ თთალ
დადგმად („ურიგდება ორი თვალი ოთახის დადგმაზე“, კაკი), კაცი
ქელლად იქეჩების („კაცის თავი ტყდება“, ალიბეგლო), იწრბის,
ჰეჩ ჩემ სულ არ წორდევის (ქოთ.); ტყუაც მიდის, კისერში
კტევის (ქოთ.); მიდის ირემ, ამას ადგების ზედ; შიშაა ტყრე-
ბის („ტკაცურობს“ წვის დროს), შიგ ვარდების, ელაპარი-
კევის ჟიმ ფახჩას, მე მეყოფის, ზედამთი ყიზილ ცჟვის (|| ცჟვ,
სამთაწყ...).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ფერეიდნულში (გაგრძელდე-
ბის, ათავდების...)⁴, ხევსურულში (დადგების 147,23; მიუდების
129,29...)⁵, თუშურში (იქნების, იკოცების...)⁶, ფშაურსა და სხვაში.

¹ შდრ. ილ. ცერცვაძე, ფუძედრეეკად ზმნათა თავისებური წარმოები-
სათვის: სტ. სამეც. შრ. კრ., წიგნი I, 1941, გვ. 181—189.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალ., გვ. 72; ვ. თთფურია,
ქართლური, გვ. 141—142; ალ. ლეკიაშვილი, ივრის-ხევრი ფშაური, გვ.
163—164 და სხვ.

³ აგრეთვე ახლანდელ მყოფადშიც, რომელიც ძველი ქართულისათვის იგივე
აწმყო იყო; მაგ., დამტნების, გადექების, გაგიჩნდების და სხვ.

⁴ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნ., გვ. 210.

⁵ ბ. გაბურუ, კევა. მას.

⁶ თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960, გვ. 39.

ამავე კაკურში არის -ის დაბოლოების დაკარგვის შემთხვევა
ბიც; მაგ.: დილად თენდებ, დიდ ზმა დგებ, ჭაღურულები
ჩდევ, მამა კდოვ („კვდება“), ზიმედ კეთდებ, ჰამტურულები
დებ...

მეტად იშვიათია კაკურში -ა სუფიქსის გამოყენება; მაგ.:
გურგული იქნევა, დგევა, მევლან ჩება...¹

ცველი დაბოლოების შერყევა გამოწვეულია, ერთი მხრივ,
კაკურის ფონეტიკური თავისებურებით (მარცვლის დაკარგვით:
თენდებ) და, მეორე მხრივ, ქართული კილო-თქმების (თუნდაც
იმავე ალიაბათურის) გავლენით.

ალიაბათურში ამ არქაიზმის არც ერთი მაგალითი არ გვსმე-
ნია.

§ 68. არს || არის მეშველი ზმნა ახალ ქართულში შეიკვეცა
-ა-მდე (კაცია ← კაცი არს), ხეცსურულში კი ზემოგვრჩა ას (საქო-
ნელი ას 197,9; ნათქვამი ას 149,24...)², ინგილოურში (კაკურში)
კი ს-ლა გვაძეს ამ ზმნისაგან, როცა ის ფურცებმოვნიან სახელს
ეკვრის უშუალოდ; მაგ.: ზროხხას („ძროხა არის“), მამა მეპუ-
რეას („მამა მეპურე არის“), საჭიროას („საჭირო არის“) და
სხვ³.

ფურცეანხმოვნიანებთან კი ცოტა სხვაგვარადაა საქმე. აქ,
როგორც ჩანს, ჯერ იყო ახალი ქართულისებრი შედგენილი შემას-
მენელი (კაც-ი+ა) და შემდეგ -ა ხმოვანი მოეკვეცა მახვილის ნია-
დაგზე ისევე, როგორც თურმებით პირველსა და სტატიკურ ვნე-
ბითში; მაგ.: დათი კოლი („დათის კვალია“), დიდ კაცი („დი-
დი ხნის კაცია“) ზური („ციირია“) და სხვ⁴.

§ 69. ნაშენ უწყვეტლის ნიშანთა შორის აღსანიშნავია ინ-
გილოურში -ი-დ სუფიქსი ისევე, როგორც ქართულ ენასა და სხვა
კილოებში; მაგ., ვერ დაინახილენ (← დაინახილენ; შდრ. ძვ. ქ.:
ვილოცვიდით, ბრწყინვიდა, ნახვიდა... განრცხიდეს ბადეთა; ა. ზანი-
ძე, ჰამტეტი ტექსტები; აგრეთვე ზდრ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნ.,

¹ შდრ. „კვდების, მორჩება ველარაგ“ (თუშ. ლექსები: ძვ. საქ., II,
განკ. V, გვ. 6).

² ბ. გაბუური, წევს. მას.

³ გრ. ο μῆνας შვილი, პირველი თურმებითისა და სტატიკურ ზმნათა
წარმოება ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955,
გვ. 122.

⁴ იქვე, გვ. 121.



გვ. 211; მისივე, პერმანენტის („ხოლმ.“) ისტ. ოდგ. ქართ. ზმნის ულტ-
სისტემაში, გვ. 95).

ნამყო უწყვეტელში ინგილოურშიც ისევე, როგორც საერთოდ
აღმოსავლურ კილოებში, მრავლობითი რიცხვის III სუბ. პირში
გვაქვს-დ-ნენ დაბოლოება; მაგ.: კაკანებდნენ, მიჟყონდნენ, ლევდნენ...

ეშინის ზმნის ნამყო უწყვეტელი იქნება ეშინიოდა („ეში-
ნიოდა ფათიშაძეგნი“), მაგრამ ეს ზმნა აწმყოში ჩვეულებრივ იხმა-
რება ეშინიან-ის ფორმით. ეს უკანასკნელი კი ხშირად პირდაპირ
გადადის ნამყო უწყვეტელში და დაირთავს -დ-ს: მეშინიანდა (მე),
გეშინიანდა (შენ), ეშინიანდა (მას.), ეშინიანდაყე (მათ) და მისთ.
ჩანს, მრავ. რიცხვის ნიშანი -ან იქცა ფუძისეულად და მას დაერ-
თო ნამყო უწყვეტლის ნიშანი.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ობიექტური წყობის ისექ
ზმნებთან, როგორიცაა: მქუან, მშიან, მწყურიან, მიხარიან, მცხა-
ნიან, შემიძლიან და მისთ. (მაგ. „ამ ბიჭსაც ქუან და შაჰისმეჯლა“,
ითით. და სხვ.)¹

„სწავლება“ მასდარისაგან ნამყო უწყვეტელი იქნება „ა-
სწავლებდა“ (მდრ. ძვ. ქართ. ასწავებდა ერსა მას; ჰაემეტი
ტექსტები).

§ 70. მეშვეობი ზმნა ხშირად დაერთვის ინგილოურში რიგ
ზმნებს, მათ ზორის გარდამავალსაც; მაგ.: ხტებიხარავ, ნუ ტირი-
ხარ, რახებ ჟავრობხარ, ტყუვიხარ... პოტლოვარ, იჭერხარ...

ასევე იხმარება იცის ზმნაც ხშირად კაქურში და ზოგჯერ
ალიაბათურში; მაგ.: ვიციგარ, იციხარ, ვიცივართ, იციხართ, ვერ
ვიცივარ, ვერ იციხარ...

გარდა ამისა, მეშვეობი ზმნა მიმღეობასთან ერთად გამოყენე-
ბულია მყოფადის საწარმოებელად; მაგ.: წაასლოვარ („წავალ“),
მააცემხარ ჩემბე („მომცემ“), გაამთელეველია (←გასამთელებელი
არის „გაცოცხლდება“) და სხვ.

მხოლოდ დი-ს ზმნა ინარჩუნებს კაქურში ძველ სახეს, თუმცა
არა ყოველთვის. მას ხმირად არ დაერთვის მეშვეობი ზმნა; მაგ.:
სა მიიღი? თავექმ მიგდ (|| მიგდი || მიუდ || მშუდ), მეც ეხლა კარ-
ში გაშუდი და სხვ.

§ 70. თხრობითი კილოს შყოფადი ინგილოურში იწარმოება
სამგებარად: 1) პრევერბის დართვით (დოჟქერ „დაეიჭერ“), როგორც

¹ ქუან ზმნას ფუძის მაწარმოებელი -ებ სუფიქსიც კი დაერთვის I თურ-
მეობითში; მაგ., „ამ ქალსაც ქუანებია...“ (ალიაბათი) და სხვ.



ეს ახალ ქართულშია; 2) კავშირებითის ფორმის გამოყენებაზე ჭირო „დავიჭირო“, როგორც ძევე ქართულში იყო კულტურულის მიმღებაზე მეშველი ზმნის დართვით¹ (დააჭირევარ, დააჭირებარ, დააჭირელია), სადაც სუბიექტური პირი გამოხატულია მეშველი ზმნით², ხოლო ობიექტური პირი (პირდაპირიცა და ირიბიც) წარმოდგენილია უნიშნოდ. პირთა მიმართების გარკვევა შეიძლება მხოლოდ კონტექსტში (დააჭირევარ მე იმი თავ „დავიჭირ“, დააჭირებარ შენ ჩემ თავ „დამიჭერ“, ისი დააჭირელია შენ თავ „დაგიჭერს“, ისენ შენბე კად ყოჩ მააცემენია!← ॥ მააცემელნია] „ისინი შენ კარგ ყოჩ მოგცემენ“)³.

მეორე სერია

§ 71. ნამყო წყვეტილში - ე სუფიქსი არა გაქვს კაჯურში, ხოლო ალიაბათურში იგი ჩნდება იქაც, სადაც არაა მოსალოდნელი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით; მაგ. (კაჯური): დომაჭირ („დავიჭირე“), მოღლ („მოვიღლე“), წოღლ („წავიღლე“)... ჩაბყარ! („ჩაყარე!“), დაგვარგ! („დაიკარგე“)... მოღტანით („მოვიტანეთ“), შახნახით! („შეინახეთ!“)... ალიაბათური: წეველე, ვიცანე, დაჭტალეთ და სხვ⁴.

მესამე სუბიექტურ პირში მხოლოდ - ა სუფიქსი გვაქვს ნამყო წყვეტილში, თუ ფონეტიკური პროცესი არ ჩაერია. -ო ბოლოსართი არაა; მაგ.: ბებერმა გავაგა, მამამ გამმაგდა („გამომაგდო“),

¹ ახერბაიჯანულში ყველა ტიპის ზმნას პირის ნიშნებად მეშველი ზმნის-ული წარმოების აფიქსები ერთვის. ალბათ, ესეც ბიძგს აძლევს ინგილოურს, ხშირად იხმაროს მეშველი ზნი.

² შრო. ალიაბათური: ვერ ვიცი ...

³ მყოფადის წარმოების შესახებ: გრ. იმნაი შვილი, მყოფადისა და ნამყო წყვეტილის წარმოებისათვის ინგილოურში: ენის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია (თეზისები), 1946, გვ. 14; მისივე, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური, ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 157—158; რ. ღამბაშიძე, მყოფადის წრის მწერივთა წარმოება ინგილოურში: თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 252—265.

⁴ დაწვრილებით: გრ. იმნაი შვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში, გვ. 158—162.

⁵ სადაც ა გვევლინება, ის მეორეულია და მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე; მაგ. თქო (←თქუა), ჩაცო (←ჩაიცუა), წამართო (←წამართოა), დამიხტო (←დამიხტუა←დამიხტდა), ამადრო (←ამაიზრუა←ამოიძურა), გაუშო (←გაუშვა), დაწყო (←დაიწყვა), ჩააქრო (←ჩაქრვა), დეელრჩო (←დაელრჩა; მოს.) და სხვ.



ჩიფლაყი დამაგდა („ტიტეტელი დამტოვა“), ეზოეთი გაუგრევებული
ჩააგდა, დაანთა („დაანთო“), გააღა („გააღო“), გადღა, წადღე, მარჯვენა მიერა
დააგდა...

აქ ვ დაკარგულა მანამდე, სანამდე გა მოგვცემდა ო-ს: ადღა
← აიღვა ← აიღვა... შდრ. ავიღვ, აიღვ... ლიტ. ვიყავ, იყავ, იყო
← იყა.

ანალოგიურ მოვლენებს ვხედებით სხვა კილოებშიც¹.

ჩანს, ინგილოურმა ისტორიულად სწორი ფორმები შემოგვი-
ნახა.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში ნამყო შეკვე-
ტილში გარდაუვალ ზმნებთან (როგორც ნამყო უწყვეტელში გარ-
დამავალთან) გვაქვს -ნენ დაბოლოება: სამნი გახდნენ, წაუდნენ
ეს ოთხნი, მოუდნენ ესენი, ესენი გაუდნენ, ალაზნი პირზე მიღვ-
ნენ, დამალნენ, გადახტნენ...

აქ ინგილოური ქართლურსა და ქახურ კილოებს უდგას გვერ-
დით და გამოეყოფა ძველ ქართულსა და ფერეიდნულს, ხევსურულ-
სა და მოხეურ კილოებს.

§ 72. მეორე კავშირებითის საწარმოებლად S₃-ში კაქურში
ჩვეულებრივია - ა ო-ს ნაცვლად²; მაგ.: დათესას („დათესოს“),
რო დაჲკიდას („რომ დაიკიდოს“), კედემ ისწავლას, წაჲყონას,
დეკატმა არ მოგატყუას, დაჲკარგას, იცხოვრას, მაღტანას, სხომ ნუ
დანახას, მაღლას, სხომ ნუ იცოდინას... ჭამან, წაჲყონან, იბლავ-
ლან, იტირან, ამათმა გაგაცილან...

მეორე კავშირებითს (აგრეთვე პირველსაც) ანის საშუალებით
აწარმოებენ ქართველური ენებიდან მეგრულ-ჭანური (და აგრეთვე
სვანური ერთი რიგის ზმნებში), ხოლო ქართული კილოებიდან—
ხევსურული და მოხეური.

ინგილოურში ა. მხოლოდ S₃-შია შემონახული და ისიც მარ-
ტო კაქურში გვხედება სისტემატურად³.

¹ მაგ., მოხეურში, კახურში და სხვ. დაანთა, წაიღა, გაიგა...

² შეიძლება, ზოგჯერ ფონეტიკურ ნიადაგზე (ასიმილაციით ან სუბსტი-
ტუციით) -ა-ს ნაცვლად -ო მოგვევლინოს; მაგ., მამამ ადლას ჩემ საჭიდელ თეთრ,
მიყიდას და წამიყონას (→ წამიყვანას — წამიყვანას), დადოს (→ დაიდვას) და სხვ.
ე-ს ნაცვლად ა-ს მხოლოდ იშვიათად შეიძლება წავაწყდეთ (თეთრ მამ-
ცას „მოიცეს“).

³ ალიაბათურში კი გვხედება მხოლოდ ზოგჯერ.



I და II სუბ. პირები II კავშირებითის საწარმოებლად ჩეცული
ლოურში იყენებენ ო-ს ა-ს ნაცვლადაც¹; მაგ.: ახლა თავ შეუძლია
თუ რა ქნა! („ახლა თავი მოვიკლა, თუ რა ვქნა“); თავ ნუ მო-
ჯელო („თავი ნუ მოვიჯლა“, „თავს არ მოვიჯლავ“), ქათმებ დაგიკ-
ლო, მე შენ უნდა დაჰკელო! (ალიაბათი), ეღ საათში უნდა მოკელოთ
(სამთაწყ.), ეგი ლამაზ რამი როგორ მოაჭერო?! (ალიაბ.), ერ რამ
გითხრო, აქე დიდრშან სახლები დავდგო (ალიაბ.)...

**წ 73. თხოვნითი ბრძანებითი II პ. ჩეცულებრივია მთის კი-
ლოებში (თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში). აქ მის გამოსახა-
ტავად გამოყენებულია ნამყო მრავალგზისის II პირის ფორმა².**

ინგილოურში თხოვნითი ბრძანებითის გადმოსაცემად II კავ-
შირებითია გამოყენებული; მაგ.: შენ მე მოგრმეთ, ახლა შენ მე
მომოქმედეთ! ორ კაკალ მაცცა! ამან, ყორობჩი, უან, ყოროჩი, ბა-
ლას მამცა! (მეშაბ.); ამან, კურტო, უან, კურტო, კრაცხ მამეცო!
(მეშაბ.); მარიამ, მოხურო, წყალი მაღლო! (ალიაბ.); ადგა, ცეცხლი
რამე ჩოტნთო! (ალიაბ.); სურათ გაძლიდო! (|| გაადიდო! კაკი);
შენ ჰეჩ საღამ არ წახურო! (კაკი); შინაყენ მოხურდო! (ალიაბათი); აქ
რაბე დგახარა? შეხურო თახაში (კაკი); დედაკაცო, ჰაბა, თევზი ჭორ-
ცი მაატანო?³ უან, მამა, ამან, მამა, გაშლ ჩონც მოგურტანო! 192,7...
ეხლა გამათხოვდე იმასთან! (კაკი)...

ანალოგიურ მდგომარეობასთან უნდა გვქონდეს საქმე მთიუ-
ლურშიც. იქ „ჩეცვათი ბრძანებითი“ მეორე პირისა გადმოცემულია
კავშირებითის ფორმით⁴.

არაა გამორიცხული, რომ ინგ. -ო ნაშთი იყოს ფშაურისებრი
-ოდი სუფიქსისა.


ამეამად ამ ფორმას თავისი პირველადი შინაარსი უკვე და-
კარგული აქვს. ის სააწინააღმდეგო მნიშვნელობით (ზეღმეტი კა-

¹ ე-ს ნაცვლად ო-ს მთიულიდ სპორადულად შეიძლება შეკავდეთ.

² ა. შანიძე, გვ. და 03 ქართ. ზენგბში, გვ. 68, 70, 71. ძვ. ქართულს ჰქონ-
და საკ. ფარმა (თუ ნაცესები პირველი ხალქებითიაგან?) მხოლოდ III პირი-
სათვის: ა. შანიძე, ქართ. გრამ. საუ. I, გვ. 253; მისივე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 41;
ი. მნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრისტომათია, ნაწ. I (V—X
საუკუნეების ძეგლები), ა. შანიძე ის რედაქციით, თბილისი, 1953, გვ. 369—398.

³ დედაკაცის უარყოფით პასუხშე „რაა თევზი ჭორცა? სინარში ხომ
არ გინახავ?“ კაცი გაჯავრდება: „... თევზი მოგახარშინე, რატყავი? მაად ი!“
(ითით., დადებ. ბრძ.).

⁴ არნ. ჩიქობაგა, მთიულ. თავისებურებანი, გვ. 57.



ტეგორიულობის გამოსახატავად) უფრო იხმარება. თხოვნითი ბრძანებითის შინაარსით მის ხმარებას მხოლოდ ზოგჯერ წაგაწყდების შემთხვევაში ჩატარდება.

თხოვნითი ბრძანებითის გადმოსაცემად ინგილოურში ჩატარდებით გამოყენებულია აზერბაიჯანულიდან შემოსული ალა (ავთ „საუკეთესო“, „ქარგო“, „დიღებულო!“), ამან (ამან „შემიბრალე“, „მიშველე!“), ჟან (ჟან „სულო“, „საყვარელო!“) ნაშილაკები. პირველი იხმარება ზმინის შემდეგ, მაგრამ ზმინასთან შეუხორცებლად, მეორე და მესამე კი — წოდებით ბრუნვაში დაყენებული სახელის წინ; მაგ.: მამეც, ალა! შეხედ, ალა! მადლ, ალა! წადლ, ალა! მოი, ალა! ამან, ბებერო, ჟან, ბებერო, ჩემ კუდ მამ! (მეშაბ.); ამან, ჟან, კაცო, ჩემ ქალიც ტყეში წალყონ! 193, 14...).

§ 74. ხოლმეობითის საწარმოებელი - ი ქველი ქართულისა (დავწერი, დასწერი, დაწერის) ამჟამადაც მოქმედებს ქიზიყურში, ფერერიდნულსა და მთის კილოებში.

ინგილოური - ი (მოცტანით, შავნახით! გადგო? დახნახი?) ამჟამად ხოლმეობითობას არ გადმოგვცემს¹. ისტორიულად იგი უნდა ყოფილიყო მხოლოდ განგრძობითი ასპექტის ნიშნი². ინგილოურში მას მეტოქეობა გაუწია -ყე (|| -ყ) ნაშილაკება და განდევნა კი-ღეც.

ამჟამად ინგილოურში მოქმედების სიხშირის, მის ჩვეულებრიობის აღნიშვნას კისრულობს მხოლოდ -ყე (|| -ყ) ნაშილაკე³; მაგ.: ცოცხალ დროზე მე კარცხს მოხარავდიყ ქათმის ბუდეთი, სიფთა მე დავლევდიყ, ჰარ დღე ხინკალს ჭომდითყ, ჩონ შიჭმელს ადრიან ჭომთყ, მე ჰარ დღი ზროხის უყრიყ ბალას, ფურ ზროხაში დადისყ, მამას ბჭთუმიზგნი პატრა შტლ ბეტრ უყვარსყ; თურმენი შაპ-აბაზი იცომდაყე დევრუშის ტანსმოს, დადიოდაყე სოფელში, ისმენდაყე, ხალი რას ლაბარიკოვსო (ალიაბათი); აშბოვდაყე, ქეოტებოდაყე, ბარამზე არ იყურებენყე], თევზი წყალში იქნებაყე] თუ მიწაში?..

1 - ი. რომ აქ ხოლმეობითობას არ გადმოგვცემს, ამას ცხადყოფს: ერთი მხრივ, მეტამე სეგ. პირი; მაგ., შდრ. კაჭური: მოხლით, მადლით, მადლეს (და არა: მაიღიან); ალიაბათური: მავლი, მადლი, მაღლა (და არა: მაღის), მავლით, მადლით, მადლეს (და არა: მაიღიან); ხოლო, მეორე მხრივ, მისი ხმარება ბრძანებითში: მადლი! (ალიაბ.) და სხვ. დაწერილებით: გრ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში, გვ. 158—161.

2 შდრ. არნ. ჩიქობავა, პერმანივის („ხოლმ.“) ისტ. ადგ. ქართ. ზმინის უღველ. სისტემაში: საქ. სირ მეცნ. აკად. მთამბე, IV, № 3, 1943, გვ. 195.

3 -უ-ს (← ჟ-ს) ეს ფუნქცია შენიშნული აქვს მ. ჯანაშვილს („ფარს. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, ტფილისი, 1895, გვ. 99).



§ 75. ფუძედრეკად - ეპ-იან ზმნებს შემოუნახული ფუძეტები სერიაში; მაგ.: დავლივით, დალივით (თქმა), გადაქცივა, ტურათ მუაქცივა, ჭუჭულებათ მაგაქცივას ღმერ-თმა, ამ კაცმა გაუწივა, თავიანთუნ დიდ ამაარჩივეს...

ანალოგიურ ფორმებს ვხვდებით სხვა კილოებშიც (მაგ., ფე-რეიდნულში, მთიულურში, კახურში, ქართლურსა და სხვაგან).

მესამე სერია

§ 76. პირველი თურმეობითი მეტად ფართოდაა გავრცელებული ინგილოურში. იგი ხშირად ენაცვლება ნამყო წყვეტილს (და-მიწერია) „დავწერე“).

ქაჯურში აბსოლუტური ვნებითები და -ი-ა-ზე დაბოლოებული (ახალი ქართულის მიხედვით) რელატიური ზმნები პირველ თურმეობითში წარმოდგენილია ხმოვანმკვეცილად ისევე, რო-გორც აწმყოს შედგენილი შემასმენელი (კაცი → კაცი) და სტატიკუ-რი ზმნა (ასხი → ასხია) ამავე კაჯურში; მაგ.: დამიჭერი (← დამი-ჭერია), უჭამი, უპოვნი... ყოფილ (← ყოფილა), წასულ და სხვ.¹

§ 77. მესამე კავშირებითის² ხაწარმოებელი ფორმანტი აქაც ა- არის ჩვეულებრივ³ ისევე, როგორც II კავშირებითში III სუბ. პირთან (უმთავრესად კაკურში); მაგ.: ზალს წაყონასუკინ ხუთ-ტქეს წელს მამამთილთან, დედამთილთან, ჰეჩ არ ელა პარიკნას; მა-მამთილის ფეფ გეერა და ს; თუ დასრულებულ წინდებ, ქალმებ ჰქონ-და, გეეშროს, დეეფ შნუტას; ქოხ ეელას, მამამთილი პურ-ჭმაში დამდგარიყოს (კაკი)... აქაცთი პატრონებს თეთრ გეეგ-ზავნას ყ ხუთას-ტქესას მანათ, მეეყონას სყ (კაკი)... აქაც დეგე-წერას, მეგეცას (კაკი)... ხუალ დილამდინ უნდა გეეკეთას, მიეცას იმ ფაშდანახულს უსტაბე (კაკი)... მოკლომაში კტარიც მოლლას უნდა დეემარხას (კაკი)... მეგრკლას, მეეკლას...

¹ დაწვრილებით: გრ. ο μέν αὶ θεὸι λογι, პირველი თურმეობითია და სტატიკურ ზმნათა წარმოება ინგილოურში, გვ. 119—124.

² II თურმეობითი (მემესმინა, გემეკეთა, დემეწერა, შინ მოსულაში გზავ შემცდარვიყავ, ეოთხვნა, გეეჭრაყ...) არ ხასიათდება თავისებურებით.

³ ფონეტიკურ ნიადაგზე (ასიმილაციით ან სუბსტიტუციით) აქაც ისევე, როგორც II კავშირებითში, შეიძლება ა-ს ნაცვლად გაჩნდეს ო: ეოქს (← ეო-ჭრას), დეეჭას (→ დაეჭრას), გეეშოს (← გაეშრას), დეეჭიროს (← დაეჭირვას; ამბობენ: „გვიჭირავ“), დამდგარიყოს (← დამდგარიყვას; ამოსავალია ყავ).



აქ ყველგან III კავშ. ნახმარია II თურმეობითის აღვიწოდებისთვის (ახალი ქართულის თვალსაზრისით). ანალოგიურ ვითარებას უნდოებული ბით ზოგჯერ რაჭულში¹, კახურში², ქართლურსა და სხვაგან³.

ვნებითებს III კავშირებითში ჩართული აქვს -ოდ უწყვეტლის ნიშანი; მაგ.: ცოცხალი თუ ვიყოდე; წაკიდებულვიყოდეთ; მოსულიყოდე; მოსულიყოდეს; ქილიყოდე; დაპელებოდეს...

პირობითის ნიუანსით იხმარება, როგორც II თურმ., ისე III კავშირებითი⁴; მაგ.: მე თუ თქმნ თავ არ დამეგრუებინა, რა იცოდით ე ნაჩაღობას (ალიაბათი); მე თუ წამალი არ მიმეცა, ქალი მააკლომიყო (ალიაბ.); მე თუ პური არ მემეცა, არ ქნილიყო... (მოს.); შენ თუ არ მოსულიყოდე, ჩონ ერთი დარჩომამდინ წაკიდებულვიყოდეთ (ალიაბ.); ეს ქმელში („ხმელეთზე“) ქნილიყოდეს, შენგე ხათას იქმოდა (ქოთ.); ცოცხალი თუ ვიყოდე, არ გაგიშობდი; თუ ერთი შატრი დაპკლებოდეს, არ ავტანდიო (მოს.); რად იქნევა სხოვ მოსულიყოდეს! შენ ახლა ხათირს ვერ დაგექლევ (კავი); ე საქმეა გემეკეთ ას, კად იქნევოდა (კავი); თუ, მოლლა ტავ, ტუმრევ ვერ გეპოვნას, შენ იმ ქურდიბევ რად საქნელ იყავი? (კავი)...

ს 78. მესამე სერიაში (თურმ. I და II და აგრეთვე კავშ. III) ზოგჯერ გვხვდება სუფიქსი -ნ (\leftarrow ენ); მაგ.: უყიდნია, ულაპარიკნია, უგორნია... მრყერნა (\leftarrow მეყვირნა), გრყერნა (\leftarrow გეყვირნა), რყერნა (\leftarrow ეყვირნა)... მრყერნას, გრყერნას, რყერნას...

იგი სპორადულად თავს იხნეს შეირენ სერიაშიც (შენ გადახტენ).

ანალოგიურ მაგალითებში ნ (\leftarrow ენ) სუფიქსი გაცილებით უფრო ხშირად გველინებს კახურსა და ქართლურში⁵. ვვაქვს სალიტერატურო ქართულშიც⁶.

¹ შ. ძირიგური, ქართ. ენის მთარაჭ. დიალ. ძირ. თავ.: ენიმკის მოამბე, თბილისი, 1937, გვ. 81; მისივე, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძე. ქართ. შე-ის პრობლ. დაკავშ.: ენიმკის მოამბე, V–VI, 1940, გვ. 104.

² არ. მარტინოს და გრ. ი მნაი შვილი, ქართული ენის კაზური დალექტი, გვ. 99.

³ შდრ. გ. თოფურია, სეანური ენა, I, ზმნა, გვ. 182–183.

⁴ III კავშ. ფორმა შეხამებულია „უნდა-სთანაც“; მაგ., უნდა დეემარხას, უნდა გეეკეთას (კავი), უნდა დეეგას (ქოთ.); რომ ამას ხედავს, ამბობს: აქე ერთი საქმე უნდა იყოდეს, თორემ ჩემ გაკეთებულ ბეჭედი არ უნდა დაბრუნდეს სახში (ალიაბათი). შდრ. შ. ძირიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 260–279.

⁵ არნ. ჩიქობავა, გარე-გარეთი დალექტოლოგიურად, გვ. 72–74; არ. მარტინოს თოსოვი და გრ. ი მნაი შვილი, ქართული ენის კაზური დიალექტი, გვ. 99–101.

⁶ გ. თოფურია, ქართლური, გვ. 143.

⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 454–455.



ამ - ნ (\leftarrow -ენ) სუფიქსის გენეზისის შესახებ ორი მოსახურება უპირისპირდება ერთმანეთს. პირველის მიხედვით იგულიშემოტებული ჯერ მოქმედებითი გვარის ზმნათა II თურმეობითის ფორმებში პრეფიქსიანი ენებითის ორპირიან ზმნათა წყვეტილის ფორმებისა-გან განსხვავებულად; ხოლო შემდეგ მომხდარა ხმარების არის გაფართოება, გადასულა I თურმეობითშიც¹. მეორე მოსაზრებით, რომელიც უფრო სარწმუნო ჩნდა, -ნ (\leftarrow -ენ) მიჩნეულია ფუძის საწარმოებელ ისეთივე სუფიქსად, როგორც -ან, -ენ, და სხვ².

ზოგიერთი დეველტური ან თავისებური ზმნა

§ 79.- აქვ-ს სტატიკური ზმნისაგან -ქ- ძირია დარჩენილი ჩვეულებრივ სოფ. კაკის მკვიდრთა მეტყველებაში; მაგ.: მაქ, გაქ, აქ და სხვ.³ კახის რაიონის სხვა სოფლების მეტყველებაში კი უმ-თავრესად იხსარება მაქო || მაქონ-ის სახით (მაქონდა და სხვ.).⁴

აქვს-ს ზმნა, რომელიც ზმნისწინის დართვით დინამიკურ შინაარსს ღებულობს (მი-ა-ქვ-ს),⁵ ინგილოურში სხვა აქტიური ზმნების მსგავსად გვევლინება სუბიექტური წყობით⁶, სადაც სუბიექტის მოქმედება გამოხატულია პირდაპირ თავისი ნიშნით; მაგ.: ერ ვაშლ მუაქდი (\leftarrow მოვაქდი „მოქონდა“, კაკი), თოხ აბაზა აქიდ მივაქომდით, იქიდთი აქ მოვაქომდით || მუაქომდით (ითითალა), მივაქომ, მიაქომ, მიაქომს (შდრ. ძვ. ქართ. აღმოაქუამს) და სხვ.⁷

§ 80. გალ-ს ზმნა თანამედროვე სალიტ. ქართულში გაცვე-თილია (ლ ფუძისეული და ს პირის ნიშანი დაუკარგავს); ალია-

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 454—455.

² ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 74.

³ შდრ. ს. უ დ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 61.

⁴ შდრ. მამული გუაქონდა (საქ. სიძ., ტ. III, 3, 18).

⁵ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 161.

⁶ ობიექტური ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაში მართავს (სუბიექტს—სახელმისამართში); მაგ.: ნალპრდალ ააქტონ (კაკი), მააქტნ ქაფჟირს ცვ თო ქალ (იქვე), ყიზილს („ოქროს“) გამააქს (თასმალო)...

⁷ ნ. როსტიან შვილი, ინგილოურის ძირითადი თავისებურებანი სოფელ კაკის მეტყველების მიხედვით: თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 8, თბილისი, 1958, გვ. 282, 286.

ბათურშიც ასევეა -გა (მი-გა, წა-გა). კაქურში -ა-ც დაკარგულა და
დარჩა -გ- (ზღრ.: მივ || მიუ, მოვ || მოუ).

აღსანიშნავია, რომ იგი კაქურში ხშირად დაირთავს -გ- და დაკარგულა და
ბოლოებას; მაგ.: იქნებ მოვის, იქნებ არ მოვის, ეხლა მოვის,
მივის...

ყურადღებას იქცევს, რომ ეს ზმნა უწყვეტელს აწარმოებს
-დ-ს დართვით; მაშინ ლ შემონახულია: მევლან მე ზროხაზე წა-
ვა ლ დ ი (ზაგ.); შირაჭზე გ ა დ ა ვ ა ლ დ ი, მასეან იქითი გ ო დ-
მუ ა ლ დ ი აქეთვან (ზაგ.); ემაგ ვიცოდი, არ მუა ლ დ ი (ალი-
ბეგლო)...

§ 81. „ყოფა“ ზმნას პირველი სერიის საწარმოებელი ფუძე
(-ოფ) გადაყოლილი აქვს მეორე სერიაშიც; მაგ.: ტუჩი ჩაყოფა
(მოს.), გოშუყოფა (ალიაბათი), დათლურ გაჭჭყოფოთ (ალიაბ.), ას-
ლანმა თითებ ნახეთქმი ჩაყოფა 186,24...

ს ი ტ ე ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

§ 82. ინგილოურში მყოფადისა და ნამყოს მიმღეობები
მეტად ფართოდაა გაგრცელებული, რაც გამოწვეულია მით, რომ
პირველი დაკავშირებულია მყოფადის წარმოებისთან, მეორე კი I
თურმეობითთან (იხ. ზემოთ).

მყოფადის მიმღეობის საწარმოებელია სა- — -ელ || → -ა- —
-ელ: სათქმია (← სა-თქმ-ელ-ი-ა, ალიაბ.), კაცევ საკმელ ჩაყრელ-
ნი (← ჩასაყრელნია, „კაცები საკმელელს ჩაყრიან“, კაჭი)... სადღოებე-
ლი მაქო ზა ა დ ლ ი ბ ე ლ ი (ალიაბ.), ჩონ ერ რახმი გოქო გ ა ა ყ ი-
ფ ე ლ ი (← გა-სა-ყოფ-ელ-ი, ალიაბ.), დ ა ა წ ე რ ე ლ, დ ა ა წ ე რ ე ლ ი,
დ ა ა წ ი ლ ე ლ, ჩონ დ ა ა ჟ დ ღ მ ე ლ ა დგილ გუნდა (← და-სა-ჯდომ-
ელ-ი, ალიბეგლო)...

ნამყოს მიმღეობის საწარმოებელია -ილ, -ულ, -ალ, ნა-:
დარჩო-ზ-ილ-ი, დაწყობ-ილ-ი... დაჩო-ულ-ი, ფაშდანახულმა
უთხრა, დაკლეტ-ულ-ი-ა (← „კლეტ-ავ-ს“, მოს.), გაჩენ-ულ-ი
(← „აჩენავ ს“), დაწერ-ულ-ი (← „წერავ-ს“), გაფრენ-ულ, წასულ
195,2 (← „ფრენ-ავ-ს“)... დამშროლ ვარ (← დამშრუალ ვარ ← დამ-
შურ-ალ ვარ, კაქური; შდრ. ალიაბათური: დაღლილ ვარ)... ფა-
ფაყ მონაცემმა ფალყაყ ადღა (ზაგ.), ანარწყევ (← არწყევ-ს, კაჭი),
წყალ დ ა ნ ა ლ ი ვ კაცმა არწყივა წყალი (ალიაბათი, შდრ. დალივა)...

ნა- პრეფიქსიანი მიმღეობა არაა გარჩეული გვარებისა და
დროების მიხედვით. იგი ხშირად აწმყოს მიმღეობის შინაარსსაც

ატარებს; მაგ.: შენ ნამეტი ნავი ხარ, თუ მე (ალიაბათი, შარ. თუშური: მომეტეც ჯარებისაო, ძე. საქ., ტ. II, განყ. V, გვ. 17) მიწა დანას მენა უთხრა („მიწის მსმენელმა...“ ჲ კურა მარა დანას მენა მიწას უსმენავს („მიწის მსმენელი მიწას უსმენს“, ალიაბათი) და სხვა, რასაც პარალელი დაექებნება ქართული ენის დიალექტებსა და რიგ მთის კავკასიურ ენებშიც¹.

უარყოფითობის წარმოებიდან ალსანიშნავია არ- და უ-უ-—-ელ-ის გამოყენება; მაგ.: არნაცოდნი („უცოდინარი“, „არმცოდნე“), არვარგი (კაცი, ცხენი, ვარგი... „უვარგისი“)... ჩობან უგაშეგებელ კაცი იყო („მწყემსი გაუგებარი კაცი იყო“, ალიბეგლო), ნიქა გოუშრეს ქალის უდოტნახელა („დანიშნეს ქალის დაუნახავად“, ითით.), უმივცემელა არ იქნება (←უმიუცემელა, ალიაბათი)...

პრევერბისეული ხმოვნის მომდევნო უ სუსტია ინგილოურში. ამიტომ უარყოფითობის გასაძლიერებლად პრევერბის წინ დართვია მეორე უ².

§ 83. სელობის საწარმოებლად ინგილოური იყენებს, ერთი მხრივ, მე- — -ე აფიქსებს, ხოლო, მეორე მხრივ, აზერბაიჯანული- დან შემოსულ -ჩი სუფიქსს; მაგ.: მენადირეგა, მესაპავეგა... მა- რანჩი („მემარნე“), ილხიჩი („მეჯოგე“), კოლხოზჩი („კოლმეურნე“), თილისუნჩი („ოინბაზი“), გისკლადჩი („საწყობის გამგე“)...

§ 84. ატრიბუტივების საწარმოებლად მთეულურისა, მოხეუ- რისა და სხვა რიგი კილოების მსგავსად ინგილოურ მიც იხმარება ზოგჯერ —იარ || —იალ სუფიქსები (ნაცვლად —იერ || —იელ სუფიქსე- ბისა); მაგ.: ცარიალ, ზრიან (←ზრიალ←ზრიარ←ძლიერი)...

§ 85. ცალკეული შემთხვევებიდან ალსანიშნავია შემდეგი:

1. ვგაქვს სადაურელ || სადავრელ (ორმაგია: -ურ -ელ): შენ სადაურელ ხარ? (ალიაბათი)... სადავრელ კაც ხარა? (კაკი), სადავრელ ღუნრესა? (კაკი), სადავრელ ფაყლახსა? („სადაუ- რი ლობიოა?“ კაკი)...

¹ რ. ღამბაშიძე, მიმღეობათა წარმოების ზოგი ოვისებურება ინგი- ლოურში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუ- ტის XV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბი- ლისი, 1958, გვ. 12–13.

² რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავთ, ფსიქოლოგიურ მიზეზსაც (შდრ. ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში; წელიწლეული, I–II, 1923– 1924, გვ. 105).



-ელ-ის დართვის საჭიროება გამოწვეული ჩანს -ურ-ის უ-ს
დასუსტების გამო ა ხმოვნის მომღევნოდ (შდრ. § 82).

2. კა-საგან იწარმოება განყენებული ცნების გამომხატველული სიტყვა კალბა (კავობა ზრიან კავ რამია, ალიაბათი).

3. შიშაგა (← სი-შა-ე) იხმარება სხვა კილოებშიც (შდრ. შეგ-ჭან. დიშე). „ქართ. ხო-, ჭან. და მეგრ. დი- პრეფიქსები ერთმანეთთან კანონზომიერ მორფოლოგიურ შესატყვისობა ძია და ნივთის კატეგორიის მაჩვენებელია“¹ (შდრ. ქართ. შიში←სი-ში, სი-ძე და სხვ.).

4. შიშმელ // შეჭმელ // შაჭმელ // საჭმელ (აქ შესაძლებელია ხმოვანთა მონაცელებასთან გვერდეს საჭმე: საჭმელ → შაჭმელ → შეჭმელ → შიშმელ; შდრ. ვ. თოფურია, ქართვ. ენათა სიტყვაშ., I, II, III).

§ 86. ნაცვალსახელისაგანაც -იერ (→ -ერი → -ერ) სუფიქსით წარმოების შემთხვევებიც მოიპოვება²: იმიერ ზემევს არ გააჩაო (კაჯი, შდრ. ამიერ), იმიერ ზელებმა ვერაფერი ვერ დაჭმირეს (ალიაბათი)... ისიერ ზმებ ებნებიან (ალიბეგლო), ისერ ზალლევიც მოტენენ (ქოთ.), მოდიან ისერ ზმევ (კაჯი)...

ეგების აქ ისიერ // ისერ მიღებული იყოს ისი+ერთი-ისაგან მაგრამ ახლა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს. ამას გვაფიქრებინებს ისეთი მაგალითები, რომელთანაც ეს ფუნქცია თავს იჩენს; მაგ.: დიდმა ზმამ პატრა ზმის ისერ თოლიც გამადლა (თასმ., „...ის ერთი თვალიც...“); ორ ყოჩი ვიყიდეთ, ერთი ათ მანათა გაპტყიდეთ, ისერ ყოჩი დაპქალეთ შინ (ითით.)...

§ 87. შედარებითი ხარისხი ინგილოურში იწარმოება აზერ-ბაიჯანული ენის მიხედვითაც: შესალარებელი სახელი დაისმის ნათესაობით-გამოსვლით ბრუნვაში ან მარტო ნათესაობით ბრუნვა-ში -გან თანდებულით ან უთანდებულოდ; მაგ.: თავი ზგნი პატრა ზმას ზგავნის ბინაზე (← თავისგანით), იმი ზგნი პატრას (← იმისგანით), ბუთუმიზგნი ჰკუანს... თქმნ ჩალთუქ იმათგან მეტია, ჩემგან არვარგ კაცს დავშეკავდი³, შენ ეზნახ ცხოურებაში შენ ზგან მეტია, შენი სახლი ზგან იმის სახელი კადასთანაწეს იარი... დერიას იქითხან ერ ქალ არის ზედ და თორევ ლამაზ („ზღვას იქით მხარეს ერთი ქალია მზისა და მთვარის ულამა-

¹ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძის უძვ. აგებ., გვ. 172.

² Н. Марр, Грамм. древнелит. груз. яз., §§ 79, 80.

³ „ჩემზე უარეს კაცს გავლახავდი“.

ზესი“) და სხვ. (შდრ. აზერბ. გარდაშიმ მენდენ ბოიკედურ ჩემი
ძმა ჩემზე უფროსია“, გვიყვალ კულ ბენეფშედენ კვეთავის გვერდი
დი იაზე ლამაზია“).

წ 88. ალმატებითი ხარისხიც აღწერითად იწარმოება ინგი-
ლოურში. მის გამოსახატავად იხმარება ზმნიზედა: ლაფ (ლაპ
„ძლიერ“, „ჭარბად“, „ძალიან“, „ძლივს“), დიალ (კაკური) || დიას
(ალიაბათური), მართლაგან („ძლიერ“, „ჭარბად“, „დანამდვილე-
ბით“) და სხვ.; მაგ.: ლაფ კადესთანა ქალს გითხოვნი; დიალ ნა-
ჩალი (შდრ. დიალ მეწყინა 12,2; დიალ კარგი 28,1; დიალ მაწუ-
ხებდენო 9,7; დიალ გვიამა 29,18...: საქ. სიძ., ტ. III); ნახეს, მოლ-
ლად ქალი მართლაგან ნაჩალია (ალიაბათი) და სხვ.

ფორმაუცვლელი სიტუაცი

(ზმნიზედა, ნაწილაკი, კავშირი და შორისდებული)

წ 89. ვითარების ზმნიზედა მართლაგან (წ 88) შედეგება მარ-
თლა+გან და ნიშნავს: „მართალზე უფრო მეტად“, „მართალზე
უფრო დანამდვილებით“ (შდრ. „შენ იმიზგან მეტი იქენე“,
ალიაბათი).

ზმნიზედა უჩუმრა (\leftarrow უ-ჩუმ-ურ-ა-დ) ნიშნავს: „ჩუ მა დ“
„ხმაამოულებლად“; მაგ., უჩუმრა იყავ! („ხმაამოულებლად იყავი!“
კაკი).

ერთობილა (\leftarrow ერთობა]+ილ-ა-დ) ნიშნავს: „ერთად“, „ერ-
თიანად“, „მთლიანად“, „სულ“); მაგ., აღლა ფლაგის ლანგარი,
ერთობილა მოშუქცივა ყბაში („აილო ფლაგის საინი და მთლია-
ნად ჩაიყარა პირია“, ალიაბათი); სრუ ერთობილა შეჭამა („ერ-
თიანად შეჭამა“, მოს.)...

სრულიად ზმნიზედისაგან დარჩენილა მხოლოდ სრუ (-ლიად
კი მოწყვეტილა); მაგ., სრუ შეჭამა. (იხმარება სულ ზმნიზედის
მნიშვნელობითაც).

ზმნიზედა მალე ინგილოურში (ალიაბათურში) ნიშნავს: „წი-
ნათ“, „უწინ“; მაგ., შენ მალე ყოფილ ხარა იქ? (ალიაბათი)...

ახალთ (\leftarrow ახალ+თ) იხმარება გაისაღ-ის მნიშვნელობით;
მაგ., ახლ ათ მოქცემ, წელს ვერ მოგცემ (მოს.)...

შერშე ზმნიზედა რამდენიმე ფორმით გვხვდება ინგილოურში:
შემრე || შემლან || შევლან || შევლნი || შევლნით.

ინგილოურში (კაუზრში) ჩვეულებრივ იხმარება მიმართულების ზნიზედა თავქმ (← თაგ + ქვეგით „ქვევითკენ“) და პირანული რანლ (← პირამლ ← პირამლ „ზევითკენ“); მაგ., პირანული რანლ (← პირამლ ← პირამლ „ზევითკენ“) მიღიხარ, თუ ქვევითკენ? (კავი)...

ნელა, ნელა-ნელა, ჩქარა, ჩქარ-ჩქარა, უცებ, მყის ვითარების ზნიზედები ინგილოურში შეცვლილია აზერბაიჯანულიდან შემოსული ამავე მნიშვნელობის ზნიზედებით: ევაშ (← || ევაშ ← || ევაშ), ევაშ-ევაშ, იგნა (← || ეგინა-ეგინ), იგნა-იგნა, ნაგასტან (← ნაგაჰან „უცებ“, „მყის“, „მოულოდნელად“); მაგ.: ევაშ-ევაშ მუშუობს... მირბის იგნა-იგნა, ნაგასტან დანახა და სხვ.

მიზეზისა (რატომ? — ამიტომ, იმიტომ) და მიზნის (რად? რის-თვის? — ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის) ზნიზედებად ინგილოურში გამოყენებულია რაბეგ? || რაბეგა? || რაბია? || ჰაბეგა? || ჰაბია? — ამიბეგ || ამიბეგ || ამიბეგთ || ამბეგ, იმიბეგ || იმიბეგთ || იმბეგ || იმბეგ¹.

როგორ კითხვით ზნიზედას ინგილოურში (უმთავრესად კაუზრში) ხშირად ენაცვლება ჰათარ. ეს უკანასკნელი მიღებულია ქართ. რა და აზერბ. თეხერ სიტყვების შეერთებით და უდრის აზერბ. ჩე თეხერ-ს (ნიშნავს „რა გვარ-ს“, „როგორ-ს“). ჩე იგივეა, რაც ქართ. „რა“, ხოლო თეხერ ანიშნავს „გვარ-ს“, „სახე-ს“, „საშუალება-ს“. ინგილოურმა ჩე შეცვალა „რა-თი“ (რომლის რ-ც ამ კილოში ჩვეულებრივ დასუსტებულია ჰაედ); თეხერ მიიღო „თაარ-ის“ სახით (ჰ დაიკარგა ორ იდენტურ ხმოვანს შორის).

მაშასადამე, ინგილოური ჰათარ კომპოზიტია წარმოშობით; პირველი ნაწილი ქართულია, მეორე კი — აზერბაიჯანული.

მოგიყვანოთ სათანადო მაგალითები წინადადებებში: ბებერ ებნების: „მაგი მოკლად ჰალჭული“. ბიჩა ებნების: „ჰა თაარა?“ („როგორ?“); ეე ყოჩ ჰა თაარ გადარდა? („აი ეს ვერძიროვორ გაიზარდა?“); თქმნებ ჰა თაარ იქნა ცხოვრევად („როგორ იქნა...“); შენ ჰა თაარ ინსან ხარა? („შენ როგორი კაცი ხარ?“); ბესო, ჰა თაარ შოტტდია?..²

ამ მაგალითში ისევე, როგორც ბევრ სხვა სიტყვაში, გვაქვს შეჯვარედინების ერთ-ერთი ნიმუში, რაც ამ ორი ენის ხანგრძლივი ურთიერთმოქმედების შედეგია.

¹ მაგ.: რაბე (|| რა გაბე) დამჭირესა? რაბე თეორი არ გაქცო? (ალია-ბათი)... ჰა ბე მოსულხართა? ჰა ბე დაუჭერია?..

² კითხვითსიტყვიან წინადადებაში კითხვითი ა ეკუთვნის კაუზ კილოკავს

სად და რად კითხვითი ზმნიზედები იცვლება სა და რაზე
|| რაზ სახით: სა მიღიანა? სა წაუდნენ?.. რაშე მინდვრები უნდა? რაშე გინდა ჰექთონ?.. რაზ გინდა?..

სად კითხვით ზმნიზედას ენაცვლება ზოგჯერ ფორმაუცვლე-
ლი სიტყვა ჰაბა: ჰაბა ჩემი ქუდი? („სადა ჩემი ქუდი?“), ჰაბა
პური? („სადა პური?“), ჰაბა ცხორი? ჰაბა შენი მოლდაშიო?..

ადგილის ზმნიზედა ექ... შეიძლება განვიხილოთ ნაცვალ-
სახელებთან დაკავშირებით: *ასა (ასე), ესე, ისი, *აგა, ეგე, იგი, აქა,
ექა (შდრ. ექეთ 53,9, საქ. სიძვ. ტ. III), იქი... აქა: აქა აქითი
გაუდა... აქე (ალიაბ.): აქე ფრინველი ვერ მოდის, შენ რა გაქო
აქე... აქა: აქი იქე ცხენი ჭმა მოშრევსა? (ალიაბ.), აქითი
წაუდა... ექ: ექ (|| ახლოს ჩინთან) დაბლაზე თავ არის (ქოთ),
ექ ქოქობ არის... იქა: იქა აქითი მოსულა, იქა აქითი მაღლა... იქი:
იქითი გზაში ჩაგარდნენ (თასმ.... შდრ. „ჸამასა თქმენსა ნუ იხედავ
აქა და იქი, ად შეიკრძალენ თლნი შენნი და ესრეთ მიღებად
საზრდელსა მაღლობით“: ქიმ., I, 230, 15—16)... იქე (ალიაბ.): აქი ა
იქე გოშრევსა?.. მაქე (←ეიქე←აიქე← აა იქე, ალიაბ.): რას ჩედი
ეა ქე?.. ოვაქე (←ოვ+ეგი+ექ): მეც ოვგექ მისროვნი (ქოთ)...

შეიძლება წავაწყდეთ არქაულ ფორმასაც: აგათყენ, ერ იგით-
ყენ მაღლავს (ალიაბათი) და სხვ. (აქ საქმე უნდა გვერდეს უძვე-
ლესი ფორმის ნაშთთან)¹.

შენიშვნა: კაკურში აქ თავში იგრძნობა მახვილი,
რასაც ბოლოკიდური ხმოვნის მოშრევეტაც ადასტურებს, ალი-
აბათურში კი უფრო — ბოლოში, რის გამოც ბოლოკიდური
ხმოვანი შემონახულა (აქე, იქე).

თანაც ზმნიზედის ნაცვლად ინგილოურში იხმარება თუთანაც
და ჸამ || ჸამაც (←ham); მაგ., დაუნახავ, ერ ლეშ გდი, უთქომყ:
მოხ, ეს ჭომოთ! თუთანაც მაგრა შერ ყოფილან (კაკი), ჸამაც
მალე-მალე ებნევის („თანაც მალ-მალე ეუბნება“, კაკი)...

§ 90. -მე და -ზე ნაწილაკები ალიაბათურში ხმოვნით გვივ-
ლინებიან, კაკურში კი — ხმოვანკვეცილად. (§ 22). -ვე კი ალიაბა-
თურშიც იკვეცს ხშირად ხმოვანს². -ლა-ს კაკურში დაერთვის ნარი.

სხვა ნაწილაკთაგან ალსანიშნავია შემდეგი:

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, მოთხრ. ბრ. გენეზისისათვის ჭართველურ
ენებში: თუ შრ., X, თბილისი, 1939, გვ. 173—174.

² მაგ.: თევზი კორცი დამალა ქობითავ (ითით.), აქა ასალგამნასულ ჭუ-
ჭულები კრუტითავ (ალიაბათი) და სხვ.



1) იყო ეფო დღეს იხმარება ზოგჯერ მაინც და კი გაძლიერებითი ნაწილაკების მნიშვნელობით; მის წინამავალ სიტყვაში უკველთვის დაერთვის -ც ნაწილაკი; მაგ.: ქაჩილის ერ კაპეკიც იყო არ მოქვცა („...ჩვენ ხუთ ბატში ერთი კაპიკიც კი არ მოგვცა“, ალიბეგლო)... დინეაც იყო წუალდით („ნელა მაინც წავიდოდით“, კაკი)... ჩემ ყისმათზე ერ ქალსაც იყო მოყვითავთ („ჩემ ბედზე ერთ ქალს მაინც მოვიყვანთ“)... ერთიც იყო ადტან! („ერთი მაინც აიღე!“)... გიბედთაც იყო წახლ! („ჯიბით მაინც წაიღე!“)... გამარჯობაც ეფო არ ჰქოქომ 200,16 („გამარჯობაც კი არ უთქვაშს“)...

2) დენა (\leftarrow დენა „ცალი“) იხმარება -ლა-ს, -ოდე-ს და ცალი-ს მნიშვნელობით; მაგ.: ერ ბაღში ერ დენა დედაკაცი სრიალოებს („ერთ ბაღში ერთი დედაკაციღა სეირნობს“, ალიაბათი), ბირ დენარი (\leftarrow ერთილა“, „ერთი ცალი“), სამ დენარი (\leftarrow სამიოდე“), ორმოც დენარი და სხვ.

3) -ც ნაწილაკი ინგილოურში ზმნასაც შეიძლება დაერთოს; მაგ.: მევ-თქშ: სასროვნე გარ, მოხტესაც, არ მოხტესაც („მე ვთქვი, ვისერი, თუ გინდ მოხვდეს, თუ გინდ არ მოხვდეს“, ქოთ.)... დაჭრა ნაცარში ვიქნები, არ დაჭრასაც, ნაცარში ვიქნები (\leftarrow დავწვეთ, მაინც ნაცარში ვიქნები, არ დავწვეთ, მაინც ნაცარში ვიქნები“, მოს.)...

-მცა ნაწილაკი, რომელსაც დაეძრგული აქვს ძველი სინტაქსური ძალა, შემონახულია მხოლოდ მ-ს სახით; იხმარება დაწყევლის ან დალოცვის დროს; მაგ.: შენამ ღმერთმა ნუ გავზარდას...

§ 91. კავშირები, როგორიცაა: მაგრამ, ხოლო, ოღონდ, ხან და ან, შეცვლილია აზერბაიჯანულიდან შემოსული ამავე მნიშვნელობის კავშირებით: ამშა (\leftarrow ამმა „მაგრამ“), ანეახ (\leftarrow ანუახ „მაგრამ“, „ხოლო“, „ოღონდ“), თექ (\leftarrow თეკ „ოღონდ“, „ხოლო“), გაჲ (\leftarrow კაჲ „ხან“, „ზოგჯერ“), ჰე || ჰა (\leftarrow ა „ან“); მაგ.: ამ მამულს კად მოწყობა აქო, ამ მა ერ წყუშლ გულხანდარ ყუშიც აქონდეს, ამ მამულივი მამულ დუშნიაზე არ იქნებოდა (სამთაწყ).)... ამათ ორივ თავ დააზინეს, ან ჟახ კი არაბიზანგიმ ესენი დაცუაყე (ალიაბათი); უთხრა: „შენც ჩაა შიგ“. ან ჟახ მოტყუშევად უნდოდა (კაკი)... არაუშავ, შენ თექ აზრახე, შისთუნ იქნოს („არა უშავს, შენ ოღონდ ალაბარაკე, მისთვის იქნეს“; ალიაბათი); თექ ამამ ჟოხი გამაცცნოს (ალიაბათი)... გაჲ ყოჩის თოლ გამააჲს ყოფილ, გაჲ ფეფ ჭრის ყოფილ (კაკი)... და შენოუნ იყოს და ჩემთუნ („ან შენთვის იყოს ან ჩემთვის“)... ჰე ეკალ მამ, ჰე ხუთ ბურ მაშ! 194,21 (შდრ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნ., გვ. 218).

„ანუან-ღ“

შენიშვნა: ალიაბათურში „აშმა-სა“ და „ანუან-ღ“ პარალელურად შეიძლება „მაგრამ-საც“ შევხვდეთ (შეუტკრული გო მავტყულო, მაგრამ ჰავა...). უნდა აღინიშნოს წარმოადგენი ამ (მაგრამ ॥ ამმა ॥ ანუან) კავშირის ხმარება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ხშირად არ გხვდებით მას იქ, სადაც ის მოსალოდნელია, თუნდაც კაკურის მიხედვით: მაგ., „აქე ერ ღამემ გაარა, მუკურე ღამემაც გაარა, მამამ და ღედამ ეს ქორწილის საქმე აღარ ილაპარიკეს“. კაკური აქ აშმა კავ-შირს იხმარდა: „ერ ღამემ გაავარა, მუკურე ღამემც გაავარა, ამმა ღედ-მამამ ემ ქორწილი საქმე აღარ ილაპარიკეს“. კავშირი რომ შეიძლება შეგვხვდეს ინგილოურში შემდეგი სახით: რომ ॥ რო ॥ რუმ ॥ ჰუმ ॥ ნუმ.

მაშ (\leftarrow მაშასადამე) ინგილოურში იხმარება ჩვეულებრივ მა (\leftarrow მაშ) ფორმით (მა როგორ თქო? ალიაბათი; მა რაგ-ქნოთა? კაკი).

თუარ (\leftarrow თუ + არა). კავშირი იხმარება თორემ-ის მნიშვნელობით (მაგისთანა საქმეებ არ გააკეთო, თუ არ მაშინავ მოკლავ; შდრ. გურ. თვარ || თვარა).

კავშირი და ჩვეულებრივი საუბრის დროს ინგილოურში (გან-საკუთრებით კაკურში) იშვიათად იხმარება¹. აქ მის მაგივრობას პაუზა ეწევა; მაგ., ერ ეანავარ, ერ თულქუშ, ერთიც დათ მოტ-ნენ...

ალიაბათურში სპორადულად შეიძლება წავაწყდეთ აზერბაი-ჯანულიდან შემოსულ ვა (\leftarrow ვა) კავშირსაც (მაგ., შავსმერლამ ვა არაბიზანგიმ...).

§ 92. შორისდებულთაგან საყურადღებოა შემდეგი: ჰავაფ ॥ ჰემფ (\leftarrow ჰამჭ, — ჰებრალებისა), ჰემშათ (\leftarrow ჰეიჰათ, — მწუხარებისა), რემენ (\leftarrow რე + მენ, შდრ. ვად + მე → ვამე, მწუხარებისა), ცუჟ და ჰუჟ, (მწუხარებისა), ვალლაჟ (\leftarrow ვალლაჟ ად ღმერთო!), ჰაბალა და ჰაჟ (მოწოდებისა), ცაჟ (აკრძალვისა), (ნეტარ) (ნატვრისა), იჰო-ოვ (სიხარულისა) და სხვ.

§ 93. დასკვნა მორფოლოგიური ნაწილისათვის. კაკურში ბოლოხმოვნიან სახელებს სახელობით ბრუნვაში შემოუნახავს ბრუნვის ნიშანი (ი→ც), ხოლო ბოლოთანხმოვნიანებს ი დაუკარგავს. ალიაბათურში კი ისეა, როგორც თანამედროვე სალიტ. კართულში.

¹ ჩვეულებრივ ამბობენ: „მენ და შენ“... სხვაგან კი იშვიათად ვხვდებით.



სანის მოკვეტა ნათ. და მიც. ბრუნვებში საერთოა მთელი
ინგილოურისათვის.

სუფიქსისეული ხმოვნების მოწყვეტა (გამიფხვევა→გამიფხვევა, უ-
ყოფილა→ყოფილ, გდია→გდი, ყე→ყ და სხვ.) მხოლოდ კაჯუ-
რის დამხხასიათებელია.

კნებითი გვარის ზმნების აწმყოში მხ. რ. სა-ში -ს მარტო
კაჯურში შემონახულა.

საერთოა მთელი ინგილოურისათვის II კაშირებითის ფორ-
მების გამოყენება მყოფადი დროის გადმოსაცემად, როგორც ეს
ძველ ქართულში იყო, და აგრეთვე მიმღეობისა და მეშველი ზმნის
საშუალებით ამავე დროის გაღმოცემა.

საერთოა აგრეთვე მთელი ინგილოურისათვის მრავლობითი
რიცხვისა და ხარისხების წარმოება.

პირველი სუბიექტური პირის ნიშნის შერწყმა ზმნის ფორ-
მასთან ხშირი მოვლენაა კაჯურში (ნოხით, ჭომ, ოდღ, ყუდით).
ალიაბათურში უმთავრესად გინის გაფშეინვიერებასთან გვაქვს საქ-
მე (ჭჭამ, ჭყიდით).

II სუბიექტური და III ობიექტური პრეფიქსების ფუნქცია
ინგილოურში ძალიან შერყეულია (ბდრ. მე შჭომ, შენ შჭამ, ის
შჭამს, კლავის გავწევა და მისთ.).

თ ა ვ ი მ ა ს ა მ ა

სინტაქტური სასიათის ძირითადი მოვლენები

§ 94. სახელის შეთანხმება სახელთან ბრუნვაში დარღვეულია მთელ ინგილოურში, მაგრამ ამ მხრივ განსხვავებული ვითარება გვაქვს კილოკავების მიხედვით. კაკურში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წარმოდგენილია ყველა ბრუნვაში მარტო ფუძით, ხოლო ალიაბათურში იგი გვევლინება სახელობითი ბრუნვის ნიშნითაც.

კაკურში სახელობით ბრუნვაში ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი და საზღვრული გვხვდება მხოლოდ ფუძით, ხოლო ალიაბათურში მსაზღვრელი ფუძითაა მოცემული, საზღვრული კი—სახელობითი ბრუნვის ნიშნით, მაგ. კაკური: დიდ ვაჟკაც კაც ყოფილ... ალიაბათური: ცოცხალ თევზი მახლა.

ალიაბათურშივე შეიძლება თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელიც და საზღვრულიც სახელობითი ბრუნვის ნიშნით იყოს გაფორმებული: ზოლი დედაჭაცი ამბოვს...

კაკურში ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში ფუძითაა წარმოდგენილი, ხოლო ბოლოხმოვნიანი საზღვრული—სახელობითი ბრუნვის ნიშნით: წატრა პატრა ზმახ... ალიაბათურში კი ორივე ფუძითაა მოცემული: თითო ზუზუ ბაჯლევს მისკა...

როცა ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელადაა და ბოლოხმოვნიანი საზღრულად, მაშინ კაკურში მსაზღვრელი ფუძით გვევლინება, საზღვრული კი—სახელობითი ბრუნვის ნიშნით: თეთრ თხა მოდის; დიდ ზმახ ქდევის ცხენზე... ალიაბათურში მსაზღვრელიცა და საზღვრულიც ჩვეულებრივ ფუძითაა წარმოდგენილი: დიდ ზმა ამბოვს; ჩონ დედა წაჟყონა... მაგრამ აქვე არცთუ იშვიათად გვაქვს მსაზღვრელი სახელობითი ბრუნვის ნიშნით: დიდი ქუა არი; სამი ზმა ყოფილან...

როცა ბოლოხმოვნიანი სიტყვა მსაზღვრელადაა და ბოლოთანხმოვნიანი—საზღვრულად, მაშინ კაკურში ორივე მხოლოდ ფუძითაა წარმოდგენილი; ალიაბათურში ისეთივე ვითარება გვაქვს, როგო

რიც ახალ ქართულშია: მსაზღვრელი ფუძითაა მოცემული, ხოლო საზღვრული—სახელობითი ბრუნვის ნიშნით; მაგ.: ქაქური: აეშენებული ერ პატრა სოფელ... ალიაბათური: პატრა ქობი ჩადო შემდგრიგია... მოთხოვთ ბრუნვაში მსაზღვრელი ფუძითაა მოცემული, საზღვრული კი— მოთხოვთ ბრუნვის ნიშნით (ქაქურშიცა და ალიაბათურშიც): წაყონილ ბიჭმა უთხრა... .

ალიაბათურშივე შეთანხმება დარღვეულია: საზღვრული მოთხოვთ ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი, მსაზღვრელი კი— სახელობითის ფორმანტით: თავისი კაცმა უთხრა; ჩონი დიდი კამან დირმა გუთხრა; ამ ორი ზმამ მასლაათი ქნებ¹...

არის იშვიათი შემთხვევები, რომ შეთანხმება დაცულია ორივე კილოკავში; მაგ., ერთმა ბერ კაცმა გააჩავა (ალიაბათი); შენმა მოლოდინმა მახდნო (ქაქური) 210,19...

მიცემით ბრუნვაში ალიაბათურში შეთანხმება დარღვეულია; მსაზღვრელი სახელობითის ფორმანტითაა მოცემული, საზღვრული კი მიცემით ბრუნვაშია: ცხელი წყალს მახტანს; გეველე ერთი დიდი ხეზე; შეუდა ერთი ოთახში....

ანალოგიურ მაგალითებს კაქურში შეიძლება შევხვდეთ მეტად იშვიათად (მაგ., ჩონი სახში, ყიამეთი დარში...).

ჟანმიკვეკილი მსაზღვრელიც შეიძლება იყოს, როგორც ეს კაქურში და საერთოდ ქართული ენის კილოებშია (დიდ ქალს უთქომ).

წოდებით და ვითარებით ბრუნვებში მსაზღვრელი შეიძლება ზოგჯერ მოგვივლინოს სახელობითის ფორმანტით ალიაბათურში: შე მამაზალლი ცნენო, ვერ მცნობა?! ორი ეურათ ვამბოვთ...

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში თუ მსაზღვრელად ზედსართავი სახელია, იგი საზღვრულთან ერთად თითქოს კომპონიტს შეადგენს და ფუძის სახით გვევლინება მთელ ინგილოურში; მაგ.: დიდ ზმი ცხენ წაფონა; თეთრ ცხენით, ლამაზ'ტან სმოზი მოსულ ვარ (ალიბეგლო).

ზოგჯერ ჩენენბითი (resp. პირის) ნაცვალსახელიც არ ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულ სახელს; მაგ., ჰიგი ზოლ ნუ ააქომ (კაკი); ეს უანაგარმა ცხრილში ჭამა (ალიაბათი) და სხვ.²

¹ ანალოგიურ შემთხვევებს შეიძლება კაქურშიც წავაწყდეთ იშვიათად; მაგ., ამ მამაზალი უშენებულიმ რემენ ერთხელ მოგატყუოს (ალიბეგლო)...

² დამოუკიდებლად ნახმარი ნაცვალსახელი კი ზოგჯერ არ ექვემდებარება ზმნის სინტაქსურ მოთხოვნილებას და გვევლინება სახელობითი ბრუნვის ფორ-

მსაზღვრელების ხმარება ან მხოლოდ ფუძის სახით, ან სახელობითის ფორმით მიუთითებს მის უნიფორმაციის ტენაციაზე³ შეუთანაბებლობას ხელს უწყობს ის, რომ ინგილოურში არაუკის ყოველთვის მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს². ასეთივე მოვლენა გავრცელებულია აგრეთვე ფერეიდნულში³ და მეტ-ნაჯლებად გვხვდება ქართული ენის რიგ კილოებში⁴. ამ მხრივ ინგილოური განძარტოებით არ დგას. მეგრულ-ჭანურში კი წინამავალი მსაზღვრელი ყოველთვის ფორმაუცვლელადაა⁵. ანალოგიური ვითარებაა დადასტურებული ყიზლარ-მოზდოკურ ქართულ მეტყველებაშიც⁶.

§ 95. ზმნის შეთანხმება სახელთან რიცხვში დაახლოებით ისევეა ინგილოურშიც, როგორც ქართული ენის რიგ სხვა კილოებში. ხშირად ზმნა სახელს ეთანხმება რიცხვში შინაარსის მიხედვით; მაგ.: ქამაათი შაყრილიყნენ; სამ კაცი დვანან და სხვ.

ეგვევ ითქმის რამდენიმექვემდებარიანი წინადადების შესახებაც; მაგ.: ერ ჟანავარ, ერ თულქშა, ერთიც დათ მოტელნენ (თასმ.) და მისთ.

ცხადია, სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელები ჩვეულებრივ ითანხმებს ზმნას რიცხვში; მაგ.: ქალებ წყალზე მიღიაღნენ (სამთაწყ.), ფუტკრები ამას დეეფარნენ (ალიაბათი) და სხვ. თუმცა

მით; მაგ., ჰიგიც მე ვერ ოთავნებავ („ამასაც მე ვერ ავათავებო“; კაჭი) და მისთ.

1 შდრ. ვ. თ თ ფ რ ი ა, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 458; მისივე, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 454—455; მისივე, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 528.

2 თუ სპორადულად მოვცელინა საზღვრულის შემდეგ (მის მომდევნოდ) მაშინ გვექნება სრული შეთანხმება ბრუნვაში.

3 არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 215—216.

4 არ. მარტიოროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 123—124.

5 არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936, § 18.

6 ყიზლარ-მოზდოკურ ქართულში „ბოლოთანმოვნიანი მსაზღვრელი, რა ბრუნვასაც უნდა ჭარმოადგენ დეს მომდევნო საზღვრული, ყოველთვის სახელმძინო ბრუნვის სახითა მოცემული“ (სტ. ჩხენ კელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული: ტფილისი უნივერნიტეტის შრომები, V, 1936, გვ. 275).

ზოგჯერ ვხვდებით შეუთანხმებლობის შემთხვევებსაც; მაგ.: წატრა
ყარავაშები, უთხრეს ამ ბიჭს (ალიაბათი) და სხვ.

უსულო საგნის გამომხატველი ქვემდებარე კი მაშინ ითავს
ხმებს, როცა მას სულიერის თვისებები მიეწერება; მაგ.: წამლებ
შეჭიდებულან, წოლო გამოჩენულან 191, 15 – 16...

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც შეიძლება ზოგ-
ჯერ შეთანხმოს ქვემდებარეს რიცხვში; მაგ.: ქალებ/ეგრი ლამა-
ზებ/ევრი ყოფილან...

ანალოგიური მოვლენა უფრო გავრცელებულია ფერეილულ-
ში¹, კახურსა² და სხვაში.

ინგილოური ერთ თავისებურებას იჩენს შედგენილ შემასმენელ-
თან მესამე პირში: თუ დამხმარე ზმნა მოკლდება (არიან→ა), მაშინ
შედგენილი შემასმენლის სახელიც ნაწილს დაერთვის ებ-თან ერ-
თად ნარიც.

ეს მოვლენა საერთოდ მთელ ინგილოურში იჩენს თავს ზოგ-
ჯერ, მაგრამ კაურში (განსაჟუთრებით კითხვით წინადადებაში)
იგი ყოველთვის გვევლინება, როგორც წესი; მაგ.: ისენ კაცებნია?
(ალიბეგლო); ისენ ჭარევნია? (კაკი); ისენ კაცებნი (ალიბეგლო);
ისენ ქალებნი (კაკი) და სხვ.

აქ ნარი აღნიშვნას შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის
შეთანხმებას რიცხვში ქვემდებარესთან ისენ.

§ 96. მიცემით ბრუნვაში დასმული LS ის მრავლობითობა
ზმნაში აღნიშნულია ყე (→ || ყ)¹ სუფიქსით; მაგ.: ვერ უჭამიაყე
(მოლლას და მის ცოლს); ზმებს და დას უტირნიაყე; გინდაყე
(თქმნ)... ნულარ გეშინიანყე, გეყოფაყე (თქმნ)... კაცს და დეკაცს
იმ სამ შაურით უცხოვრიაყ; იმათ აქო ერ ფრინეველ; ზმებს კიდემ
მოშივდაყ; ზალიან გორუქტრდაყ იმ ხალხს; სოფლი ხალხს დიალ გავრ
მოსდისყ...

მიცემითში დასმული LO-ის მრავლობითობაც ზმნაში აღნიშ-
ნულია ამავე სუფიქსით; მაგ.: ამათ გომიუდგნენყე; მე გიცავყე
(თქმნ); იცავსყე (მათ)... იმათაც ქუებ მოჰპარაყ; იმ ზმეეს გარებო-
ფიყ! და მისთ.

სახელობით ბრუნვაში დასმული LO-იც (აგრეთვე GO-იც)
აჩენს ზოგჯერ ყე-ს (|| →ყ-ს) ზმნაში მრავლობითობის აღსანიშ-

¹ არნ. ჩი ქობავა, ფერეიდნულის შთავარი თავისებურებანი. გვ. 217.

² არნ. ჩი ქობავა, გარუ-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925,
გვ. 78.

³ არ გვაქვს ალიაბათურში. კაკურში იგი მხოლოდ -ყ-ს სანით იხმარება,
(§ 22).

ნავად, თუმცა ასეთი შემთხვევები ჯერჯერობით შედარებით იშვიათია; მაგ.: ბებერმა დაწოცაყე ქათმები... ახლა დაფასტულია (თქმა)...

-ევ სუფიქსს ვხვდებით, ოოგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენები, ფერეიდნულში, ქიზიყურში, მთიულურში, კახურში, მოხეურში, იმერულსა და რაჭულ-ლეჩხუმურში, აგრეთვე სამწერლობო ქართულის ძეგლებშიც XI საუკუნიდან. მისი ფუნქცია გარკვეულია¹.

-ევ (-ევ) სუფიქსს -თ ბოლოსართი ენაცვლება. -თ-ს ხმარებას მხოლოდ სბორადულად შეიძლება წავაწყდეთ ინგილოურში; მაგ.: ამათ მოშვათ ჩხუფი; მეზროხეებიც წევყონათ, ისენიც იქვე დემპირათ, დეეგდათ, დარალ წევლათ (ალიბეგლო)...

ქიზიყურსა და კახურში კი თანის ხმარებას ვხდებით უფრო ფართოდ, რაც კარგად არის ახსნილი².

ს 97. ნათესაობითში მართული სახელი პრებოზიციულ წყობაში (თუ წინ უსწრებს საზღვრულს), ნათ. ნიშნის -ს ელემენტს იქვეცს (უმთავრესად კაკურში); მაგ.: ხი სახლ, ღორი კორც, ან-წლი ქობ, ტყი პირში და სხვ.

მაგრამ ნაზმარ სიხელს (სახელზმნასა და მიმღეობას) თუ წინ უძლების, მაშინ ინგილოურში (განსაკუთრებით კაკურში) თანხმოვან-ფუძიანი სახელები წარმოდგენილია ჩვეულებრივ მხოლოდ ფუძით: პურ ჭმაჲ, კაც მოკლეჲა, პატივ ცემაჲ, ყმაწყლ გააბანელა, თაფლ მააღებელა და მისთ.

ბოლოხმოვნიანები ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ი (// ა) ელემენტით გვევლინება ჩვეულებრივ; მაგ.: მი შაჲ მააღებელა წასულიყნონ, ჰეჩ მინამ უკითხელა საქმი გაკეთევა არ იქნევ...

გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს სრული ფორმითაც (საქმის გაკეთება 210,8), ან სანმოკვეცილად ბოლოთანხმოვნიანებთან (არხი თხრას 210,22).

¹ არ. ჩი ქობა ვა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: ქართული საენაომეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, გვ. 31-68.

² არნ. ჩი ქობა ვა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში; II: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 6, 1941, გვ. 564; აგრეთვე ამავე აგტორის ყე ნაწილაკი ფერეიდნ., გვ. 54-56 და გარე-კახე-თი დიალ., 76-77.



შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ პირდაპირი ობიექტი მოცე-
მულია მასდართან ნიშანმოკეცილ სახელობითშით, როგორც მოცე-
გვხვდება ტელ ქართულში¹.

მაგრამ ინგილოურში ამის მსგავს მოვლენასთან არა გაეჭვს
საქმე, რაღაც ამის საწინაღმდეგოდ ღალადებს შემდეგი:

1) წყობის შეცვლისას მსაზღვრელი აღიდგენს ნათესაობითი
ბრუნვის ნიშანს სრულად (აალაგველა შინაუროვანს);

2) ბოლოხმოვნიანი სახელები ნათესაობითი ბრუნვის სანმო-
ქვეცილი ნიშნით გვევლინება ჩეცვლებრივ (საქმი გაკეთებად);

3) ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე მაშინაც, რო-
ცა განსაზღვრულია მსაზღვრელი სახელი; მაგ.: ჩემ ცხორ არმოზოვნი
ხაბარ ღმერთს უთხარ; კაცი სულ დალევი საათში 191,13 და სხვ.

ალიაბათურში კი ზოგჯერ ბოლოთანხმოვნიანებიც გვევლინება
ნათესაობითის სანმოქვეცილი ნიშნით; მაგ.: ქალი მაატაცებლა,
ქობი მაათხოვნელა, ქორები საყიდლა და სხვ.

§ 98. ინგილოურში (განსაკუთრებით ალიაბათურში) დაუძა-
ხა ზმნასთან ობიექტი, ნაცვლად მიცემითისა, სახელობითში დგას;
მაგ.: დოუზახა კიდემ ქაჩალი („დაუძახა კიდევ ქაჩალს“); ეს ბიჭი
დოუზახა ამ ხანმა; მოლლა ნასრედინამ შინ წასულითავ დოუზახა
მეზობლები, ყოუშები („ნათესავები“)... დოუზახებია ქალები („დაუ-
ძახებია ქალებისათვის“).

ასევე ზოგჯერ დაპქადა ზმნასთანაც: ეს კაცი დაპქადეთ
ტანსმოზი და სხვ.²

ორში ერთია: ან ზმნა ვერ მართავს სახელს, ან ეს სახელი
არ წარმოადგენს ირიბ ობიექტს. უფრო სწორი ჩანს მეორე.

აქ, როგორც ჩანს, ნამდვილი პირდაპირი ობიექტი („სახელი“)
დაკარგულია და მისი ადგილი ირიბ ობიექტს უჭირავს.

აქ რომ მართლა ნათესაობითი ბრუნვაა და არა სახელობი-
თი, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ზოგჯერ (თუმცა სპორადულად,
მაგრამ მაინც) გვევლინება ნათესაობითი ბრუნვა სრული ფორმით
(იმავე ალიაბათურში); მის მიერ საზღვრული ობიექტი (ზმნისა) კი
არც აქ ჩანს, დაკარგულა; მაგ., დაჰჭირა ვირის ყურით (მოს.). რა
დაიჭირა? წინადადებაში არა ჩანს.

¹ ა. შანიძე, ტელი ქართ. ენა, გ 60: ძევლი ქართული ენა და ლიტე-
რატურა (ქრესტომათია).

² წყობის შეცვლა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ინგილოურში.

³ ზდრ. Н. Марр, Дневник поездки в Шавш. и Клардз.: ТР., VII, 1911, გვ. 64; ზ. ძიძიგ ური, მესხური, დიალ. აღწ. ანალ.: ენიმის მოამბე, X, 1941, გვ. 250.

რა უნდა ყოფილიყო წინადადებაში ზმნის ობიექტად და რა უნდა დაკარგულიყო? ამის გასაღებს თითქოს კაჯური იძებნება: რა ეს ობიექტი ჯერ კიდევ შემონახულა, მაგალითად, შემდეგ წინადადებებში: დატრანსპორტი თავი თავი; გადახ თავი დოჭრახეს; ქალი თავი წაყვინა; აფრინაცს თულად¹ ჟოჟობი თავი; დედა თავი დაჭჭირა შეულმა; გადავაგდებ ემი თავი; რახან წაყვინებარა ჩემ თავი? ემ კაცი თავი იჭერენ; ჩემ თავი აგდევთ, სა მიიღითა? ² და სხვ.

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ ალიაბათურ წინადადებებში ჩენი ვარაუდის მიხედვით უნდა ყოფილიყო თავიდან: „დაიჭირა ვირის თავი ყურით, დაუზახა კიდემ ქაჩალის თავს, დაუზახებია ქალების თავისათვის“ და მისთ.

კაკურში ვხვდებით ასეთ წინადადებასაც: „მევლანი ისიც უთხრა, რუმა შინ ყოფ პატარა ყმაწულსაც ემ კორცხის აჭამით!“ აქ შეიძლება დაკარგული გვქონდეს სახელი, „კვერცხის“ მშართველი სიტყვა („ნაწილი“).

§ 99. ქვემდებარეს, თუ გარდაუვალი ზმნის შემდეგ მოსდევს გარდამივალი ზმნა, მაშინ ზოგჯერ უკანასკნელი მართავს ბრუნვაში; მაგ.: ამ ბიჭმა მობრუნდა, უთხრა (ალიაბათი); შეულებმა მოუდნენ, ნახეს და სხვ.⁴

ზოგჯერ გარდაუვალ ზმნასთანაც ქვემდებარე მოცემულია მოთხრობითი ბრუნვით; მაგ., ამ ხალლმა წაუზღნენ და სხვ.

ანალოგიური შემთხვევებს ფართოდ ვხვდებით დასავლურ კილოებში.

ინგილოურში (უმთავრესად ისეთ სოფლებში, სადაც ქართულად ლაპარაკი კარგად არ ეხერხებათ), შეიძლება ზოგჯერ წავაწყდეთ საწინააღმდეგო შემთხვევებსაც: მოთხრობითი ან მიცემითი ბრუნვის ნაცვლად მოგვევლინოს სახელობითი ბრუნვა; მაგ.: ერის ტოა თქო (ქოთ.); დიდ ზმა და პატრა ზმამ შიჭმელ პურ აღლეს (თასმ.), ერისტოა, ერ ტახ მოწყვლავ ყოფილ (ქოთ.) და სხვ.

ანალოგიური გითარება გვუძვს მიცემითში დასმულ ქვემდებარესთან, როცა მას ზოგჯერ ინგილოურში მართავს არა მისი უშუ-

¹ მექებარი.

² მე რომ მტოვებთ, სად მიდიხართ?

³ ანალოგიური კონსტრუქცია თავს იჩენს კახურსა და ქართლურშიც: არ. მარტირასოვი და გრ. იმნაი შვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 131.

⁴ ანალოგიურ მოვლენებს ვხვდებით სხვა კილოებშიც, მისი გამომწვევი მიხესხების ასსნა მოცემული აქვს ვ. თოფურიას: სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით: ჩენი მეცნიერება, № 1, 1923, გვ. 113—121; აგრეთვე მისივე ქართლური: კრებ. არილი, გვ. 146.



ალოდ მომდევნო აბსოლუტური ზმნა, არამედ ამ უკანასკნელის მომდევნო რელატიური; მაგ.: პატრა ზმას, მობრუნებულა, უთუმშე (ალიაბათი); მართლაც გადას, წასულ, ქმად უქნი (კაკი) და ისთ.

§ 100. ზმნებს „იცის“, „ააქს“ შევეცვალა კონსტრუქცია აწ-მყოში დასმულ გარდამავალ ზმნათა შესაბამისად უთუოდ ამ უკანასკნელთა ანალოგითა და აზერბაიჯანული ენის გავლენით.

„იცის“ ზმნას აწმყოს შინაარსის მიღებასთან ერთად აწმყოს კონსტრუქცია შეეძინა; მაგ.: მე ვიცივარ მას, შენ იციარ მას, ის იცის მას, ჩემ დედა იცის, მამაშენ მოჯნა-დათესვას იცოდა, არ ვიცივარ შენს სახელს და მისთ.

„ააქს“ ზმნაც ობიექტს მართავს მიცემით ბრუნვაში; მაგ.: ამ კლრცს ააქს; შემშიტინაა თავი ზალიჩას გამააქვს ოთახში; იმ ყუზილს¹ ჩამააქს; მაახყუ ერ წყულ ლალი გოვჭარს²...

„ააქს“ ზმნა ქვემდებარის მართვაში მერყეობას იჩენს: ზოგ-ჯერ მართავს მიცემით ბრუნვაში (ზალს მიაქმნს), ზოგჯერ კი არა (ეს ქალი ამ ქოთუქს³ ააქს).

§ 101. „რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული დამოკიდებული წინადადება ქართულშიაც წიგნური წარმოშობისაა და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს⁴. მას არ ვხვდებით არც ინგილოურში ჩვეულებრივი მეტყველების დროს; ჩაკითხვისას ის შემდეგ სახეს იღებს: „რემენ კაცსაც კარ მოჰკარეს, იმამ იჩივლა“ (ნაცვლად: „კაცმა, რემენსაც კარ მოჰკარეს, იჩივლა“); „ჩემ შულ დაპვაში იყო, იმამ მიტიალ⁵ ადლა“ (ნაცვლად: „ჩემ შულმა, რემენიც დაპვაში იყო, მიტიალ ადლა“) და მისთ.

ინგილოურში დამოკიდებული წინადადების მაგივრობას ხშირად ეწევა მიმღება ნა აფიქსით⁶; მაგალითად, კაკურში: მიჰცა შელზე ნა ქნარ ბეჭედ (ნაცვლად: „მიჰცა ბეჭედ, რემენიც შელზე აქონდა“); მიხაკოჲ მანაკალ კაცებ გზაზე უხტოშან, ემ ბებერს ქლონ (ნაცვლად: „კაცებ, რემენთაც მიხაკოჲ მოკლეს, გზაზე უხტოშან, ემ ბებერს ქლონ“); სალამომდინ ერ ადგილ ვერ-

¹ „ოქროს“.

² „ძვირფას ქვას“.

³ „მორს“.

⁴ არნ. ჩი ქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი, გვ. 184.

⁵ შედალი.

⁶ მიმღეობის გვარი და დრო არაა გარჩეული ამ შემთხვევაში.



მონარწყავ კაც, იქნევა? (ნაცვლად: „იგეთ კაც, რემენულუსული ღამომდინ ერ ადგილ ვერ მორწყას, იქნევა?“); ორას ჭიგშეცვალით მონაჭარ ინსან იქნევა? (ნაცვლად: „იგეთ ინსან, რემენაც ორას ჭიგოვ ვერ მოჭრას, იქნევა?“)... ალიაბათურში: წატუდა ჩემ ხეზე განასულ ადგილში (ნაცვლად: „წატუდა იმ ადგილში, სადაც მე ხეზე გავედი“); ზოტნახავ კარგა სხო ინსან ვერმინასულ ცხენთან (ნაცვლად: „შოტნახავ კარგა იმ ცხენთან, რემენთანაც სხო ინსანი ვერ მინასულა“) და მისთ¹.

ინგილოურში ასეთი წინადადების დამკვიდრებას ხელს უშესობდა ალბათ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა და აზერბაიჯანულის, კერძოდ, ამ უკანასკნელისა და ხუნძურის ეგოდენი მჭიდრო და დიდი ხნის ურთიერთობა. ამ ენებში ჩვეულებრივია მიმღეობიანი კონსტრუქცია².

§ 102. რომ || რომა რო || რუმ || ჰუმ || ნუმ³ კავშირების გამოყენება რთულ წინადადებაში ხშირია მთელ ინგილოურში, მაგრამ ზოგჯერ რომ კავშირის ნაცვლად აქ ვხვდებით აზერბაიჯანულიდან შემოსულ სპარსულ ქი კავშირს ისე, როგორც ეს ჭანურშია⁴; მაგ.: ამბოვს ქი, „ეს ჰეჩ რამ არა ჩემ სახლ წინ“ („ამბობს, რომ ეს არაფერიც არ არის ჩემ სახლთან შედარებით“); შავ-აბასმა ქი თქო: „ეს ადგილ რაშე მინდა?“; მე მეგონა, „მე ქი მარტო ტყუან ვარ“ და სხვ.

§ 103. მ. ჯანაშვილისეული ტექსტების მიხედვით დამოკიდებულ წინადადებაში, თუ იგი წინ უსწრებს მთავარს, უკანასკნელ

¹ ამ მიმღეობის შესახებ: რ. ღამბაში ში დე კ. მიმღეობათა წარმოების ზოგი თავისებურება ინგილოურში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამცნიერო სესია, 1958, 31 მაის და 2 ივნის, თეზისები, გვ. 12—13.

² А. А. Бокарев, Синтаксис аварского языка, Москва-Ленинград, 1949, გვ. 223 და შემდე; დ. ი მნა ი შვილი, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ჩანაწერი ჯაფუზის ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1948, გვ. 55—86; მისივე, რთული დაქვემდებარებული წინადადების ჩამოყალიბების ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV (X) სამეცნიერო სესია, 1953, 12 და 13 ივნის, თეზისები, გვ. 22—23.

აზერბაიჯანული ენა მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა შესაერთებლად კავშირებს არ ხმარობს (სპარსულიდან ნასესხებ კავშირებს აქ მაქედველობაში არ ვიღებთ) და მათ ნაცვლად იყენებს მიმღეობასა და დიქ || ა ჯაგ ფარმებს; მაგალითად, „დაჭვაში ნაჯნარ ჩემ შტელ მოტუდა „Давада вурунан оглун კელი და მისთანანი, რაც თურქული ენებისათვის დამახასიათებელია.

³ ნეტ მოქანულ, მემღან დაპატესავთ (ზაგ.).

⁴ არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალიზი, გვ. 184.



წევრს (ზმნას) დართული აქვს ა ნაწილაკი; მაგ.: რუმ კდილაა, მამას ტოლახით ერთ წითელ ვაშლ გოლმოპვარდა 192,4; რუმ მოწყებულია ლიაყა, წემწიფეს ჰუთქომ 188,26; წერქლებთან ჰუმ მისულია, ყოველს დატეხავლნი 183,14; კად მანჩილ რუმ გადარესა, ჭურიკამ დახხუსუნა 198,26 და მისთ.

ამ ტიპის მაგალითებში ამჟამად ანს არ გხვდებით ინგილოურში. მაგრამ მ. ჯანაშვილის მაგალითებში ეჭვის შეტანა მაინც უადგილო იქნებოდა. როგორც სოფ. კაკას მოხუცებით გადმოგვცეს, მათი ძევლები (მამები და ბიძები) ეგრე ლაპარაკობდნენ.

ამ მოვლენის არსებობას მხარს უჭერენ გურული და აჭარული დიალექტებიც. როგორც ქეთვან ლომთათიძე ადასტურებს, „გურულ დიალექტში და აჭარულშიც გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება სიტყვის ბოლო ხმოვნის აშკარა გაგრძელება. ამას სისტემატურად ადგილი აქვს დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ მარცვალში (მთავარი წინადადება მეორე ადგილზე), ან შედარებით უფრო იშვიათად ჩამოთვლის შემთხვევაში ანდა მაშინ, როცა მოსალოდნელია მომღევნო განმარტება“¹.

ქ. ლომთათიძე შესადარებლად იყენებს მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ინგილოურ ტექსტებსაც და სწორად აღნიშნავს, „რომ ამ ფრანგების აგებულებაში მ. ჯანაშვილის მასალასა და გურულ-აჭარულ სათანადო მასალას შორის სრული თანხვდენილებაა“². მხოლოდ „გურულსა და აჭარულთან შედარებით ერთი საფეხურით უფრო ადრინდელ მდგომარეობას უნდა წარმოადგენდეს მ. ჯანაშვილის მასალა. გურულსა და აჭარულში უნდა გვქონდეს დაკარგული ეს -ა და მის ნიადაგზე უნდა გრძელდებოდეს ბოლო ხმოვანი“³.

იქვე მოცემულია საყურადღებო ახსნა. იგი წერს: „-ა კი თავის მხრივ უნდა წარმოადგენდეს რომელილაც ცალკე სიტყვის ნაშთს. შეიძლებოდა ასეთად კაცს მიეჩნია ან მეშველი ზმნა „არის“ („არს“) ან დამიდასტურებელ-ჩაკითხვითი ნაწილაკი „არა“ ე. წ. განსაზღვრულობის ფუნქციით და, მაშასადამე, ფორმები „რომ მივიდა“

¹ ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 337—338.

² იქვე, გვ. 341.

³ იქვე, გვ. 342.

და „რუმ შივილა“ წარმომდინარე იქნებოდა, ან „რომ მრევიდა
არის“-ისაგან, ან კიდევ „რომ მოვიდა არა!“-საგან“¹.

ავტორი დასკვნის: „გურულ-აჭარულში დამტკიცდეთ
წინადადებაში ბოლო ხმოვნის გაგრძელება სინტაქსური ხასიათის
მოვლენაა. გრძელი ხმოვანი მივიღეთ მომდევნო ნაწილაკის - ა ხმოვნის
დაკარგვის ნიადაგზე. ეს უკანასკნელი (-ა) კი მომდინარეობდა გან-
საზღვრულობის ფუნქციის შექნო ნაწილაკისაგან“².

ასეთი დასკვნა მისაღები ჩანს ინგილოურის მიმართაც.

§ 104. სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ინგილოურში გვაქვს
-ა და -გ ნაწილაკები. პირველს ვხვდებით ოლიაბათურში, მეორე
კი მხოლოდ კაკურში იხმარება ისევე, როგორც ხევსურულსა და
ნაწილობრივ თუშურში. იგი შეიძლება დაერთოს როგორც შემას-
მენელს, ისე წინადადების სხვა წევრს; მაგალითად, ოლიაბათურში:
იმას უთქომ: ქესიბობით გამჭტარდე უნდაო? როგორაა ჩემი საქ-
მეო? უთქომ: ის ააყენეო, ზენი ბახტი მობრუნდებაო... კაქური:
ეგენ კი ამბოვენ; ემ ყოჩის ზალლი ზეა მოუწოვნიავ; უთქომ, რუმ
ეს ინსნი ქორციაგ...

კაქურის ანალოგიური მდგომარეობაა ხევსურულშიც; მაგ.:
ქისტებს უთქომ: „მგელ გაიქაფა, რას მივზდევთაგ? ჩენ მაგას ვე-
ლარას დავაკლებთაგ“³... შურ. თუშური: მგელმა იფიქრა: ციცო
მემუქრებავ, ცხვირზე თითს იკრავსაგ⁴... მითხრესამ პატრონებ-
მაჟ: „წალი, იქნებ თქვენებურებ არიანაუ“⁵... შეუცვლელობის
შემთხვევები გვაქვს ამოკვეთილი და კავშირის წინ: წინ მოგვიძლევ-
ბოდ ბელადიოდ უკანით ჩენ მივდევდეთაუ... პერზევშიგ ჩავარდე-
ბოდაოდ, გიუ ალაზან წიცი⁶ლებდაუ...

ეს -გ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული,
წარმოშობილია თ-საგან ისევე, როგორც ხმოვნების შემდეგ წო-
დებითში ბოლოხმოვნიან სახელებთან⁷.

¹ ქ. ლომთათიძე, იქვე, 342.

² იქვე, გვ. 443.

³ ბ. გაბუშრი, ქევსურული მასალები ა. შანიძის რედაქციით: წელიწ-
დეული, I—II, 1923—1924, გვ. 175.

⁴ ს. მაკალათია, თუშური ლექსიგი, 1937, გვ. 120.

⁵ პ. ხუბუტია, მთათუშურის თავისებურებანი, 1943 (საკანდიდატო
დისერტ., მანქანაზე გადაბ.), გვ. 42—43.

⁶ იქვე, გვ. 41—42.

⁷ შ. ძიგუშრი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერ-
თო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათ-
მეცნიერება, I, 1946, გვ. 31.

კაკურში სხვათა სიტყვის ნაწილაკის (ო-ს) შემდეგ თუ კითხვი-
თი ა ნაწილაკი დაერთო¹, მაშინ ო ინგილოურის საერთო ფონზე-
ტიპური კანონის მიხედვით იქცევა უ-დ ა-ს წინ; მაგ.: მეჰუნ-
(← || მეუა? ← მე-ო-ა?), წმინდა პურუა? (←პურ-ო-ა? ← პურ-ო-
ო-ა?), მენაღირებ-ო-ა? (← მენაღირებ-ო-ა? ← მენაღირებ-ო-
ო-ა?), უთხარ: ქორც მაღლასუა? (← მაღლას-ო-ა? „უთხარი: ხორ-
ცი [თუ] მოიტანოსა?”) და მისთ.²

ალიაბათურშიც ანალოგიური ფორმებია; მაგ.: მეჰუა? || მე-
უ-უა? || მეუა? კაციუა? || კაციჲუა? წასულანუა? თუთან ჩა-
მკითხა: ბრინჯი და გრუესუა? (← დააგროვეს-ო-ა?) და სხვ.

ასევეა უმთავრესად ჩაკითხვით წინადადებაშიც; მაგალითად,

კაკური:

- შენბეთაც მამილი.
- ჩემებეთაცუა?
- შენ მაალებეხარ!
- მეჰუა?
- ჩონსა თამროვ მოსულ.
- თამროვჲუა?...

ალიაბათური:

- როგორ თქო, სადაურელი ვარო?
- ქალაქელიო.
- ქალაქელიუა?
- ჰო...
- თქმნსა მაასული ვარ.
- ჩონსაუა?..

(შდრ. გურ., იმერ.: — შუშა იყიდე? — შუშაო, თუ რა მით-
ხარი, იყიდეო? და მისთ.).

ასეთ შემთხვევაში სხვათა სიტყვის გადმოცემის ფუნქცია მიჩ-
ქმალულია და წინ წამოწეულია კითხვა.

§ 105. კითხვითი ნაწილაკი გვაქვს მეგრულ-ჭანურსა და სვა-
ნურში; იგი გვქონდა ძველ ქართულშიც და შემონახულია დღესაც

¹ ზოგჯერ გვაქვს კითხვითი ნიწილაკის სხვათა სიტყვის ნაწილაკის წინ
დართვის შემთხვევებიც როგორც კაკურში, ისე ალიაბათურში. მაშინ ამ უკა-
ნასკნელში ო უცდლელად გვენახება, ხოლო კაკურში ვ-დ იქცევა.

² მოყანილი მაგალითები ჩაწერილი გვაქვს ადგილობრივ მკვიდრთა
ერთმანეთთან საუბრის დროს.

მთის კილოებში¹ (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურსა და თუშურ-ში), იხმარება მხოლოდ ისეთ წინადადებაში, სადაც კითხვითო სიტყვა ყვა (ვინ? რა? რომელი? სად? და მისთ.) არა გვაქვს ფას ფიცხვის გამოხატვა კი საჭიროა. კითხვითსიტყვიან წინადადებაში მას არ ვხვდებით.

ასეა ალიაბათურშიც, მაგრამ კაკურში კი კითხვითი ნაშილა-კი (ა) გვაქვს კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც ყველგან და ყო-ველოვის.

ამ მხრივაც კაკური უბირისპირდება, როგორც საერთოდ ქართველურ ენებსა და მათ კილოებს, ისე ქერძოდ ალიაბათურსაც.

ეჭვს გარეშეა, რომ კაკურში საქმე გვაქვს მეორეულ მოვლე-ნასთან².

კაკური მაგალითები: მინ არ ისა? რახ გინდაყა? რაბე მიი-დიხართა თქმნ ჭარში? რაშე გინდაყა ჩინ თავ? ჰათაარ გოდო-ხორწუა? (← გოდოხხორწ-ო-ა?)³, რაქთონ აზლევსა? როგო ხა რა, კად ხა რა? სა არიანა? სა წაა ღებე ხა რთა ჰე დანაწერ? და სხვ.

არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადებები კაკურსა და ალიაბათურში: არ წერავა? არ გაქოყა? მიგიციაყა? დიანოზ ავა-დია? ამასაც არ მოუცი კიდემა? წატუა ისიცა? მოტყუონიაყია? (← მოტყუონიაყია?) მაკე იყუა? (← იყოა?), არ მოსულანუა? (← არ მოსულან-ო-ა?) და სხვ.

არის შემთხვევები, თუმცა ძალზე იშვიათად, რომ კითხვითი ნაშილაკი არ დაერთვის. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ზმნას ან კითხვით ნაცვალსახელს (კაკურში) გაუგრძელდება ხმოვანი; მაგ., შენ სა მიიღი?, რათაარ ექნა? მიინ გაცხოვრებს? და მისთ.⁴

კითხვით წინადადებაში მახვილი ეცემა ან კითხვით ნაცვალ-სახელს ან ზმნას ბოლოდან მეორე მარცვალზე; მაგ., „რა ხა ბა-რი ია თქმნში ეხლა?“ აქ ისე მქევთორია მახვილი შემასმენელზე,

¹ ნაშთის სახით ის სხვაგანაც შემონახულა, მაგ., რა ჭულში; ფერე-იდნულში კი მისი წმარების მნილოდ ერთი შემთხვევა აქვს დასახელებული არნ. ჩიქოაგას (ფერეიდნ., გვ. 218).

² აზერბაიჯანულისა და დაღესტნური ენების გაფლენით ამას ვერ ავხ-სნით, რადგანაც ამ ენებში კითხვითსიტყვიან წინადადებაში ნაშილაკი არ იხმა-რება.

³ შდრ. ფშავ.: „ნეტარ ველარა ვნახ-ო-ა შენი ლამაზი პირია?“ (ვაჟა-ფშა-ველა, ფშაველი და მისი წუთისოფელი: „ძვ. საქ.“, ტ. II, განკ. IV, გვ. 334).

⁴ კაკურში ხოგჯერ ნამყო დროში (მხ. რ. I და II პ.) ი ხმოვანიან შე-საძლებელია კითხვით ა არ იყოს; მაგ., მე ვერ გოგგი? შენ გადგი? და მისთ.



რომ მისი მომდევნო სიტყვები დაჩრდილულია; ისე გამოდის, თათ-ქს ეს სიტყვები ამ წინადადებასთან უშუალო კავშირში არ იყოს და შეკითხვა ამ შემასმენლის წარმოთქმით მთავრდებოდეს.

§ 106. ორშაგი უარყოფის შესახებ არსებულ შრომაში¹ და-სახელებულია მაგალითები ინგილოურიდანაც. მოვიყვანთ დამატე-ბით ზოგიერთ ისეთ მაგალითს, სადაც ქართულ უარყოფის ნაწი-ლაქთან ერთად გამოყენებულია აზერბაიჯანულის გზით შეთვისე-ბული ჰერ (her) „ვერავინ“ და „არაფერის“ მნიშვნელობით და ჩრდილავს ერთმაგ უარყოფას (ჰერ რამ „არაფერი რაიმე“, ვარ-გარა [←ვარგ+არა] „არ ვარგა“², კად არა და სხვას); მაგ.: ჰერ მინამს ვერ პოულობენ („ვერავის ვერ პოულობენ“), ჰერ რამ არ იქნების („არაფერი არ იქნება“) და სხვ.

§ 107. ამგვარად, ინგილოური ყურადღებას იქცევს სინტაქ-სური მოვლენებითაც. მართვა-შეთანხმებისა და დამოკიდებული წინადადების გადმოცემაში იგი მეტ-ნაკლებად სცილდება ქართუ-ლი ენის ყველა კილოს. საგრძნობი სხვაობაა კაკურსა და ალიაბა-თურს შორისაც. უკანასკნელი რიგ შემთხვევებში სიახლოვეს იჩენს კახურთან და გამოყოფა კაჭურს.

* * *

სხვა ენობრივი წრის გავლენა ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაზე

მრავალმხრივია სხვა ენობრივი წრის გავლენა ინგილოურზე. გას თავისი კვალი დაუმჩნევია ფონეტიკაზე, მორფოლოგიასა და სინტაქსზედაც, მაგრამ განსაკუთრებით კი—ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაზე.

ფრაზეოლოგია ში შესამჩნევია აზერბაიჯანულის ძლიერი გაფლენა. აზერბაიჯანულს ბავშვობიდან სწავლობს ინგილო. ეს ენა მისთვის სახელმწიფო ენაა. დაწესებულებებში, გარდა სკოლებისა, ყველგან აზერბაიჯანული ენაა გაფრცელებული. აქაურმა მევიღრმა რომელი ერის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ყველმ კარგად იცის აზერბაიჯანული. ეს უკანასკნელი მეორე მშობლიური ენაა მისთვის.

¹ ვ. თოფურია, ორშაგი უარყოფა ქართულში: წელიწევული, გვ. 74—116.

² მაგ., ჩონ სახლ ვარგარა („ჩვენი სახლი არ ვარგა“); შდრ. კად არა.

ინგილო, თუ ის სკოლის გავლენას არ განიცდის, ქართულად ლაპარაკის დროსაც ფრაზებს აზერბაიჯანული მეტყველების უკრძალველობის გენერაციის შესახებ; მაგ.: მასწავლებელი სა ზის გა? (უდრის აზერბაიჯანული ხარდა იტურგურ? „მასწავლებული სად ცხოვრობს?“ „სად ზის სა-ცხოვრებლად?“), მასწავლებელი სა კეპტევეგა? (= აზ. მყალიმ ხარდა იტურგურ? „მასწ. სად არის?“ „მასწ. სად იმყოფება?“); გისა კეპტევეგა? (შდრ. აზ. კიმდე იტურგურ?); მე რახან კეთტებ ვარ მორიგ? (ზაგ.); აქადთი ათიში გავაკეთოთ (სამთაწყ.); დანიშმიში კეთტევის ორ თოლ თოახ დადგმაც („მორიგდება ორი თვალი თოახის დადგმაზე“, კაკი); თამმიში³ კეპტება („ფხიზლდება“, აღიაბათი); კლავის გაპწევა (შდრ. ადგილ. აზ. გამოთქმა ის გოლ ჩექმეკ „ყოლ ჩექმაქ“ „ხელის მოწერა“); ერთი გაპწევს, ფიქირი არა („ერთი მოაწერს, არა უშავს“, აღიაბათი); კლავ მააწერელი („ხელი მოსაწერია“, „ხელს მოაწერს“, კაკი; შდრ. აჭარული: „კლავის მოწერა“); — კად ხარა? — კად ვარ („კარგად ვარ“; შდრ. აზ. ჯაში + ჯამ); ჩემ ხუთ შულ არის⁴ (შდრ. აზ. მანიმ ბეშ იტურ ვარ); სუბუთ საქნევარ ამაზე („ამას დავასაბუთებ“; მოს.); გმა საქნევარ („დავუძახებ“); ნალილ ქენ! („ზღაპარი თქვი!“); ბატრა დროზე ცხორში ქნილვარ („ბატრარაბის დროს ცხვარში ვყოფილვარ“, ენგ.); ჰავუ, რომ პატრა დროზე ზაღლი ზუზუა მოუწოვნი („მართლაც, რომ პატრარაბის დროს ძაღლის ძუძუ მოუწოვნა!“ კაკი); ამ საათ // ბუ საათ („ამ საათში“)... მოვდივარდა (აღიაბათი; შდრ. ადგ. აზ. გამოთქმა: კედირემდე „გედირამდა“ „მოვდივარ რა“); არ ვიციდა (შდრ. ადგ. აზ. გამ.: ბილმირედე „ბილმირამდა“); ტალახიადა (შდრ. ადგ. აზ. გამ.: პალცხაძე რედა „ფალჩიხიძირდა“); აღარ ვიცი, რაღა ვითხოდა; იმას უთხრესადა (აღიბეგლო); შულმა უთხრადა; იხლა მინ მაასლელლიადა ჩემსუკან!?! მიიყვანადა დედამ; თოხი ტრახტორი ხნავდადა, ერთი კაცი შჭამდადა (აღიაბათი) და სხვ.

უცხო ენის გავლენით ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ფერეიდნულშიც, იმერხეულშიც, მესხურსა და აჭარულშიც.

¹ атыш (←at + ыш) სროლა (стрельба), атмаг სროლა (стрелять); ыш ზმნისაგან სახელის საწარმოებელი აფიქსია აზერბაიჯანულსა და საერთოდ თურქულ ენებში.

² данышmag მორიგება; მოლაპარაკება.

³ оянмаг გადვიძება (ზმნა); оянма აღგზნება, აღტკინება.

⁴ ამ უკანასკეთ ფრაზას მხოლოდ სპორადულად გავიგონებთ; ჩვეულებრივ ამბობენ: „ხუთ შულ მაქ (|| მყავ“).



სწავა ენობრივი წრის გავლენა უფრო მეტად დამჩნევია ლექტ-
სიკას. იგი მდიდარია აზერბაიჯანული და აზერბაიჯანულის გრიფითი სა-
შემოსული სიტყვებით¹ საამისო მასალა მეტად ბევრია. აქ კი ნი-
მუშისათვის დავასხელებთ შემდეგს:

ანჟახ (\leftarrow || ანჯახ, ანჯა) ხოლო, ოღონდ, მაგრამ.

ადლინგი¹ (айдын) ნათელი, გარკვეული, გასაგები.

ახნაგი¹ (айна) მინა, სარკი.

აღ (აღ) ოეთრი; მიტკალი.

აღუგი¹ (|| ავლუგი, აғу) საწამლავი; „შენ ფლავში ჩაჰყარია
აღუგი¹?“; „ავლუგ იქნება შენ ნაჭია!“ (წყველია).

აჩარგი¹ (აჩარ) გასაღები.

ახშამ (ахшам) საღამო; საღამოს.

ბილგი¹ (былг) ულვაში.

ბოლ (бол) უხვი, ბევრი.

ბოჲ (боий) სიღიდე, ტანადობა, სიმაღლე, ზომა; „ერ ბოჲზე,
ერ ჯაშე“.

ბოდალი¹ (бояд) საღებავი.

ბუთუშმ (\leftarrow || ბუთუშნ, (бутын) მთლიანად, საესებით, სულ.

ბუთაღი¹ (будаг) ხის რტო.

გარაქ (კერეკ) აუცილებლად, დანამდვილებით; საჭიროა;
ოღონდ, მხოლოდ; „შენ გუთხრო გარაქ, პემენს მოუჰარია?“ (კაკი).

გუმუშგი¹ (гумуш) ვერცხლი.

დაღარგი¹ (дагар) გუდა, ტიკი.

დევაგ¹ (девэ) აქლემი.

დენა (დენე) კალი; -ლა; „ერ დენა ქალ აქონდა“ (%აგამი).

დეფა (დეფე) -ჯერ, -ხელ; ემ დეფაც... (ალიბეგლო).

დლრთხან (დერდ ჯე) ოთხივე შხარეს; ირგვლივ.

დურგი¹ (дуrr) მარგალიტი.

ეგაშ (явшаш) ნელა, წყნარად; ეგაშ-ევაშ ნელა-ნელა.

ეთიმგი¹ (етим) ობოლი.

ეხირგი¹ (есир || ესир) ტყვე; „ესირათ მიჰყონდნენ“ (კაკი).

ექიზგი¹ (ეკиз || ეკиз) ტყვები; „ორ დენა გადაჲ ექიზ“ (კაკი).

ეშაქგი¹ (ეშშეკ) ვირი.

ზულუმგი¹ (зулум) წვალება, ტანჯვა; „ე კაცევ ორნივ ერ
ზულუმი კტარს კაჭი აწევენ“; „ემაგ ერ ზულუმი ცხოუროვენ
ოთხ წელ“ (კაკი).

¹ სახელობითი ბრუნვის ნიშანი გვაქვს თანხმოვანფუძიანებთან ალიაბა-
თურში და ხმოვანფუძიანებთან კაკურში.



თაა (тай) ტოლი, კბილი; „შენ ჩემ შტლი თაა ყოფილიარ“
(მოსული).

თარაფა (тэрэф) მხარე; მიმართულება.

თაფაფა (тампача) გამოცანა.

თახთავა (taxta) ფიცარი; „გემ დევნება, დაძმტრიგა, დარჩა
ერ თახთავ“ (ალიბეგლო).

თექნა (тэкнэ) გობი.

თირი (тир) ჭერის ხე; ბოდნირი თაგხე.

თიქა (тика) ნაჭერი; თიქა წოდენი.

თულა (тула) მწევარი, მექებარი.

თულქი (// თულქუ თულკ) მელა, მელია.

იგნა // ჰიგნა // ჰიგინა (←ეგინ→ეინ) ჩეარი, სწრაფად; იგ-
ნა-იგნა ჩეარ ჩეარა; ჭამს იგნა-იგნა.

იშილი (ишиг) სინათლე, სხივი; ნათელი.

ლაგანგი (←ლეგენ→ლექენ) ტაშტი.

მართაბა (мартеб) სართული.

მაქთაბი (// მექთები) მექტები სკოლა (იხმარება ალიაბა-
თურში ყველგან და აგრეთვე კაკურის ორ სოფელში: ზაგამსა და
თასმალოში, ე. ი. იმ სოფლებში, საღაც აზერბაიჯანული სკოლები
იყო)¹.

ნაგახტან (нагхетан) უცებ, მოულოდნელად; „ნაგახტან და-
ნახა“ (კაკი).

ნაღილი (нагыл) ზღაპარი; ამბავი; „ორ ნაღილ ქნა“² (კაკი).

ნევა (нев) შვილიშვილი.

ნიშანუ (ნიშანნუ) ნიშანლები; „ისი ჩემ ნიშანუშე“³ (კაკი).

ჩათაღი (ятар) ფარეხი, გომური.

ჩაჰარი (ჩეхэр) უნაგირი.

ჩელდალი (яйлаг) საძოვარი ადგილები მთაში.

ხორლანგი (// ვერლანგი) ჩირგანი საბანი.

ხოხლამა (йохлама) ცნობა; შემოწმება.

¹ ამ სიტყვის მ. ჯანაშვილისეული განმარტება („ლაგან, ლაკანი, დიდი
თეფში სპილენძისა“, გვ. 252) არ დასტურდება. ლაგანი ინგილოურში მხოლოდ
ტაშტს ჰქვია; სპილენძის თეფშს კი ლანგარ-ს ეძახიან).

² კაკურში მას ეძახიან „უშკოლ-სა“ და „იშკოლ-ს“.

³ „ორი ზღაპარი თქვა“; „ორ ამბავს მოჰყვა“.

⁴ „ის ჩემი დანიშნული არის“.

ჭოხლაშიშ (йохлайыш) შემოწებული, გამორკვეული.

ჭუქი (йык) საბალნე.

თამშიში (თянимаг გამოფხიზლება) გამოფხიზლებული; ოპშიშ
კეტება („გონებ მოდის“, ფხეწლდება“).

ჟლლული (ელურ) ხელთამანი (იხმარება „ფათითურ-ის“
პარალელურად ალიაბათურში და აგრეთვე თასმალოსა და ზაგამ-
ში. კაკურის სხვა ადგილებში „ფათითურ-ს“ ეძახიან).

ჟერგა (|| ჯერგა || ყერკე) მწკრივი, რიგი, წყობა.

ჟირინგული (|| ჟირინგული || ყერი) ღახეული.

ჟულაბი (ყავაბ) ბასუხი, სიტყვა; „იმიბეჭთაც ერ სათქმელ
ჟულაბ მაქ“ (კაკი).

რაჟათ (rahat) დამშვიდებული, მოსვენებული; დამშვიდებით;
„ჩონც რაჟათა დაჭჭრევით“.

სანათი (|| სანაათი || ცენათ) ხელობა, სპეციალობა; „იმა-
თიც სანაათ ყოფილ ნადიროვად“ (კაკი).

საელი (сайлы) დათვლილი.

საესიზი (|| სევესიზი || საისივ) ურიცხვი, დაუთვლელი, აღუ-
რიცხველი.

სილოხა (солохай) მემარკენენ, ცაცია.

სუჭმა (сүзмә) გაწურული მაწონი.

სურტვა (cypry) ჯოგი, ჯგუფი; „ამ დაფანტულ ცუცქეშლის
პირში ეს სურტვა ტავარ არის; ამ სურტვა...“ (კაკი).

სურგუნი (cyprykh) 1) გადასახლება; 2) გადასახლებული;
„სურგუნი იქნოს უნდა“ (ითითალა).

— **ტავარი** (давар) წვრილფეხა საქონელი (ცხვარი).

— **ტანა** (дана) ბბო; აქედან: ტანაჩი მებორე.

ტა (дайы) ბიბა (დედის ძმა); მიმართებისას ზოგი მამა-საც
დაუძიხებს „ტა-ს“ (უმთავრესად კაკურში); ზოგან კი (უმთავრე-
სად ალიაბათურში) მამას „ბიზა-საც“ დაუძიხებენ.

ტომაყი (|| ჩომაყი || чомаг) კომბალი.

ფამილა (фамилия) გვარი (იხმარება მთელს ალიაბათურ-
ში და აგრეთვე თასმალოსა და. ზაგამში; კაკურში კი, აღნიშნული
ორი სოფლის გამოკლებით, ამბობენ ქართულად — „გორ“); „იმი
ფამილა რადსა?“ (ხაგამი).

ფალირი (ფағыр) ლარიბი, ლატაკი; საწყალი.

ფაყლა (пахла) ლობიო (იხმარება მხოლოდ კაკურში).

ფენცერები (пенчэр) სინათლის შესასვლელი ჭრუჭრუტანე-
ბი (უმინო).



ფილი (фил) სპილო.

ქალაგრი (კელემ) კომბინისტო.

ქენდაგი (კენდირ) თოვე (არაბალნისა; ბალნები თოვე გვა „საბეჭ-ს“ ეძახიან).

ქესიბგი (касыб) ლარიბი, ლატაკი.

ქეშრიზით (|| ქეერიზი || ქედრიზი კახის) ჭა.

ქოფუქი (კეპყ) დორბლი.

ქლები (კერ) 1) ძირი; 2) სრული; „დეკაცი და კაცის ქეთუ-
ქლებ კეთტემ“ (კაკი; სრული, მხიარული, კეთილგანწყობილი).

ქუთ (კაური || ქუთუ ალიაბ. KYT) 1) ჩლუნგი, უნდჰო; 2) უხე-
ლო.

კაბი¹¹ (გან) ჭურჭელი; ჯამი, ლამბაქი (შდრ. ა. შანიძე, ЗВО, 88, 354).

газ [газ] (газ) ბაზი.

ყაზმაგლ (газма) მოთხრილი მიწური; საბატე.

-ყათი (rat) დაერთვის რიცხვით სახელს ისევე, როგორც
აზერბაიჯანულში, უდრის ქართ. -მაგ-ს, -ტოლ-ს: ორყათი ორტო-
ლი, ოჩმაგი.

ყათირი (гатыр) ჯორი; „აყოლევს შუდ ყათირ ეშქ ყიზილ და გუმუშ (კაკი).

ყალაგა! (гала) ციხე-სიმაგრე, ციხე-კოშკი.

уа^мх^ин^гч^и (гамчи) झात्रुवा०

յանացո՞ւ (ганад) օրիտօ.

уа^иа^г (гая) լուս.

ყარაგვი (rapa) შავი; აქედან: ყარაგვი მუშტუკში დაგროვილი თამბაქოს შხამი (ნიკოტინი).

ყასტ (გერმ; გერმან) განვებ; „რომ ვერ გეებშივა, მოკლო
ყასტათ“ (მოსული).

ყაფაზე (გაპავ) თავში ხელის ჩარტყმა.

ყისირი (გысыр) ბერწი, უზვი, უშვი (ითქმის საქონელზე).

ყონალი (гонаг) სტუმარი.

ყულული (გულუგ) სამსახური, დამსახურება; „შენ რა ყულულ გაქა?“ (კაკი).

¹ თურქულ ენგზში არაბული კაფით გადმოცემული თანხმოვანი ინგი-
ლოურში ქართულ ყ ბეგერას გვაძლევს: ყაზირი „ბატი“, ყალაზა „ციხე“
ყაზჩირი „მათრახა“ და სხვ. დღევანდველ აზერბაიჯანულში ეს კაფით გადმოცე-
მული ხშირი გამოიყენებულია.



ყუფალი (гүчаг) ხელის მოხვევა, შებოჭვა, შემოსალტვა; ერთი იღლია; „ერთ ყუფალ ფურცელ“ („ერთი იღლია ფოთოლტვა, „მოყუდეს...“ (კაკი).

ყუში (гуш) ფრინველი.

ყეველ (ევველ) წინათ უწინ, პირველად; „ცეველ ზამან დრო-ზე...“ (კაკი).

ზაჲარი (შეჩერ) ქალაქი.

ზაჲიდი (შეჩიდ) მოწმე, დამოწმება; „გომოვ ზაჲიდ“ (ალი-ბეგლო).

შურა (shura) საბჭო; შურა ჰარჯმათ საბჭოთა ხელისუფლება;

შურა სადრი საბჭოს თავმჯდომარე.

ჩალთუქი (чалтык, чэлтик) ჩენჩოსაგან გაუწმენდელი (გაუცეხვაგი) ბრინჯი.

ჩარაგი (чара, чарე) საშუალება, სასოება, გამოსავალი; „ჩარაგი უწყდევაყენ“.

ჩირაგი (чыраг) ბაზმა; ლამფა; სანათი; „ახლა ჩონ ჩირაღ ვეზახით; ბაპაჩემ იტყოლა: ბაზმა მოტედევით!“ (კაკი).

ჩიფლაყი (чылпаг) ტიტველი.

ჩიჩაკი (чинхек) ყვავილი.

ჩუნქი (чүнки) იძიტომ, რომ; ვინაიდან; რადგანაც; თუმცა.

ხასტაგი (хэстэ) ავადმყოფი, დაავადებული; „ხასტა ვარ“.

ხიალი (хиял, ხэрј) აზრი, მოფიქრება, ოცნება.

ხიანათი (хяянэт) მოტყუება; ლალატი; ცბიერობა; „ერ ამანათი მაქო, ხიანათი არ უყოთ!“ (ალიაბათი).

ჰამამი (hamam) აბანო.

ჰამმიშა (həmisişə) ყოველთვის, სისტემატურად; „ჰამმიშა საღმო ფლავ ავეთევენ“ (კაკი).

ჰარ (hər) თითოეული, ყოველი; „მე ჰარ დილლაზე ფურს ზროხაში ვაგდევუ“ (კაკი).

ჰაფთუფა (afchafa) მაღალყელიანი და გრძელცხირიანი საწყლე ჭურჭელი მეტალისაგან გაკეთებული, ხმარობენ უმთავრე-სად ხელზე წყლის დასასხმელად, ალიაბათურში მას წუმწუმა-ს ეძახიან; „ჰაფთუფა-ს“ ამბობენ მხოლოდ კაკურში.

ჰაჩაგი (hacha) ორტოტა, ცალი მხრიდან ორად გაყოფილი; „ჰაჩა ხე...“ (ორტოტა ხე...).

ჰენგაგი (henka) მაყრიონი ქალი (ცხენოსანი).

ჰეჩ (həç) არაფერი; სავსებით, სრულებით; „ჰეჩ რამ ვერ უთხრა“ (კაკი).

ଶ୍ରୀମତୀ (|| ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଗୀ || ଶ୍ରୀଜୁମିତ୍ରଗୀ hେକୁମାତ) ବ୍ୟୋମିନ୍ଦ୍ରିୟରେ
ସାହେଲିମଧ୍ୟିତ୍ତା.

უმეტეს შემთხვევაში უცხო სიტყვის დამკვიდრება მომხდარა ქართული სიტყვის ხარჯზე, მას თანდათანობით შეუცვლია ქართული სიტყვა (განსაკუთრებით კაურში, ომელიც თითქმის სავსებით მოწყვეტილია ქართული კილოების გაფლენას); მაგალითად, აქ გაბატონებულა: ხოლდაშ, გადა, ყონაღ, ტანაჲ, ჩიბან, ამმა, ლაფ, დუნიად, მროვეა, ბულაღ, ღუშმან, თექნად და სხვა მრავალი; მაგრამ ხმარებილან გამოსულა მათი შესატყვისი ქართული სიტყვები: ამხანაგი, ბიჭი, სტუმარი, ხბო, მწყემსი, მაგრამ, ძლიერ, ქვეყანა, მხარე, წყარო, მტერი, გობი და სხვა მრავალი.

ზოგჯერ უცხო სიტყვა დამკვიდრებული მისივე შინაარსის
მატარებელი ქართული სიტყვის პარალელურად. შემდეგ, დროთა
ვითარებაში, მომხდარი მათ შორის შინაარსობლივი დიფერენცია-
ცია და ორივე სიტყვის არსებობისათვის სათანადო ნიადაგი შექ-
მნილია; მაგალითად, ალიაბათურში მბობნენ: გადა-საც და ბიჭ-საც,
ტანა საც და ხბორ-საც. გადა-ს პატარა ბიჭს ეძახიან, ბიჭ-ს კი—
მოზრდილ ვაეს; ხბორ-ს ეძახიან პატარა ხბოს, ერთ წლიამდე,
ერთი წლიდან ორ წლამდე კი—ტანა-ს.

ზოგიერთ შეტყოფული ქართული სიტყვის „დანაკლისი“ შეუსია ინგილოურს არაქართული სიტყვით; მაგ., „ამ ქაღალდს ფეჩეთი დაპერა“ (ითიო.), მაგრამ ამბობენ: „ბეჭდები შოგიცოლება“ (ითიო.). პირველი ნიშანებს საკანცელარიო ბეჭედს, მეორე—თითზე წამოსაცმელ სამკაულოს.

* * *

ጀመንግሥት ተስፋዣነት ምርመራ ማረጋገጫ ማቅረብ

1. ინგილოურ კილოზე მეტყველებს ამჟამად 11 სოფელი (2,592 კომლი, 14,770 სული დაახლოებით).
 2. ინგილოური სოფლები აღრეულია აზერბაიჯანულ ენაზე მეტყველ სოფლებში; თითოეული სოფლის მეტყველება მეტ-ნაკლები სიძლიერით განიცდის სხვა ენობრივი წრის (განსაკუთრებით კი აზერბაიჯანულის) გავლენას და ხასიათდება სხვა სოფლის მეტყველებისაგან განსხვავებული თავისებურებებით.



3. მეტად ძლიერია სხვა ენობრივი წრის გავლენა ინგილოურზე. იგი წითელი ზოლივით მოჩანს ფონეტიკაშიც (პ. უ უმლაუტი და ი ხმოვნების დასუსტება...), მორფოლოგიაშიც (მყოფადის წარმოება მიმღების საშუალებით, პირ. თურმებითის წარმოება რომელსამე დროში დაყენებული ზმნის პირიანი ფორმითა და „ყოფილგა!-ს“ საშუალებით, შედარებითი ხარისხის წარმოება, არაქართული წარმოშობის ზოგიერთი თანდებულისა და ნაწილაკის ხმარება...), ფრაზეოლოგიასა (ფრაზების სხვა ენის ყაიდაზე აგება) და ლექსიკაშიც (მრავალრიცხვანი არაქართული სიტყვების შეთვისება).

4. ინგილოური საგრძნობლად განსხვავდება ქართული ენის სხვა კილოებისაგან. ამ უკანასკნელთაგან არც ერთი ცალკე აღებული არ შეიცავს იმდენ თავისებურებას (განსაკუთრებით ფონეტიკურს), რამდენსაც ინგილოური.

5. ინგილოური იყოფა ორად: ალიაბათურად, რომელიც განიცავს ქართული კილო-თქმების (განსაკუთრებით კი ქიზიყურის) გავლენას, და კაკურად, რომელიც მოკლებულია ამას. მათ შორის თვალსაჩინო სხვაობაა და ბრჯოლდება ზოგჯერ ურთიერთგაგებინება. მაგრამ მათ საერთოც ბევრი აქვთ და ორივე ერთად მცველად უბირისპირდება ქართული ენის ყველა სხვა კილოს.

6. ძირითადი სხვაობა მათ შორის შემდეგია:

ფონეტიკაში: ა) კაკურში ალიაბათურთან შედარებით ზედმეტად იყარგვის სუფიქსისეული ა, ე და ი ხმოვნები (ასხია→ასხი, კაცია→კაცი, ყოფილა→ყოფილ, მოუღია→მოუღი, მოუსმინე→მახსმინ, მიუციაყე→მიუციაყ, კაცი→კაც...); ბ) ვინიც ზოგიერთ შემთხვევაში უფრო იყარგვის კაკურში (წოვლ ← წავიღე), ვიდრე ალიაბათურში (წავიღი ← წავიღე); გ) ქცევისა და ვნებითობის ინის დაკარგვა უფრო ჩვეულებრივია ალიაბათურში (დავნახეთ ← დავინახეთ), ვიდრე კაკურში (დოდნახით←დავინახეთ); დ) ჲ (← გ+ე), უ (← გ+ი) უმლაუტები სიტყვის თავში და აგრეთვე ს და ჸ ბგერების გაჩენა ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ დასტურდება თითქმის მხოლოდ კაკურში და სხვ.

მორფოლოგიაში: ა) ალიაბათურთან შედარებით კაკურში ზედმეტად შემონახულა სახელობითი ბრუნვის ნიშანი ბოლოშმოვნიანებთან (მამაც), ხოლო ეგევე ნიშანი დაკარგულა ბოლოთანხმოვნიანებთან (კაც.); ბ) კაკურში შემონახულა ვნებითი გვარის დინამიკურ ზმნებთან აწმყოსა და მყოფადში მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში -ი-ს სუფიქსი (არქაიზმი: იქნების), ხოლო ალიაბათურში დაკარგულა (იქნება); გ) კაკურში არს ॥ არის

შემცველი ზმნის ფუძისეული ნაშილი იკარგვის ბოლოხმოვნიან სი-
ტყვებთან (ზროჩადს ← ზროჩად არის), ალიაბათურში ქრისტიანული ურ
მოვლენას ადგილი არა აქვს და სხვ.

სინტაქსი: ა) კაკურში შესათანხმებელი მსაზღვრელი წარმოდ-
გენილია ყველა ბრუნვაში მარტო ფუძით თითქმის ყოველთვის;
ალიაბათურში კი იგი გვევლინება ხშირად სახელობითი ბრუნვის
ფორმითაც; ბ) სხვათა სიტყვის -ო კაკურში შეცვლილია -გ-დ
(← -ო) ისევე, როგორც ეს ხევსურულსა და თუშურშია, ხოლო
ალიაბათურში -ო დაცულია; გ) კითხვითი -ა ნაწილაკი კაკურში
იხმარება მაშინაც, როცა წინადადებაში კითხვითი სიტყვაა წარმო-
დგენილი, ალიაბათური კი იცავს ძველი ქართულის წესს.

ლექსიკაში: ალიაბათურში გვაქვს: წყარო, მაქთაბი (|| მექ-
თები), წუმწუმა, ფამილია, ურმი ლერზი, ქუდი, ლებუა, ზაქი, მე-
ხბორე, დაღლილა, მოურილა (ფური, კამჩი) და სხვა; კაკურში კი:
ბულალ, უშკოლ (კაკი || იშკოლ, ალიბეგლო), ჰაფუთუფა, გორ, ზროვა,
ფაფუაყ, ფაყლად, გაღაგ, ტანაჩიდ, დამშროდ (← დამშრუალ ← და-
მშურ-ალ არს), დამზოლ (ფურ, კამჩი, ← და-მ-ზუ-ალ არს) და სხვ.

7. საერთოა მთელი ინგილოურისათვის:

ფონეტიკაში: ა) ბგერითი შედგენილობა (კ, გ, უ ბგერების
შემონახვა, ჯ და ბ აფრიკატების დაკარგვა, ო, უ ბგერების გაჩე-
ნა და სხვ.) და ბ) რიგი ფონეტიკური მოვლენები (სუბსტატულია,
ასიმილაცია და მასთან დაკავშირებული ლაბილიზაცია და პალა-
ტიალიზაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, თანხმოვანთა დაკარგვა,
ბგერათა დამართვა და სხვ.).

მორფოლოგიაში: ა) ბრუნვებთან (გარდა სახელობითსა) და
პირის ნიშნებთან დაკავშირებული რიგი საკითხები (S₂ და O₃
ხმარება ხშირად გრამატიკული ალლოს გარეშე და სხვ.), ბ) მყო-
ფადის წარმოება მიმღეობის საშუალებით ან კავშირებითის ფორ-
მით, გ) თხოვნითი ბრძანებისათვის კავ. მეორის ფორმის გამოყე-
ნება, დ) ხოლმეობითობის გადმოცემა, ე) ხარისხების წარმოება კერ-
ძოდ და საერთოდ სიტყვაწარმოება, 3) არაქართული წარმოშობის
თანდებულებისა და ნაწილაკების ხმარება, ზ) პირველი თურმეო-
ბითის გამოყენება ნამყო წყვეტილის მნიშვნელობით, თ) თურმეო-
ბითის წარმოება სხვა ენობრივი წრის გავლენით (ზმნის პირიანი
ფორმა რომელსამე დროში + ყოფილა) და სხვ.).

სინტაქსი: ა) მიცემით ბრუნვაში დასმული LS-ისა და LO-ის
მრავლობითობის გადმოცემა -ყენე ნაწილაკით ზმნაში ჩვეულებრივია

კაკურშიცა და ალიაბათურშიც; ბ) თანაბრად გავრცელებულია ორ-საეგში რთული წინადაღების გაღმოცემა მარტივით, სადაც დამზადებული კიდებული წინადაღება შენაცვლებულია მიმღეობით, რასაც ჭერის უწყობს მთის იძერიულ-კავკასიური და აზერბაიჯანული ენების გავლენა.

ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაში: ფრაზების სხვა ენის ყაიდა-ზე აგება და სხვა ენიდან მრავალი სიტყვის შეთვისება.

არქაიზებიდან ინგილოურში შემონახული კ ბგერა და კითხვითი ნაწილაკი ა; იწყოსა და მყოფადში მხოლობით რიცხვ-ში მესამე სუბიექტურ პირში დინამიკური გნებითის ზმნებთან -ი-ს დაბოლოება მარტო კაკურს შეპრჩნია. -მცა ნაწილაკი შემონახულია მხოლოდ -მ-ს სახით, მაგრამ მას დაკარგული აქვს ძველი სინტაქსური ძალა.

ОСОБЕННОСТИ ИНГИЛОЙСКОГО НАРЕЧИЯ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Р е з у м е

Работа посвящена одному весьма важному и доселе неизученному диалекту грузинского языка. Труд в основном базируется на многочисленных, богатых по содержанию и разнородных по характеру материалах, записанных автором на месте, и на непосредственных наблюдениях над живой речью. Автор учитывает также всю лингвистическую и историко-этнографическую литературу и тексты, опубликованные предшествующими исследователями или общественными деятелями. Разработаны весьма своеобразная и богатая фонетика, морфология и синтаксис ингилойского диалекта и дано им соответствующее толкование. Языковые явления разъяснены в неразрывной связи с историей ингилойцев, имеющих своеобразное прошлое, и с соответствующим применением сравнительно-исторического метода.

Маркситское положение о том, что история языка связана с историей общества, с историей народа, которому принадлежит этот язык и который является творцом и носителем этого языка, касается и территориальных диалектов. Одной из наилучших иллюстраций этого положения является история ингилойцев и ингилойского диалекта. История развития ингилойского диалекта грузинского языка неразрывно связана с историей самих ингилойцев.

Для ингилойцев, которые были в течение веков оторваны от Грузии и находились в другом языковом окружении, средством общения между собой еще долго являлся только

ингилойский диалект, который был оторван от других диалектов грузинского языка и развивался в основном пока еще по внутренним законам своего развития.

Сотни лет турецкие и персидские ассимиляторы старались разрушить и уничтожить грузинский язык в Саингило. За этот период словарный состав ингилойского диалекта подвергся серьезным изменениям, частичное изменение претерпела и фонетическая сторона, малозначительное изменение кое-где наблюдалось и в грамматическом строев. Однако процесс скрещивания, который тянулся в Саингило в течение веков, во многих селах не смог достичь своей цели. Ингилойский диалект выстоял. Его грамматический строй, основной словарный фонд и фонетическая сторона в основном сохранились.

Следовательно, ингилойский диалект, благодаря своему грамматическому строю и основному словарному фонду, сохранил самобытность и продолжал развиваться в основном по внутренним законам своего развития.

Ингилойское наречие заслуживает внимания и с точки зрения общего языковедения и истории грузинского языка.


Ингилойское наречие грузинского языка изучено посельно и сличено с другими грузинскими наречиями. Выявлены своеобразия, отличающие ингилойский от других диалектов грузинского языка. Установлены сходство и различие между какским и алиабадским поднаречиями и выяснены причины вызывающие расхождения.

Установлен звуковой состав ингилойского наречия. Выявлены факторы образования умлаута и других новых звуков, а также факторы рефлексов звука **з V** в ингилойском. Подробно изучены явления ассимиляции, субSTITУции, метатезы, исчезновения звуков и пр., найдена общая закономерность и указаны причины их возникновения. Освещена роль ударения в процессе исчезновения звуков и установлены различные виды приступа и отступа и т. д.

Разъяснены вопросы, связанные с числительными, местоимениями и падежами. Рассмотрены различные моменты, связанные с личными показателями и сериями с соответствующей квалификацией их. Выяснены причины появления специфического будущего и давнопрошедшего I (заочного). Проанализированы аффиксы, образующие причастия, отрицательные формы и атрибутивы, а также неизменяемые слова; разъяснены особенности степеней сравнения и пр.

Проработаны вопросы управления, согласования и сложного предложения. Проанализированы частицы, выражаю-

ющие косвенную речь, вопросительные и отрицательные формы и пр.

Изучено воздействие других языков на ингилойский  обще и на фразеологию и лексику в частности и т. п. 

ОСНОВНЫЕ ПОЛОЖЕНИЯ

1. Ингилойский диалект занимает выдающееся место среди других наречий грузинского языка многообразием фонетических, морфологических и синтаксических явлений, лексическим составом, архаизмами, сравнительно ускоренным развитием языковых процессов и пр.

2. Ингилойский диалект резко отличается от других диалектов грузинского языка. Ни в одном грузинском диалекте, взятом отдельно, нет столько своеобразий (особенно фонетических), сколько в ингилойском.

3. Ингилойское наречие делится на два поднаречия: алиабадское, которое находится под влиянием грузинских диалектов (особенно кахетинского), и какское.

4. Различия между алиабадским и какским следующие:

В фонетике: а) в какском гласный *ə* а вспомогательного глагола и суффиксальные *ə e i o i* обычно опускаются;

б) утрата гласного *ə i* субъективной версии и страдательного залога—обычное явление в алиабадском и редкое в какском;

в) геминаты преимущественно встречаются в какском и изредка в алиабадском;

г) возникновение *ç' i ð h* перед гласной основой глагола свойственно только какскому;

д) умлауты *ö ö* ($\leftarrow \text{z v} + \text{e}$) и *ü ü* ($\leftarrow \text{z v} + \text{o i}$) в начале слов имеются только в какском (хотя спорадически);

е) переход звука *z q* в *y q* чаще встречается в алиабадском и лишь в нескольких словах в какском;

ж). *S₁ z v* в какском почти всегда уподобляет себе соседний гласный, с которым он либо сливаются, либо выпадает. В алиабадском подобные случаи встречаются только спорадически; здесь главным образом происходит аспирация *z v* в соседстве с глухими или придыхательными звуками и получается *f f* или билабиализация (при утрате последующего гласного *i*, в случаях, когда таковой следует), или же *z v* сохраняется без изменения.

В морфологии: а) в какском, по сравнению с алиабадским, показатель именительного падежа *ə i* сохранен в основах с гласным исходом и утрачен в основах с согласным исходом;

б) в какском в глаголах динамических (страдательного залога) в 3 л. единств. ч. имеется тематический *o i* также, как в древнегрузинском языке; алиабадское под наречие в этом отношении сходится с новогрузинским языком;

в) в какском в составном сказуемом основная часть вспомогательного глагола *əməb aris* («есть») теряется при гласных основах, и при наличии именительного падежа остается только суффикс *S₃ b s*, который при согласных основах заменяется *o i* — показателем именительного падежа. В этом же под наречии *ɔ a* вспомогательного глагола усечен в формах так называемого I заочного глаголов, в настоящем времени глаголов статических (страдательного залога) и вообще в составном сказуемом; в алиабадском этих явлений нет;

г) в какском под наречии отсутствует флексия аориста *ə-e* во всех трех лицах единственного числа (*θə ðəməq me moj* «я принес»); во множественном числе во всех глаголах имеется окончание *-o -i* (*θəmb ðəməqoom čop mojvit* «мы принесли»); в алиабадском под наречии *-ə -e* налицо и в тех глаголах, которые вообще не имели показателя аориста;

д) хотя в какском и алиабадском редуцируемые глаголы I и II л. II сослагательного наклонения одинаково образуются суффиксом *ə o*, в III суб. л. они расходятся: какскому свойственно *ɔ a* (вместо *ə o*), алиабадскому же — изредка;

е) в какском глагол *ʒəq b val-s* («идет») представлен в виде *ʒ v → ʃ w*, иногда в III лице имеется *ʒ-o-b v-i-s*; алиабадское под наречие в этом отношении следует форме современного грузинского языка.

В синтаксисе: а) в какском под наречии определение представлено основой (без падежного окончания), а в алиабадском — иногда одной основой, иногда с формантом именительного падежа;

б) в какском частица *ə o*, как признак косвенной речи, переходит в *ʒ v*, как это имеет место в хевсурском и тушинском диалектах грузинского языка; а в алиабадском сохраняется без изменения;

в) вопросительная частица *ɔ a* в какском применяется и тогда, когда в предложении находится вопросительное слово; алиабадский же следует правилу древнегрузинского языка.

В лексике алиабадский и какский противопоставляются в ряде случаев, особенно в отношении заимствованных слов.



5. Несмотря на эти расхождения, ингилойские поднаречия обнаруживают множество общих черт.

В фонетике: а) одинаков звуковой состав (сохранились древнегрузинские звуки զ q, Ձ j, Շ w и возникли новые звуки Շ ö, Ռ ѿ др.);

б) ряд фонетических явлений (ассимиляция и связанные с ней лабиализация и палатализация, диссимилияция, ментеза, утрата согласных и т. д.) весьма отдаляют ингилойский от других грузинских наречий.

В морфологии общими для обоих поднаречий моментами служат:

а) ряд вопросов, связанных с падежами (кроме именительного) и показателями лица, за исключением *S₁* (аномалии употребления префиксов *S₂* и *O₃* и др.);

б) три вида образования будущего времени: 1) формой сослагательного второго, как в древнегрузинском языке (ԹօՇցյ չawde «поеду»); 2) тематической основой настоящего времени плюс преверб, как в новогрузинском языке (գոմքյր դոյշը «поймаю») и 3) причастием будущего плюс вспомогательный глагол (թասցյեթամ տասեմէхаг «ты должен давать»);

в) использование форм сослагательного второго для передачи просительного вида повелительного предложения;

г) применение частицы Ձ[ə] զ[ə] для выражения множественности;

д) употребление форм давнопрошедшего с содержанием прошедшего совершенного;

е) выражение заочности при помощи временной и личной формы глагола и вспомогательного глагола յափօլ[ə] զօրիլ[ə] («оказывается был»). Յնուս յափօլ[ə] չris զօրիլ[ə] (дословно: «оказывается, режет был»), Յովֆրոլ[ə] յափօլ[ə] տօվչրիլ[ə] զօրիլ[ə] (дословно: «оказывается, резал был»);

В синтаксисе: а) глагол в какском и алиабадском, как и в других диалектах грузинского языка, согласуется с подлежащим по содержанию;

б) множественность LS (логического субъекта) и GO (логического объекта), стоящих в дательном падеже, и иногда прямого объекта, стоящего в именительном, выражается при помощи суффикса -յ[ə] -զ[ə];

в) глаголы օշու icis «знает» и օօժի aaks «несет» изменили свои конструкции в соответствии с переходным глаголом настоящего времени;

г) в обоих поднаречиях в равной мере передается сложноподчиненное предложение простым предложением при



помощи причастия, внедрению которого способствовали горские иберийско-кавказские и азербайджанский языки.

6. Речь каждого села Саингило более или менее подвергается воздействию других языковых группировок (особенно азербайджанской), вследствие чего речь сельчан различается известными особенностями.

7. Несомненно, под влиянием иноязычного окружения выработались следующие особенности:

В фонетике: а) возникновение умлаутных гласных *ö*, *ö*, *ü*; б) дезаффрикатизация звуков *đ* *z* и *ʒ* *ž*; в) ослабление гласных *ü* и *i* после других гласных; г) обилие дифтонгов; д) возникновение мягкого *ç* *I* и геминатов; е) гласный раздел скопления согласных в начале слова; ж) склонность к чрезмерной гармоничности и пр.

В морфологии: а) образование третьего типа будущего; б) выражение заочности средствами давнопрошедшего; в) описательное образование сравнительной степени; г) использование некоторых послеслогов и частиц иноязычного происхождения и др.

В лексике и фразеологии: усвоение многих иноязычных слов, а также построение фраз по образцу других языков и пр.

Все эти особенности ингилойского диалекта имеют исключительно важное значение для изучения внутренних и внешних законов развития языка.

ინგილოური ტექსტები

I. კაკური მასალები

1. მენებლაზ

ჩონ თათრებ გარშახიან „ჯენგილავ“.

რაბე გარშახიან ჩონ თათრებ „ჯენგილავ“?

ჩონ სიცტა უყავით ნამდუღ ქართულებ (|| ქართოლებ). მერე რუმ მააწო აქეთყენ ისტამბულ, პარსეთ და დაღისტან¹, ექ ყოფ ქართულებ (თას აქეთყენ, რაც იყო, ბუჟუმ ქართულებ იყნონ) დაყოცეს. მინც გადახსორწა საქართლოვსყენ, გადარჩა. /კაკელ არ გადახსორწა. უთხრეს: „ჩონ თქმნ ჯულზე (|| უულზე) უქნებით, ნუ დოგვიცავა!“ იმათ გაანებეს თავ. იმათმა მიიღეს მაპმადიანი ჯულ.

რახანაც ურუსმა შამილთან დაჭვად ქნა (|| დომა), დახჭირა ექაშრობად ურუსმა, მაშინ ჩონ დუღურან კაცებ წაუზნენ თიფლის-ში. იქ დუღურანებს უთხრეს: „მრგლცით შოლად! ჩონ ქრისტიანებ ვართ, გურად ჩონ ჯულზე დავდგეთ“.

ამათ მისცეს შოლად: დაუზნიშნეს ლდლებ თავიანთ ტონნულით, აუშენეს საყდრებ.

ბუჟუმ მობრუნდა ქართული უულზე, იმაზე თათარმა დაარქო „ჯენგილავ“ (|| ხელმეორე=ჯენგილან გეთილარ ოდინა=ხელმეორე იმ უულზე წასულად).

ნიკოლოზ მიხეილის ძე ტარტარაშვილი, 70 წლისა, კოლმეურნე, იცის აზერ. და ქართ. (ინვ.); საინგილოში უცხოვრია მუდმივად.

სოფ. ალათემური (კაკის ბინა), 26. II. 45.

2. თავაბაშავ


ერ რამ არის; ლქს ფეფ აქ, ერ წელ, ერთიც კუდ (თარაზოვ)

ერ რამ არის; ოთხ დგას, ერთ უვლის (ჩხირევ).

ერ ორმოხს; ზოლევი სავსტას (კბილევ).

¹ იგულისხმება დაღესტანის ბევები.

² თაფასუა (←თაფაჯა)—გამოცანა.



ერ გულვაზ არის; ჰამ ვაშროვ, ვერ ვაშროვ (ენად).
 ერ რამ არის; მე მიყდ, თუთანაც მოდის (გრილი).
 ერ საბელ არის; ჰამ კრცავ (|| ჭქცავ), ვერ ჭრცავ (გხად).
 კანკალა ღობევთ გადავხტენ, წუნკალა ზალლმა დამიჭირა
 (ჟინჭარ).

ორ ქორუქ არის, დუნიაში ვერ ომოპწმინდავ (ცხურ).

ვასილ მიხეილის ძე ოთარაშვილი, 65 წლისა, კოლმეურნე, წ.-კ.
 უცოდინარი; იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.); საინგილოში უცხოერია
 მუდმივად.

სოფ. კაპი (კავისთავი), 23. XII. 44.

3. თავ პაჟარ

ერ აღილ¹ მაქ; ხოტავ, ხოტავ, ვერ ხოტავ (ცხურ).

შავ დედალ წითელ კრაცხს დებს მიწზე (ხახი თესლ).

მე მაქ (|| მაქს) ერ ზროხა; ცოცხალ იყო, ბალას ზოვდა
 (|| ზოვნიდა), მოკდებ, წყალს ლევდა (|| სომდა) (ტიქ).

ერ საბელ მაქს; წყალს დალევს, თუთან გადბერებ (ყარფუზ).

გარე ოქროო, ოქროშიდაც წყალ, წყალშიდაც ცეცხლ (სი-
 მუარ).

ერ წარ მაქ; გომში² არ შალის; უნდ კუდ აჭწიოთ, რუმ გომ-
 ში შატრდეს (კოვზ).

დედამ დალივა, შულმა არწყივა (ჰაფთუფად³).

კარსუკან ჭიბლიან ბებერ (ცოცხ).

ერ ქუა მაქ; მოუჭირებ, ყუთელ წყალს დავადენავ (კრაცხ).

ალექსი ანდრიაშვილი, 40 წლისა, კოლმეურნე, წ.-კ. უცოდინარი,
 იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.); საინგილოში უცხოერია მუდმივად.

სოფ. ალიბეგლო, 30. XII. 44.

4. თავ პაჟარ

ერ რამ არის; დედამიწა ტრიალობს, არ ეშნიან; ერუა წყლიზ-
 გან ეშნიან (ცეცხლ).

ერ ხეზე ჭიბლიან ბებერ (სიმარტლ⁴).

ერ ხეზე ცელიან ბებერ (წაბლ.).

¹ ბოსელი (საქონლის შესარევი).

² ბოსელში.

³ წუმწუმა (სპილენძისაგან გაკეთებული წყლის ჭურჭელი, მაღალყელიანი
 და გრძელკვირიანი; ჩიარობენ ხელზე წყლის დასასხავად უცითაგრესად).

⁴ ზღმარტლი.

ერ ხეზე წითელ კუჭულად (შუნდ).

ერ ხეზე ბანგლიან ბებერ (ბიად).

ერ რამ არის: ჟელში ავაქ, ტირის, დავაგლებ, უკროვ (გვიანდებულის მონი).

ტყეში ერთეულ ლუგინ (|| ლოგინ) (სოკოდ).

მაჩხობელ არის; ერთმერთს ვერ ხედენ (თოლებ).

ერ ორმოხ არის; ყვითები საგსროს (კბილებ).

ბრუვესუკან შავ მუგუშ (შაშ)¹.

ტუმარა, ტუმარა, ტუმ პეპელა! სახელს გოტყუშ, ვერ იცოდინებ (ტუმარად).

ოთხ ზმას ერ ფაფაყ ღოუშური (სტოლ).

ორ და ერ ბოძხე² (კარებ).

სანთუნ ფილიას ძე ემრაველია, 20 წლისა, კოლმეურნე, მცირემ-ცოდნე, იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.).

სოფ. ალიბეგლო, 21. XII. 44.

5. თავდაშავ

აზიზად ჩაკინკდა, შირინად წამოკინკდა (აზიზად არის ზედგარ, შირინად — ქობ).

პატრა გადად ქაცქაცობს (ტარი).

თასუკან ცალფეყა ლოგინ (თორედს).

ორ გარ არის; ერთი წითელ, იმი ნაწოლ ადგილში ბალაბ არ იმოდის; ერ გარ კი მიდის, ალარ მოდის (ცეცხლ და კომლ).

გიორგი ფარნაოზის ძე ბარიხაშვილი, 16 წლისა, მოწაფე.

სოფ. ალიბეგლო, 21. XII. 44.

6. თავდაშავ

კარსუკან ბესტი კიკოდ (კოცხ).

მივდივარ, ჩემსუკან მოდის (გრილოდ).

ერ საბელ არის; პა კოცავ, ვერ ჭელცავ (გზად).

ერ რამ არის; პა ვაშრობ, ვერ ვაშრობ (ენად).

ერ რამ არის; მინდორში გადის, ბლავის; შინ შომოდის, უჩუმრა დგებ (თოფ).

ერ რამ არის; კუდ უოუჩელევლა ყაზმაში არქშადის (კოვზ).

მიხა ანდრიაშვილი, 50 წლისა.

სოფ. ალიბეგლო, 30. XII. 44.

¹ შაშვი.

² ერთ სიმაღლეზე.



თასუკან ქურქუან კი() (სოგოდ).

ორ ქელლად, რვა ცეც, ქოშ ქუად, ზედ თახთად (ან ქელლად, რვა ცეც—კამბეჩებ; ქოშ ქუად, ზედ თახთად—კევრ).

სამ დად ერ სიმალლეზე (ჰელგარ).

ორ დაღ ერ სიმაღლეზე (კარებ).

ოთხ დამ ერ სიმაღლეზე (ისკამ).

ერ გულგაზ მაქ; ამთონ ოშროვ. არ შრობის (ენადა).

ერ საბელ არის; ამთონ ოგრუევ, ვერ ოგრუევ (გზადს).

ერ კარ მაქ; კუდ უდოუჭერელა ყაზმაში არ შადის (კოვზ).

ერთა ტალახში კუტურულ კოლექცია (ცომ).

შარტ ქათამ მუცელგახეტულ (ბუხარახს).

დაბალ თავითი თოშულ თოშულობს (საცერი).

თასუკან ერ ფამ წლლად (თორებს).

შაქრო ნ-დირაშვილი, 23 ყლისა, დაბალი განათლებით (4 კლ.), ადგილობრივი კოლეგიუნების ტრაქტორისტი.

სოფ. ქოთუქლო, 7. I. 45.

8. ହବିଲାରୀ ପାଇସନ୍‌ଟାର୍

სიცოა ადგილს გავაქეთებთ (|| გავაქეთებთ) კარგა. სიცოან-
დელ ადგილს (ხამს) ბარით გავაქეთებთ (|| გუაქეთებთ). მემღან
(|| მემრე) საქონლით ავატალახებთ, დაჭფარცხავთ.

ჩალთუქს სამ დღე წყალში დავაგდებთ (|| დუაგდებთ), დავალბობთ || (დუალბობთ). ჩალთუქ დაჩელთულ, დაათესელ ქნილ. მემლან ვედროვთი ომლებთ ჩალთუქს, დაჭრესავთ. დათესასუკან წყალს მოტწყობტა. ნუმ გალურჯლების, მემრე დოტწყდებთ წყალს.

ଅଲୋକ ତ୍ରୟ ଇନ୍ଦ୍ର, ଲୁହାତ ଲାକ୍ଷ୍ମୀରୀତ, ଶାନ୍ତି ଗାଢାକ୍ଷୁରୀତ. କୌମିଳ-
ଶା ପ୍ରୟାଳ ଜ୍ଞନା.

ნუმ ჩალუქ მა დწევისა, წაგალთ, მოჰქმებთ (॥ ჩალთუქ ნუმ
მაძწევისა, წაგალთ, მოჰქმებთ ॥ ჩალთუქ ნუმ მაძწევ, წაგალთ,
მოჰქმებთ).

ზალხარ ქოსაევა, ყურბან ყუხი, 100 წლისა.

სოფ. ზაგამი, 5. II. 45.

9. ԱՅՍՎՐՈՒ Ո ՑԱԽԵՆԱԶ

ჩონგში | წინანდელ დროზი დეკაც ყველა საყოლელ ქნებში
ცალკ ზროხი ქონგი გადადყონდნენ. ზროხი ქოს შუათი გაჩაღა-



ღულ (|| გაჩახჩახულ) იყო¹ დეკაციბე. დეკაციბე ცალკ ჭუჭურში ცეცხლ ანთვევდნენ, თუ ზამთარ იქნევოდა; თუ ზაფხული, ცეცხლი არ დაანთავდნენ. დეკაც ყმაწულ გაჩენინჯახ ხუთ დღი წინ აცილდნენ გივდენ, ცალკ ზროხი ქოხში მიპონავდნენ (|| მისყონავდნენ). დეკაც მუცელ ატკიევაში, თუ ებაჩიდ² არის იქ თავიან იბაში³, იმას დაუზიახევენ დეკაციბე მააშტლეველა ყმაწულ გაჩენაში. ამბა თუ ებაჩიდ არალის იმ დროზე, ჩრნში ადათ იყო, გრძც მრჩლბელ დეკაც დეეწივას.

დეკაციბე ყმაწულ გაჩენაში (|| ყოლვაში) ახალგაზრდა ქალწულ ქალებს ნებად არ აქოყ, რუმ შაჰედან. დეკაციბე ყმაწულ ყოლვაში თავი კაცს ნებად არ აქ გრძც დადგეს. ის გარაქ ერ რამ მადგონას, სხვგან წაუდეს ცახ მაზე, რუმ ჩინში დიდ სტრცხული, რუმ კაც გრძც დადგეს.

ყმაწულ გაჩენასუკან ებაჩიდ ბანაგს, ზონზოგში ხეეს (sic.). დედამ ლოგინში წეეს. ებაჩიდ მოვალეს, პარ დღი მოუდეს, ერ ხუთ, პქს დღე დეკხმარას (|| შეეშტლას) ყმაწულ გააბანელა. ერ კურიას-უკან ყმაწულს აკანში აწანენ.

ჩონში ადათი: თუ სახში ნამუშავ ინსნევ აქ დანაწოლ დეკაცს, თუთან ორმოც დღე ნებად არ აქ აადგომელა, ერთა ნაცხოვრ სახში შაასლლლა ცახ მაზე, რუმ სახლ გაორმოცდების (|| გაჩაფლ დევის)⁴.

ჩონში ქიდე ადათი: დეკაც რუმ ყმაწულ ეყოლევ, ამ სახლი კარევთან ერ ინსან უნდ დააყენან ცახ მაზე, რუმ ამბოვენ: ყმაწულ განაჩენ დეკაცს ალ ეცემისავ, ქლავსავ. კარევზე ბევრისტანა პატრა ყმაწულევს აყენევენ ცახ მაზე, რუმ ალს ყმაწულევიზგან ეშნიანავ, —ამბოვევნ.

ყმაწულ განაჩენ დეკაციბე მაავლელა ჩონში ადათი: ხორა-გივ გააკეთან, წაჟღან. ხორაგი სახელევი: ფლავ, ხინქალ⁵, ტოლ-მაჲ, გირც⁶ და სხოვ. დეკაციბე მაავლელა წანასულ ქალწულ ქა-

¹ გაყოფილი იყო ხეებით.

² ბებიაქალი.

³ უბანში.

⁴ გაბიძურდების.

⁵ ინგილოური ხინქალი წარმოადგენს გათხელებული ცომის პატარა მრგვალ ფურცლებს, რომლებსაც ხარშავენ, სწურავენ; ზევიდან დააყრიან ერ-ბოში მოხრაკულ ხახეს, შემწვარ ქათამს, კვერცხებს. ტაბილი საჭმელია.

⁶ ინგილოური გირცი წარმოადგენს ქართულ ხინქალს ორკეცად შეკუმ-შულს.

ლევ ქარევზე შდევიან, იქითი ხორგს აწლუან დეკაცს. დეკაც ხო-
რაგს ცოტას თუთან ჭამს, ცოტას თავიან სახში მისცემს ჭაუჭაუჭაუ-
რუმ ჩონში წინანდელ დროში დიაღ ბევრ სივდევოდა¹.

ეხლა ჩონში ადათი: ყმაწულ ნაყოლ დეკაც, თუ სახში ინსნევ
არ აქ ნამუშავ, თუთან ნებად აქ, აღგეს იმუშავას ცად მაზე, რუმ
ოქას ნუ დეელუპას. ცად მაღრ (sic.) ორმოც დღე გაჰყონს (|| გახ-
ყონს).

უწინ ჩონში ადათ იყო: ორსულა დეკაც ბევრ ამუშიევდნენ
ცად მაზე, რუმ ყმაწულ ჰადულა ეყოლასავ. ყოლვასუკან დეკაც ბევრს
არ ამუშიევდნენ ცად მაზე, რუმ ყმაწულ კადგორა გაძიარდას, მაღ
მეესწროს, სავაზიროე გაჯდეს.

ყმაწულ ნაყოლ დეკაცი სახლიდიც (|| სახლიდიც), ან კიდე
თავი კაცს ნათესავ მოტროცენ. მოლოცად ემჟურა იყო წინათ:

—გადა! (ან, თუ სახლიდიც—ბიზა!) მე გამიგი: შენ დეკაცს
გადაა ჸყოლიავ. ღმერთმა ყოჩალ გაპალას, ღმერთმა გაზარდას,
ღუშმანი თოლ გამოპთხარას.

—მაღლოვთ (|| საღოლ).

შირვან ისაკის ძე გამხარაშეილი, 25 წლის, საშუალო განათლებით,
იცის აზერბ., ქართ., რუს. (სამამულო ომის მონაწილეა).

სოფ. კავი, 2. XII. 44

10. ნათ ლ ო გ ა დ

ჩონში ადათ იყო ნათლოვად. თუ შეზღეულ სახლი პატრონ
იყო, თავი შულს ხუთ თუს, ლეს თუს ნათლავდნენ; ზოგდეთა ოთხ
თუსაც ნათლავდნენ. ღარიბ იქანი პატრონ თავიან შულევს ერ
წლის, ორ წლის, სამ წლის ნათლავდნენ.

ნათლოვად ადათ ჩონში ემჟურა იყო: ნათლიოვან² (|| ნათლი-
უან) ირჩევენ, თუნდ კაც იქნეს, თუნდ დეკაც, ორნიმ ერთი. დე-
დას, მამას, პაპას, ბებრას ყმაწულიბე სახელი დაზახნი ნებად აქოყ.
იმ სახელს ნათლიად ეზახის. ნათლიოვად ქურია დღეს, შაბათ
დღეს, სამ შაბათს, ხუთ შაბათს იქნევის. ნათლიოვი დღეს სახლი
პატრონ თავი ნათესავებს პატიოვესყ. კლავს ან ყოჩას, ან მრჩოს,
აქრონ ბევრ პურს, აქოყ ღუშნლ. ზოგ გარმუნ დანაკარს მოხყონს,
ზოგ ნაღრა-ზურნას აკრონენეს; დიღ ქედვ ატარევენ. ნათლიოვი
დღე წინათ დდელ ესწრევოდა გაკურთხელა, ყმაწული თავ მირ-

¹ „დასივებია“ განმარტება და „წამლობა“ იხ. მ. ჯან., საინგ., გვ. 156—
157.

² ნათლიად.

ვან. დაასმელა, ზიარევაა დაალევნეველა. ყმაწული სახელ ქრისტიანი სახელს ესახდნენ: გასოდ, ვახტანგ, პავლი, ნიკოლა, ივანი რევ კი ქართულ გორევ აქოყ: ბეროშულ, როსტიაშულ, გამოწერაშული შულ, ოთარაშულ, თამაზაშულ, ტარტარაშულ, ხუციშულ, ყულო-შულ, ჯანაშულ და სხოდ).

ნათლიოვი დღეს ლექვესაც დაუზიანევდნენ თავიან ნაცნოვ ყონილებს ინგილოვ. ამთა თავიან ადათევზე დიალ მაგარ იყნონ. არც ერ დღეს არ არევდნენ, რამც ქრისტიან ხალყს ქონდაყ ადათში.

მირვან ისაკის ძე გამხარაშვილი.

სოფ. კავი, 2. XII. 44.

11. ბ მ რ თ ვ ა მ

ჩონში ადათ იყო ბეროვაა, ლმერთიბე პატივ ცემაა (|| ქნუაა). თუ კაცს ყმაწულ არ დაპრჩევოდა, ბევრ დეეროცევოდა, ლმერთს დაპპირდევოდა სამხტოებს წმინდა გიორგი საყტარზე, კასრი საყტარზე, ხუციანთ ოთხთავზე.

თუ ესიც არ შეეშლეოდა, ბეროვაა პირდევოდა. ყმაწული თავი ქოჩორზე საფეხქავი და კეფოდ შუაზე დაპპირდევოდნენ თმი შენახა, როგორც ქალი წიწილებს. დიპირევი დროს (ოთხ წელ, ხუთ წელ, შუა და წელ) ათიეგაში ან ერ ყოჩ, ან ერ მწვრთრ, ყმაწული სიგზე სანთელ აპტანდნენ; რემენ საყტრი სახელზეაც დაპპირდნევოდნენ, იმ საყტრი დღეზე მიღიოლნენ, ლდელს გააკურთხინენ, დაპჭლავდნენ, სანთელს მოუდევდნენ, ყმაწულს თმებს მოჰჭრიდნენ.

ამით ბეროვაა თავდევოდა. იმ დღეს ქედფი ქონდაყ.

მირვან ისაკის ძე გამხარაშვილი.

სოფ. კავი, 23. XII. 44.

12. ჩ ა ლ ი ს გ ა თ ხ შ ე ბ ა მ დ ა ს ხ ი ზ რ ლ ხ ა ბ რ ი ჩ ბ

ჯელმანდილ შომოქრავდით, ყბასაც ოხვარებდით; წელზე გუმშემის ქამარ გლენებოდა, ტანზე ყოშებიან არხალუხს ჩოცუტამ-დით; ფეფზედაც ბაშმაყ იქნებოდა; ქალოშს ვერ ვიცოდინებდით, საპლავსაც ვერ ვიცოდინებდით; დუნიაში არ იყო. დანიშნულ ქალ ხუთ წელს, რქს წელს მამი ოქხში დაღვებოდა. ის ქიუიმს მოქსოვნიდა. ხუთ წელს, რქს წელს, რომ დანიშნულ დარჩებოდა, ერთ-მერთს ვერ დაანახიდნენ. ზალს წაყონასუკან ხუთ-რქს წელს მამამ-

თილთან, დედამთილთან ჰეჩ არ ელაპარიქნას, მამამთლის ფეფ ვეზ-
კადას, ფეფ დეებანას; თუ დასტლებულ წინდებ, ქალმებ ჭრნონა,
გეეშროს, დეეფუშნუტას; უობ ეელას, მამამთილი პურ ჭმაშე დაძღვა-
რიყოს ზალ, ქათმებ არ შომოუზეს შინ, მამამთილ გაფავოდებას,
გულ შამადყრის. პატარზლებ დილიმს დაპეტესავთ, იმის ალლას
გოვმარგლით, კიტრსაც ჩონ დაპეტესავთ, ფაყლასაც დაპეტესავთ,
ქალამისაც.

ჩემ პაპა თოხხმოც წლის იყო; ის მის ლაპარიკ
ქართული იყო. ახლა ჩონ ჩირალ ვეზახით; პაპაჩემ
იტყოდა: „ბაზმა მოტე ევით!“ ქართულ ესმოდა იმას, ზოლ
ქართლ იყო. არ მოვნათლურვართავ. მონათლუა არ იყოავ. პა-
პაჩემ – საწყალი გათეთებითავ მომნათლესავ. წოგიყონესავ, დიდ
ჭურჭელშიავ წყალ ჩასხესავ, თავ მოგაყუნტინესავ, სამ მუჭა წყალ
დოგასხესავ.

ქალს რომ ოთხუებთ, იმი ჯუარი ლეკი მოლლას უნდა დეტე-
რა; მოკდომაში კტარიც უნდა მოლლას დეემარხას. ამმა მალვით
ქრისტიანები ვიყავითავ. ლეკებ კვტანჯავდნენ, ქრისტიანებ ნუ
ხართავ. აქამთი იმარავდნენ დეკაცებს, ესირათ მიპყონდნენ. აქა-
თი პატრონებს ფულ გეეგზავნასყ ხუთას-პქსას მანათ, მეყყონას.
კაკის თავში, ციხის ქომოვთხან ყოფილ უურეა საყტარ, ექ (|| ახ-
ლო ჩონთან) თაში გომოქშებულ კარიან კონც არის. ექ სახლის
ქშმამთი ზედთყენი სიმაღლეზე იმი შაასლლ კარ არის. ის ბერებ
ნაედომ ადგილ ყოფილ. ექ დაბალზე თავ არის, იმის თავზე საყ-
ტარ ყოფილ, აზნაურ ქნილ იმის სახელ. ის თავად-აზნაურები ნაე-
დომ ადგილ ყოფილ. ბევრ სამარიებ არიან აზნაურში... თავთან
ბიაჲ ჩოტედგამ. იმი ზურკ ჰეჩ არ დადგარგებ... ერთიც სამაროვანი
პირზე ეკლესიად ქონიაყ. კტარ მოკდომაში წოუყონიაყ, იქ დოტ-
დებიაყ ეკლესიაში, ერ კურიასუკან დოჭმარხიაყ.

გულო შამილის ასული პაპიაშვილი, 72 წლისა, იცის აზერბ, და
ქართ. (ინგ.), წ.-კ. უცოდინარია.

სოფ. კაკი, 25. VII. 40.

13. ცურდულ

სახში მამი აფად გაკდომაში ჩონში აღათი: ზულ თავზე ტრია-
ლოვდეს, მამას აბრუნევდეს, მამას შახხდავდეს. თუ რაა კად შუ-
ლაბევ გამიასლლი მამა ყბით, ზულმა ის უუღალევ თავი გულში
უნდა ახტანას. ერთიც ზულ მოვალეს მამა მოკდომი დროზე პე-



ლევ გაშვილორას გულზე, ფიცევ შაშქრას, თოლევ გაშვილორას, ორმ კდარ ლამაზ იყოს. ეს გაშეაცი საქმეებს. ღამი გროც კტარებული (// კდართან) გაშეაცევ წრვიან ცაც მაზე, რუმ ჩონში კდარ მარტოჭარი დაგდევად ადათ არა. ამბოვენ: თუ მარტო დარჩა კდარ, კატად მარჯუნა თოლს გამადლევს, შემჭიამს. კდარს ბანენ ჩონში ნათესავე: ან ბიზახ, ან ბიზიშტულ. კდარ გაბანასუკან აცმევენ თავი სანეფო ტანსომოზ. ჩაცმასუკან ჟიჟიმს შლიან სახლი შუაზე. თავებრ სასტულს უდევენ. თუ საღმოძას, თავპირზე საცერს ადევენ, საცერში სარკეს.

ინსან მოკდომაში ნათესავევს ატყოვინევენ (// აგევინევენ), რუმ მუან კაც მამეფარ, ხუალ დამარხენი. შეტყოვი დროზე ცე მაგრ (// მაღრ) იტყუან: „ლმერთმა აცხოვნას, კაც კაც იყო“. ორ დღეს, ან სამ დღეს, ან კიდევ მეტ კდარს ინახავენ; მევლან მარხავენ (// მარხობნ). ბეჭურეულ კი, თუ საღმოზე მამქდარ, ხუალ მარხობნ.

დამარხი დღეშბე გააქეთევენ შიტმელს: გმააცხოვენ ლაგაშს, დაპერლონ ზროხას¹. შუადღესუკან წაცყონენ, დაპმარხობნ. წაყონაში ხალლიც უკან გაპყობის. დეკაცევ არ მიპყობიან. იმი დამარხუნჯახას დეკაცევს აე პურ აჭმევენ. იქითო მობრუნება-მოსულაში თუ დეკაცევს პურ ჭმაც ვერ მოუთავებიაყ, კაცევ ველოდევით, პზრში არ შავდივართ. დეკაცევ პზრთი რუმ გომოვლენ, ახლა კაცევ შავლენ, დაუდევიან, პურს შეწყვიმენ. პურ გათივეასუკან ბუთუმ ადგევიან ფექზე, თავს დაუკრონ იმ ოქახი პატრონ, ეტყუან: „ლმერთმა მოთმინევად მოქცას“. წავლენ.

წინანდელ დროში საღავაზე² დევდნენ კდარს. ეხლა კი თაბუთს³ აკეთევენ. სამარეს თხრიან ოთხუთხოვანს, სიფართოვი ორ მეტრი ზეთა პირ. შიგ ცოტა-ცოტა ამიწროვებენ თაბუთი სიფართოეზე. კდარ ჩადევასუკან ტყელ ქშევს აწყოვენ ზედთი იმიურალათი, რუმ კდარს მიწად არ ეყრევ, კდარ ჩევ ცარიალში. ქშევის ზედახთი მიწას აყრიან. თავთან ტყელ, მაღალ, დაწერილ ქუას უდებენ, რემენზეაც თავი დაბადების დღე, რიცხტ, სახელ, გორ, „ლმერმა აცხონას“ წერი.

ჩონში ინსან რუმ კდლო, ორმოც დღე იმა თავი ადათ აქ.

სამ დღი თავ ტაბლოვაძას. ტაბლოვად ახწერევის ემეურახთი: ტაბლოვი დღე შააჭთ ნისტკელევს ზოგს ხორაგ, ზოგს ხილ და სხომ.

¹ ან ფურს, ან მოზერს, ან კარს. საერთო სახელია სამიერსათვის „ზროხა“.

² სალავა ხისა, კიბეს წავევს:

³ კუბოს.

სახლი ბატრონ აქეთევეს ხორაგს. საკმელ ჩააყრელა ემზადევიან. შლიან ჟიქიძის, ტირიან. ტირვაა რუმ გათავდევის, მევლან კარ განუდო თბილ პური ვარცხლ ალაგევენ იქ, საღაც საკმელ ჩააყრელი. რა რაგსაც ალაგევენ. ანთევენ სანთლევს. აქ ღუწნობეც არის. ქაფქირზე ან ჩომჩაში ნაღრულდალს ააქტნ. ორ დეკაც დგევს: ერთ ხორაგი ზეჯ ამნა-სულ თარაფზი, ერთ კიდე ზეჯ ჩანასულ თარაფზი. ქაფქირს ატარევენ საკმელ ჩააყრელა. ბუთუმ საკმელს ჰყირის. „აცხოვნას ღმერთმა“, — ამბოვენ. მააქტნ ქაფქირს ე ორ ქალ. სოლახათი მარჯონას სუენ ატრიალევენ. სამეურ დატრიალევასუკან ბოლზე ზე ამნასულ თა-რაფზი დევენ. სანთლევ ჩაქრომასუკან ხალღ აქდენენ, ხორაგს წინ აზლევენ, აჭმევენ. მიღიან.

ქუჭრიისთავ არის ჩომში წეს თავსაპარს ქნუად. დალლაქსაც მაყონენ ბუთუმიზგან სიბტა (// სიფტა // სიფთა) სახლი მამაკაც თავ-პირს მახპარსაგს.

ემ დღე ზოგ სულბურსაც იცის. კლონ სამ ყოჩ, ან ერ მო-ზორ და ორ ყოჩ, ან ერ ქათამ და ორ ყოჩ, ან ორ ქათამ და ერ ყოჩ. მუჯნებმუსუმ¹ სამ სულ დაჯლას. დაყლულ ყოჩიზგან აქეთევენ ბარს², ყაურმას. ემ დღეს სამარეზე გადიან, ტირიან. სამარეზე წა-ნაღევ ხორაგს იქ ჭამენ. ხალყს უყოფენ; შინ დაბრუნევად ადათ არალის. სახში საკმელს უყრიან, როგორც ტაბლოვი დღე.

არის მარხსბიც. თუ კდარ იმარხევის ოთხშაბათს ან ჯუმას (// უუმას), მაშინ ის მარხულ იმარხევის. საკლავ რამდ არ კეთტე-ვის. მარხტაევში თუ მოკდო, კიდემ მარხულ იმარხევის.

თავსაპარს და სულახსნას (// სულბურს) ზოგ ინახავს, მარხო-ში არ ჩედის, სხლინში აქეთევეს.

ზოგ ჭეს (დალონევად) ინახავს ერ წელ, ზოგ პქს თოს, ზოგ სამ თოს. ის ქორწილში რამში არ მიდის. გარმონს (// გარმუნს) არ უკრონ ოჟახში.

ჭესით გომოსულაში კედემ დაპეატიიჟევსყ თავი ნათესავ, ახ-ლო მოქმედლევ. სილმოზე შიჭმელ გააკეთევენ. ცხორ, ქათამ, ამ-ჟურა რამს დაპკლავენ. ჭესით გომოვლენ. დატკრონ ჩუნგურს, გარმუნს, იშტერევენ.

მირვან ისაკის ძე გახმარაშვილი.

სოფ. კაკი, 25. XII. 44.

¹ აუცილებლივ.

² წერილად დაჭრილ ფილტვებზე ნაწლავებს აჩვევენ და ჩარშავენ.



მირზა ლდელ კეჭტებოდა თასმალოში.

მირზა ლდელ ჰარები მირზა ლდელ უფასო უწამლებიდა. მიპყონდნენ ნაჩალის სანახელი.

რევლობა რომ მოხდა, ჩონ გოგით: მირზა ლდელ დაკარგულ. მააყოლეს ზებნა ტყიებში, მინდრობში.

ჩონ გოგით იმი პოვნა. უპოვნიაყ ფურსუყი² ორმოში. წავღეს თავი სოფელში (კაშში). იქ დამარხეს სახტრი ეზრში.

ლევან არჩილის ძე სარგარაშვილი, 42 წლისა, კოლმეურნე, იცის აზ., რუს., ქართ.; სოფ. სამთაწყაროში გადმოსულია კაზის რაიონიდან, სოფ. ყორალინან, 1930 წლის.

სოფ. სამთაწყარო, 13. II. 45.

15. ჭ ი ლ ჭ ი ლ ჭ ი ლ

ზილფი ჯანაშულ ყოფილ აქაშირ (ალიბეგლოელ). იმ დროზე ჩონ მიწა ყოფილ ჭარი ბეგი ჟელში. აქ მოდიან ყოფილ ჭარი ბეგებ მაჟაათ აალებელა. მაჟაათ აალებელა მოსტლაში აქ ჭამაც ყოფილ სოფლიზე სირავთი. საღმოვთავ უცხადებს ყოფილ: „ხუალ სირა თქმნი; დილლაზე მუალთ შიჭმელა; ჭაზირ ქენით; თუ არ იქთ, ვად თქმნ დღეს“. დილლას სირაზე მოდიან ზილფი ჯანაშულისა. საღმოვთავ დეკაც ებნების ზილფის: „დოგრუზირეს, სირა თქმნი; თუ არ გოგიმზადით, ვად თქმნ“. ზილფიმ უთხრა დეკაცს: „რაც უნდ მიცე, აჭამით, მააშორ თავით. არ უთხრო: ზილფი შინავ; უთხარ: ზილფი შინ არა“.

ზილფი დეკაცმა მოუშმადა შიჭმელ.

სოფელში ბურთუმინა იცოდა, რუმ ეუენ შიჭმელს ცხენზე ჭამენ, დილლით საღმომდინ ცხენით არ ჩომოდიოდნენ. შიჭმელს უმზადებდნენ მაღალზე. ცხენზე უდომით შიჭმელ ჭამდნენ. ქაშ ხახმად უნდა დაგებულ იყოდეს; ცხენ დამდგარიყოდეს ხახმაზე. ცხენს წინაც შიჭმელ უნდა იყოდეს.

ზილფი დეკაცმა გააპაზირა ბურთუმ რამ. თითოს თოთო ქათამ მოუშარშა, მოულო კარაქ, არაყ, ლუნრო და სხოვ. იმათმა ქათმებ გაათავეს, არაყ და ლუნრო დალივეს და დათრობ. მემლან დაგწყეს გინებაა: რადე მეტ არალისავ. დეკაც ებნების: „თქმნ ეს გითქომ

¹ „მირზა მღვდლის“ სახელწოდებით საინგილოში ცნობილია მღვ. მიჩეილ ჭულლოშვილი (იხ. მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 92).

² მაჩვის.

და მეც ეს მამილი. მეტ გეოქოს, მეტ პაზირ ვიქმოდი. ნუ შასწუხ-
დებით! შუადღი საღილზე რამთონიც გინდაყ, პაზირ ვიქ-
შეშჭამთ“. იმაშინ ამათმა დადწყეს გინებად. ზილფი დეკატრა უაწყა: „ჩომომთ ცხენით, თქლნც დასარნით! მე პაზირ ვიქ; ქათმებ და-
გიკლო“. ამათ კიდემ მაყყოლეს გინებად.

ზილფი იცოდა, რუმ ესენ ჭამაზე არ იყნონ; ესენ აწოლებ-
დნენ ხალლს, არცხლნდნენ დეკაცებს... ზილფი გომოუდა სოლახა
ჟელში ხანჯალმოფარებულ. გომოსულაში ზილფის უთხრა: „ამის-
თანა დეკაცს ინახავ; დეკაც კი არა, ზაღლი; ზაღლ შაგინახავ“.
იმაშინ გრაც მიყდა ზილფი. წინადღითაც ფიქირში ჰქონდა იმათ
მოქლუად. ამ ბეგებს ჰქონდაყ. წამოსხმულ ზედ ეფინჯებ. ზილფიმ
ასწივა ეფინჯი კალთადთი, უჭინა მუცელში ხანჯალ. ცოტა გაპრუნ-
და, ცხენით ჩიმუარდა. მეტაც ჸოლდაშ ეზახოდა იმას, რემენიც
ჩიმოუარდა ცხენით: „შაჟ ცხენზე, წავდეთ!“ ზილფიმ იმასაც უჭი-
ნა ხანჯალ მუცელში; ისიც მოკლა. ორნივაც მოკლა ეზრში (|| პზო-
ში). ბუთუმ იყნონ ორ.

ჭარის ბეგებმა გააგეს, მოუზნენენ იქით, ზილფი დაჭირეს,
წაყონეს ჭარმი (იმ დროზე ხანი დრომ ყოფილ. მისაც ერ კაც
მეეკლას, ხან იქერდა; მამკლლ კაც აზლევდა მანაკდომის პატრო-
ნებს; თამბი თქლნ უყავითავ). ზილფი დაამბეს მანაკდომ ბეგების
პატრონებმა: ერთ თითს შერიდა (|| ჭრიდა), ერთ ურჭობდა; ცოც-
ხალ-ცოცხალ აზულუმებდნენ. მემრე ზილფიმ უთხრა: „თელ ჭარის
უამაათ (|| ჯამაათ) დაგროვებულან ჩემ მაკლლა; თუ ვაშკაც
ხართ, თქლნ მამკალით!“ იმაშინსუკან გამახზრო ჟმალ, ჟმლით
მოკლა.

იმ დროთი აქ მაჯნანა მაჟაათ; ბეგებ ვეღარ მოუზნენ. დარ-
ჩა მიწამ სოფლელ ხალხს.

მიხა ანდრიაშვილი, 50 წლისა, ქართ. ჭ.-კ. არ იცის; იცის აზერ.
და ქართ. (ინგ.); საინგილოში უცხოერია მუდმივად.
სოფ. ალიბეგლო, 27. II. 45.

16. ვერდგიჩა

ფერხბიჩა ლაგოდეხით ყანუყობიმდინ ფათიშა ეყო. თუთან
ქეთტებოდა ყალაში ალიაბათის გრძლით (|| თავი საედომ აღვილ
ეყო ალიაბათის გრძლით).

ფერხბიჩა და ეყო შაპ-აბაზი დეკაცი. პურჭი დროზე შაპ-
აბაზი დეკაცმა წყალ დალივა. შაპ-აბაზმა გააცინა. დედაკაცმა უთხ-
რა: „რაბე გააცინი?“.

— წყალ დალევაში ყერყანტუში წყალ გომოჩდა.
მასკანდა შაპ-აბაზს უთხრა:

— მე ფერხბიჩად ნათქომ და მაქო. ის თუ დახნახი, მე იშენ წერილი
თუნ პელებზე წყალ დასსმელა არ გომოულები.

იმასუკან ბაპ-აბაზმა თავის ყოშუნი მაყონა, მოტელა.

ფერხბიჩამ უჯობა (|| უჯობა). შაპ-აბაზი დაბრუნდა, ირანში
წაგდა,

კიდევ მოგდა დიდ ყუვათით, ფერხბიჩას უჯობა, ეს ადგილ
ადტანა (|| ადღა). ფერხბიჩა ზეჟთით (|| ზეჟთი) გოდმოხტა, თავი
თავ მაჟკლა.

იმასუკან შაპ-აბაზმა ქი თქო: „ეს ადგილ რაშე მინდა? მე
ბევრ ადგილ ირანში მაქო“. მემღან ეს ადგილი მისცა ჭარელებს.
თუთან წატედა ირანში.

მემღანდა ზაქათალალებმა ამ ადგილის ფაპჩაობად ჰქნეს. მოტე-
და ნიკალამ, უჯობა ზაქათალალებს, წაართო.

ნასიძ ბურჯალით რუტომ ოდღი, 97 წლისა, წ.-კ. უცოდინარი.
სოფ. ზაგამი, 3. II. 45.

17. მარტი

მარიამ ყოფილ საქებურ ქალ ხუციშულ ილაპერდიაზე და-
ნიშნულ.

ლეკევ (ბეგევ) იბარენ იმ ქალს, მიჰყონენ ყველბაშში, ყი-
ლიან. ცოტა ხან ჩევის იმი კარზე.

ერ არაბ ყოფილ, მანასულ (|| მონასულ), მარილ ქონი. ამ
ქალს მოტყითხი: „არაბ ზმაო! სათყენ მიიდი შენ?“ უთქომ: „კავში
მივდივარ“. ქალს უთქომ: „ჩემ მამაო ნახ! ჩემ მამამ ადღას ჩემ საყი-
დელ თეთრ, მიყიდას, წამიყონოს!“

მამამ თეთრ ადღა, წატედა. ქალმა უთხრა მამას: „ე თეთრ
ჭურჭელში ჩაყარ, თავზე შავდევ, დიდის წინ დადევ!“ ჩაყარ (|| ჩა-
ყარა) მამამ თეთრ, წავლა, დადო.

— რახე მოგიღია შენ ეგ თეთრ? რახე მოსულხარა?

— თუ შავზლევის (|| შავზლების), ჩემ ქალ მემეც!

იმი დეკაცმა გადგა, ქალს ასხნა ყველის იმარათევიც, ახალ-
ტანსამოზევიც გაჰჭადა, მაგრა დაუეკა: „შენ მამასთან კრია გაგი-
წევი!“

მამამ ადყონა, მოტედა თავი სოფელში. იმი დანიშნულ ალაპ
გვერდიასაც უთხრა: „ჩემ ქალ მამიყონი. თუ მაჟკალრებ და მაჟ-
ონი, კიდევ შენ გაზლევ“. იმამაც უთხრა: „მოეკალრევ, დიალაც

მოხწონევ. წალანაც ჩემ იყო, კიდემაც ჩემიც. აზლევნ ქალს, ქორწილს ჩედიან. ის იმი თუახში კეთტების (॥ კეთდება), განვიტორი პატარზალ.

პავიაშვილი გულო შამილის ასული, 72 ჭლისა, ჭ.-ჭ. უცოდინარი, იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.); საინგილოში უცხოვრია მუდმივად. სოფ. კავი. 15. VIII. 40.

18. ჩონ ჭუბაროვ

ჩონ სოფელში, ჩონ ობაში¹, ჩემ სახლი გრძელ ლაფ კად წყაროს. ამ წყარო არნაქნარ დროს მე არ ვიცივარ. ჩემ დედას ულაპარიკნი, მეც გამიგი, რუმ ჰიგე ემ წყარო ნაქნარ ადგილზე დიალ დიდ გუბ ყოფილ. დროთხან კალუებ ყოფილ. კევრით კალუებს ლეწავდნენ ყოფილ. ულაყებ შემფრთხალ, ჩავარდნილ გუბში. კევრზე ზალ ყოფილ. კევრ მოწყოტულ, ულაყებ გომისულ. ზალ დამხხოლ. კევრიც დაქარგულ, ზალიც.

ჩონ სოფელში ერ კაც ყოფილ ლაფ დრელათიან. შეულ არ ჰქონი, ქალ არ ჰქონი. ჰეჩ მინამ არ ჰქონი. მარტო ერ კაც და ერ დეკაც ყოფილან.

— მე მაღლ მააკიდევარ ჩემბე. აგრე ინსან დახჩობად არ იქნებ (მა იქნებისა?). ცოდვადს. ჰეჩ რამიც არ მინდ.—უთქომ.

ამ კაცს ნადია უქნი: უსტაა დოუჭერი, კირ დოუჭოვ, თირ, შიშაა დოუჭერი, მატყლ მოული ხუთმეტ ურემ. ამ გუბი ორ თოლ უბოენი, ესენ შორინახავ; ყალან ადგილში შიშაა ჩოუყრი, თირ ჩოუყრი, მატყლ ჩოუყრი. იმი ზედამთი ქუებ დოუყრი. მემღან კირ დოუსხამ, დოუბრმიები გუბ.

მემღან ქნილ წყარო.

ამ წყაროს ქუმურდი გემოვ აქო.

ზახარ ქოს-ევა ყურბან ყუზ 100 ჭლისა, იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.); საინგილომი უცხოვრია მუდმივად.

სოფ. ზაგარი, 5. II. 45

19. მოლლა და მამბალ ჭობ

ერთხელ მოლლამ მეზობელს ქობ მოპთხოვა. მეზობელმა გამახლა, მისცა. ორ-სამ დღესუკან მოლლამ დაუშახა მეზობელს და მისცა ორ ქობ. მეზობელმა უთხრა:

— მოლლა! ცე პატრა ქობ რახსა?

¹ უბანში.



— შენ ქობ მამბალ იყო, ჩონსა დახზო, — თქო მოლლამ. მე-
ზობელს გატარდა. ჰერ რამ არ უთხრა.

ერ კურიასუკან მოლლამ მეზობელს კიდემ მოპთხოვა შემდეგი და-
მეზობელმა კავსთანა დიდ ქობ მისცა; იფიქრა: „ეს იქნევ ორს
დახზოვს“. მოლლამ წადღა ე ქობ. გაუტა ერ კურიად, ორ კურიად;
მეზობელს აღარ უბრუნებს ქობს. მეზობელმა თუთანავ მოპთხოვა
თავის ქობ. მოლლამ უთხრა: „დიალ მცხონიან, ამმა გარაქ გითხ-
რო: შენ ქობ მოკდო“. მეზობელმა უთხრა: „ქობ მოკდომა სა-
თქმულა?“ მოლლამ უთხრა: „თუ დაზოვად თქმულ, მოკდომას რა-
ლად უქნია?“

ლაგრენტი გუსინაშვილი, 40 წლისა, მილიციის თანამშრომელი,
მცირებულენე, იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.).

სოფ. კაკი, 20. VIII. 40.

20. ბეჭმაზ და მასრად ინაკ (// ნასრადინა)

ერთ წელ იყო ერ კაც, მეორე იყო ერ დეკაც. ესენ აპირე-
ბენ საღმოზე შიჭმელ.

— ჰაბა დედაკაცო! საღმოზე რად გავაკეთოთა შიჭმელ?

— რად გავაკეთოთა?

კაც დაავაზირებს დეკაცს: „ფაფად გააკეთ!“.

— ჰაბა, კაცო, ბეჭმაზ არ მაქს (// მაქ), თაფლ არ მაქ.

— შენ გააქეთ, მე მააღევარ.

ფაფად გააკეთებს დეკაც. კაც წავ ბაზარში, ან თაფლ იყიდან
ან ბეჭმაზ. ბოლოს ბეჭმაზ იყიდის. წავ მედუქნესთან, ეტყეჭს: „ერ
ქილო ბეჭმაზ ამიწონ!“ აპწონავს ერ ქილო ბეჭმაზსა; ჩაასხამს ამ-
გეთ¹ უამში. ექ არ დეეტების (sic.) (კაცი სახელ მოლლა მასრადი-
ნად ყოფილ). მედუქნე ეკითხების: „სად უნდა ჩაასხა ნარჩენი?“ მას-
რადინა მააბრუნებს უამს, უამის ზირს უჩრნებს: „აა, ექ ჩაასხე!“
ბეჭმაზ დადგრძნის. მასრადინად წავ შინ.

— აა, დედაკაცო, ბეჭმაზ მამილი!

— ეგ ცოტა რახსა?

— აგე აქაც არისავ, — მააბრუნებს. ისიც დადგრძნის. დარ-
ჩებიან ჯავან.

ალექსი ანდრიაშვილი, 40 წლისა.

სოფ. ალიბეგლო, 30. XII. 44.

¹ ასეთ.

21. მოლლა ნასრადინამ ერთ დღეს ადღა ცულდ, წოულტუ ზე შეაჭრელი.

გოულა ზევთ. ქრშახთი ჭრიდა, თუთან ზევთ იყო. ჰე ჩაშინ ნახა ერთ გზაა განავალ კაცმა. იმამ თქო: „მოლლა ტაა, რაჲ ჩედი!“ მოლლა ნასრადინამ უთხრა: „ხეს ჭრუევარ“. იმამ უთხრა: „ხე წააქცეველი, შენ ქრშ დაარჩომიხარ“. მერე მოლლამ თქო: „შენ რა იცი?... მევლან მოლლამ უთხრა: „თუ შენ მაგას იც, ჩემ მოკდომის დროეც იც, მითხარ, მე რახან მააკდომევარ“. იმ კაცს თავი გაუჭირა: მე რახან მოტყდპბ, შენ საცოდნე ხარავ. იმას ჩარა გაუწყეტა და თქო: „მოლლა ტაა, ერთ ვირ მაგრა თულევი ზიმეთ და გალალ (|| გალლალ), წაა თის გზაზე. წასულაში, ცოტა ვირ დაშრომაში, ვირ იქნასებს, მაშინ შენი სულის სამით ერთ წილ წავა. მევლან ცოტა წინაყ გალლალ! კიდე იქ იქნასებს მეორე ჯერ; მემრე შენ სულ ორ წილ წავა, ერთ წილ დარჩება. კიდემ ცოტა წინაყ გალალ, კიდემ იქნასებს. მაშინ შენ მოჰკდპბი, ჰე შენ-თან სულ არ დაარჩომელი.

როგორც კაცმა დაასწავლა, იმურა წაულდა მოლლა ტაა. მოლლა ტაა მოკდო.

ხალხმა ნახა, მოლლა ტაა მამკდარ, ვირ ქანავრებს დოუზანტავ. მოულნენ ხალხ, მოლლა ტაა სალაჟადოთი წაგუონეს თავის სახ-ში, იქ დააწურეს. მოგროვდა ხალხი დუაზე. დეკაცევ ტიროდნენ. მაგათ ადათ ყოფილ ჰალვად გაქეოვაა კდარ მონაკდომ ადგილში. ჰალვად გოუკეთევიაყ, ჰალვად ყაბ გროც დოულევიაყ. დალამდა. მოლლა ტაა ღამე მალვი-მალვი იპარავს ჰალვას, ჭამს, ღამე ბტ-თუმს ათიეგს. დილლაზე დეკაცევ ხედავენ, ჰალვად არალის, ჰალვად უჭამიაყ. დეკაცევ ერთმერთიბე ამბოვენ: „ე ჰალვად მინმა ჭამა!“ ე მაგ მასლაათ ქნაში მოლლა ტაამ თქო: „მოლლა ტაა რამთონ კტარი, რომ ერ ყაბ ჰალვად ვერ ჭამას!“ დეკაცევ იყურეს: „ცაა, ცუა“ თქმს: „მოლლა ტაა გაცოცხლდა!“

მოლლა ტაა რომ მართლა მოკდპბი, არვინ დაუქერებს.

პეტრე კონსტანტინეს ძე ჯანაშვილი, 50 წლისა, კოლმეურნე, მცირემოდნე, ჯარში ნამყოფია.

სოფ. ქოთუელო, 2. I. 45.

22. მოლლა ნასრადინა და უკუდო ეჭარ

მოლლა ნასრადინას ბეტრ გააცინებელ საქმეა ჰუქნი. ხალხს უგე იმაზე ჰუცინი.

მოლლა ნასრალინას დეკაციბე ფლავ გოშქეთებინები. მოლლა
 ნასრალინა დაშმან ქნილ. დეკაც მოშქითხავ:

— რაბე ფუშმან ხარა?

— რაბე ფუშმან არ ვიქნებია? მტზობელს უძუდო, უყურო
 ეშაქ აქო. ხუალ ტალახში ჩააფლელი. ვათაარ¹ გომოხყონოთა? იმი
 ყავღლუა მაქო.

ფლავ არ უჭამი.

როსტომავა ნარბიჩა ჰავედრია ყგზგ, 70 წლისა, შ.-კ. უცოდი-
 ნარი, თავის რაიონს არ გასცილებია.

სოფ. ზაგამი, 18. II. 45.

23. ა თ მ ნ დ ი დ ა დ ა ლ ლ ა გ ვ ა შ პ ა მ ბ ა დ ა დ ა

ილისუელ დალლაგ ფაშამ უთხრა თავიან აფენდის²:

— აფენდი! მე ერ ქეჩია მამიპარავ; ამა ცოდუად ექონებ თუ
 არა?

— თუ მართლა მოგიპარავ, ნამდულა ექონებ ცოდუად.

— მე არც კაცმა დამინახა, არც პატრონმა, დიალ მალხვი
 მამიპარავს, ინსანს ვერ დოუნხავ.

— თოლებ შენზე გომოვ შაპად (|| შაპიდ)³, — უთხრა აფენდიმ.

— მე მაშინ ვიტყუ: თოლებ ტეშლა გომოლიან, ტერ იყო.

— გელებ იტყუ: მე დოჭჭირ, წოხონ.

— ისიც თოლი ამხანაგ იყო, ერ სიტყუას ამბობენ.

— ფეხებ იტყუ: ნამდულა ემ კაცმა წაუდა, მააპარა.

— მე ვიტყუ: „ისიც ტერ იყო“.

— ქეჩია თუთან გაცოცხლდებ, შენზე შაპად გომოვ, იტყუს:
 მაგამ მამიპარა, წამიყონა, დამქლა!

მაშინ დალლაგ ფაშამ მოჭკითხა აფენდის:

— ის ქეჩია ნამდულ გაცოცხლდება? (|| გაცოცხლდებისა?)

ნამდულ გაცოცხლდებ!

— თუ გაცოცხლდებ, დოჭჭერ, პატრონს მიჰვცემ.

აფენდიმ ჰეჩ რამ ვეღარ უთხრა.

არჩილ (ბალგონ) დავითის ძე ასლამახაშვილი, 72 წლისა, შ.-კ.
 უცოდინარი, იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.); საინგილოს არ გასცილებია.
 სოფ. ალიბეგლო, 25. VIII. 40.

¹ ენშინით გადმიცემულია ბგერა, რომელიც აკუსტიკური შთაბეჭდილე-
 ბით ძალიან უახლოვდება ჰ-ს.

² „თათრების ეპისკოპოსი“ (მთქმელი).

³ მოწმე.



ყოფილ ერ ფურ და ერ ბებერ. ბებერ ფური თავზე წინავს, სახში ღრებს, მიდის წყალზე; მოდის, ხედავს, სახში ზედ მოლოდი, ტურას დატლევი.

ერ ღამეს ბებერ უდევის ტურა მააკლოლა. მოდის ტურა ზე დაალევეგელა. ბებერ იჭერავს, კუდ წყოტავს. ტურა ეხოწევ ბებერს:

— ამან, ბებერო, უან, ბებერო! ჩემ კუდ მამ! (|| მამცო || მამე-ცო!).

— ჰერ, ჩემ ზე მადლ! — უთქომ ბებერს. ტურა წასულ ფურ-თან:

— ამან, ფურო, უან, ფურო, ჩემზე ზე მამცო! ბებრიბე მიტცო.

— წაა, ჩემბე ბალას მადლ! — ოქო ფურმა. ტურა მიდის ყო-როლჩისთან.

— ამან, ყოროლჩი, უან, ყოროლჩი, ბალას მამცო!

— ჰერ, ჩემბე ქალ მადყონ! — მოდის ქალთან:

— ამან, ქალო, უან, ქალო, მოხუდო, შენ თავ წოვყონო, ყო-როლჩიბე მიტცო!

— ჰერ, ჩემბე ბეჭედ მადლ! — მიდის ზარგალჩისთან:

— ამან, ზარგალჩი, უან, ზარგალჩი, ჩემბე ბეჭედ მამცო!

— ჰერ, ჩემბე კორც მადლ! — მიდის კურტთან:

— ამან, კურტო, უან, კურტო, ჩემბე კორც მამეცო!

— ჰერ, ჩემბე საკენკ მადლ! — მიდის დინგჩისთან:

— ამან, დინგჩი, უან, დინგჩი, ჩემბე საკენკ მამეცო!

წოვლო კურტთან, მიტცო; კურტიზგნი ოვლო კორც, მიტცო ზარგალჩიბე; ზარგალჩიზგნი ბეჭედევ თელო, წოვლო, მიტცო ქალს; ქალი თავ მიტცო ყოროლჩიბე; ყოროლჩიზნი ბალას ოვლო, წოვლო, მიტცო ფურიბე; ფურიზგნი ზე თელო, მიტცო ბებრიბე; ბებრი-ზგნი კუდ ოვლო.

ბებრიზგნი კუდ ააქს. მიაქს თავი დედასთან. დედა უქარ-ლავს. მიდის ტურევში, ერევის, ტურევ ებნევიან:

— ე სახთი იქნა?

— ბებრი ზე ჭომ; ბებერმა კუდ მამიქარლა,

— ჩონც წატდეთ, ზე დავხრუტოთ! — ამბოვენ; ისენ მდიან ზე დაახროტელა.

ზე დაახროტაში ბებერ სალბა პირავს. იქ ტურა კდოვის.

შოთა ნიკოლოზის ძე ზეინალაშვილი, 13 წლისა, მოწაფე. სოფ. მეშამბაში, 28. II. 45.



უწინ ზამანებე ეყო ერ კაც. მოვნა, დათესა პურ. პურ გვიჩვილა
მაგაფივა. გაათიბელ დროზე წატუდა, პურს მოქარა, პირში შაჰევდა.
პურის პირში იყო შეუდ თავთავ. ერთ თავთავ ამბოვდა „მაღრუფ“,
ერთ ამბოვდა „მაშრუფ“, იმათ ყესმათ ვარავ. ამ კაცმა თქო: „მაღ-
რუფ და მაშრუფ რახან მაასლოლაია? ეს მე წოდონ სახში, ლავსრისო
კელში შეუდ თავთავ, დავაკრო, პურ ჭომო. ის ჰალა (|| გალა) მაას-
ლოლი, მაღრუფელ და მაშრუფელ ამას სიჭმელი. იმ მოსულინჯალ
მე ჭომო“.

ერთიც, საღმოზე დაედნენ სიჭმელა. „ტაყ-ტაყ“ დარვაზად დაეკრა. გავდა წინ სახლის პატრონ; ნახა, ნოხრმ, მაღრუფელ ზომოშრდა. ე კაც ექ დაედომასუკან ერ სხო დაეკრა კარ. ისიც მაცყონა სახში. ამ კაცებმ (|| კაცებმა) უთხრეს ერთმერთს: „შენ სახთი მოსულხარა?“ ამამაც უთხრა: „მე მოსულვარ. მაღრუფიდან. შენ სახთი მოსულხარა?“ ამამაც უთხრა: „მე მოსულვარ მაშრუფიდან“. ამ სახლი პატრონმა თქო: „დეკაცო, მაცტან პურ, ჭომოთ!“ პურ ჭამეს. ამ კაცმა დეკაცს უთხრა: „დეკაცო, ჩინ თავთავებ იზახოდნენ: მაღრუფი და მარშრუფი ყესმათ ვართავ. ჩინ ვერ ჭომით. მოუტდნენ თავიანთ ყესმათ, თუთან ჭამეს. უყესმათო ლოგმაც ჭამაც არ იქნებ. ამ, თუთან თავიანთ ყესმათ ჭამეს.“

ლევარსან დავითის ძე შიომშვილი, 40 წლისა, კოლმეურნე, მცირე-მცოდნე, იცის აზრბ. და ქართ. (ინგ.).

სოფ. ალიბეგლო, 6. II, 45.

26. ԱՐԵՎԱՅ

შაქროს აქონდა ყონალ. ე ყონალ ჰარ დღი მოდიოდა. ორ დღე მოტრდა, სამ დღე მოტრდა, ახტრი შინ დაფგა, აღარ წატრდა.

სახლი ბატრონ შაწუხდა ყონაღიზეან. მაღვიერა: „ეს ჰათაარ (// ყათაარ // რათაარ) ქნუა? (// ჭქნუა?), ეს შინ წაუდეს!“ სახლი პატრონმა უთხრა ყონალს: „მოء, ყონაღო, გადავხტეთ!“ (// გოდოხტეთ!). ყონოლმაც თქი: „გადავხტეთ!“ სახლი ბატრონმა გააღა კარევ, წაუდენენ კართან. სახლის პატრონმა თქი: „სიბტა მე გადავხტე!“ ყონალმა უთხრა: „გადახტენ!“ სახლი პატრონ გადახტა ჰავანში. სახლი პატრონმა უთხრა ყონალს: „აბა, ახლა შენ გოდოხტენ!“ ყონაღ დადგა კარზე. ყონაღ გოდოხტეა შინ. ყონალმა უთხრა სახლი პატრონს: „ახ, ემაგ გოდოხტევიან—შინ, კარმი აყრ“. სახლი პატრონს გოტეს ჩარახ, თუთანაც შინ გოდოხტა. გადანახტომ ადგილ გაზომეს; სახლი პატრონიზგან ყონალის მეტ გომოუდა ნახტეარ მეტროე.

კედემ სახლი პატრონმა იფიქირა: „ეს მე ვერ გავაგდ! შოთა, ამას ერთ კად ყონალბად გოშსწიო (|| გაშსწიო)!!“ რატერლ ჭრა ყოჩი, ამავსო ღუშნო; დაუდნენ, მაცყოლეს დალევად, უმარ. ყოთლ დაეთრო, ვერ იცოდინა სა ვარავ. სახლი პატრონს გაუხარდა, უთხრა დეკაც: „დეკაცო! მაალ ერ ეიეიმ, ჩავაგდოთ შიგ, წოდეონოთ, ორლებეში დავაგდოთ; კარევ დაჭკლიტოთ. იქიდთი ადგივ, თუთან წავ“.

ამ ზულუმით ყონალ გააგდა.

ი ყონალ იღუშევს, ფიქიროვს: „სა ვარა? რახან მოსულვარ, წაქცეულვარა? (|| წაქცეულვარა?); ეს თუ სახლი პატრონმა გააგა, აღარ გამიშვეს თავიანთა კედემ!“ არ ფიქიროვს, რუმ გადაუგდიაყ. ჩემ თავ!

ის იქიდთი წავ შინ. ერ ორ-სამ დღე გადლის (sic.); სახლი პატრონ და ყონალ გზაზე დაუხტევან ერთმშერთს ბაზარში. ყონალ ეტყუს სახლი პატრონს: „ნუ შამიწუხდევ, შენ მოცემულ ფლავი ქამ გზაზე დამიკარგი. წაქცეულიყავ, მე ვერ შავაცნივ ჩემ თავ, თროლ ვიყავ! მე თქმნსა ვეღარ მუალ, თქმნ დეკაცთან მე მცხონიან!“ სახლი პატრონ ებნების: „აღარ მოხუდე ჩონსა; დეკაცს დიდ ქოხ გაუკეთევი, კარი შომოსლითავ დააკროლი!“ ყონალ ფიავს: „ვალაპ, არ მაასლოვარ თქმნსა!“

ემ ზულუმით გააგდა ყონალ. ეს იქნებ, ის იქნებ, ყონალ აღარ წაუდა იმისა.

შაქრო კონსტანტინეს ქ. შიომვილი, 55 წლისა, მცედელი, მცირე-მცოდნე, იცის აზრი. და ქართ. (ინგ.); საინგილოში უცხოვრია მუდმივად.

სოფ. კაკი (კაკისთავი), 23. XII. 44.

27. ასლი და ჩარბება

ასლი ყოფილ ქეშიშის ქალ. დიალ ლამაზ ყოფილ.

ეს ქალ ქარამას მოუნდომები. ქარამა მუსულმან ყოფილ. ქეშიშიბედ უთქმი: „ქალი მამეც!“ ქეშიშმა თუთან პალტონი დუგმა-ები შეძერა, უთხრა ქარამას: „შენ იმღერი, თუ დუგმა თუთან გაასხნა, ამას მემრე შენ ქალს მოქცეი!“, იმთონა იმღერა, დუგმა თუთან გაასხნა. მასკანდა უთხრა: „ახლა ქალ მამეცი!“ უთხრადა: „არ მოქცემ!“

დურნად ფრინდებოდა, მიღიოდა. იმთონ იმღერადა დურნად დადგა, აღარ წაუდა. უთხრა: „დურნამ ერ ყანად ჩამააგდას, იმა-შინ ქალს მოქცემ“. ყანად ჩამააგდა დურნამ. მემღან კედემ მაატ-ყუა, არ მისცა.

და, არ კდობოდა. ინსანს, ყემენს რუმ წამალს მისცემდა, კაჟ ვეზ-
ტებოდა მოკლომად არ ეყო.

ლოკუმან პაქიმ ჩეგდი შეგდა; წიგნ წყალში გევარი დარღვეული
რუმ გევშო, კაც არმანაკდომ წამალ ველარ იცოდნინა. იმასუკან
ინსან მოკლომად იქნა.

ჩონ გორ—ბურჯალით ნასიბ როსტომ თღლი; „ას წლიბედ სამ
წელ მაკლი“.

სოფ. ზაგამი (ადგილობრივი აზერბ. გამოთქმით „ზაგამ“ // „ზეგამ“
|| „ვაშემ“), 3. II. 45.

29. ქაჩალ და მამალ

ქაჩალ მეტანე ყოფილ. დედახბე უთქომ: „ჩემბე პიწწა თეთრ
მემეც; ერ მამალს ყუშდულობ მე“. დედას თეთრ მიუცემი. ყმაწულ
წასულ, ერ მამალ უყიდნი, მოუყონი; ყმაწულებთან შორეჭიდები.
უგე იმათგან ერ მამალზე ოციდაათ მამალ ოუყონი. მევრე დღე
კედემ შორეჭიდები. ახლა ყერს მამალ ოუყონი.

ერ ქოსად მოსულ, უთქომ: „უგე მამალ (შენაჭიდებ მამალ) მე
მამყიდ! აქთონა ამბოგა?“ იმა უთქომ: „ათ თუმნა“. ათ თუმნა აზ-
ლევს, მამალს ყიდულობს, მიპყონავს თავი დედაკაცთან, კლავს.
დედაკაციბე უთქომ: „გაყლულ, შიგავთი რადმ არ გამავლო!“

განაყიდ გადად ფუშან ქნილ; ქოსად დეკაციბე უთქომ: „ქო-
სამ თქო, ყველგვი ხონჩაში ჩადის, გომოზგავნას“. ქოსად დეკაცს
მიუცემი. ქაჩალს წორული თავიანთა. ქოსად დეკაცი მოუტყუშები.

მემლან ქოსას ერ ყმაწულ გომოზგავნი თავი დედაკაცთან:
„მამალ მააცეს!“ დეკაცს უთქომ: „ყველგვი ხონჩაში ჩამიდები, გამი-
ზგავნი“. ქოსად ამბოეს: „იმაშინ ქაჩალს წორული ჩემ მამალ“. ქა-
ჩალთან წასულ, უთქომ: „შენ ჩემ დეკაც მაგიტყუშები, მამალ მა-
გიყონი!“ ქაჩალს უთქომ: „ვალლაბ, ბილლაპ, არ მამიყონი!“ ქაჩალ
ქოსად თავ მოუტყუშები, არ მამიყონიავ.

ქოსად წასულასუკან გოუჭრი, შეუადთი, შიგავთი ერდენა ყგ-
ზლი ბეჭედ, გამოუტლი. ქაჩალ ოული ბეჭედ, თითხე ოუცომ.

დედახბე უთქომ ქაჩალს: „წაა, ჩემთუნ ხანი ქალ მოკთხოვ“
(sic.). დედად წასულ, ხანიბე უთქომ: „შენ ქალი თავ ჩემ შულ
უნდა“. ხანს უთქომ: „შენ ვერ ათავენებ ჩემ ქალ თხოვენახ; ერ და-
ფუშულ სახლ გაქო. მე იმიბე ქალ არ მოქცემ შენთუნ. ყერს დევად
ჯუქ მემეც, ჩემ ქალ მოქცე შენთუნ!“

ყერს დევად ჯუქ მიუცემი, ქალიც წორული უქნი.

გრძელება¹ სამდენა ვაშლ ჩომუარდა—ერთ ჩემბე, ერთ შენბე
ერთიც ნალილ ნალაპარიკიბე.

ჯამალოვ ჯავათ, 17 ჭლისა, კოლმეურნე, მცირემცოდნე.
სოფ. ზაგამი, 5. II. 45.

30. თაბ და მრ ფალის კაც

ერ ზამანზე ერ ფალირ კაც ყოფილ. ბაზარში წასულ, ერ ბა-
კან ქერ უყიდნი. გუთან წნავს ყოფილ. ორ თაგ გომოსულ—ერთ
შავ, ერთ თეთრ. შავ თაგ მოტელავ. თეთრს უთქომ: „ეგ ჩემ დჟშ-
მან ეყო. როგო კად იქნა, ეგ მოტკალ!“ კაცი თავ წოტყონი თაგს
თავი სახში. გარე დოტყენები, თუთან შიგ შესულ, მამაბე უთქომ
(|| ცუთქომ): „ჩემ დჟშმან მოკლეს!“ მამას უთქომ: „რაბე არ მა-
ყონია?“ (|| რაბე არ მაყონი?). მევლან გასულ გარე, მოტყონი.
შამას უთქომ: „რავ მოქცე?“ კაცს უთქომ: „ფაპჩასთან ნაქნარ ბე-
ჭედ მინდ!“ აღსაღ² თაგ დოტბარები. აღსაღ თაგიბე უთქომ: „შენ
ფაპჩასთან ნაქნარ ბეჭედ მადლ!“ უთქომ: „კად“. წასულ, მოტლი,
კაციბე მიუწო.

კაც შინ წასულ თავი დედასთან. დედაბე უთქომ: „ბეჭედ
მამცეს. წაა ფაპჩა ქალიბე მაჭაკლა!“ დედა წასულ ფაპჩასთან
მაჭაკლა. ფაპჩას უთქომ: „არ გაზლევ! ჩემ სახლივი სახლებ ააშე-
ნით, მევლან მოქცემყ“. დედა წასულ შინ, შელიბე უთქომ: „ფაპ-
ჩა ამბოვს, რომა ჩემ სახლივი ააშენით, მევლან ქალ მააცემვართ“.
შელს ბეჭედ ყბაში ჩატები, დაწოლილ, უთქომ: „აა, მომრთო,
ფაპჩა სახლივე ეყოდეს!“ დილლაზე ხედავს, პალკონიან სახლებ
ქნილ. დედა გასულ გარე, უთქომ: „შელლ, პალკონიან სახლებში
ვართ!“ შელლ უთქომ: „ფიქირ არა, მოხ, დაწევ!“ მევლან შელლ
უთქომ: „წაა, ეხლა მაყონ ქალ!“ ფაპჩასთან წასულ დედა. უთქომ:
„თქონ ქალ მინდ!“ ფაპჩას უთქომ: „არ გაზლევ, ჩონ სახლი სევგ-
ნით თქონ სახლი სევგნამდინ ჸიდ გააქეთით!“ შინ მოსულ დედა,
შელიბე უთქომ: „ფაპჩამ თქო, ჸიდ გააქეთას თქონ სახლით ჩონ
სახლამდინ“. გატექეთები. მევლან შელლ უთქომ: „წაა ეხლა მაჭაკლა!“
დედა წასულ მაჭაკლა. მევლან ქალ მიუწიაყ.

ქალს სხო გადა უნდა ყოფილ. ბეჭედ მოტბარავ თავი კაციგ-
ნი, სხო კაციბე მიუწო. დილლაზე თავი კაც ამდგარ, ხედავს, ბეჭედ
აღარა; ფაპჩასთან წასულ, უთქომ: „ბეჭედ აღარა!“ ფაპჩას აღსაღ

¹ ციდან.

² კოჭლი.

თავ დოტებარები, უთქომი: „წია, ბეჭედ მანდლ!“ თავ წასულ. სიღ-
მოზედ ნაცარში კუდ ომოუწეუ; მევლან თუთუნში; მევლან წოლი
ცხტურში შოტერნი; საბურ მოსულ; ბეჭედ გადმუარდნდლ. ლურ,
გადიბე მოული, მიუცი. მევლან ფაპხაა ჰეზნას უთქომ თავი დეკა-
ციბე: „მ ბეჭედ სა იყუა?“ დეკაც უთქომ: „არ ვიც, მა ბეჭედ მის
მეეცა იმ კაციბე!“ კაცს უთქომ: „შენ იციხარ!“ დეკაც უთქომ:
„მე რავ (|| რავიც), მის მიუცი!“

კაცს დეკაცი თავ დოტეტლი. გარბენულ დეკაც მამანთა. მა-
მასაც დოტეტლი. მოსულ კიდემ კაცის სახში. იქ დაოჩომილ.

ისენ იქ დარჩნენ, მე აქ.

თინათინ არჩილის ასული ღარიბაშვილი, 14 წლისა, იცის აზერბ.
და ქართ.

სოფ. სამთაწყარო, 16. II. 45.

31. ერ სალდათ

ფაპხაა სალდათებ აგრძებდა და ათმაშებდა. რომ ითამაშეს,
ერ სალდათმა აათავა დრომ. უთხრეს: „შენ შინ წაა!“ თქო, რომა
„მე არ წავალ!“ უთხრეს: „რაბე?“

—იმიბე, რუმ მეტყუშან: მის ყულულ ექცეოდია? მე რაამ უთხრა!
მე ფაპხაა პირ უდაუნახელა არ წავალ!

თითანაც ფაპხაა ნაქნარ შაპარში კეყტებოდა. დარჩა ეს კაც
აქ. აღარც ტონულს აზლევდა, აღარ რამ. მერე ე კაც დარჩა შეერ.
იქ ეყო ფაპხაა ასპავ. ერ ყმაწეულს გამაართო ორ თითო კაპეკიან,
უთხრა: „თითომი ხუთ მანათს მოქცემ!“ ადგა, წაულა ასპავში.
მისცა ეს ერ კაპეკიან. მითამ ათიან ყზგზლი, იმათ ეგრე მააჩო-
ნაყ. ჭამა, დალივა, თეთრიც დატბრუნეს უკან. ოთხ-ხუთ დეფაა ეგ-
რე გააკეთა ამამ: თითო კაპეკიან თითო თუმნიან ყვზგლა მააჩონა.

ასპაეჩიმ გააგა ამის საქმე. ფაპხაა გომოუცხადეს: „მავან
კაცმა ეგრე გააკეთა!“ ფაპხამ თქო: „ეგ როგო კაცია? ჩემთან მოტ-
დეს“. ეს კაც წადყონეს ფაპხასთან. ფაპხამ უთხრა: „მე გამიგი,
რომ შენ ემგე საქმეს აკეთებ. აბა, გააკეთ! ნოხო, როგო აკეთებ!“
მევლან უთხრა: „არ გავაკეთებ, დამიჭირავ!“ მერე უთხრა ფაპხამ:
„ჟელწერილს დაგიშერავ, ჟელს მოგიშერავ!“ მაშინ თქო: „კაა.“

ფაპხამ რომ ჟელწერილ დაწერა და ჟელ მააწერა, სახლის
კარებ გააღა წყალმა, ადსო სახლ წყლით. დანახახა, რომ კარებზე ერ
ნავ მოდგა. ფაპხას მითამ გადად ებნების: „ადე, ნაგზე დავუდეთ!“
დავდნენ ნაგზე, მიდის ნავ, მიდის. სხო შაპარში გადაუდნენ. მევლანი
ჩომოუდა ეს ორ კაც ედ¹ ადგილში. მევლან უთხრა გადამ: „ჩონ

¹ უცხო.



აქ ვიმუშაოთ უნდა; ვიყიდოთ ცხრაბ, ყასაბ ქნოთ (|| ჭქნოთ).“ ზაჰ-
ჩამ იყიდა ცხრაბ, მაცყონა, დაკლა. ე ბიჭ (|| გადად) კი ყიდულ
ამმა ერ გზი პირში არიან, მანაჭერ თავს გზი პირში აწყობს ე
გადად. მევლანი ერცხო ყასაბებმა გამავევარეს ამ გზაზე. ერთიც
შესხახეს ამათ: „ე რა აქეთებთა თქმნ? ინსნებ დაგიკლავე!“ მართ-
ლაც ე მოჭრილ თავებ ბურთულ მინგავდა ინსნი თავებს. მევლან გა-
დამ უთხრა: „მე არ ვიც, ამ კაც დოუკლავ, მე ყული“ დაძჭირეს
ეს ფატჩა. უთხრეს: „პა, ბუ საათ (|| ემ საათში) უნდა მოკლოთ!“
დააწყენოს ფატჩა, უნდა დაკლონ, დაადის ყელზე ქმალ, დაუწყეს:
„რას, დვა, ტრი“ თქმაში უნდა დააკლასყ, ემ გადამ გახსნა. ფატ-
ჩამ დახნახა, უგე თავის სახშიდა, კელმანაწერ ადგილში კელ დარ-
ჩომი.

მერე უთხრა გადას: „გადა! ეს რად გააკეთი? ემეურა საქმეებ
მეტ აღარ გააკეთო; ადე, შინ წად!“

მოსე ლევანის ძე პაპაშვილი, 16 წლისა, კოლმეურნე (მწყემსი),
მცირემცოდნე, იცის აზერბ. და ქართ. (ინგ.).
სოფ. სამთაწყარო, 16. II. 45.

32. გამარჯორ შემ ლად შართულ

ერ კაც იყო ალვერ ნაქნარ¹. შუდ წელ სხოგან ალვერ ჩედი-
ოდა, შუდ წულსუკან მევლნი—თავი ვათანში². ერ დღე თავიბ წა-
ნასულ ადგილში, ჩელალში ნაგახტან დახნახა, ერ გამჯმარ ქელლად
გორებ-გორებ მოწიოდა, ჰამაც ამბობდა: „ასოც ინსან მამიკლავს,
ამასუკან ოთხმოცდენასაც მააკლოვარ“. ე კაც გამათდა: ეს იგრევ
ცარიალ ქელლამ მინ უნდა მოკლას! ახლა, დადო ქუაზე და დაფხ-
ნო. ახლა. ერ გულგაზში გაჰკრა, ჯიბში ჩადო, მაცლა თავი სახ-
ში, ერ კიდაბაში დაკლიტა. შუდ წელსუკან კედემ წაუდა სხო თა-
რაფში ალვერ საქნელა.

იმ კაც აქონდა ერ დეკაც, ერდენა ქალ. იმიზნი ყედრი სხო
მინამ არ აქონდა. ერ დღე დიალ ფუშმან იყო ქალ; ადგა შოტდა
თავი მამად კიდებნევ დააჩხრეკელა. გასხნა ე კიდბან; შიგ ჰებ რამ
არ იყო ერ ცოტა ფქშლიზგნი ყედრი. გამათდა, თქო: „ე რაშე უნ-
და, ჩემ მამად რადებ შაქნახია?“ თით ყბაში ჩადო, დაასპლა,
ფქშლში ჩაყო, ენაზე ალოკა, კიდემ უკანაყენ დაბრუნდა.

¹ გაჭარი.

² სამშობლოში.

ყმაწულ კად ყმაწულ იყო, კადგორა იძღებოდა. შუღლ წელს
მემღნი ი კაც დაბრუნდა. გადად ექვი ქნილიყო. პაპად წინ სირბილ-
სირბილ გადრინა. დეკაც და ქალ სურცხული წინ არ გატდნენ.
მშრალობლი თღლუშალშა უთხრა: „ე შენ ნეკაას“. დიალ ფინთა გარ-
და კაც:

— ერდენა ქალ მაქონდა, ჩემ შინ არქნაში რაბე გაუთხშუ-
ბია? — ეჩჩეთ აღარ აგონდებოდა თავი დანანაყ, შანანას ქელლად
ფქშლ; სახში დიალ ფინთა მექჩრნა დეკაცსაც, ქალსაც: „ვაბე
(|| ჰაბე || რაბე) ჩემ ფაფას დაგირცხონიაყა?“ — ქალ დიალ მაგ-
რა ითეცავდა: „მე ჰერ რამიზგნი ხაბარ არ მაქავ“. მამად ჰეჩჩეთ არ
უჟერებდა. მემლნი თავი კიდებნებ ნაქნარ ადგილში შოტრა. ნაგახ-
ტან მააგონდა ქელლად ფქშლ. ქალს მოჰკითხა:

— შენ ჩემ კიდუბნებ ნუმ არ გავილია?

— ერთეულა გამილი, შიგ რად ფქველ იყო, მამაო!

— შენ ფქტური გემოდ ნუმ არ გინახავა?

— ერ ცოტა ყბაზე მოვხალ, — უთხრა ქალმა.

მამად თავში ჩაგრდა. რა უურაც ქელლად ლაპარიკოვდა, მუაგონდა ბუთუმ. ყმაწულ გადად დიალ ცუცქ იყო, მალეც განზარდ.

ერ დღე პაპამ რამ საყიდელა ბაზარში წოუდა, ი გადაც
უკან გაჰყო. ყმაწულ ღიალ ნაცოლნ ყმაწულ იყო. ზურ-ზურ თო-
ლებ იყიდებოდა. ამ გადამ კადსთანებ ამაარჩივა. პაპამ თეთრ გა-
დადგადა. იმ თლობ განაყიდ კაცმა უთხრა: „ე გადა ჩემბე მამეც
ხუთ-ტქს წელ, რაქთონ გინდ თეთრ, მააცემევერ!“ პაპამ თქმა: „მე
ეინ ნუმ არ მაქ, ყმაწულ გატყიდო! „გადა ღიალ მაგრა შეეხორცნა:
„ეან პაპა! წავალ, კედემ მასლორვარ!“ პაპაც რაზი იქნა... წაცყო-
ნა სხო თარაფში ლოგირ საქნელა.

იქ იმ შაარში ერ ფაპხას ერ თევზ აქონდა აპარა ბოჭკაში, წყალში ინახავდა. ი თევზ დიალ ჯულაბ-ჯულაბ ოვნებს ჩედიოდა. ერ დღე ფაპხამ თქო: „ჩემ დეკაცებ თავიანთ ყარავაშებ ყარიბულლუ თამაშაძებ მაცყონ! თევზიბე თამაშაც ქნას“; დარალ მაცყონ-

¹ ამ ურთიერთობაში; ამ დროში.

² Биабыр — Шеңбүрлек, Сөйрүрлек, Қылғауыл.

³ ბრძანებისთანავე.



